

K 15436
2



დუქლი ჩხოვრება

მეხარება



1857

Академия наук Грузинской ССР
Институт истории грузинской литературы им. Руставели

Древнегрузинские одописцы

I

Чахрухадзе
Восхваление царицы Тамары

Текст исследовал, издал и
словарем снабдил
И. А. ЛОЛАШВИЛИ

Издательство Академии наук Грузинской ССР
Тбилиси — 1957

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

1955 - 5108 1/2

915/36
2

ძველი ქართველი მეხოტბენი

I

ჩახრუსაძე

ქება მეფისა თამარისი

ტექსტი გამოსცა,

გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო

ივანე ლოლაშვილმა



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი — 1957

რედაქტორი ილია აბულაძე

წი ნ ა ს ი ტ ე ვ ა ო ბ ა

თავდაპირველად, როდესაც ძველ ქართველ მებოტბეთა პოეტური მემკვიდრეობის შესწავლა დაიწყო, განზრახული გვექონდა ჩახრუნახისა და შავთელის თხზულებანი ერთ წიგნად გამოგვექვეყნებინა და ამავე დროს განგვეხილა ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ამ ორი დიდი პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებასთან, მაგრამ მუშაობის პროცესში იმდენი მასალა დაგროვდა და ისეთი ახალი საკითხები წამოიჭრა, რომ მათი მოყვანა სისტემაში და დეტალური ანალიზი დიდ დროსა და შრომას მოითხოვს. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით ნაშრომი „ძველი ქართველი მებოტბენი“ სამ წიგნად გამოვეყენეთ.

პირველი წიგნი, რომელიც ამჟამად ქვეყნდება, შეიცავს ჩახრუნახის თხზულებას „ქება მეფისა თამარისი“ გამოკვლევითა და ფილოლოგიური აპარატით. გამოკვლევაში განხილულია ტექსტის საკითხები, თხზულების სტრუქტურა და კომპოზიცია, დაწერის თარიღი. სხვა საკითხები გაშუქებული იქნება მესამე წიგნში.

მეორე წიგნად გამოქვეყნდება იოანე შავთელის თხზულება, ე. წ. „აბდულმესიანი“.

მესამე წიგნი დაეთმობა იმ ისტორიულ-ფილოლოგიურ პრობლემებს, რომელნიც საერთოა ჩახრუნახისა და შავთელის პოეტური მემკვიდრეობის შესასწავლად.

იმედია, მკითხველი შრომის სირთულეს გაითვალისწინებს და საქმიან შენიშვნებს მოგვაწვდის იმ ნაკლოვანი მხარეების შესახებ, რომელნიც შეიძლება ამ წიგნს ახასიათებდეს.

ჩახრუხადის „ქება შეფისა თამარისი“

(გამოკვლევა)

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ჩახრუხაძე ერთ-ერთი მსხვილი ფიგურაა კლასიკური ხანის ქართულ მწერლობაში. რუსთაველის წინამორბედ და თანამედროვე მწერალთა შორის იგი ხასიათდება როგორც მაღალი პოეტური კულტურის მქონე მეხოტბე, რიტორი და ბრძენი.

მისი თხზულება „ქება მეფისა თამარისი“, ანუ „თამარიანი“ მგზნებარე პოეტური შთაგონებით დაწერილი მხატვრული შედეგია. როდესაც ღრმად ეცნობით ამ ძეგლს, აღფრთოვანებაში მოდიხართ ქართული ლექსის მუსიკალობით, მდიდარი და უბადლო პოეტური სახეების ნაირფეროვნებით და აზრის მაღალ მხატვრულ ფორმაში გამოთქმის ტექნიკით. ჩახრუხაძის ხოტბები გიტაცებთ იმ დროისათვის მოწინავე სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებებით და უფრო გიასკეცდებათ ინტერესი ამ ორიგინალური და მრავალმხრივ განათლებული პოეტის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლისა.

„თამარიანი“ პოლიტიკურად და ფილოსოფიურად გააზრებული ძეგლია, რომელშიც შექმებულია თამარი და მისი შეუღლე დავით სოსლანი და მოთხრობილია მათი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა მნიშვნელოვანი ფაქტების შერჩევით. თხზულების თითოეული ოდა გასაოცარი ფაქიზი გემოვნებითაა გამოძერწილი და თითოეული მისი ტაეპი პოეტის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი გრძნობაა. მთელი თხზულება ჯანსაღი პატრიოტიზმის აპოლოგიაა.

ჩახრუხაძე „თამარიანში“ მხატვრული სიტყვის ვირტუოზობას აღწევს. იგი აგრძელებს იმ ლიტერატურულ ტრადიციებს, რომელნიც დაამკვიდრეს XI-XII საუკუნეების ქართული სასულიერო და საერო მწერლობის ბრწყინვალე წარმომადგენლებმა. იგი მტვირთველია იმ ენციკლოპედიური განათლებისა, რომელსაც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქა თხოულობდა.

ჩახრუხაძე, როგორც ქართული კულტურის ტრადიციებზე აღზრდილი არისტოკრატი პოეტი, ქართული ზმნის უამრავ თავი-

სებურებას ჯადოქარივით იმორჩილებს, ერთსა და იმავე სიტყვას გასაოცარი პლასტიურობით იყენებს სხვადასხვა მნიშვნელობით და ომონიმების ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა.

ჩახრუხადემ კარგად იცის ძველი ქართული აგიოგრაფიული, ფილოსოფიური და საისტორიო ლიტერატურა, ქართული და აღმოსავლური წარმოშობის სარაინდო-სამიჯნურო რომანები, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, ბერძნული მითოლოგია და ფილოსოფია და, რაც საყურადღებოა, ინდური მითოლოგიაც. ის ამ ცოდნას იმ სოციალ-პოლიტიკურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს უქვემდებარებს, რომელთაც XII-XIII საუკუნეების მოწინავე ქართველი ინტელიგენცია ავითარებდა.

ამიტომაც იყო, რომ ჩახრუხადეს ძველიდანვე ქართულ საზოგადოებაში ბრძენ-კაცისა და დიდი პოეტის სახელი ჰქონდა მოპოვებული. ცნობილი პოეტი არჩილი წერდა:

მოხვეელისამ, ჩახრუხელისამ
ლექსთა სიტკბომა ამიყოლია,
მისებრ მთიული, სიბრძნით ღვთიური
თამარის კიდე ვისმცა ჰყოლია?¹

XVIII საუკუნის ფილოსოფოსი და თეოლოგი ანტონ I კათალიკოსი ჩახრუხადეს რუსთაველზე მალლა აყენებდა. „წყობილ-სიტყვაობაში“ ვკითხულობთ:

ჩახრუხაის ძე უცხო პიტიკოსი,
თამარ დიდის მშობი შაირებითა,
შოთას შაირთა, თუ ვჰსთქვა, უკეთესთაცა;
მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის მოყვარე,
ყოვლად საქები, რიტორთ-მესტიხთ გვირგვინი².

ასევე მალალ შეფასებას აძლევდა ჩახრუხადეს იოანე ბატონიშვილი:

„ჩახრუხ ჩახრუხის-ძე, კაცი მეცნიერი და ცერემონმეისტერი თამარ მეფისა, მეცნიერებით სრული და რიტორ-მჭევრ-მოუბარი..., რომელსა უწოდდენ ქართველნი მესტიხეთ გვირგვინად...“³

სამწუხაროდ, ამ დიდი პოეტის ბიოგრაფია ისევე ბურუსითაა მოცული, როგორც მისი ეპოქის პოეტი-ფილოსოფოსებისა—იოანე შავთელისა და შოთა რუსთაველისა. კლასიკური ხანის საისტორიო

¹ არჩილიანი, ტ. I, 1936, გვ. 226.

² ანტონ I კათალიკოსი, წყობილ-სიტყვაობა, 1853, გვ. 286.

³ ძველი საქართველო, ტ. I, 1909, გვ. 26; იოანე ბატონიშვილი, კალმახობა, ტ. II, გვ. 185.

და ბიო-ბიბლიოგრაფიული წყაროები ჩახრუხადის ვინაობის საკითხს დუმილით უვლიან გვერდს, აღორძინების ხანის დროინდელი ცნობები კი მკვლევართა საგრძნობ დაეჭვებას იწვევს. ამიტომ რიგი საკითხები ჩახრუხადის ბიოგრაფიიდან და მისი ლიტერატურული მოღვაწეობიდან დღემდე დაუზუსტებელი რჩება. არც „თამარიანის“ ტექსტია ისეთ სასურველ მდგომარეობაში, რომ ტექსტის აღუდგენლად მასთან დაკავშირებული რომელიმე ფილოლოგიური საკითხის გადაჭრა შეიძლებოდეს საბოლოოდ.

ძველმა ქართველმა მწიგნობრებმა გვიანდერძეს „თამარიანის“ ნუსხები მეტად დამახინჯებული ტექსტით. ამჟამად ცნობილია „თამარიანის“ თოთხმეტი ნუსხა, მაგრამ არც ერთი მათგანი XVII საუკუნის მიწურულზე ადრინდელი არ არის (უმეტესობა XIX საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება). მათი შედარებით-კრიტიკული შესწავლა ავლენს ისეთ ახალ თავისებურებებს, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ „თამარიანის“ სტრუქტურულ-კომპოზიციური საკითხების დასადგენად და, საერთოდ, ჩახრუხადის პოლიტიკური მსოფლმხედველობის გასარკვევად. ამავე დროს თხზულების ბეჭდური გამოცემების შესწავლა ცხადჰყოფს, რომ „თამარიანის“ გამომცემელთა მიერ გათვალისწინებული ყოფილა მხოლოდ XIX საუკუნის რამდენიმე ნუსხა, რომლებშიც „თამარიანის“ ტექსტი უაღრესობამდეა დეფორმირებული, როგორც სტროფული შედგენილობისა და განლაგების მხრივ, ისე წანაკითხებით. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „თამარიანის“ ყველა ნუსხისა და გამოცემის შედარებით-კრიტიკული შესწავლა და ამის საფუძველზე თხზულების პირვანდელი სახით აღდგენა არავის უცდია: არც მის გამომცემელ-რედაქტორებს და არც იმ მკვლევრებს, რომელთაც საკმაო ღვაწლი მიუძღვით „თამარიანის“ პრობლემების დასმა-განხილვაში.

* * *

„თამარიანის“ პირველი გამომცემელი იყო ისტორიკოსი პ. იოსელიანი. 1838 წელს მან გამოაქვეყნა ჩახრუხადის თხზულება სათაურით: „თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა, თქმული ლექსად ჩახრუხას-ძისაგან. წელსა ქრისტესით 1187-სა“. პ. იოსელიანის ნაგვიანევი შენიშვნიდან¹ ირკვევა, რომ მას ხელთ ჰქონია „თამარიანის“ ერთადერთი ნუსხა, რომელიც

¹ П. Иоселиани, Описание города Душети, 1860, გვ. 65, შვ. 34.

ვფიქრობთ, დავით რექტორის მიერ უნდა ყოფილიყო გადაწერილი. ანას ადასტურებს ის ტექსტუალური დამთხვევა, რომელსაც „თამარიანის“ პირველი ბეჭდური გამოცემა და დავით რექტორისეული ნუსხების შედარება ავლენს. თხზულებას სქოლიოებში დართული აქვს რამდენიმე შენიშვნა რექტორისა. თუ ვინ იყო ჩახრუხაძე და რა მხატვრული ღირებულება აქვს მის „თამარიანს“, ამაზე პ. იოსელიანი საყურადღებო მოსაზრებას გამოთქვამს 1860 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში, რომლის სათაურია „Описание города Душети“:

„დუშეთისა და მისი მიდამოების თავზე.—გკითხულობთ ამ წიგნში, —აღმა ფრენს გენია მაღალი პოეზიისა, რომლის წარუშლელი კვალი მის გონებრივ სამყაროშია აღბეჭდილი. ეს გენია პოეტი ჩახრუხაძე, თანამედროვე რუსთაველისა. ჩახრუხაძე დაიბადა ხევში; ადგილობრივი გეოგრაფიული გამოთქმით, ის იყო ხეველი ანუ მოხვევე. ხევის ადგილმდებარეობის მეტალიგიით მკვრივმა ნიადაგმა მას შთააგონა მეტალიგიით მქლერი სიტყვები. მთის ხეობის ეხომ გამოძახილი ჰპოვა მის აღფრთოვანებულ სულში, რომელიც აგზნებული იყო საქები ობიექტის [თამარის] სიდიადით... ჩახრუხაძის ლექსები სუნთქავენ ცოცხალი ფანტაზიით, ღრმა გრძნობითა და აზრებით; მისი ლექსები მოჰქუხს როგორც მდინარე არაგვი, რომელიც მოვარდნილი ღვარივით მოიკლავება ხეობის კლდოვან კალაპოტში, და ანთებულია პოეტური ცეცხლით როგორც ის ვულკანური ბუნება, სადაც ჩახრუხაძე გაიზარდა ქართული ენის სადიდებლად“¹.

როდესაც პ. იოსელიანი ამ სიტყვებს წერდა, მაშინ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებული იყო ევგენი მიტროპოლიტის მიერ 1802 წელს „თამარიანის“ არასათანადო შესწავლის შედეგად გამოთქმული მოსაზრება, თითქოს „хвала сия [ე. ი. „თამარიანი“], составляющая довольно великую книгу, соплетена почти из одних только прозваний и нарицательных имен, приписуемых Тамаре“². ამავე მოსაზრებას სიტყვასიტყვით იმეორებდა დ. ჩუბინაშვილი. 1846 წელს იგი „ქართული ქრესტომათიის“ მეორე ნაწილში წერდა: „она вся почти состоит из одних только прозваний и нарицательных имен, приписываемых

¹ П. Иоселиани, Описание города Душети, 1860, გვ. 61—64.

² Евгений Митрополит, Историческое изображение Грузии в политическом, церковном и учебном ее состоянии, 1802, გვ. 87; შდრ. გ. მიქაძე, ქართული პოეტიკის ქრესტომათია, 1954, გვ. 24.

Тамари“¹. ორივე მკვლევარი თავიანთი მოსაზრების დასასაბუთებლად იშველიებდა „თამარიანის“ ცნობილ სტროფს: „თამარ წყნარი, შესაწყნარი“, რომელიც მართლაც შეთხზულია „из одних только прозваний и нарицательных имен“, და ამ ერთი სტროფის მიხედვით ისინი გამოთქვანდნენ არსებითად მკდარ მოსაზრებას, რომელიც „თამარიანს“ ალარიბებს შინაარსობლივად და უკარგავს მას ისტორიულ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. პ. იოსელიანმა უარყო ევგენი მიტროპოლიტისა და დ. ჩუბინაშვილის მოსაზრება, მაგრამ მან ვერ შეძლო ქართული ინტელიგენციის აზროვნებიდან მისი ძირფესვიანად ამოგდება.

იმხანად, როდესაც „თამარიანის“ პირველი გამოცემა გამოქვეყნდა, ტექსტოლოგიური მეცნიერება საქართველოში ახლად იდგამდა ფეხს. მაშინ ძველი ქართული ტექსტების გამომცემლრედაქტორთა კრიტიკული ალლო იმდენად განუფითარებელი იყო, რომ რამდენიმე ათეული წლის წინ გადაწერილ ნუსხას „ძველდედანს“ უწოდებდნენ და ყოველგვარ ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობას შეუმოწმებლად ეყრდნობოდნენ. ამიტომ, როგორც სამართლიანად წერდა ნ. მარი, მაშინ „никто не подозревал, до какой степени пострадал текст од. Растерзанныя на части и разрозненные, местами дефектныя, местами обезображенныя чужеродными наростами, почти на каждом шагу искаженныя в подробностях, оды сами по себе являлись чем-то дикими и бессмысленным“ ...² ნაწილობრივ ამით და ნაწილობრივ გასული საუკუნის 60-იანი წლების ახალი თაობის ახალგაზრდული გატაცებით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ XIX საუკუნის ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე ჩახრუხადის პოეტური შემოქმედების შეუფასებლობას ამჟღავნებდა. ამ შემთხვევაში ჩვენ უპირველესად მხედველობაში გვყავს ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, რომელმაც უნიჭობის განაჩენი გამოუტანა გენიოს ჩახრუხადეს:

„ჩვენში, ქართველებში, — წერს ილია, — დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხადესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება. რა ვაი-ვაგლახით და კისრის მტვრევით მოგოგავს დავარდნილ ცხენსავით მისი ოც-მარცვლოვანი ტყვიასავით.

¹ Грузинская хрестоматия, ნაწ. II, 1846, გვ. III, სქოლიო 1.

² Н. Я. Марр, Древнегрузинские описцы (ТР, IV, 1902), გვ. 60.

მძიმე ლექსები!... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენიერება, არც ჭკუა, არც გული, არაფრისთანა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა ახსენებენ, იქ გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხადესაც, რომელსაც, გვეგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა დიდების იმედი“¹.

რასაკვირველია, ი. ჭავჭავაძის ეს შეხედულება, რომელიც ვეგენი მიტროპოლიტისა და დ. ჩუბინაშვილის მოსაზრებათა ნაგვიანვე გამეორებას წარმოადგენს უფრო მწვავე ფორმებში, თანამედროვე ფილოლოგიური მეცნიერებისათვის მიუღებელია, მაგრამ ის საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მაშინ „თამარიანის“ ტექსტი იმდენად დეფორმირებული იყო, მას პირვანდელი სახე ისე ძლიერ ჰქონდა შეცვლილი, რომ ი. ჭავჭავაძის გენიამაც ვერ განჭვრიტა ძველის მხატვრული სიდიადე.

XIX საუკუნეში „თამარიანი“ პ. იოსელიანის შემდეგ კიდევ გამოიცა ორჯერ: 1863 წელს — დ. ჩუბინაშვილის რედაქციით „ქართული ქრესტომათიის“ მეორე ტომში (გვ. 59-72) და 1882 წელს — ზ. ჭიჭინაძის რედაქციით, მაგრამ ორივე ეს გამოცემაც უკრიტიკოა და არსებითად, როგორც ნ. მარტი წერს, „они нисколько не облегчают нелегкой задачи понимания поэмы“². ამიტომ 80-იან წლებში კვლავ თავი იჩინა ჩახრუხადის თხზულების ნილილისტურმა შეფასებამ. 1883 წელს გაზ. „დროებაში“ დაიბეჭდა ხელმოუწერელი ბიბლიოგრაფია ჩახრუხადისა და შავთელის თხზულებათა გამოცემის გამო, რომელშიც ვკითხულობთ:

„ჩვენც შეიძლება დავეთანხმოთ კათალიკოსს (ანტონს), რომ ჩახრუხადე მართლაც პიტიკოსიც იყო, რიტორიც, მაგრამ პოეტობის ნიშან-წყალს კი სრულიად მოკლებული ყოფილა; ესევე ითქმის შავთელზე. ორთავ ამ «კლასიკებს» იმდენათა აქვთ მნიშვნელობა, რამდენათაც ეს საჭიროა შოთას დროის გარემოების ასახსნელად, როგორც ვარსკვლავთაგან მოთამაშე რაშის ღირსების გასაგებად საჭიროა ჯაგლაგი ცხენების უხეირო სიარულიც გაცნობილი გქონდეს. სამს ამ თანამედროვე მწერალს: შოთა რუსთაველს, ჩახრუხადეს, შავთელს — ერთი და იგივე საგანი აუღიათ, ერთსა და იმავე არსებას აქებენ, ერთსა და იმავე თამარ მეფეს უკმევენ გუნდრუკს,

¹ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქციით, 1953, ტ. III, გვ. 10—11.

² TP, IV, გვ. 29.

მაგრამ რა განსხვავებაა მათ პოეზიას შორის, თუ კი შავთელისა და ჩახრუხადის ნაძალადევს ლექსებს პოეზიის სახელის ღირსად ვავხდით“¹.

ასეთი ტენდენციური და მთლად მიუღებელი მოსაზრების გვერდით იმავე წლის ყურნალ „ივერიაში“, რომლის რედაქტორი იყო ი. ჭავჭავაძე, ქვეყნდება პ. უმიკაშვილის საყურადღებო ბიბლიოგრაფიული შენიშვნა: „სანამდისინ კარგა არ გაისინჯებოდეს ტექსტი [შავთელისა და ჩახრუხადის თხზულებებისა], სანამ განმარტება არ ექნება ამ ნაწერებსა, მანამდის ლექსების რახა-რუხის მეტს ვერას გამორჩება მკითხველი: ვერც აზრს გამოარკვევს ნაწილ-ნაწილად, ვერც მათ შეკავშირებას ერთი-ერთმანეთთან, ვერც დედა-აზრს მრთელის თხზულებისას... ამიტომ ამ ორის მწერლის ნაწერის გამოცემისათვის ჯერ ხელნაწერების საკმაოდ მოპოვება და ტექსტის აღდგენაა საჭირო და მერე კარგი შემუშავება განმარტებისა ძველის მწერლობის მცოდნე კაცებისაგან“².

პ. უმიკაშვილი გრძნობს, რომ შავთელისა და ჩახრუხადის თხზულებათა ტექსტები დამახინჯებულა. ამიტომ იგი უკმაყოფილოა ზ. ჭიჭინაძის სარედაქციო-საგამომცემლო მუშაობით. როგორც ზ. ჭიჭინაძე წერს, მან „თამარიანის“ ტექსტი უცვლელად გადმობეჭდა პ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის გამოცემებიდან: „პირველ წიგნათ დავბეჭდეთ ჩახრუხადის პოემა, რომელიც ეს მესამედ იბეჭდება. ამ პირველ წიგნზე სიტყვების ახსნა უნდა ჩაგვერთა, მაგრამ ეს ჩვენ დავსტოვეთ, რადგანაც ახსნას ერთობ დიდი ადგილი სჭირდებოდა, დღეს თუ ხვალ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი ცალკე გამოვა და იქიდან ყველა იხელმძღვანელებს. რაც შეეხება დედნის სისწორით დაცვას და სიმართლეს; ჩვენ შევუთანხმეთ იოსელიანის და ჩუბინაშვილის დაბეჭდილებებს“³.

პ. უმიკაშვილი სამართლიანად უკიჟინებდა ზ. ჭიჭინაძეს. ქართველი მკითხველის მოთხოვნილება იმხანად საკმაოდ გაზრდილი იყო და ამიტომ არ კმაროდა ძველი გამოცემის უცვლელი გადმობეჭდვა, არამედ საჭირო იყო „თამარიანის“ ხელნაწერების დაძებნა, მათი

¹ ქართველი კლასიკები, I ჩახრუხაძე, II შავთელი, გამოცემა ზ. ჭიჭინაძის („დროება“, 1883, № 183).

² პ. უმიკაშვილი, ქართველი კლასიკები, ჩახრუხაძე, გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან („ივერია“, 1883, № 7-8, გვ. 153-154).

³ ქართველი კლასიკები, ჩახრუხაძე, გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან, 1882 (წინასიტყვაობა). შდრ. ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XII საუკუნეში, 1887, გვ. 5. ზ. ჭიჭინაძემ „თამარიანი“ ხელახლა დაბეჭდა 1900 წელს სათაურით: ქნარი-გრიგოლ ჩახრუხადისა. მას გარეკანზე აწერია მესამე გამოცემა, ფაქტიურად იგი მეოთხეა.

შესწავლა და ტექსტის აღდგენა, მერე კი 'ძნელად გასაგები სტროფებისა და ტაეპების განმარტება. ამ თვალსაზრისით პ. უმიკაშვილის ნოთხოვნა სრულიად კანონიერი და დროული იყო, მაგრამ „ძველის მწერლობის მცოდნე კაცები“ რატომღაც ამ საქმისაგან თავს იკავებდნენ. მხოლოდ ოცი წლის შემდეგ ნ. მარმა განახორციელა ის, რა მოთხოვნაც პ. უმიკაშვილმა დაუსახა „თამარიანის“ შომავალ გამოცემეფს.

1902 წელს ნ. მარმა გამოაქვეყნა შავთელისა და ჩახრუხადის სახოტბო თხზულებანი, სათაურით: „Древнегрузинские одописцы. I. Певец Давида Строителя, II. Певец Тамары“, მის მიერ დაარსებულ სერიაში „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“ (кн. IV, СПб). ეს ნაშრომი წარმოადგენს ძველ ქართველ მეხოტბეთა თხზულებების მონოგრაფიულად შესწავლის პირველ ცდას. ნ. მარის ვრცელ გამოკვლევაში განხილულია შავთელისა და ჩახრუხადის თხზულებებთან დაკავშირებული ფილოლოგიური საკითხები, შემდეგ მოცემულია ამ თხზულებათა კრიტიკული ტექსტები, ხოლო დასასრულს — არქაული და უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვების ლექსიკონი, რომელიც აადვილებს ძნელად გასაგები სტროფებისა თუ ტაეპების შინაარსობლივ გააზრებას. ნაშრომი დიდი ერუდიციითა და სიყვარულითაა დამუშავებული. მისი კითხვის დროს იგრძნობა ის პოეტური სილიადე, რომელიც ახასიათებთ შავთელსა და ჩახრუხადეს. აი, რას წერს ნ. მარი „თამარიანის“ ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობის შესახებ:

„თამარის შესხმათა სიმშვენიერე მდგომარეობს მათ არაჩვეულებრივ მხატვრულ ფორმაში, მეტყველების ბუნებრივ სიზუსტეში, ლექსების მომაჯადოებელ მუსიკალობასა და ყოველთვის უძრახველი, ხშირად ვირტუოზულად უბადლო და მდიდარი რითმების სიუხვეში, რომელიც გვაიძულებს ზოგჯერ აუცილებელი ხელოვნურობა დავიფიწყოთ... მათი სახით ჩვენ გვაქვს უბადლო წყარო XII საუკუნის თავისებური ქართული კულტურის შესასწავლად. კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობაში ეს წყარო მნიშვნელოვანია არა მარტო ლიტერატურული ფაქტების ცნობებით, რომელნიც მხოლოდ მას გააჩნია, არამედ საერთო შთაბეჭდილებითაც, რომელსაც ვღებულობთ მისი კითხვის დროს XII საუკუნის ქართული საზოგადოების დახვეწილი და მრავალმხრივი განსწავლულობის სასარგებლოდ... უფრო მეტიც, ოდებში შემონახულია ქართული სახელმწიფოებრივი აზრის განვითარების ისტორი-

ისათვის უდიდესი მნიშვნელობის ძეგლი. რასაკვირველია, ლექსები შეთხზულია თამარის პიროვნების სადიდებლად და საქებრად, მაგრამ ეს პიროვნული შესხმა ძლიერ გაქვინთილია ნათელი სახეიმო პატრიოტული აღზნებით. მაგრამ ეს არ არის მოგონილი, ტენდენციური პატრიოტიზმი, შეტანილი თხზულებაში მეხოტბის ან მასთან სოლიდარულად განწყობილი წრის ადამიანთა პირადი მოსაზრებით; მთელი ეპოქა, როდესაც ცხოვრობდა პოეტი, წარმოადგენდა ქართული ნაციონალური სახელმწიფოებრივი და სამხედრო დიდების უმაღლეს სასიცოცხლო განვითარებას და პოეტი თავისდაუნებურად გადმოგვცემს მოწინავე ქართული საზოგადოების თანამედროვე განწყობილებას¹...

ნ. მარს ძირითადი მოსაზრებანი „თამარიანის“ პრობლემატის შესახებ ჩამოყალიბებული აქვს შემდეგნაირად:

„1. ძეგლი, რომელსაც ეწოდება «თამარიანი» და რომელიც ჩვენამდე მოღწეულია ჩახრუხადის სახელით, არის პატარ-პატარა ლექსების კრებული ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ჩანართებითა და სხვადასხვა ნაწილში გამეორებებით... 2. ეს ლექსები წარმოადგენს თერთმეტ ოდას თამარის შესახებ, ერთ ელეგიას შეყვარებულ მოყმე-პოეტზე, რომელიც, აგრეთვე, ქართველი მეფე-ქალის არაპირდაპირ შესხმას შეიცავს, და ერთ ყალბ ლექსს, დაწერილს ამ ელეგიის საპასუხოდ. 3. ოდები თამარის შესახებ დაწერილია სხვადასხვა დროს, თითოეული მათგანი განსაკუთრებული შემთხვევის გამო, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში თამარის პირველი ქმრის განდევნიდან (1192) რუსუდანის დაბადებამდე (1195) 4. ოდების ავტორი უნდა იყოს შოთა რუსთაველი. «ჩახრუხადე» თუ მისი მოხსენება სწორ გადმოცემაზეა დაფუძნებული, გვარია შოთა რუსთაველისა. 5. მაგრამ ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ამ ოდების კრებული, ის წარმოადგენს ქართულ ლიტერატურაში შესანიშნავ ძეგლს თავისი თავისებურებებით და მათში XII საუკუნის დასასრულის კულტურულ-პოლიტიკური სახის ნათელი ანარეკლით. ამ მხრივ ოდების კრებული «ვეფხისტყაოსანზე» განუზომლად მაღლა დგას“².

ამ მაღალი და ნაწილობრივ მართებული შეფასებით ნ. მარსმა სამუდამოდ დაასამარა ის არასწორი და ყალბი შეხედულებები „თამარიანის“ ლიტერატურული ღირსების შესახებ, რომელთაც

¹ TP, IV, 1902, გვ. 48 — 49.

² იქვე, გვ. 75 — 76.

K 15136
2

ორმა ფესვები ჰქონდათ გამდგარი XIX საუკუნის მთელ მანძილზე, მოყოლებული ევგენი მიტროპოლიტიდან და დამთავრებული ზემოსხენებული ანონიმი რეცენზენტით.

ნ. მარის განსაკუთრებული დამსახურება ქართული ფილოლოგიის წინაშე იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი ნაშრომით ურყევი საძირკველი ჩაუყარა ძველი ქართველი მეხოტბე პოეტების თხზულებათა მეცნიერულად შესწავლის საქმეს და კერძოდ „თამარიანის“ ირგვლივ მრავალი ახალი და საინტერესო საკითხი წამოჭრა, როგორცაა: თხზულების სტრუქტურა და კომპოზიცია, მისი დაწერის თარიღი, „თამარიანისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ ურთიერთობა, ჩახრუხადის ვინაობა, პოეტის ენა და სხვ. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ „თამარიანის“ შესწავლის შემდგომი ისტორია დღევანდლამდე ნ. მარის მიერ აღძრული საკითხების განხილვითა და გაღრმავებით კვლევა-ძიებით განისაზღვრება. მიუხედავად ამისა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარმა ვერ შეძლო „თამარიანის“ ტექსტის აღდგენა. მართალია, მან დიდი გონებასახვილობით განჭვრიტა „თამარიანის“ სტრუქტურულ-კომპოზიციური ხასიათი, მაგრამ მან ვერ მოახერხა თხზულების სახოტბო ლექსების რაოდენობის დადგენა, თითოეული ლექსის სტროფული შედგენილობის განსაზღვრა. მან ზოგიერთი სტროფისა და ტაეპის მცდრად გააზრების გამო ვერ დაადგინა სახოტბო ლექსების დაწერის თარიღებიც, ჩახრუხადის სადაურობა და ვინაობა და „თამარიანის“ ზოგიერთი ლიტერატურული წყარო. პირიქით, მან ყოველად გაუშარილებელი ჰიპოთეზებით მნიშვნელოვნად დაამუხრუტა „თამარიანის“ პრობლემების შესწავლა და ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში მსჯელობის საგნად გადააქცია ზოგიერთი ისეთი შემცდარი ან სუსტად დასაბუთებული მოსაზრება, რომელიც „თამარიანის“ ხელნაწერების არასათანადო შესწავლის შედეგს წარმოადგენს.

ნ. მარის ნაშრომმა ქართულ ინტელიგენციაში ფართო გამოხმაურება პოვა. იმავე წელს გაზ. „ივერიაში“ მის ირგვლივ რამდენიმე რეცენზია და ნარკვევი დაიბეჭდა. პირველი ბიბლიოგრაფიული წერილი დ. კარიჭაშვილს ეკუთვნის. მან ნ. მარის ნაშრომს მაღალი შეფასება მისცა:

„რაც ვერ ქმნა ვერავინ მეცხრამეტე საუკუნეში, ის გააკეთა ბ-ნმა ნ. მარმა მეოცე საუკუნის დამდეგს“, — წერდა დ. კარიჭაშვილი და ბოლოს დასძენდა: „უეჭველია, ბევრგან ბ-ნის მარისგან აღდგენილი და შესწორებული ტექსტი არ იქნება ის, რაც უნდა ყოფილ-

ყო პირველად. საფიქრებელია, რომ სიტყვების განმარტებაში ცოტაოდენი შეცდომები ჰქონდეს. ამას თვით პატივცემული მკვლევარი უარს არა ჰყოფს. როგორც უნდა იყვეს და რამდენიც უნდა იყვეს მისი შეცდომა, მისი შრომა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის და ფილოლოგიისათვის მეტად დიდი და ნაყოფიერია“¹.

დ. კარიჭაშვილის წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე დღის შემდეგ ნ. მარის ნაშრომს გულთბილი რეცენზიით გამოეხმაურა გაზ. „ცნობის ფურცელი“, რომელიც პრესის მიმოხილვაში წერდა:

„ეს წიგნი (იგულისხმება TP, IV, ი. ლ.) ძლიერ საინტერესო წიგნია და დიდს ნათელს ჰფენს ჩვენს წარსულს“... ან: „ბნინარს ჩვენის ძველის ლიტერატურის ორი ნაშთი—აბდულ-მესია შავთელისა და თამარიანი ჩახრუხადისა, აქამდე ცნობილი ერთნაირის სახელით თამარის შესხმად—შეუსწავლია გულდადებით, გარყვნილი ტექსტი გაუსწორებია, არევ-დარეული მისი ნაწილები თავ-თავის ადგილს დაულაგებია და გამოუცია სულ სხვა სახით, ვიდრე წარსულის საუკუნის გამოცემანი“².

ასევე გულთბილი რეცენზიით შეეგება ნ. მარის ნაშრომს ნხცოვანი პოეტი აკაკი წერეთელი. მან გაზ. „ივერიაში“ დაბეჭდა წერილი „მცირე რამ პროფესორ მარის უკანასკნელი თხზულების გამო“: „რვა საუკუნის განმავლობაში, — ვკითხულობთ ამ წერილში, — გადამწერლებისგან დაბურდული და დახლართული ტექსტი ორივე პოემისა (ე. ი. შავთელისა და ჩახრუხადის თხზულებებისა, ი. ლ.) ბატონ მარს წესიერად აღუდგენია და შესაფერი ლექსიკონიც ჩაურთავს, მაგრამ მაინც ეს სამაგალითო შრომა დამთავრებული არ არის“.

ამ ზოგადი შენიშვნის შემდეგ აკაკი კრიტიკულად იხილავდა იმ ფილოლოგიურ საკითხებს, რომელნიც ნ. მარმა წამოჭრა შავთელისა და ჩახრუხადის თხზულებათა გარშემო. იგი ნ. მარის მოსაზრების წინააღმდეგ ავითარებდა იმ შეხედულებას, რომ შავთელის თხზულება არის თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, და ამის დასასაბუთებლად საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამდა. „თამარიანის“ შესახებ კი აღნიშნავდა, რომ „ეს არ არის ერთია-

¹ „ივერია“, 1902, № 97.

² „ცნობის ფურცელი“, 1902, № 1805. სტატია ხელმოუწერელია.

ნი პოემა“, არამედ იგი წარმოადგენს „სხვადასხვა დროს ნაწერ-სასიმღერო მაჯამებისა და ჩახრუხაულების კრებულთ“¹.

ნ. მარის ნაშრომს უარყოფითი შეფასება მისცა თათარყან დადგეშელიანმა. ის, ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის შემთხვევითი პიროვნება, შემოიფარგლა იმ ეპოქისათვის დამახასიათებელი პოლემიკური კრიტიკით და ერთი წუთითაც არ უფიქრია ნ. მარის მოსაზრებათა საფუძვლიანი შესწავლა².

პირველი მკვლევარი, რომელმაც ნ. მარის შეხედულებანი დეტალურად განიხილა, იყო ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი. იგი, როგორც კარგი მცოდნე „თამარიანის“ საკითხებისა, ნ. მარს დაუპირისპირდა ორიგინალური და ზოგიერთ შემთხვევაში საგულისხმო მოსაზრებით. მან 1902—1904 წლებში დაბეჭდა წერილების სერია, სათაურით: „თამარიანი (თხზულება ჩახრუხადისა)“³ და „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“⁴, სადაც ვრცლად მიმოიხილა „თამარიანის“ საკითხები და შეეცადა თხზულების ტრადიციული ტექსტის დაცვას. 1923 წელს მ. ჯანაშვილმა თავის ერთ საგაზეთო სტატიაში („თამარ მეფის მებოტბენი“) ხელახლა განიხილა 1902—1904 წლებში მის მიერ აღძრული ძირითადი საკითხები⁵. როგორც 1902—1904 წლებში, ისე 1923 წელს მ. ჯანაშვილი გამოთქვამდა იმ მოსაზრებას, რომ ნ. მარმა ვერ აღადგინა „თამარიანის“ ტექსტი, არამედ მან უფრო დაამახინჯა ის და ძნელად გასაგები გახადა. აი, რას წერს ისტორიკოსი ნ. მარის სარედაქციო მუშაობის შესახებ:

„აკადემიკოსის ამგვარ შრომამ [ჩახრუხადის] დიდებულ კმნილებას ძველი სიბნელე ვერ მოაცილა: ჩვენის ფიქრით, არა თუ პირვანდელი ტექსტის გაწყობილობა ვერ აღადგინა, არამედ თვით ნაანდერძევი მისი სახეც უფრო აურია და წინანდელზე უმეტე გაუგებარი გაჰხადა. მარს თუ «თავის ოდების» თხზულების ხანები მთლიანად გადაესხ-გადმოესხა და ყველა ამ ხანებისათვის თავთავიანთი თავდაპირვანდელი ბინა მიეჩემებინა, ეს დიალაც მოსაწონი იქნებოდა, მაგრამ მან ეს არ აკმარა ძველადვე ნაწვალეზ ტექსტს, მრავალთ უმრავლესი ხანა ნაკუწ-ნაგლეჯად აქცია და ამ ნაშუსრევებიდან შეაკოწიწა ესა თუ ის «ოდა»“⁶.

¹ „ივერია“, 1902, № 154.

² იქვე, № 217.

³ იქვე, №№ 188, 199, 204, 223.

⁴ „მოამბე“, 1904, №№ 2, 3, 4, 6.

⁵ „ტრიბუნა“, 1923, № 466.

⁶ იქვე.

ნ. მართან კამათში მ. ჯანაშვილს მხარი დაუჭირა ცნობილმა შკვლევარმა ა. ხახანაშვილმა¹.

დასასრულ, 1904 წელს ნ. მარის ნაშრომს ვრცელი ანოტირებული რეცენზიით გამოეხმაურა ივანე ჯავახიშვილი². მან ნ. მარის მოსაზრებანი მთლიანად გაიზიარა და ნაშრომს მაღალი მეცნიერული შეფასება მისცა. პატივცემული ისტორიკოსი წერდა:

„Автор изучил и восстановил тексты двух самых трудных, но высшей степени интересных авторов—грузинских придворных поэтов-одописцев. До последнего времени эти произведения были изданы с такими искажениями в тексте, что во многих случаях понять смысл стихов не было возможности; теперь, после критического издания Н. Марра, дело это получило надлежащее освещение“³.

ი. ჯავახიშვილმა იგივე მოსაზრება გამოთქვა 1913 წელს „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნში:

„ჩახრუხადის შესხმა ძალიან დამახინჯებული იყო გადამწერთაგან და მხოლოდ მას შემდგომ, რაც პრ. მარმა დიდის გონებამახვილობით მათი პირვანდელი სახე აღადგინა და თვით ნაწარმოებს ვრცელი ახსნა და გამოკვლევა დაურთო, მარტო ამის შემდგომ ჩახრუხადის საგულისხმო ქმნილების დიდი ღირსება და მნიშვნელობა ჩვენთვის ცხადი გახდა. ნ. მარმა დაამტკიცა, რომ ჩახრუხადის თხზულებაში ერთი მთლიანი პოემა კი არ არის შენახული, არამედ რამდენიმე სხვადასხვა დროს საქართველოს სხვა და სხვა გამარჯვებისა და დღესასწაულის გამო დაწერილი შესხმა“⁴.

1913 წელს ს. კაკაბაძის რედაქციით გამოქვეყნდა „თამარიანის“ მეექვსე გამოცემა პატარა წინასიტყვაობითა და ასევე პატარა ლექსიკონით. ს. კაკაბაძემ არ გაიზიარა ნ. მარის შეხედულება „თამარიანის“ აღნაგობის შესახებ. იგი წერდა:

„თავისთავად იგულისხმება, რომ ამგვარი სისტემით (ტაბეებისა და ცალკე მუხლების დატებით) ყოველგვარი პოეტური შესხმიდან შესაძლებელია სურვილისამებრ რაც გნებავთ გამოვიყვანოთ. მით უმეტეს შეუწყნარებელია ამგვარი გადასხმა შესხმის სხვადასხვა ტაბეებისა, რომ ამის გასასამართლებლად არავითარი

¹ ა. ხახანაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია, I, 1904, გვ. 386—387.

² И. Джавахишвили, Грузия (Отгиск из XI тома „Византийского временника“, 1904), გვ. 12—20.

³ იქვე, გვ. 12.

⁴ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1913, ტ. II, გვ. 657.

საბუთი არ მოიპოვება. მართალია ძველს ხელნაწერებს ჩვენამდის არ მოუღწევია, მაგრამ ის გარემოება, რომ ყველა ცნობილ ხელნაწერში შესხმა ერთნაირი სისტემითაა დაცული, ცხადი მაჩვენებელი უნდა იყოს ამგვარი თვითნებობის უსაბუთობისა“¹.

„თამარიანის“ მეშვიდე გამოცემა ისევ ს. კაკაბაძის რედაქციით გამოქვეყნდა 1937 წელს ჰატარა წინასიტყვაობითა და ლექსიკონით. იგი გამეორებაა მცირეოდენი ცვლილებით 1913 წლის გამოცემისა.

ინამდებარე გამოცემაში, — წერს ს. კაკაბაძე, — ჩვენ მივსდევთ ტრადიციულ ტექსტს, რადგანაც შესხმის დაყოფა 12 სხვადასხვა ნაწარმოებად ტაეპების ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასმით (როგორც ამას ახდენს ნ. მარი, ი. ლ.) მიანც წარმოადგენს, ასეთი დაყოფის დიდ გონებამახვილობისდა მიუხედავად, მეტად ხელოვნურ საშუალებას, რომელიც არ არის დაზღვეული სუბიექტურ გადახვევათა და შეცდომათაგან. გარდა ამისა საერთოდ არც არის საესებით მტკიცე მოსაზრებანი ისეთი დებულებებისათვის, რომ ტრადიციული ტექსტი არ მომდინარეობდეს უშუალოდ ავტორის დროიდან“².

ს. კაკაბაძე უეჭველად სწორ მოსაზრებას გამოთქვამს, როდესაც „თამარიანის“ მარისეული გამოცემის კრიტიკას აწარმოებს. მაგრამ მას რამდენადაც ტრადიციული ტექსტი „უშუალოდ ავტორის დროიდან“ მომდინარედ მიაჩნია, იგი უშვებს ისეთ შეცდომას, რომელიც გამომდინარეობს „თამარიანის“ ხელნაწერების შეუსწავლელობიდან. მისი განცხადება, რომ „ყველა ცნობილ ხელნაწერში შესხმა ერთნაირი სისტემითაა დაცული“, გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ ს. კაკაბაძე არ იცნობს „თამარიანის“ ნუსხას S 2775, რომელიც მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა ე. თაყაიშვილეს ნაშრომით „Описание рукописей“ (II, 311 — 314), და მისი ტიპის მეორე ნუსხას A 656, რომელიც ისტორიკოსმა თ. ჟორდანიამ აღწერა 1902 წელს ნაშრომში „Описание рукописей тифлисского церковного музея“ (II, 139 — 140). თუ დასახელებულ ორ ნუსხას ს. კაკაბაძე XIX საუკუნის რომელიმე ნუსხას შეუდარებდა, მაშინვე დარწმუნდებოდა, რომ ტრადიციული ტექსტი „უშუალოდ ავტორის დროიდან“ არ მომდინარეობს, რომ „თამარიანის“ ყველა ცნობილ ხელნაწერში ჩახრუხაძის შესხმა

¹ სარგის კაკაბაძე, ქება თამარ მეფისა ჩახრუხაული, 1913, გვ. 1.

² „თამარიანი“ ჩახრუხაძისა, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1937, გვ. 6.

ერთნაირი სტროფული შედგენილობით არაა დაცული „თამარიანის“ მეექვსე-მეშვიდე გამოცემების ნაკლი სწორედ ისაში მდგომარეობს, რომ მათ რედაქტორს გათვალისწინებული არა აქვს 1913 თუ 1937 წლებისათვის საქართველოს მუზეუმებში დაცული და აღწერილი ყველა ნუსხა. ნაწილობრივ ამით აიხსნება ის მძიმე ტექსტუალური შეცდომები, რომელთაც ვხვდებით „თამარიანის“ კაკაბაძისეულ გამოცემებში.

„თამარიანის“ მერვე გამოცემა წარმოადგენს უცვლელ გამეორებას ნ. მარის ნაშრომში დაბეჭდილი ტექსტისას. იგი მოთავსებულია ს. ყუბანეიშვილის მიერ მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შედგენილი „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიის“ მეორე ტომში (გვ. 188 — 198).

ყველა ამ გამოცემის კრიტიკული შესწავლიდან ირკვევა, რომ XVIII საუკუნის საუცხოო ნუსხები, რომელთაც XIX საუკუნის ნუსხებზე გაცილებით უკეთ შემოუნახავთ „თამარიანის“ სტრუქტურულ-კომპოზიციური სახე და წანაკითხები, არც ერთ გამომცემელს მხედველობაში არ მიუღია. ასე რომ, „თამარიანის“ ტექსტის კრიტიკული დადგენა ყველა დღემდე ცნობილი ხელნაწერის შედარებითი შესწავლის საფუძველზე და მისი გამოცემა გამოკვლევიდა და ფილოლოგიური აპარატურით ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევართა გადაუდებელ ამოცანად მიგვაჩნია. ასეთი სახის ნაშრომის გამოქვეყნება გაპირობებულია იმ გარემოებითაც, რომ ჩახარუხაძე რუსთაველის ეპოქის ერთ-ერთი გამოჩენილი პოეტი და მისი მემკვიდრეობის შესწავლა საგრძნობლად წინ წასწევს რუსთველოლოგიის საკითხების კვლევა-ძიებასაც.

* * *

ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევრები დაინტერესებული იყვნენ „თამარიანის“ პრობლემების დამუშავებითაც. ისინი აქვეყნებდნენ ამ ძეგლის შესახებ ფილოლოგიურ ნარკვევებს, მაგრამ XX საუკუნის 20-იან წლებამდე ნ. მარის ნაშრომის გარდასხვა მნიშვნელოვანი რამ არ გამოქვეყნებულა. „თამარიანის“ პრობლემების საფუძვლიანი შესწავლა დაიწყო მხოლოდ საბჭოთა ეპოქის მეცნიერებმა — პ. ინგოროყვამ, კ. კეკელიძემ, შ. ნუცუბიძემ, ა. ბარამიძემ.

1924 წელს გამოქვეყნდა პ. ინგოროყვას მონოგრაფიული ნაშრომი „ჩახარუხაძისე — პოეტი, მოგზაური“. მასში მოცემულია

ორიგინალური ცდა ჩახრუხადის პორტრეტის აღდგენისა¹. მართალია, ავტორი ბევრ შემთხვევაში თავის მოსაზრებას ავითარებს „თამარიანის“ ზოგიერთი ტაეპის, სტროფისა თუ ოდის თავისუფალი ინტერპრეტაციის საფუძველზე, მაგრამ მის ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული მნიშვნელობა, რამდენადაც მასში აღძრულია მრავალი ახალი საკითხი კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან და ამ საკითხების ირგვლივ წამოყენებული ზოგიერთი მოსაზრება ბიძგს აძლევს მკვლევარს, რაც შეიძლება, უფრო მეტი სიღრმით შეისწავლოს „თამარიანის“ პრობლემები.

1924 წელსვე გამოქვეყნდა კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“, სადაც კლასიკური ხანის ძეგლებს შორის ვრცლადაა განხილული „თამარიანიც“². კ. კეკელიძემ ქართული ლიტერატურის ისტორიის ეს კურსი ორჯერ გადაამუშავა და 1951 წელს გამოაქვეყნა „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ სათაურით. ამ მესამე გამოცემაში ნარკვევი „თამარიანის“ შესახებ რამდენადმე გადამუშავებულია და ზოგიერთი საკითხიც შევსებული და დაზუსტებული³. ავტორი ჯერ იხილავს ზოგადად „თამარიანის“ შედგენილობის საკითხს და შემდეგ ვრცლად ეხება ორ ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემას—ვინ არის „თამარიანის“ ავტორი, როდისაა დაწერილი ეს თხზულება. „თამარიანის“ ტექსტის საკითხებზე კ. კეკელიძეს ეკუთვნის პატარა, მაგრამ მრავალმხრივ საყურადღებო ნარკვევიც: „კომენტარები «თამარიანის» ზოგიერთი ტაეპისა“⁴. ამ ორივე ნაშრომში აღძრული ისტორიულ-ლიტერატურული საკითხები და მათ ირგვლივ არსებული მასალები, ან სამეცნიერო ლიტერატურა დამუშავებულია საკმაო სიღრმითა და სისრულით; მათში წამოყენებული მოსაზრებანიც ანგარიშგასაწევი და ხშირად დანაჯერებელია.

შემდეგი მკვლევარი, რომელმაც „თამარიანის“ შესწავლის ისტორიაში სიახლე შეიტანა, შ. ნუცუბიძეა. ამ, ფართო ფილოსოფიური განათლების მქონე მეცნიერმა 1942 წელს გამოაქვეყნა „თამარიანის“ რუსული თარგმანი ვრცელი ფილოსოფიურ-

¹ „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 271—320 და № 3—4, გვ. 58—79.

² ტ. II, გვ. 143—154.

³ ტ. II, გვ. 159—173.

⁴ კ. კეკელიძე, მტიულები ძვ. ქართ. ლიტ. ისტორიიდან, III, 1955, გვ. 27—36.

ფილოლოგიური ხასიათის ნარკვევით,¹ რომელიც, ოდნავ გადამუშავებული და შევსებული, ხელახლა დაბეჭდა მეორე მონოგრაფიულ ნაშრომში: „Руставели и восточный Ренессанс“². ეს ნარკვევი შეიცავს შემდეგ თავებს: 1. პოემა „თამარიანი“, როგორც კულტურულ-ისტორიული ძეგლი, 2. ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობები ჩახრუხადესა და მის პოემაზე, 3. სტრუქტურა და კომპოზიცია „თამარიანისა“, 4. ჩახრუხადის პოეტიკა, 5. ჩახრუხადის მსოფლმხედველობა, და 6. ჩახრუხადე და ქართული რენესანსი. თხზულების თარგმანი შესრულებულია ს. კაკაბაძის გამოცემის მიხედვით, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მთელი ტექსტი დაყოფილია პატარ-პატარა თავებად, რომელთაც შ. ნუცუბიძე ხან „სიმღერებს“ უწოდებს და ხან „ნაკადებს“. ეს დაყოფა არაფრით არაა არგუმენტირებული, იგი განსაზღვრულია მხოლოდ მთარგმნელის სუბიექტური მოსაზრებებით.

შ. ნუცუბიძის ამ ახალმა ნაშრომმა გამოხმაურება პოვა არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. „Новый мир“-ში 1943 წელს „თამარიანის“ რუსული თარგმანის შესახებ დაიბეჭდა მოზრდილი რეცენზია ვლადიმერ ორლოვისა³. რეცენზიის ავტორი შ. ნუცუბიძის ნაშრომის შესახებ წერდა: „Появление русского издания «Тамариани» лишний раз демонстрирует древность и величие национальной культуры одаренного и свободолюбивого грузинского народа, напоминает о многовековых гуманистических и патриотических традициях“⁴.

ცხადია, „თამარიანის“ რუსული თარგმანი წარმატება იყო ქართული საბჭოთა მეცნიერული აზროვნებისა და შ. ნუცუბიძის ამ საქმეში უდავოდ დამსახურება მიუძღვის, მაგრამ ამ თარგმანს აქვს მსხვილი დეფექტებიც: 1. მას საფუძვლად დაედო „თამარიანის“ 1937 წლის გამოცემა, რომელიც თავისი რაობით არაკრიტიკულია და რომელშიც მნიშვნელოვანი ხარვეზები შეიმჩნევა; 2. ხშირად რუსული თარგმანი არ გადმოსცემს სტროფის ან ტაეპის იმ შინაარსს, რომელიც ორიგინალს გააჩნია; 3. თხზულების თავებად დაყოფა იმგვარად, როგორც ეს მოცემულია რუსულ თარგმანში, საგრძნობლად ართულებს „თამარიანის“ შინაარსისა და

¹ Чахрухадзе, Тамариани, перевод с грузинского Ш. Нуцубидзе, 1942, გვ. 1 — 169.

² გამოცემულია 1947 წელს. „თამარიანის“ შესახებ იხ. გვ. 201 — 237.

³ „Новый мир“, 1943, № 2 — 3, გვ. 124 — 126.

⁴ იქვე, გვ. 124.

მის სტრუქტურულ-კომპოზიციურ თავისებურებათა გაგებას; და 4. თარგმანის ლექსები, როგორც ვ. ორლოვი წერს, ზოგჯერ „не передают той чарующей музыкальностью чахрухадзевских строк, о которой говорил Н. Я. Марр“¹.

დასასრულ, „თამარიანის“ პრობლემების შესახებ საგულისხმო მოსაზრებანი გამოთქვა ა. ბარამიძემ ნარკვევებში „თამარიანის საკითხები“, რომელიც მან 1952 წელს გამოაქვეყნა „ნარკვევების“ მესამე ტომში². ამ ნარკვევებში განხილულია: 1. „თამარიანის“ სტრუქტურა და კომპოზიცია, 2. ავტორის ვინაობა, 3. დაწერის თარიღი, 4. ჩახრუხადის პოლიტიკურ-სოციალური იდეოლოგია, 5. ჩახრუხაული ლექსი, 6. „თამარიანში“ დამოწმებული ლიტერატურული ძეგლები, და 7. „თამარიანის“ რუსული თარგმანი. ნაშრომის განსაკუთრებული ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ფილოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით დიდ ადგილს უთმობს ძეგლის შინაარსობლივ-მხატვრულ და იდეოლოგიურ მიმოხილვას, რომელსაც სხვა მკვლევართაგან მანამდე ნაკლები ყურადღება ექცეოდა.

ამგვარად, „თამარიანის“ გამოცემებისა და მის ირგვლივ არსებული ძირითადი ლიტერატურის³ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ:

1. „თამარიანის“ პრობლემების მეცნიერულად შესწავლის პირველი ცდა მოგვცა ნ. მარმა თავის ცნობილ ნაშრომში „Древнегрузинские олописцы“, მაგრამ ეს ნაშრომი ქართული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის განვლილი ეტაპია და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებს.

2. ნ. მარის შემდეგ „თამარიანის“ ტექსტის აღდგენა ყველა ცნობილი ხელნაწერის შედარებითი შესწავლის საფუძველზე არა-

¹ „Новый мир“, 1943, № 2—3, გვ. 126.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, 1952, გვ. 235 — 292. იგივე პოპულარულად გადამუშავებული იხ. წიგნში: კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, 1954, ტ. I, გვ. 240—257.

³ „თამარიანზე“ დიდძალი ლიტერატურა არსებობს. ჩვენი ნაშრომის შესავალ ნაწილში განვიხილეთ ზოგადად ის ძირითადი ლიტერატურა, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა „თამარიანის“ შესწავლის ისტორიაში. მიმოხილვის გარეთ დარჩენილ ლიტერატურულ წყაროებს თითოეული პრობლემის განხილვის დროს თავ-თავის ადგილას სქოლიოებში მივუთითებთ.

ვის უცდია. ს. კაკაბაძის ორივე (1913 და 1937 წწ.) გამოცემა ძირითადად წარმოადგენს ტრადიციული ტექსტის გამეორებას.

3. „თამარიანის“ მკვლევრები (მ. ჯანაშვილი, ს. კაკაბაძე, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე და ა. ბარამიძე) დაინტერესებული იყვნენ ძეგლის პრობლემების შესწავლით და მათი ნაშრომების თემატიკაც ასევე ამა თუ იმ პრობლემაზე პასუხის გაცემით იყო განსაზღვრული. არც ერთ დასახელებულ მკვლევარს არ უცდია დაეწერა ჩახრუხადისა და მისი ლიტერატურული მენეჯიდრეობის შესახებ ვრცელი მონოგრაფია.

4. ნაწილობრივ მონოგრაფიის ხასიათი აქვს შ. ნუცუბიძის მიერ რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომს („თამარიანის“ რუსული თარგმანი გამოკვლევისა და შენიშვნებით), მაგრამ ეს ნაშრომი „თამარიანის“ XVIII საუკუნის უმნიშვნელოვანესი ნუსხების შესწავლის შედეგად არ არის დაწერილი. უმთავრესად ამითაა გამოწვეული ის ხარვეზები, რომელნიც შ. ნუცუბიძის თარგმანს ახასიათებს.

5. იმისათვის, რომ ჩახრუხადის პოეტური შემოქმედება მონოგრაფიულად იქნეს შესწავლილი, უპირველესად საჭიროა დადგენა „თამარიანის“ სტროფული შედგენილობის, წანაკითხების, ძეგლის სტრუქტურისა და კომპოზიციისა, ე. ი. აღდგენა ტექსტისა იმ სახით, როგორი სახითაც ის გამოვიდა ავტორის ხელიდან, შემდეგ კი დამუშავება ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებისა:

ა. „თამარიანის“ ავტორის ვინაობა, ბ. ძეგლის დაწერის თარიღი, გ. სოციალური გარემო, რომელშიც უხდებოდა ყოფნა პოეტს, დ. ჩახრუხადის მსოფლმხედველობა (სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური შეხედულებანი), ე. „თამარიანის“ ლიტერატურული წყაროები, ვ. „თამარიანი“, როგორც ისტორიულ-ლიტერატურული წყარო, და ზ. ჩახრუხადის პოეტიკა.

* * *

წინამდებარე ნაშრომის ავტორი მიზნად ისახავს მკითხველს საზოგადოებას მიაწოდოს „თამარიანის“ კრიტიკული ტექსტის ლექსიკონით, შენიშვნებითა და ვარიანტებით, განიხილოს ის პრობლემური საკითხები, რომელნიც დაკავშირებულია „თამარიანის“ ტექსტის ისტორიასთან, და უფრო მეტი გარკვეულობა შეიტანოს მის მიერ ზემოთ თეზისურად გამოთქმულ მოსაზრებებში.

„თამარინის“ ტექსტის საკითხები

1. „თამარინის“ ხელნაწერები

„თამარინის“ ნუსხები ძირითადად დაცულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. ესენია:

- A — ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S ფონდის) ხელნაწერი № 2775.
- B — ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A ფონდის) ხელნაწერი № 1605.
- C — იმავე ფონდის ხელნაწერი № 656.
- D — ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S ფონდის) ხელნაწერი № 1624.
- E — იმავე ფონდის ხელნაწერი № 1613.
- F — ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების (H ფონდის) ხელნაწერი № 2598.
- G — იმავე ფონდის ხელნაწერი № 153.
- H — იმავე ფონდის ხელნაწერი № 391.
- K — ყოფილი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (S ფონდის) ხელნაწერი № 1511.
- L — იმავე ფონდის ხელნაწერი № 3701.
- M — ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A ფონდის) ხელნაწერი № 1411
- N — ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების (H ფონდის) ხელნაწერი № 2324.
- P — საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ხელნაწერი № 187.
- R — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი M № 15 (ფოტოპირი დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში).

ეს ხელნაწერები სტროფების რაოდენობითა და თანმიმდევრობით, აგრეთვე, წანაკითხების მიხედვით ორ ჯგუფად განიყოფება: პირველი ჯგუფის ხელნაწერებია ABCDF, მეორე ჯგუფის ხელნაწერები კი — სხვა დანარჩენი ნუსხები (EGHKLMNPR).

* * *

პირველი ჯგუფის ხელნაწერთაგან ჯერჯერობით ცნობილია ხუთი ნუსხა. აქვე წარმოვადგენთ მათ დაწვრილებით აღწერილობას:

1. „თამარიანის“ A ნუსხა პირველად აღწერა ე. თაყაიშვილმა თავის ცნობილ ნაშრომში „Описание рукописей“¹. ხელნაწერი შეიცავს 288 გვერდს. ძველად ის ჩასმული ყოფილა ხის ტყავგადაკრულ ყდაში, ახლა მთლად დაშლილია, ყდაც მოვარდნილად აქვს. გადაწერილია შავი მელნით, გაკრული ხელით XVIII საუკუნის დასაწყისში უცნობი გადამწერის მიერ. მასში მოთავსებულია სხვადასხვა შინაარსის თხზულებანი: 1. „ეფუდი“ (გვ. 1—92), 2. თეიმურაზ პირველის „იოსებ-ზილიხანიანი“ (გვ. 93—151), 3. მისივე „ლეილ-მეჯუნიაანი“ (გვ. 151—207), 4. „ქება მეფის თამარისა ჩახრუხაძისაგან“ (გვ. 207—228), 5. იაკობ შემოქმედელის „მოთხრობა და სიტყვის-გება მცირე რამე შემოკლებით უღვთოს მოჰამედისა“ (გვ. 230—282) და 6. ბოლოსიტყვაობა თეიმურაზ პირველის თხზულებისა „გაბაასება გაზაფხულისა და შემოდგომისა“ (გვ. 283—288). „თამარიანის“ ტექსტი ნაკლულია; ხელნაწერს 218—219 გვერდებს შორის აკლია ერთი ფურცელი, რომელზედაც მოთავსებული ყოფილა 60—69-ე სტროფები². 219—220 გვერდების შემცველი ფურცელი შუაზეა გადახეული. დაკარგულია მისი ქვედა ნაწილი, სადაც დაწერილი იქნებოდა 73—74-ე და 78—79-ე სტროფები. ტექსტი იწყება „მო, ფილოსოფნო“ სტროფით და მთავრდება ცნობილი გლოსით: „მოკვეეს ძეთა ჩახრუხაძეთა“. სულ უნდა ყოფილიყო 111 სტროფი, მაგრამ დეფექტურობის გამო გადარჩენილია 97.

2. „თამარიანის“ B ნუსხა სულ სხვა თვალსაზრისით ყურადღების საგნად იქცა 1934 წლიდან, როდესაც ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით დაიბეჭდა თეიმურაზ პირველის თხზულებათა სრული კრებული. ა. ბარამიძე წერს: „P (იგულისხმება „თამარიანის“ B ნუსხა, ი. ლ.) მშვენიერი მდივანმწიგნობრული ხელით არის გადაწერილი. უნდა ეკუთვნოდეს XVIII საუკუნის პირველ ნახევარს, უფრო კი ამ საუკუნის დასაწყისს. ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია, [თეიმურაზ პირველის] ცალკე თხზულებათაგან გადარჩენილია მხოლოდ ნაშთები. შედარებით სრულია «მაჯამა», უნაკლულოდაა «ანბანთქებანი» (I, II, III). ტექსტი უაღრესობამდეა წარყვნილი; რედაქციულად დიდ თავისებურებას იჩენს და განმარტოებულად დგას. III ანბანთქება თითქმის მთლიანად დამოუ-

¹ ტ. II, გვ. 311—314.

² ქვემოთ ყველგან სტროფების ნუმერაცია მითითებულია ს. კაკაბაძის (1937 წლის) გამოცემის მიხედვით.

კიდებელ რედაქციას იძლევა“¹. ა. ბარამიძეს იმხანად აინტერესებდა თეიმურაზ პირველის ლექსებისა და პოემების რედაქციული თავისებურებანი და „თამარიანის“ ტექსტისადმი ყურადღება არ გაუმახვილებია. მას შემდეგ ნუსხას აღარავინ დაბრუნებია. მხოლოდ იგი, როგორც „თამარიანის“ ტექსტის შემცველი ხელნაწერი, მკვლევართა სპეციალური დაკვირვების სფეროში მოექცა 1955 წლიდან, როდესაც გაზ. „სახალხო განათლებაში“ (№ 10) გამოქვეყნდა სარგის ცაიშვილის ფილოლოგიური შენიშვნები „«თამარიანის» ტექსტისათვის“.

ხელნაწერი (ზომით 17×21 სმ, უყდო) შეიცავს 124 გვერდს. დატულობის მხრივ ძლიერ დეფექტურია, მისი დიდი ნაწილი დაკარგულია. გადარჩენილი ფურცლებიდან უმეტესობა კარგად შენახულა, მხოლოდ რამდენიმე ფურცელი სიგრძეზეა გადახეული და მათ ნახევებზე თითო-ოროლა სიტყვაა იკითხება. გადაწერილობა ლამაზი მდივანმწიგნობრული ხელით XVIII საუკუნის დასაწყისში XVII საუკუნის რომელიღაც პოეტ-გადამწერის მიერ არჩილ მეფის დაკვეთით გადაწერილი ნუსხიდან. ხელნაწერის გვიანდელი მფლობელები ყოფილან ლომა გვარამაძე და ვინმე გრიგოლი, რაც ირკვევა 94-ე გვერდზე შემონახული მინაწერიდან: „ეს წიგნი მოგვც მე გვარ[ა]მაძე ლომამა შენ, გრიგოლს; სამი კვერცხი უნდა მოგცე აღდგომასა. ქკს უო [1782]“.

ხელნაწერი წარმოადგენს მხატვრულ თხზულებათა კრებულს, რომელშიც მოთავსებულია ჩახრუხადის „თამარიანი“ და თეიმურაზ პირველის ლექსები და პოემები: „ლეილ-მეჯნუნიანი“ (დასასრული, 260-ე სტროფის შემდეგ), „შვიდთა კრებათათვის“, „ანბანთქება“ (I, II, III), „მაჯამა“ (შიგადაშიგ ნაკლული) და „ვარდბუღიანი“ (დასაწყისი).

ჩახრუხადის „ქება და მკობა მეფისა თამარისა“ 39-ე გვერდიდან იწყება და მთავრდება 74-ე გვერდზე სტროფით: „თუ ქება გიქო“. იგი შეიცავს 106 სტროფს. გადამწერს დაუდევრობის გამო მხედველობიდან გამორჩენია 16 ტაეპი: მე-14 სტროფის („უბრძანა სპათა“) მესამე-მეოთხე ტაეპები, მე-15 („ელნი ელნობდეს“), მე-16 („მოუჭდა ზედა“) და მე-17 („მან იქალაქა“) სტროფები და მე-18 სტროფის („აღივსნეს ტყვითა“) პირველი ორი ტაეპი. როგორც ჩანს, B ნუსხის დედანი პატარა ფორმატისა ყო-

¹ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 013.

სურვილს: ერთი: ბეჭე: ღ: ბერი: წამკაგდის: ამჟღერესულ ა ღ:

ამბარი: მსურის: ვიქს: მსურის: ქაფის: ნახე: ებარესულ ა ღ:

იტყვ: ვადალი: მე: შეყვებ: წიგ: მათი: ქეყანა: მ: კრიბ უღ ა ღ:

ღ: იქს: ვიქს: სექს: მეღს: ჯლოვუგ: სიბრძნით: ამოქოქსულ ა ღ:

სქსანე: სპათ: ღსინად: ვაღ: სეკათ: რ: მოდსიგან: ვხანთ: ნთლოქსულ ა ღ:

ცამქე: მქნის: თქს: ვულ: მთნის: თქქნთ: სეკოთ: თქს: სიქსლო: ღსთსეკოა ღ:

სეკსე: თნებთ: არ: მქოქსით: ვუგ: თნებოღ: მქქსულ ა ღ:

ღ: ვქსინა: სითგან: იქქს: ღღსითგან: მქსინი: მქქსებ უღ ა ღ:

იქქს: ენბი: მქნის: მქ: მიერ: მქნის: ერთ: მქნით: ვქსე: ებარესულ ა ღ:

რა: არ: ქს: იქს: ვიგ: თვთ: იქს: ღბონ: თქქს: ვქქს: მითსოთ: ექსს ღ:

სასოლს: მექს: არ: მექს: ღვთს: მიქსლა: მექს ა ღ:

ღ: მქგან: იქქს: ჩიოქს: მიქოქსის: სმნესე: ვქს: მქქსული ა ღ:

„თამარინის“ B ნუსხის 43-ე გვერდი, რომელზედაც მოთავსებულია მექანიკურად შერწყმული სტროფი

ფილა. დედნის იმ გვერდზე, საიდანაც „თამარიანი“ იწყებოდა, სათაურს გარდა წერებულა ტექსტის 6 ტაეპი (პირველი სტროფი „შო, ფილოსოფნო“ და მეორე სტროფის პირველი ორი ტაეპი), მომდევნო გვერდებზე კი თექვსმეტ-თექვსმეტი ტაეპი, სადაც ყოველი მეოთხე სტროფი გაყოფილი იქნებოდა შუაზე: მისი პირველი ორი ტაეპი დაწერილი ყოფილა გვერდის დასასრულს, ბოლო ორი კი — მეორე გვერდის დასაწყისში. გადამწერს მე-14 სტროფის მეორე ტაეპი („განამგნენ მგნენი“) რომ გადაუწერია, ჩვეულებრივ წერა უნდა გაეგრძელებინა იმ გვერდიდან, საიდანაც იწყებოდა მე-14 სტროფის მესამე ტაეპი („დასკვენს ომი“), მაგრამ მას ეს გვერდი გადაწერილად ჰგონებია და წერას შესდგომია ამის მომდევნო გვერდიდან, რომელიც იწყებოდა მე-18 სტროფის მესამე ტაეპით („უარყვეს თნებით“). ასე მექანიკურად შეერთებულა მე-14 სტროფის დასაწყისი და მე-18-ის დასასრული და მიღებულა ახალი სტროფი:

უბძანე: სპათა: ლხინად: ვალ: სჯათა: რომლისაგან: ვსჩანთ: ნათელღებულად:.

გაამგნე: მგნენი: თავის: კვლად: მთნენი: თქვენთა: სჯულთათვის: სისხლ: დანთხეულად:.

უარყვეს: თნებით: არ: მოვეთნებით: ვიყავ: უნებლივ: მოყვანებულად:.

გვესმინა: სითგან: იქმნეს: დღესითგან: მოჰმადიანი: მოყვანებულად: (გვ. 43).

რაკი B ნუსხის მიხედვით „თამარიანის“ ტექსტი შეიცავს 106 სტროფს, ხოლო გადაწერის პროცესში დედნიდან მექანიკურად გამორჩენილა 16 ტაეპი, უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ოცდანი შეიცავდა 110 სტროფს. გარდა ამისა, ხუსხის დედანში „თამარიანს“ დართული ჰქონია დღემდე უცნობი ინტერპოლაციური სტროფები, მათ შორის გლოსა „მოკვევს სესა სასოყნაძეთა“ და სახოტბო ლექსი „ქება არჩილ მეფისა“. ეს დანართი სტროფები დედნიდან B ნუსხაშიც გადმოსულა, მაგრამ ხელნაწერის დეფექტურობის გამო B-ში გადარჩენილა მხოლოდ შემდეგი რვა სტროფი:

1. ჩახრუხაძისა მოკვევ-მოძმისა

ნათქვამი ეს არს თამარიანი.

სოფელმან დანთქა, გათავდა აქა

ისი მნათობი ვარდ-ამბრიანი,

ვმელთა მპყრობელი, მბრძოლთა შემძლევი,

მოწყალედ ეთქვა პირ-მთვარიანი.

ქრისტევ ნათელო, სამოთხეს მქენო,

ღირსნი მოწმენი¹ სად არიანი?

2. მოწვევს ძეთა, ჩაბრუნებეთა,
 ექო თამარი — მეფე წყლიანი,
 მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე.
 თინათინ ვაქო¹, ბალი-წყლიანი:
 ა, ეს² თინათინ, ნუ ის თინათინ, —
 არაბეთს იყო სულადიანი, —
 ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ³ ნაწილი,
 სამოთხის ვარდი, პირად მზიანი.

3. აქა დასრულდა თამარიანი,
 ვინ აქეს პირველ, მსგავსად ეს არი.
 მონა ჰყვა ასი, ბევრჯელ ათასი,
 თქვეს: «სურნელობსო», მისი ეს არი;
 დაბდაბ-ნობითა, ტახტთა მკობითა
 იყო, თუ იცნობ, სიტყვა ეს არი;
 სრულად მონებდენ, მოსაწონებდენ,
 ტყუილად მიოქვამს, მემცა ეს არი.

* * *

4. ვაქო⁴ ხელმწიფე მწნე და მკვიდარი,
 ვის შეუმკია აღმას-ისარი;
 მისებრი სადა გენახოს სადა?
 ბრძენთაც იუბნეს: «აღმას ის არი!»
 ტახტი უნათობს, ქვეყანა მნათობს,
 თავსა ადგია აღმასის არი,
 სახელობს დიდად, მტრის დასამშვიდად
 კელთა უჭირავს აღმას-ისარი.

5. ანათობს მზებრივ, სხვად ანაგზებრივ,
 შუქნი კრთებიან⁵ მანდა ლალურად;
 სჯობს სხვათ მეფეთა, ტახტთა მსწრეფეთა,
 ამაღ გაჯადა მან დალალურად.
 ყოველთა მეტობს, გულ-ტკბილად მჭვრეტობს,
 სულსა ავაჭრებს მანდ ალალურად.
 ეხვევის ჯარი, იგ მონაჯარი,
 მათ მღერა მოუც მანდ ალალურად.

1 ვაქოთ. 2 იეს. 3 წმინდათ. 4 ვაქოთ. 5 ჰკრთებიან.

6. ტანად გავს¹ საროს, სიშვენით კმაროს,
 რადგან შვენება აქვს მარგალიტს რა?
 ედემის მორჩსა, სამოთხის ნორჩსა,
 სიტკბოთა ვუქო მარგალიტის რა?
 ტახტონობს ხანი, მოურთავს ხანი,
 მითხარ: «უძრახო მარგალიტის რა?»
 ფილოსოფოსთა², სიტყვითა მყოფთა,
 დიდად უსხენეს მარგალიტის რა?
7. ეხვევის ერი, მოყმე და ბერი,
 ყოვლი სულდგმული მიეფეროსა,
 არჩილ მეფესა, ლხინთა მკრეფესა,
 გული ეღვარედ დაეფეროსა;
 მძლეთა მძლეველი, თვით უძლეველი
 მისებრ ყოფილა სხვა მეფე როსა?
 უნათობს არე, ზის, ვითა მთვარე,
 კედელ-ყურენი უღვა ფეროსა.
8. უღდანან ყმანი, მრავალფერ-გვარნი,
 თვალსა ფასობენ, ღურნა ჯაბანობს;
 მრავლად ლალს იცმენ, თავს გარდაიცმენ,
 მათთან არა ჩანს ღურნა, ჯაბანობს.
 უკადრსა ლალსა, ედემის ბალსა
 ბულბულნი ჯმობენ, ღურნაჯა ბანობს;
 უჭირავს ვარდი, არ განავარდი,
 მისის ნამითა ღურნაჯა ბანობს (გვ. 74-76).

„თამარიანის“ ეს დანართი, მეორე სტროფის გამოკლებით, არ გააჩნია არც ერთ სხვა ცნობილ ხელნაწერს. მისი პირველი ნაწილი შეიცავს ალორძინების ხანის ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ჩახრუხადისა და მისი ოდების შესახებ (სტრ. 1 — 3), ხოლო მეორე (სტრ. 4 — 8) წარმოადგენს ნაწყვეტს უცნობი სახოტბო ლექსისას, რომელიც შეიძლება ასე დასათაურდეს: „ქება არჩილ მეფისა“. ეს მეორე ნაწილი ფრაგმენტია და ამჯერად მისი მოცულობის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება. შინაარსობლივი ანალიზიდან ირკვევა, რომ ამ უცნობი სახოტბო ლექსის ქების ობიექტია პოეტო

¹ გვ. 2 ფილასოფოსთა.

„არჩილ მეფე. ლხინთა მკრეფე“, „მძლეოა მძლეველი, თვით უძლეველი“, რომელსაც „მტრის დასამშვიდად ხელთა უჭირავს ალმასისარი“. შვიდი სტროფის (№№ 1, 3 — 8) ავტორია XVII საუკუნის მეორე ნახევრის უცნობი პოეტ-გადამწერი, რომელსაც არჩილ მეფის დაკვეთით გადაუწერია „თამარიანი“ (B ხელნაწერის დედანი), მის დასასრულს დაურთავს ცნობები ოდების ავტორის შესახებ და შემკვეთი პირის პატივსაცემად — სახოტბო შინაარსის ლექსი. ჩვეულებრივ ამას მოჰყვებოდა გადამწერის ანდერძი, მაგრამ ხელნაწერის დეფექტურობის გამო დაკარგულია არა მარტო ანდერძი, არამედ „ქებანის“ სტროფებიც. ეს პოეტ-გადამწერი არჩილ მეფის კარის მოლექსე უნდა ყოფილიყო. იგი ლექსების წერაში მაინცდამაინც გაწაფული არ ყოფილა. მისი „ქებანი“ დიდ გავლენას განიცდის შავთელისა და ჩახრუხადის თხზულებებისას. კერძოდ „არჩილ მეფესა, ლხინთა მკრეფესა“ და სხვა... პერიფრაზია იოანე შავთელის ცნობილი სტროფისა:

დავით მეფესა, მტერთ სისხლ-მჩქეფესა,
უკვდავ წყაროსა, ცის საშყაროსა,
სხვათა მძლეველსა, თვით უძლეველსა,
კისკასად მქცევსა, ტანად საროსა და ა. შ.

როგორც ჩანს, პოეტ-გადამწერს ხელთა ჰქონია იაკობ შემოქმედელის მიერ გადაკეთებული, ე. წ. „აბდულმესიანი“, რომელიც ზოგიერთ ნუსხაში ასეთ სათაურს ატარებს: „სამებელ-შემოქმედელ მიტროპოლიტისა იაკობისაგან თქმული ქება მეფისა არჩილისა“, და ამ პლაგიატური თხზულების მიბაძვით შეუთხზავს თავისი სახოტბო ლექსი: „ქება არჩილ მეფისა“.

რაც შეეხება დანართის პირველ ნაწილს, იგი უპირველესად საინტერესოა იმ მხრივ, რომ თუ დღემდე ცნობილი იყო ჩახრუხადის სადაურობის შესახებ ორი ძველი წერილობითი წყარო („თამარიანის“ ბოლო მინაწერი და „არჩილიანი“), ახლა მათ ემატება XVII საუკუნის მეორე ნახევრის პოეტ-გადამწერის ცნობაც, სადაც „თამარიანის“ ავტორად დასახელებულია ჩახრუხადე, წარმოშობით მოხვეე. „ჩახრუხადისა მოხვეე-მომამისა ნათქვამი ეს არს თამარიანი“, — ვკითხულობთ დანართის პირველ სტროფში და, რასაკვირველია, იგი აღორძინების ხანაში ჩახრუხადის ვინაობის შესახებ არსებული ტრადიციული ცნობის ერთ-ერთი ძველი წერილობითი ჩანაწერია, რომელსაც სხვა ჩანაწერებთან შედარებით არანაკ-

ლები მნიშვნელობა ენიჭება. ერთი შეხედვით შეიძლება გვევარაუდნა, რომ „თამარიანის“ მინაწერი — „მოხევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“, რომელიც ზემოთ მოყვანილი დანართის ერთ-ერთ შემადგენელ სტროფს წარმოადგენს, შეთხზულია B ხელნაწერის დედნის გადამწერისაგან, მაგრამ ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას არ გვაძლევს XVII საუკუნის ჩვენამდე არ მოღწეული ხელნაწერიდან მომდინარე A ნუსხა, რომლის მიხედვით „თამარიანს“ ჩვეულებრივად ერთვის მხოლოდ ერთი სტროფი: „მოხევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“. სამაგიეროდ B ხელნაწერის დანართი სტროფები ექვმიუტანლად ადასტურებენ, რომ „თამარიანის“ გლოსა „მოხევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“ XVII საუკუნეზე ადრეა შეთხზული, დაახლოებით იმ ეპოქაში, როდესაც ლიტერატურულ საზოგადოებას კარგად ხსოვნებია „თამარიანის“ ავტორის ვინაობა და სადაურობა.

3. „თამარიანის“ C ნუსხა პირველად აღწერა თ. ჟორდანიამ თავის ნაშრომში „Описание рукописей тифлисского церковного музея“¹. ის ზომით 33×21 სანტიმეტრია, ჩასმულია მუყაოს ყდაში და შეიცავს 200 ფურცელს. თ. ჟორდანიას აზრით ნუსხა გადაწერილია 1861 წელს, მაგრამ ეს არ არის სწორი. ქალაქის ჰვირნიშანი უჩვენებს 1835 და 1836 წლებს, ხოლო II ყდაზე ასეთი შინაარსის მინაწერია დაცული: „ლოუზნის (sic) ძღვენი ჩემა-სა [1841] წელსა გლახაკი ელიზბარისი, კაციასი, იოსებასი, ნინიკასი, სულხანისა სრულათ მარტო ქათამია თევდორესი, იოსებასი, დემეტრესი“. მაშასადამე, ხელნაწერის დიდი ნაწილი გადაწერილია 1836 — 1841 წლებში, მხოლოდ შავთელის თხზულება და „იოსებ-ზილიხანიანი“ შევსებულია 1877 წელს დავით ივანეს ძე ამირიძის მიერ, რაც ირკვევა შავთელის თხზულების ბოლოს დართული ანდერძიდან.

ხელნაწერს აქვს სხვა მინაწერებიც. ასე მაგ.: 1848 წელს ვიდაც უცნობ პირს წაუკითხავს C-ში მოთავსებული „ვეფხისტყაოსანი“ და 189 ბ გვერდზე მიუწერია: „1848 წელსა მარტის ოცდაექვსსა დავასრულე «ვეფხისტყაოსანი» ესე წაკითხვითა და, რაცა ეწერა, სრულებითა ვცანი“. ან კიდევ, დავით ამირიძე წერს: „ესე «ვეფხისტყაოსანი» მე მქონდა და დავასრულე [მისი წაკითხვა, ი. ლ.] აგვისტოს 10-სა, 1861 წელსა“ (134 ა) და სხვა...

¹ ტ. II, 1902, გვ. 139 — 140, ცნობები ამ ხელნაწერის შესახებ იხ. აგრეთვე: გ. ჯაკობია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, 1927, გვ. 010; Е. Такашвили, Описание рукописей, II, გვ. 603 — 605.

ხელნაწერი წარმოადგენს მხატვრულ თხზულებათა კრებულს, რომელშიც მოთავსებულია: 1. „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგ VI-ის კომენტარებით, გადაწერილი 1712 წლის გამოცემიდან (გვ. 2 ა — 134 ა), 2. „ქება თამარ მეფისა ჩახრუხადის მიერ თქმულნი“ (გვ. 135 ა — 143 ა), 3. შავთელის თხზულება (გვ. 143 ბ — 150 ბ), 4. თეიმურაზ პირველის „იოსებ-ზილიხანიანი“ (ნაკლული) (გვ. 150 ა — 165 ბ), 5. ბესიკის, გ. თუმანიშვილისა და სხვათა ლექსები (გვ. 166 ა — 177 ბ, 190 ა — 192 ა) და 6. ვახტანგ VI-ის „ანბანთქება“ — „ასრე არის აგებული“ (გვ. 178 ა — 180 ბ).

C ნუსხით „თამარიანი“ შეიცავს 112 სტროფს. გადამწერს წერის დროს გამორჩენია 72-ე სტროფი. სხვა მხრივ C-ს ტექსტი უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით იმეორებს A და B ნუსხებს. C-ში ცნობილი გლოსის — „მოხევეს ძეთა ჩახრუხადეთა“-ს შემდეგ წყვეტილი ხაზია გავლებული და მის ქვევიდან მიწერილია ასეთი შინაარსის სტროფი (გვ. 143 ა):

ისო ნავესა, სამსონ მღავესა,
გელეონს ბაძავს ღვთის მტერთ მკვლელთასა,
იონათანსა, ვინ არ გითანსა
მეაბჯრით მსრველსა უცხო თესლთასა?
დარად დავითის გმირსა და, ვით ის,
დასცემ, დაამხო ურიცხვ მოვლელთასა,
ეთერ დაივლით, მწედცა თუ მისდით,
ესეც მას გავსა ერთა მშველთასა.

ნუსხაში არსად არ არის ხმარებული ძველი ასოები — ჯ, ჳ, უმარცვლო უ, მ, და ა. C, მართალია, საკმაოდ გვიანდელი ნუსხაა, მაგრამ მასში „თამარიანის“ ტექსტი გაცილებით უკეთაა შემონახული, ვიდრე XVIII საუკუნის E და G ნუსხებში.

ვახტანგ VI-ის „ანბანთქების“ ქვეშ (ფ. 180) მიწერილია გადამწერის ხელით: „დასრულდა თიბათვის ჩღაა [1761]“. ეს თარიღი C ნუსხაში გადმოსულია 1761 წელს გადაწერილი კრებულიდან; ამიტომ, საფიქრებელია, „თამარიანის“ ეს გვიანდელი ნუსხა გადაწერილი იყოს 1761 წლის ჩვენამდე არ მოღწეული (თუ უცნობი) ნუსხიდან, რომელიც რედაქციულად იმავე ტიპისა ყოფილა, როგორისაც არიან A და B ნუსხები. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ C-ში შემონახული ტექსტი თხზულებისა არ არის ისე წარყვნილი, როგორც XIX საუკუნის სხვა დანარჩენ ნუსხებში.

4. „თამარიანის“ D ნუსხა პირველად აღწერა ე. თაყაიშვილმა ნაშრომში „Описание рукописей“¹. ხელნაწერი წარმოადგენს ეხატურულ თხზულებათა კრებულს, ზომით 17×21 სანტიმეტრია; აქვს ტყავის მოტვიფრული ყდა; ეტყობა ხელნაწერი წყალში გდებულა, რადგანაც მისი ფურცლები საგრძნობლადაა დალაქავებული; სულ გადარჩენილია 78 გვერდი. ადგილ-ადგილ ნაწერი გადასულა, მელანი გაუფერულებულა. ვიღაც უცნობ პირს ხელნაწერის რესტავრაცია უცდია, მაგრამ ზოგან წაშლილი ადგილები სწორად ვერ ამოუკითხავს და ტექსტი დაუმახინჯებია. ე. თაყაიშვილის აზრით, „рукопись несомненно XVIII века“. მართლაც, ამ უეჭველ დათარიღებას ადასტურებს მინაწერები: „ქკს უნდ [1766] დაიბადა დავით და იონათან, აპრილს კვ [24], დიდსა კვირიაკესა პასეკისასა, წმიდა აღდგომასა“ (გვ. 1), ან კიდევ: „ქკს უნზ [1764] პატარა ისაკ დაიბადა, ოკდომბერს ი [10]“... (გვ. 54).

კრებულში მოთავსებულია: ვახტანგ VI-ის და არჩილ მეფის თხზულებანი (ნაკლული ტექსტებით), „მოკლედ სიტყვის-გება სოგრატიისი, სწავლა პირველი, თარგმნილი რუსულისაგან ქართულად ერასტი თურქისტანის შვილისაგან და ლექსად ნაბრძანები მეფეთ მეფისა ვახტანგისაგან“ (ბოლონაკლული) და „ქება თამარ მეფისა ჩახრუხადის მიერ თქმული“ (გვ. 69 — 77).

„თამარიანის“ ტექსტი ნაკლულია; წყდება 49-ე სტროფის მეორე ტაეპზე. გარდა ამისა გადამწერს მექანიკურად გამორჩენია 39-ე სტროფი. ნუსხის შედარებითი შესწავლა გვაძლევს საბუთს, რომ D მოვაქციოთ ABC ნუსხების წყებაში.

5. „თამარიანის“ F ნუსხა ფილოლოგიური მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა ა. ბარამიძის ნაშრომით „თამარიანის საკითხები“², ხოლო მისი მოკლე აღწერილობა გამოქვეყნდა 1953 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის H ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მეექვსე ტომში (გვ. 62). პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ხელნაწერი ეკუთვნის XVII საუკუნის მიწურულს. გადაწერილია მდივანმწიგნობრული ხელით; თავბოლონაკლულია; იწყება მე-17 სტროფით („მან იქალაქა“) და წყდება 84-ე სტროფზე. პირველ გვერდზე ე. თაყაიშვილის ხელით მიწერილია: „თამარ მეფის შესხმა ჩახრუხადისა“. როგორც ა. ბარამიძე წერს, „გადარჩენილი ნაწილის ტექსტი ძალზე წარყვნილია. დამა-

¹ ტ. II, გვ. 169 — 170.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. III, 1952, გვ. 235 — 237.

ხინჯებულა როგორც საკუთარი სახელები. ისე ცალკეული სიტყვები, გამოთქმები, ფრაზები. ტექსტს გააჩნია ლაკუნებიც¹. მიუხედავად ამისა, ნუსხაში ვხვდებით ისეთ ვარიანტულ წანაკითხებს, რომელთაც მნიშვნელოვანი კორექტივი შეაქვთ „თამარიანის“ ტექსტში. საყურადღებოა იგი სტროფული შედგენილობისა და თანმიმდევრობის მხრივაც. მისი დედანი ისეთივე რედაქციული თავისებურების ყოფილა, როგორი თავისებურებანიც გააჩნია ABCD ნუსხებს.

აღწერილ ხუთ ნუსხაში „თამარიანის“ სტრუქტურულ-კომპოზიციური სახე და წანაკითხები გაცილებით უკეთაა შემონახული, ვიდრე თხზულების სხვა ცნობილ ნუსხებში. მათი განსაკუთრებული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ დეფექტურ მხარეებს, რომელთა შესახებ თითოეული ნუსხის აღწერის დროს მივუთითეთ, მათში დაცული ტექსტი „თამარიანისა“ „მო, ფილოსოფნო“ სტროფიდან „თუ ქება გიქო“ სტროფის ჩათვლით შეიცავს 110 სტროფს. მას ყრ გააჩნია ტრადიციული ტექსტის ე. წ. ორეული სტროფები № № 109, 110, 111 და 112, ხოლო № № 52, 53, 54, და 55 სტროფები მოთავსებულია 91-ე და 92-ე სტროფებს შორის. გარდა ამისა ამ ნუსხებით მოღწეული სტროფების ვარიანტული წანაკითხები შესაძლებლობას გვაძლევს აღვადგინოთ „თამარიანის“ ზოგიერთი დეფექტური ტაეპი. სწორედ ამიტომ ეს ხუთი ნუსხა „თამარიანის“ სხვა ხელნაწერებიდან გამოყვავით და პირველ ჯგუფში მოვაქციეთ.

* * *

„თამარიანის“ მეორე ჯგუფის ხელნაწერებიდან ცნობილია მხოლოდ ცხრა ნუსხა. ესენია:

1. E გადაწერილია ორი სხვადასხვა პირის მიერ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. აღწერა ე. თაყაიშვილმა ნაშრომში „Описание рукописей“ (ტ. I, გვ. 521 — 531).
2. G გადაწერილია XVIII საუკუნის მიწურულს, ან XIX საუკუნის დასაწყისში. აღწერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში (ტ. I, გვ. 105—107). ტექსტს აკლია 52-55-ე და 115-ე სტროფები.
3. H გადაწერილია 1822 წელს დავით რექტორის მიერ. აღწერეს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლებმა H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში (იქვე, გვ. 291 — 292).
4. K გადაწერილია XIX საუკუნეში დავით რექტორის მიერ. აღწერა ე. თაყაიშვილმა ნაშრომში „Описание рукописей“ (ტ. II, გვ. 194 — 238).

¹ ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 235.

5. L გადაწერილია XIX საუკუნეში. აღწერა ე. თაყაიშვილმა ნაშრომში „Описание рукописей“ (იქვე, გვ. 386 — 387).
6. M გადაწერილია XIX საუკუნეში. აღწერა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ლ. ქუთათელაძემ A ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში (ტ. IV, № 1411).
7. N გადაწერილია XIX საუკუნეში. აღწერა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა ლ. მეფარიშვილმა H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობაში (ტ. V, გვ. 223 — 224).
8. P გადაწერილია XIX საუკუნეში. აღწერა ს. კაკაბაძემ საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური არქივის ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობაში (ტ. I, № 187).
9. R გადაწერილია 1837 წელს სვიმონ ტაბიძის მიერ L ნუსხიდან. ხელნაწერს ერთვის ანდერძი: „წიგნი ესე თამარიანი აღწერილი იქნა თეთრად დავით ჩუბინოვის დედნისაგან წელსა ჩულს-სა [1837] ნოემბრის ვ-სა [6] დღესა. მე სვიმონ ტაბიძემან“ (გვ. 24). ნუსხა დედანთან შედარებულია თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ: „ეს წიგნი შევამოწმე თეთრისაგან. ბატონიშვილი თეიმურაზ“ (ხელრთვა).

მეორე ჯგუფის HKLMNPR ხელნაწერები, პირველი ჯგუფისაგან განსხვავებით, ერთნაირ რედაქციულ თავისებურებებს ამჟღავნებენ. მათი საერთო წყაროა H და K ნუსხები, მართალია, E და G ნუსხები სტროფების რაოდენობისა და თანმიმდევრობის მხრივ HKLMNPR ნუსხების თავისებურებებს იმეორებენ, მაგრამ ცალკეულ წანაკითხებში ისინი რამდენადმე პირველი ჯგუფის ნუსხებს უახლოვდებიან.

ასეთია საერთოდ „თამარიანის“ ხელნაწერთა ვითარება და მათი შესწავლის ისტორია.

ახლა განვიხილოთ „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი და ცხადყოთ მისი დეფექტური მხარეები.

2. „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი და მისი სტრუქტურულ-კომპოზიციური ხარვეზები

„თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი მეორე ჯგუფის ერთი ნუსხის მიხედვით, უცვლელადაა გამოცემული. პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის და ზ. ჭიჭინაძის მიერ. ამავე ჯგუფის რამდენიმე ნუსხა დაედო საფუძვლად ს. კაკაბაძის გამოცემებსაც მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ რედაქტორმა მათი წანაკითხები ძირითადად ნ. მარის გამოცემის თანახმად გამართა. რასაკვირველია, ყოველი

მკვლევარი, რომელიც ძველ ქართულ ტექსტს ამზადებს გამო-საცემად, მოვალეა ანგარიში გაუწიოს ხელნაწერთა ტრადიციას და ტექსტის აღდგენის დროს ყოველი ვარიანტულად განსხვავებული წანაკითხი მხედველობაში იქონიოს, მაგრამ მან არავითარ შემთხვევაში ფეტიშად არ უნდა გაიხადოს ისეთი ხელნაწერი, თუ წყება ხელნაწერებისა, რომელთაც გადამწერთა წყალობით მსხვილი დეფექტები ახასიათებთ. „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი, რომელიც XVIII — XIX საუკუნეების მწიგნობარ-გადამწერებმა გვიანდერძეს, მნიშვნელოვნადაა დამახინჯებული. მისი სტროფების დამახინჯება და პირვანდელი სტრუქტურულ-კომპოზიციური სახის შეცვლა ძირითადად გამოწვეულია გადამწერთა მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომებით, ხოლო ნაწილობრივ — ზოგიერთი პოეტ-ინტერპოლატორის ე. წ. სარედაქციო მუშაობით. ამიტომ „თამარიანის“ გამომცემლის უპირველესი მოვალეობაა ტრადიციული ტექსტი გაწმინდოს გადამწერთა შეცდომებისა და ინტერპოლაციებისაგან და შემდეგ შეისწავლოს ძველის სტრუქტურა და კომპოზიცია.

* * *

XVIII — XIX საუკუნეების ხელნაწერების მიხედვით „თამარიანის“ ტექსტი ოთხტაეპოვან სტროფულ სისტემაზეა აგებული, სადაც სტროფის თითოეული ტაეპი ოცმარცვლოვანია. ამ ტრადიციის თანახმად აპრიორულად უნდა ვიგულისხმოთ, რომ „თამარიანის“ პირვანდელი დედანიც დაწერილი იქნებოდა ოცმარცვლიანი ოთხტაეპოვანი სტროფებით. ეს იმდენად უდავო დებულებაა, რომ შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა საჭირო იყო ამაზე მსჯელობაო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ზოგიერთი მკვლევრის აზრით „თამარიანის“ პირვანდელი დედანი დაწერილი ყოფილა სხვა სალექსო წყობით, ხოლო გვიანდელ გადამწერებს ის ძველი წყობა შეუცვლიათ იმ სტროფული სისტემით, რომელიც შემოუნახავთ ამჟამად ცნობილ ნუსხებს. ამ მოსაზრების ავტორებად გვევლინებიან ნ. მარი და პ. ინგოროყვა.

1902 წელს ნ. მარმა „თამარიანის“ სტროფული სისტემა უარყო და დაუსაბუთებლად წამოაყენა ჰეპოთეზი, რომლის თანახმად თითქოს ჩახრუხადის ოდები თავდაპირველად დაწერილი ყოფილა ტაეპობრივად, ხოლო აღორძინების ხანის რომელიღაც ინტერპოლატორს თავში მოსვლია „უბადრუკი აზრი“ და შავთელის თხზულების მსგავსად „თამარიანი“ სტროფული სისტემით

გადაუწერიაო. ეს ირკვევა იქიდან, რომ ოდების დაყოფა სტროფებად არაფრით არ არის გამართლებული, რადგანაც თითოეული ოდა ერთ ძირითად რითმაზეა დაწერილიო. მოვუსმინოთ თვით ნ. მარს:

„Появление обезображивающих наростов или вставок в значительной степени относится к тому времени, когда кому-то пришла несчастная мысль списать оды Тамары по шаблону поэмы Шавтели, разбив их на строфы, каждую в четыре четверостишия на одну основную или внешнюю рифму. Однако, основная рифма у Чахрухадзе — одна на каждую в отдельности оду, сколько бы в ней не было четверостиший, и потому всего одах деление на строфы ничем не оправдывается. Более того, в ряде случаев оды, очевидно, и не содержали такого числа основных четверостиший, которое делилось бы на четыре без остатка“¹.

ამიტომ ნ. მარმა „თამარიანის“ სტროფული სისტემა დაარღვია და ერთი და იგივე სტროფის ტაქტებს სხვადასხვა ადგილი მიუჩინა. სრულიად მართებულად შენიშნავს ა. ბარამიძე, რომ „ჩვენ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია ნ. მარის მოსაზრება, ვითომც „თამარიანი“ თავიდანვე არ იყო სტროფულად აგებული“². ჩვენ უფრო მეტს ვიტყვით: ნ. მარის ეს მოსაზრება არამცთუ დაუსაბუთებელია, ყოვლად შეუწყნარებელიცაა. „თამარიანი“ უდავოდ სტროფულ სისტემაზეა აგებული. ამას შენიშნავს ყოველი პირი, რომელიც კი ძეგლის თითოეული სტროფის შინაარსობლივი ანალიზით დაინტერესდება. სანიმუშოდ განვიხილოთ ნ. მარის მიერ ტაქტებად დაშლილი მე-80 და 90-ე სტროფები:

მე-80 სტროფი აღდგენილი სახით იკითხება ამგვარად:

იტყვის: «მწვავს მე ხებრ, მე მცქაფრობს მეხებრ
დავით ძლიერი, მგნე, უძლეველი,
წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი,
მეფეთა სკიპტრა-პორფირთა მცმელი».
თქვენი თქვა რიტოს: «გმა ყოს, ვინ სჭვრიტოს:
აქსმცა სუფევად ათასი წელი!»
სამებად ქსული საუფლო სული
მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი.

¹ TP, IV, გვ. 60, შენიშვნა.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები. III, გვ. 238.

ანუ ახალი ქართულით: [მაჰმადიანი] ამბობს: «ხესავით მწვავს, მეხისებრი სისწრაფით თავს მესხმის ძლიერი, მხნე, უძლეველი, წყნარი, მოკრძალებული, გმირი ჯაბუკი, სამეფო კვერთხის მქონე და პორფირთა მცემელი დავით სოსლანი». თქვენზე [იგულისხმება თამარი და დავითი] ორატორმა [მჭევრმეტყველმა] თქვა: ვინც კი შემოგხედოს, «ჯმა ყოს»: ათას წელს უნდა მეფობდნენო, რადგანაც ღმერთმა, რომელიც «არს თქვენი მცველი», მოგბერათ «სამებად ქსული საუფლო სული»-ო.

ნ. მარმა ციტირებული სტროფი ტაეებად დაშალა, ეს ტაეები სხვადასხვა სტროფის ტაეებთა წყებაში მოათავსა და, ამგვარად, თითქოს შეგნებულად, სტროფის გარკვეული აზრი გააბუნდოვნა. მის ნაშრომში ეს ოთხი ტაეები დალაგებულია შემდეგნაირად:

VII. 9. სამებად ქსული საუფლო სული

მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი.

22. იტყვის: «მწვავს მეხებრ, მამცქეფრობს მე ხებრ.

დავით ძლიერი, მხნე, უძლეველი!»

24. თქვენი სთქვა რიტოს — «ჯმა ჰყოს, ვინ სჭვრიტოს:

აქვსმცა სუფევად ათასი წელი!

25. წყნარი და მკრძალი, მოყმეთა ძალი,

მეფეთა სკიბტრა-პორფირთა მცმელი».

ტაეებთა ამგვარსავე თვითნებურ გადაჯგუფებასთან გვაქვს საქმე 90-ე სტროფშიც. მისი აღდგენილი ტექსტი ასეთი შინაარსის შემცველია:

მე ვიტყვი ფიცით: «რაც ოდენ ვიცით,

რად ვინ მაბრალობს, ვთქვა დაკლებულად?

შენი სიშუქე რომელთა ვუქე,

ვითამც ვინ იქმნეს მიბაძვებულად?

ცისკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად,

შთიებნი რად ყვენ განქიქებულად?

აღმოშენებსა ვინ აშენებსა!

მორჩსა ახალსა აღმორჩებულად?»

ანუ ახალი ქართულით: მე ვიტყვი ფიცით: რამდენადაც ვიცით, [ჩემი მოპაექრენი] რად მდებენ ბრალს, რომ (შენ, თამარ),

უღირსი ქებანი გიძღვნა („ვთქვა დაკლებულად“)? შენი [სახის] სიშუქე ვისაც კი ვუქე, ვითომც ვინმე [მათგანი ქებაში] მომბაძავს? შენ ბრწყინვალე სანთლად ცისკრობ; ცის მნათობნი [ბრწყინვალე ნათებით] რად შეარცხვინე? [ამიტომ] აღმოცენებულ ყლორტს ხელახლა აღმოსაცენებლად ვინ აშენებსა? [ე. ი. უებრო სილამაზით ქებულ მეფე-ქალს რაღა ჩემი ქება უნდა?].

ნ. მარმა ამ სტროფის პირველი სამი ტაეპი შეიტანა XII ოდის ძირითად ტექსტში შემდეგი თანმიმდევრობით:

3. სცისკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალედ სანთლად:
მთიებნი რად ყვენ განქიქებულად.
6. მე ვიტყვი ფიცით: რაოდენ ვიცით,
რად ვინ მაბრალობს ვსთქვა დაკლებულად
7. შენი სიშუქე, რომელთა უქე?
ვითამც ვინ იქმნეს მიბაძვებულად?...

მეოთხე ტაეპი, რომელიც წინა სანი ტაეპის ლოგიკურ დასკვნას შეიცავს და უნებლიედ გვაგონებს ვაჟა-ფშაველას ცნობილ თქმას: „არწითსა მალლის მთისათა ნეტავ რად უნდათ მქებარი“, მან ყალბად გამოაცხადა. განა აფორიზმულ თქმაში „აღმოშენებსა ვინ აშენებსა მორჩსა ახალსა აღმორჩებულად“ სიყალბე შეიმჩნევა? ამ ტაეპზე ხელს მოაწერდა არა მარტო ჩახრუხაძე, არამედ აფორიზმების ისეთი დიდი ოსტატი, როგორცაა შოთა რუსთაველი.

ჭფიქრობთ, განხილული ორი სტროფიდან უდავოდ დასტურდება ნ. მარის მოსაზრების მცდარობა. „თამარიანი“ სტროფულსისტემაზეა აგებული. თხზულების შემადგენელი სტროფების დანაწევრება ტაეპებად და სუბიექტური თვალსაზრისით მათი გადაჯგუფება, რომელიც არ არის გამართლებული არც შინაარსობლივად და არც დოკუმენტურად, უხეში დარღვევაა იმ პრინციპებისა, რომელნიც ტექსტოლოგიურ მეცნიერებაშია მიღებული საყოველთაოდ. არავითარი საბუთი, არც ლოგიკური და არც დოკუმენტური, არ არსებობს იმისა, რომ „თამარიანის“ სტროფული წყობა უარყვით და მის ნაცვლად ტექსტი ერთნაირრითმიანი ტაეპების ერთად დაჯგუფებით გაემართოთ.

* * *

ბუნებრივია, ასეთი კატეგორიული მსჯელობის შემდეგ დაიბადება კითხვა: რა დეფექტები გააჩნია „თამარიანის“ ტრადიციულ

ტექსტს? ანუ უკეთ: საუკუნეთა განმავლობაში როგორი სტრუქტურულ-კომპოზიციური ცვლილებანი განიცადა თხზულების ტექსტმა, რომ თანამედროვე ფილოლოგიისათვის მისი პირვანდელი სახით აღდგენა ერთ-ერთ რთულ პრობლემას წარმოადგენს?

იმისათვის, რომ ამ კითხვაზე სწორი პასუხი გავცეთ, საჭიროა კრიტიკულად შევისწავლოთ „თამარიანის“ პირველი წყაროები, ე. ი. ის ხელნაწერი მემკვიდრეობა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

„თამარიანის“ ხელნაწერები იყოფა ორ ჯგუფად. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სტროფული შედგენილობით, წყობითა და წანაკითხებით. ტექსტუალური ღირებულებით პირველი ჯგუფის ხელნაწერები უფრო მაღლა დგას, ვიდრე მეორე ჯგუფისა. ტრადიციული ტექსტის ის ხარვეზები, რომელნიც გააჩნიათ პირველი ჯგუფის ხელნაწერებს, მეტ-ნაკლებად ახასიათებს მეორე ჯგუფის ხელნაწერებსაც, ოღონდ უკანასკნელთ ემატება ის ტექსტუალური დამახინჯებანიც, რომელნიც ტრადიციულ ტექსტს განუცდია XVIII — XIX საუკუნეების განმავლობაში. ს. კაკაბაძეს მეორე ჯგუფით ცნობილი ტრადიციული ტექსტი „უშუალოდ ავტორის დროიდან“ მომდინარედ მიაჩნია. ამიტომ მის კრიტიკას მეორე ჯგუფის ხელნაწერთა დამახინჯებათა განხილვით დავიწყებთ.

ძრეული სტროფები

„თამარიანის“ ცნობილი სტროფები 28-ე („შენსა სადარსა“), 29-ე („ანუ ვის ესმის“), 30-ე („რომელ ვანება“) და 31-ე („ვის აქვს შენებრი“) მეორე ჯგუფის ხელნაწერებში და პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, ზ. ჭიჭინაძისა და ს. კაკაბაძის გამოცემებში მეორდებიან 109 — 112-ე სტროფების სახით თხზულების დასასრულშიც, ე. ი. იქ, სადაც მოთხრობილია ბიბლიური ლეგენდები სამოთხიდან აღამ და ევას გამოძევებისა და ქრისტეს ჯვარცმის შესახებ. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია პ. იოსელიანმა, მაგრამ იგი დაკმაყოფილდა მხოლოდ უბრალო შენიშვნით: „აქა შესანიშნავი არს, რომელ ოთხნი ესე ოთხეულნი 109, 110, 111 და 112, მოხსენებულნი რიცხვთა ქვეშე 28, 29, 30, 31, ორგზის განიმეორებიან ამა პოემასა შინა. რომლისა მიზეზისათვის, არა ჩანსო“¹. ასეთივე შენიშვნით შემოიფარგლა ზ. ჭიჭინა-

¹ თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა, თქმული ლექსად ჩაბრუნას ძისაგან, 1838, გვ. 92.

ძეც¹. ნ. მარმა ორეული სტროფები კრიტიკულად შეისწავლა და 109 — 112-ე სტროფები სრულიად მართებულად ამოიღო „თამარიანის“ ტექსტიდან. ამით მან გადამწერთა მიერ დაშვებული ტექნიკური შეცდომა გაასწორა. 1902 წელს მ. ჯანაშვილი იცავდა რატრადიციული ტექსტის უპირატესობას, 109 — 112-ე სტროფებს იგი „თამარიანის“ „დასკვნით სტროფებს“ უწოდებდა², მაგრამ 1923 წელს C ხელნაწერის თანახმად ისინი ტექსტის მერმინდელდანამატად მიიჩნია³. ამის შემდეგ მოსალოდნელი იყო, რომ „თამარიანის“ ძირითად ტექსტში ამ ორეულ სტროფებს აღარ შეიტანდნენ, მაგრამ მათ კვლავ თავი იჩინეს 1937 წლის გამოცემაში⁴, აქედან კი თხზულების რუსულ თარგმანში⁵.

როგორც ცნობილია, იერსა-რითმიან სტროფებში, რომელნიც ნ. მარს დაჯგუფებული აქვს I ოდის სახით, მოთხრობილია ბიბლიური ლეგენდები სამოთხიდან ადამ და ევას გამოძევების, წარღვნისა და ქრისტეს ჯვარცმის შესახებ. ამ თხრობით ჩაბრუნაძეს ის უნდა თქვას, რომ თამარი ზეცით მონაბერი სულია, ღვთის მიერ დადგენილი მეფე, ადამის ტომთა მხსნელად მოვლენილი მესია. მართლაც, პოეტს ეს თვალსაზრისი განვითარებული აქვს არამართო თხზულების მთელ მანძილზე, არამედ 108-ე სტროფის უკანასკნელ ტაეპშიც, სადაც ვკითხულობთ: ღმერთმა

ყო-და მოზენით, მოხელა ზენით
თამარ შუქ-მფენსა, ნათელიერსა.

რაში გამოიხატება თამარისადმი ღვთის წყალობა და „ზენით მოხელდა?“ — იმაშიო, — დასძენს ჩაბრუნაძე 113-ე სტროფში, — რომ ღმერთმა თამარს

მისცნა დავალნი, ჯმელთა დავალნი,
სკიპტრა-მპყრობელ ყო არსთა მიერსა,

ე. ი. მისცა სახელმწიფოები, უსაზღვრო ტერიტორია (ხმელეთის დასავალი) და სკიპტრის (კვერთხის) მპყრობელობა, ანუ მეფობა.

¹ ქართველი კლასიკები, ჩაბრუნაძე, 1882 (წინასიტყვაობა); ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XII ს-ში, 1887, გვ. 4. ქნარი გრ. ჩაბრუნაძისა, 1900, გვ. 48.

² „ივერია“, 1902, № 223.

³ „ტრიბუნა“, 1903, № 164.

⁴ ჩაბრუნაძე, თამარიანი, 1937, გვ. 51 — 52.

⁵ Чахрухадзе, Тамариани, 1942, გვ. 161 — 162.

თამარიც თავისი მეფური ძლევამოსილებით მტკიცედ იცავს ქრისტიანულ სარწმუნოებას (სჯულს) და სახელმწიფო მართლმსაჯულებას:

მტკიცედ აქვს სჯული, ჩანს მართლ-მსაჯული,
 მას რომ უჯმობენ ღმრთის სახერსა.
 უძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი
 მშვიდსა და წრფელსა და ღმობიერსა.

მეორე ჯგუფის ხელნაწერებში აზრთა ასეთი ლოგიკური თანმიმდევრობა დარღვეულია, რადგანაც 108-ე და 113-ე სტროფებს შორის გადამწერთაგან ჩართულია 109—112-ე სტროფები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ რა „თამარიანის“ თინაღში მოთხრობილ ბიბლიურ ლეგენდებთან. ისინი ე ბ ა რ ე-რითმიანი სტროფებია და, მაშასადამე, არც ფორმალური მონაცემებით უახლოვდებიან იერსა-რითმიან სტროფებს. რომ ეს მოსაზრება სწორია, ეჭვიმუტანლად ადასტურებენ „თამარიანის“ პირველი ჯგუფის ხელნაწერები, სადაც ტრადიციული ტექსტის 108-ე სტროფს უშუალოდ მისდევს 113-ე სტროფი. რაკი ეს ორეული სტროფები არ არის პირველი ჯგუფის ხელნაწერებში, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ისინი არც XVII საუკუნის ნუსხებში და არც „თამარიანის“ თავდაპირველ დედანშია საგულველი.

52-55-ე სტროფები

მეორე ჯგუფის ხელნაწერებში 52—55-ე ნომრებზე მოთავსებულია სამი ე ბ უ ლ ა დ-რითმიანი და ერთიც ე ბ ა ნ ი-რითმიანი სტროფები, რომელთაც თავიანთი შინაარსითა და ფორმალური ნიშნებით არავითარი საერთო არა აქვთ რა 51-ე და 56-ე ო დ ი ს-რითმიან სტროფებთან. მათი დადგენილი ტექსტი იკითხება ამგვარად:

ეჩვენებოდა, ეფერებოდა
 ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად!
 მე რომ თქვენ გნახე, ედემის სახე,
 მართ სამოთხისა მიახლებულად,
 ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
 შენსა შუქს ეყვის დარიდებულად.
 ვნახე ინდონი, ვითა რინდონი,
 რომე ჩნდეს ზანგნი ალაღებულად.

ვინ მელნის ტბეზად გოქვეს დასახებად,
 ვიშრისა სარო დანატრებულად,
 სახედ გასახობდეს: «რა მზე ნათობდეს,
 მაშინცა ითქმის დაბნელებულად!»
 ვინ გჯობს ზედითა? რად აბედითა
 მზე შენმან შუქმან დამეტებულად?
 ვერვინ გიხილა, ნახვად გიხილა,
 ანუ გიჭვრეტდეს გარეტებულად.

მე გული შენი ჩემად ვიშენი;
 რალა მიიქცი, ვჩნდი ზარ-ღებულად.
 არდი მეტია — მომკალე მე, დია! —
 ჩემი სიცოცხლე გაცულებულად!
 რომელმან ღამე-დღე ყო, თქვა: «ღამე
 ჰფენს შუქსა მზეებრ განათებულად!»
 მოსეს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა,
 ეწერნეს თქვენი ძლევა გებულად.

იგავთ დამწესი და გამირთა მწესი
 იესეს ძისა მით გძნობს ებანი.
 ერმი რა განახა, მსწრაფლ დაიზახნა
 შენგან უკუნმან კარის ღებანი.
 ზევსმა მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა,
 სელონის ეტლთა მოგიბრებვანი,
 ნარგისნი გიცნა, ზეცას გზა გიქმნა,
 თქვა: «გწყლიანობენ შენ ლომ-ნებანი»,

ეს ოთხი სტროფი ჩართულია ოდიის - რითმიან სტროფებს შორის და შესამჩნევი დისონანსი შეაქვს თხრობის ლოგიკურ განვითარებაში. მათი შინაარსობლივი ანალიზი უდავოდ ცხადყოფს, რომ პირველი სამი სტროფი გაგრძელებაა 87—91-ე ებულად - რითმიანი სტროფებისა, ხოლო მეოთხე დასაწყისია ებანი - რითმიანი ოდიისა; 51-ე და 56-ე სტროფები კი ავსებენ თხრობას, რომელიც გადმოცემულია საერთოდ ოდიის - რითმიან ლექსში. ამ მოსაზრებას დოკუმენტურად ადასტურებს პირველი ჯგუფის ხელნაწერები, მათში 51-ე სტროფს უშუალოდ მისდევს 56-ე, ხოლო 52—55-ე სტროფები ჩართულია 91-ე (ებულად - რითმიანი) და 92-ე

(ე ბ ა ნ ი-რითმიან) სტროფებს შორის და ამით დასრულებულია არა მარტო 87—91-ე სტროფებში წარმოდგენილი სახოტბო ლექსის შინაარსი, არამედ აღდგენილიცაა მომდევნო ე ბ ა ნ ი-რითმიანი სახოტბო ლექსის დასაწყისიც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება პირველად ჭკუამახვილურად შენიშნა ნ. მარმა, რომელმაც არ იცოდა პირველი ჯგუფის ხელნაწერთა არსებობა, მაგრამ რამდენადაც მან ე ბ ა ნ ი-რითმიანი სახოტბო ლექსის შედგენილობა სწორად განსაზღვრა, იმდენად ე ბ უ ლ ა დ-რითმიანი ოდების დადგენაში დიდი დაბნეულობა გამოამჟღავნა¹.

ამგვარად, მეორე ჯგუფის ხელნაწერთა ეს ტექსტულაური დამახინჯებანი, რომელთაც უარყოფითი გავლენა იქონიეს „თამარიანის“ სტროფულ შედგენილობასა და სტრუქტურაზე, არ გვაძლევს საბუთს იმისას, რომ ტრადიციული ტექსტი ავტორის დროიდან მომდინარედ გამოვაცხადოთ და იგი ყოველგვარი კრიტიკული განხილვის გარეშე გამოვაქვეყნოთ იმავე სტროფული შედგენილობითა და წყობით, როგორც ეს მოცემულია მეორე ჯგუფის ნუსხებში.

* * *

ჩახრუხადის თხზულების ტექსტის დადგენის საქმეში უპირატესობა ეკუთვნის პირველი ჯგუფის ხელნაწერებს, რადგანაც მათ ძველის სტრუქტურულ-კომპოზიციური სახე და წანაკითხები უკეთ შემოუნახავთ, ვიდრე მეორე ჯგუფის ხელნაწერებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირველი ჯგუფის ხელნაწერებში ყველაფერი რიგზეა; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხელნაწერებშიც „თამარიანის“ სტრუქტურა და კომპოზიცია საგრძნობლადაა სახეშეცვლილი.

კითხვა იბადება: რა სტრუქტურული ცვლილებანი განუცდია „თამარიანის“ ტრადიციულ ტექსტს XVII—XVIII საუკუნეებამდე, ე. ი. მანამდე, სანამ პირველი ჯგუფის ხელნაწერები და მათი ნუსხა-დედნები გადაიწერებოდა?

ამ კითხვაზე მოკლედ შეიძლება ასეთი პასუხი გავცეთ:

1. „თამარიანის“ ტრადიციულ ტექსტში გადამწერთა დაუდევრობისა თუ ხელნაწერთა დეფექტურობის გამო მექანიკურად შერწყმულა სხვადასხვა სტროფის პირველი ორი და ბოლო ორი

¹ TP, IV, ტაბები: IX, 1—4; XII, 4—5, 8, 10—14, 16, 22—23, 28.

ტაეპები, რის შედეგადაც მიღებულია 28-ე, 75-ე და 79-ე სტროფები.

2. ზემოთ განხილული 52—55-ე სტროფების ანალოგიურად „თამარიანის“ ტექსტში მომხდარა (თუ მოუხდენიათ) გადაადგილება იერსა, ელი და არი-რიტმებიანი სტროფებისა.

3. ინტერპოლატორებს (თუ ინტერპოლატორს) დეფექტური სტროფების შეესებისა თუ სხვა მიზნით თხზულებაში ჩაურთავთ საკუთარი ლექსები, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ რა არც შინაარსობლივად და არც ფორმალურად ჩახრუხადის ღრმა-იდეურ და მალალმხატვრულ ლექსებთან.

განვიხილოთ თითოეული ცვლილება ცალ-ცალკე ვრცლად:

მექანიკურად შერწყმული სტროფები

B ხელნაწერის აღწერისას მივუთითეთ მეტად საინტერესო ფაქტზე, რომლის გახსენება ამ შემთხვევაში აუცილებლად მიგვაჩინია: B-ს გადამწერს უყურადღებობის გამო მე-14 სტროფის პირველი ორი ტაეპის გადაწერის შემდეგ გამორჩენია 16-ტაეპიანი გვერდი და წერა მექანიკურად გაუგრძელებია იმ გვერდიდან, რომელიც იწყებოდა მე-18 სტროფის მესამე ტაეპით „უარ-ყვეს თნებით“. მას მე-14 სტროფის პირველი ორი ტაეპისათვის მიუბამს მე-18 სტროფის ბოლო ორი ტაეპი, რის შედეგადაც მიღებულია ახალი სტროფი, რომელიც არ მოეპოვება „თამარიანის“ არც ერთ ცნობილ ნუსხას. ტრადიციული ტექსტის 28-ე, 75-ე და 79-ე სტროფებიც ასეთივე ანალოგიითაა წარმოშობილი. მათი შინაარსობლივი და ფორმალური ანალიზი ეჭვმიუტანლად ადასტურებს, რომ ამ სამივე სტროფის ტაეპებს შორის ჩავარდნილია ჩვენთვის უცნობი ტაეპების რამდენიმე წყება. ეს დაკარგული ტაეპები დაწერილი უნდა ყოფილიყო ოვნებად, ებარე და ენალი რიტმებზე ჩვენი მოსაზრების დასასაბუთებლად საჭიროა წარმოვადგინოთ მექანიკურად შერწყმული სტროფების შესწავლის ისტორია, მათი ვარიანტული წანაკითხები და აღდგენილი სტროფები სათანადო კომენტარებით.

1. ტრადიციული ტექსტის 28-ე სტროფი მოთავსებულია ოვნებად და ებარე-რიტმებიან სტროფებს შორის. იგი ს.კაკაბაძის გამოცემაში იკითხება ასე:

შენსა სადარსა? შენსა სადარსა
 ვერა ვსჭვრეტ ცხადად და ნაჯსოვნარად!
 თქვენ ას ენათა, მზეო ზენათა!
 თუმცა მზე ეთერს ნამტკიცებარად,
 მაგრამ კალ, იბი, რადგან კალიბი
 შენთა შუქთა, სძლევს შუქ მტაცებარად,
 ვინ ნახა სადა, ვინა ხასადა
 შენებრ ნათელთა ბნელი მცებარად?

ციტირებული სტროფის შინაარსი გაურკვეველია, მისი წანაკითხები დამახინჯებულია და ტაეპის სარიტმო სიტყვებიც შეცვლილი. უპირველესად ამაში წვლილი უდევთ „თამარიანის“ გადამწერებს და, ნაწილობრივ, მის გამომცემლებსაც. ნ. მარის ფხიზელმა თვალმა უმაღლვე შენიშნა სტროფის ტაეპთა შინაარსობლივი შეუსაბამობა. ამიტომ მან მისი პირველი ტაეპი ო ვ ნ ე ბ ა დ - რ ი თ მ ი ა ნ ი ო დ ის დასასრულს მიაკუთვნა, ხოლო დანარჩენი სამი — ე ბ ა რ ე რ ი თ მ ი ა ნ ი ო დ ის დასაწყისად. ჩათვალა. ამის მიხედვით ტაეპთა ბოლო სარიტმო სიტყვებიც შესატყვისი ოდების რითმებს შეუფარდა (IV, 13 და X, 1 — 3). თუ რატომ მოახდინა ნ. მარმა სტროფის ასეთი დანაწილება, მას ეს თეორიულად არ დაუსაბუთებია, არც ხელნაწერთა ტრადიციისათვის გაუწევია ანგარიში „თამარიანის“ ხელნაწერებზე დაკვირვებამ გაამართლა ნ. მარის შეხედულება. XVIII საუკუნისა და, ნაწილობრივ, XIX საუკუნის ხელნაწერებში 28-ე სტროფის ტაეპთა რითმები არეულია. მაგ.:

AE: 1. დ ა ნ ა ხ ს ო ვ ნ ე ბ ა დ
 2. ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ბ ა დ
 3. მ ტ ა ც ე ბ ა რ ა დ
 4. მ ც ე ბ ა რ ა დ

B: 1. დ ა ნ ა ხ ს ო ვ ნ ე ბ ა დ
 2. დ ა მ ტ კ ი ც ო ვ ნ ე ბ ა დ
 3. მ ტ ა ც ე ბ ა რ ა დ
 4. მ ც ე ბ ა რ ა დ

E¹: 1. დ ა ხ ს ო ვ ნ ე ბ ა დ
 2. ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ბ ა დ
 3. მ ტ ა ც ე ბ ა რ ა დ
 4. მ ც ე ბ ა რ ე

G: 1. ც ხ ო ვ ე ბ ა რ ა დ
 2. ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა რ ა დ
 3. მ ტ ა ც ე ბ ა რ ა დ
 4. მ ც ე ბ ა რ ა დ

C: 1. ნ ა ხ ს ო ვ ნ ე ბ ა რ ა დ
 2. ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ბ ა რ ა დ

3. მ ტ ა ც ე ბ ა რ ა დ
 4. მ ც ე ბ ა რ ა დ

¹ სტროფი 109-ე.

სარიტმომ სიტყვების ასეთი სიჭრელე ჩახრუხადის პოეტური შეტყველებისათვის არ არის დამახასიათებელი. „თამარიანის“ რითმები მყარია, დახვეწილი, ქანდაკებასავით ჩამოსხმული. აქ კი რითმების აშკარა არეგ-დარეგასთან გვაქვს საქმე. ყველა ამ წანაკითხს თუ ერთმანეთს შევუპირისპირებთ, გამოირკვევა, რომ პირველი ორი ტაეპი, რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა 27-ე ოვნებად-რიტმიანი სტროფისა, ოვნებად-რიტმიანია და მათი სარიტმომ სიტყვებია „და ნაცხოვნებად“ და „ნამტკიცოვნებად“, ხოლო მესამე-მეოთხე ტაეპები შინაარსობლივად უკავშირდება 29-ე ბარე-რიტმიან სტროფს და მათი რითმია ებარე. 28-ე სტროფის აღდგენილი ტექსტი პირველი ჯგუფის ხელნაწერების მიხედვით ასეთია:

შენსა სადარსა! შენსა სადარსა
 ვერა ვსჭვრეტ ცხადად და ნაცხოვნებად!
 თქვენა ზენათა, მზეო ზენათა,
 თუმცა მზე ეთერს ნამტკიცოვნებად...¹

.

მაგრამ კალ, იბი, რადგან კალიბი
 შენთა შუქთა სძლევს შუქ-მტაცებარე!
 ვინ ნახა სადა, ნახახად სადა
 შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?

პირველ ორ ტაეპში პოეტი თამარს მიმართავს: სილამაზით შენს შესადარ არსებას ვერსად ვერა ვხედავ: ვერც ცხადად და ვერც წარმოდგენაში. თქვენ „ზენათა მზე“ ხართ და ზეცას ანათებთ, მზე კი მხოლოდ ეთერზეა ნამტკიცოვანიო. ბუნებრივია, მესამე-მეოთხე ტაეპი უნდა შეიცავდეს წინა ორში გამოთქმული

¹ ამ ორი ტაეპის აზრი აქამდე სხვაგვარად გვესმოდა („ლიტერატურული გაზეთი“, 1956, № 6). ახლა შინაარსის დაზუსტების მიზნით ჩვენს წანაკითხებში ოდნავი ცვლილება შეგვაქვს.

მოსაზრების კონკრეტიზირებას, ან მის განვითარებას, მაგრამ ნაცვლად ამისა აქ საქმე გვაქვს შინაარსობლივ ნახტომთან. ჩახრუხადე განაგრძობს: მაგრამ შენ მოჰკალ, დაატყვევე შენი მჭვრეტელნი, რადგანაც შენი გარეგნობა, ტანის მოყვანილობა (კალიბი) შუქმტაცებარეა (შენი საერთო სილამაზის შუქთა აღმატება). ვინ ნახა სადა, ან ნასახად სად არის „შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?“

ამრიგად, პირველი-მეორე და მესამე-მეოთხე ტაეების შინაარსობლივი შეუსაბამობა და რითმების სხვადასხვაობა მიგვიბრუნებს იმ გარემოებაზე, რომ პირველი-მეორე ტაეები დასაწყისიანოვანებად-რიტმიანი სტროფისა, ხოლო მესამე-მეოთხე — დასასრული რომელიდაც ებარე-რიტმიანი სტროფისა. მათ შორის კი აკლია ებარე და ოვნებად-რიტმიანი ტაეების წყება-ირკვევა, რომ „თამარიანის“ გვიანდელ გადამწერს ამ ორი სხვადასხვა სტროფის დასაწყის-დასასრული მექანიკურად შეუერთებია. XVIII-XIX საუკუნეების ზოგიერთ გადამწერს შერწყმული სტროფის ტაეებთა რითმების გასწორება უცდია, მაგრამ პირვანდელი რითმების კვალი ვერ წაუშლია მთლიანად.

2. ტრადიციული ტექსტის 75-ე სტროფს ვრცელი და საინტერესო ისტორია აქვს. ნ. მარიდან მოყოლებული დღევანდლამდე ვერ ნახავთ ვერც ერთ მკვლევარს, რომელსაც თუკი „თამარიანის“ შესახებ საყურადღებო ნარკვევი დაუწერია, რაიმე მოსაზრება არ გამოეთქვას ამ სტროფის ტაეებზე. ეს იმით აიხსნება, რომ მასში მოთავსებულია ცნობილი გამოთქმა „მაშა, მეხელი, მაშა, მეხელი“, რომელიც მკვლევრებს ჩახრუხადის შესახებ ყველაზე უძველეს ბიოგრაფიულ ცნობად მიაჩნიათ. რამდენადაც მეცნიერებისათვის ჩახრუხადის ვინაობა-სადაურობის გამორკვევა ძლიერ საინტერესოა, იმდენად 75-ე სტროფი ყოველთვის მსჯელობის საგანი იყო და არის კიდევ. ს. კაკაბაძის გამოცემაში ეს სტროფი იკითხება ამგვარად:

არს ლხინთა მთობი, მართ ვათა მგმობი
 ვფრემის ძირთა ისართა მთლელი.
 თუ ქებად თქვენ ა, ბრძნად ქმნეს მათ ენა,
 გამომეტყველი რიტორებრ მთქმელი.

მაშა მე, ხელი! მაშა მეხელი,
 მით ვანგელობდე და ცა ვცნა ელი,
 ვინ აშენებ ბრმათ, ვინა შენებრ მათ
 თვალთ შეუდგამი ნათელი, ბნელი?

ციტირებული ტექსტის შესწავლის ისტორია 1902 წლიდან იწყება. ამ წელს ნ. მარმა ნაშრომში „Древнегрузинские одопис-цы“ წამოაყენა შეხედულება, რომ ჩახრუხაძე ჩამომავლობით მესხი პრეტია, დაბადებიდანვე მესხეთის მკვიდრი. მან თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიშველია 75-ე სტროფის ბოლო სამი ტაების შინაარსი:

„Если для твоего восхваления они (неверные) сделали мудрым свой язык, изобретательный, сочиняющий как ритор, то я, безумный, скиталец «мех»-ский (მაშა მეხელი), как могу быть ангелом и познавать небо горнее? Я, которого ты сотворила слепым и который не может выдержать таких очей, какие у тебя: свет ты затмила“¹.

შემდეგ ნ. მარი აღნიშნავდა: რაკი „თამარიანის“ ავტორი თავის თავს მეხელს უწოდებს, შეუძლებელია იგი მოხვევ იყოს. მეხელის სახით ჩახრუხაძე უთითებს ქართველი ტომის ჩვენთვის უცნობ (ან იქნება ნაცნობ) სახელწოდებაზე, რომელიც შეიძლება, წინათ სხვა ფორმით იხმარებოდა, როგორც მაგ.: ფხოვი (ძვ. ქართულით) და ფშავი (ახ. ქართულით). ქართულ ენაში ძლიერ გავრცელებულია ჰ-სა და ხ-ს მონაცვლეობა, რასაც ჩვეულებრივ მოსდევს ჰ-ს, როგორც სუსტი ბგერის, დაკარგვა. მაგ.: სპილო—ჰპილო—პილო, ხვასტაგი—ხვაჰტაგი—ხვატაგი, ნისკარტი—ნიჰკარტი—ნიკარტი და სხვ... ამის მსგავსად სიტყვა მეხელი (მეჰხელი) შეიძლება განვიხილოთ როგორც პარალელური ფორმა მესხელი-სა, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს მესხეთის მკვიდრს, მესხსო. „თუ წინამდებარე განმარტება სწორია,—დაასკვნის ბოლოს მკვლევარი,—მაშინ ჩვენი მეხოტბე წარმოშობით მესხი ყოფილა. მაგრამ ციტირებული ლექსის დამოუკიდებლადაც ოდების ავტორის წარმოშობა მესხეთიდან, ე. ი. იმ მხრიდან, რომელმაც საქართველოს კულტურის ისტორიაში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა, უფრო სინამდვილეა, ვიდრე სავარაუდო“².

¹ ТР, IV, 88. 53.

² იქვე, 88. 54; შდრ. ИАН, 1917, 88. 423.

როდესაც ნ. მარი ამ სიტყვებს წერდა, მან კარგად იცოდა შინაარსი „თამარიანის“ გლოსისა „მოკვეცს ძეთა ჩახრუხადეთა ექოთამარი, მეფე-წყლიანი“. მას სარწმუნოდ მიაჩნდა ის ცნობა, რომ ამ გლოსის თანახმად „თამარიანის“ ავტორად ითვლება ჩახრუხადე, მაგრამ ამავე დროს კატეგორიულად უარყოფდა ჩახრუხადის მოხევეობას: „Мнение о происхождении одописца из кавказского ущелья... встречает сильное возражение со стороны подлинных стихов самого автора“¹.

ნ. მარის ეს მსჯელობა, რომელიც 75-ე სტროფის მცდარი წაკითხვიდან გამომდინარეობს, არაფრით არ არის არგუმენტირებული. თუ ნ. მარი „თამარიანის“ ავტორად ჩახრუხადეს თვლიდა, მაშინ მასვე სარწმუნოდ უნდა მიეჩნია მეორე ტრადიციული ცნობაც ჩახრუხადის მოხევეობის შესახებ, რადგანაც გლოსაში გარკვევითაა აღნიშნული, რომ თამარის ნებოტენი ჩახრუხადე, მოხევეს ძე. მაგრამ თუ ნ. მარი ასე არ იქცევა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩახრუხადის მოხევეობის უარყოფით იგი ცდილობს ჩახრუხადე-რუსთაველის იგივეობის თეორიას მტკიცე საფუძველი მოუშალოს, თორემ ვინ დაუჯერებდა მას, რომ მოხევე ჩახრუხადე და მესხი რუსთაველი ერთი და იგივე პიროვნებააო?

შემდეგ: მეხელი მარისებური ეტიმოლოგია არ მართლდება არც მისი ხელოვნური ლინგვისტური ანალიზით და არც იმ კონტექსტით „თამარიანისა“, სადაც ეს სიტყვაა ხმარებული. როგორც თ. ჟორდანიას შენიშნავს, „მესხნი არას დროს იწოდებოდნენ მეხად“², რომ აქედან წარმოებულიყო მეხელი ან მეხური. ძველ წყაროებში მესხეთის მკვიდრთა აღსანიშნავად მიღებული იყო სიტყვა მესხი: „ესმა მესხთა ამბავი ესე“³, „მოირთნა მესხნი“ (იქვე, გვ. 316), „აცნობა ქართულთა და მესხთა“ (იქვე, გვ. 333), „აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი“ (იქვე, გვ. 289). პეტრე ქართველის ცხოვრების მთარგმნელი მაკარი მღვდელი თავის თავს ასე მოიხსენიებს: „მე, გლახაკმან მაკარხუცესმან მესხმან“⁴. „შორს რომ არ წავიდეთ, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ინტერპოლატორიც ხომ „ვინმე მესხი მეღექსე“-დ იწოდება? ასე რომ, თუ ჩახრუხადე წარმოშობით მესხი იყო, რო-

¹ TP, IV, გვ. 52.

² თ. ჟორდანიას, ქრონიკები, 1892, I, გვ. 119.

³ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1955, ტ. I, გვ. 41.

⁴ ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 1946, გვ. 272.

გორც ამას ამტკიცებს ნ. მარი, თავის თავს მეხელად კი არ მოიხსენებდა, არამედ მესხად.

1923 წელს მეხელის მნიშვნელობის გარკვევა სცადა პ. ინგოროყვამ ნაშრომში „ჩახრუხაისძე — პოეტი, მოგზაური“. მან ნ. მარის მოსაზრების საპირისპიროდ მოგვცა მეცნიერული დასაბუთების ცდა ჩახრუხაისძის სადაურობის შესახებ არსებული ტრადიციული შეხედულებისა:

„შთამომავლობით, — წერს მკვლევარი, — ჩახრუხაისძე საქართველოს მთეულეთიდან ყოფილა. «თამარიანის» ბოლოსიტყვაობაში, რომელიც XIII საუკუნეშია დაწერილი, 1213 წლის ახლო, პოეტს ეწოდება: «მეყევე». ამის მიხედვით ჩახრუხაისძის სამშობლო თემი ყოფილა «ჭევი» (ე. ი. მთეულეთის ის კანტონი, რომელიც აკრავს დარიალანის ხეობას). თვითონ პოეტს ერთ ოდაში (VII, 28) თავისი თავი მოხსენებული ყავს ასეთის სახელწოდებით: «მეხელი» («მაშა მეხელი» — ე. ი. მწირი-მოგზაური მეხელი). ეს სახელწოდება პოეტისა, ცხადია, ნაწარმოებია პოეტის სამშობლო დაბიდან, ისევე როგორც სხვა იმდროინდელ პოეტთა ან ისტორიულ პირთა სახელწოდებანი: რუსთველი, თმოგველი, ფანასკერტელი და სხვა. პოეტის ამ სამშობლო დაბის სახელი ჩანს ყოფილა: «ეხი» — აქედან «მ-ეხ-ელი», შეუდარეთ: «ეგრისი», აქედან — «მ-ეგრ-ელი»; «ეგვიპტე», აქედან «მ-ეგვიპტ-ელი»). პოეტის ეს სამშობლო სოფელი «ეხი» დღეს ამ სახელით აღარ არსებობს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში თვითონ ნომენკლატურა ამტკიცებს, რომ პოეტი მართლაც საქართველოს მთეულეთიდან ყოფილა: სიტყვა «ეხი» გარკვეულ პროვინციალიზმს წარმოადგენს და ეკუთვნის მთის ქართულ კილოებს“¹.

პ. ინგოროყვას ეტიმოლოგია მეხელის შესახებ ერთი შეხედვით დამაჯერებლად მოჩანს. მართლაც, ძველ ქართულში სადაურობის მაწარმოებელი აფიქსებია **მ-ელ** და ამ აფიქსებით უამრავი სახელია წარმოებული. მაგ.: მ-როგ-ელ-ი, მ-აჩაბ-ელ-ი, მ-აწყუერ-ელ-ი, მ-აჭარ-ელ-ი, მ-არგუ-ელ-ი და სხვა. ამიტომ მეხელის ინგოროყვასეული ინტერპრეტაცია მორფოლოგიური თვალსაზრისით საეჭვო არ იქნებოდა, თუკი ასეთი განმარტება კონტექსტს შეეფარდებოდა და გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიც ეხის სახელწოდებით რომელიმე სოფელი ან დაბა იქნებოდა ცნობილი. მაგრამ საქმე იმაშია, რომ გეოგრაფიული ნომენკლატურა

¹ „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 279.

ეხის სახელით არ იცნობს არც სოფელს და არც დაბას¹. ამას არც პ. ინგოროყვა უარყოფს, თუმცა ეს გარემოება მას სრულიად არ აფერხებს, რომ მეხელი გეოგრაფიული სახელიდან ნაწარმოებ ზედწოდებად აღიაროს. მკვლევარი კმაყოფილდება მხოლოდ ლიტონი განცხადებით, დამატებით განმარტებათა წარმოდგენას კი ცალკე „სპეციალურ ექსკურსში“ გვპირდება. სამწუხაროდ, ეს სპეციალური ექსკურსი „თამარიანის“ საკითხების შესახებ დღემდე არ გამოქვეყნებულა. ამიტომ აქ მასზე ვერაფერს ვერ ვიტყვით გარდა იმისა, რომ პ. ინგოროყვას მოსაზრება მეხელის შესახებ დაუსაბუთებელია და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მიუღებელიცაა.

1924 წელს აღძრული საკითხის ირგვლივ თავშეკავებული მოსაზრება წამოაყენა კ. კეკელიძემ:

„ჩვენში განმტკიცებულა ტრადიცია, — წერს იგი, — რომლითაც «თამარიანის» ავტორი არის ხევის მცხოვრები, მოხევე, გვარად ჩახრუხაძე. პოეტი რომ მოხევეა, ამ ტრადიციას საფუძვლად უნდა ედოს თვით მისი სიტყვები: «მაშა მე, ხელი, მაშა მეხელი». ძნელია მეხელის ნამდვილი მნიშვნელობის გაგება და დადგენა, მაგრამ ცხადია ის გაუგიათ ხევიდან წარმომდგარი მეხევის ან მოხევის მნიშვნელობით“².

ვფიქრობთ, არც ეს მოსაზრება შეეფარდება სინამდვილეს და აი რატომ:

ძველ ქართულში ხევის მცხოვრების აღმნიშვნელად იხმარებოდა ტომობრიობის გამომხატველი ტერმინი, წარმომდგარი ჯევი-ძირიდან სხვადასხვა მაწარმოებელი აფიქსებით: მო-ჯევი-ე, მე-ჯევი-ე, მო-ჯევი-ელ-ი, მე-ჯევი-ელ-ი, ჯევი-ელ-ი. საკუთრივ ჯევი-ი ძველი ქართული სიტყვაა, იგი, როგორც ცნობილია, აღრინდელ ფეოდალურ ხანაში აღმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა³. გამოთქმა „ჯევი კლარჯეთისა“ ნიშნავდა კლარჯეთის მხარეს, „ჯევი კახეთისა“ — კახეთის მხარეს. მაგ.: ევსტათი მცხეთელი ამბობს: „მე სოფლისა სპარსეთისაჲ ვიყავ,

¹ არხატში ყოფილა ერთი ადგილი, რომელსაც ეწოდება „ლამბერდის ეხი“. ბეს. გაბუურის განმარტებით ეხი არის „გამოქვავებული კლდე, ავდრის დროს თავშესაფარი“... (ა. შანიძე, ხევსურული მასალების ლექსიკონი: ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადი, I—II, 1923—24, ნახეთ: ეხი).

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 144.

³ И. Джавахишвили, Государственный строй древней Грузии и древней Армении, ТР, VIII, 1905, გვ. 33—35; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 501—502, სქოლიო.

წევრისა არ შაკეთისაჲ, ქალაქისა განძაკისაჲ ვიყავ¹. „კოლელთა წამებაში“ ვკითხულობთ: ამბავი, რომელიც აღწერილია აქ, მოხდა „თავსა ზედა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქჳან მტკუარი, წევსა, რომელსა ჰრქჳან კოლაჲ“². ამავე მნიშვნელობით ხმარობენ სიტყვას წვევი სუშბატ დავითის-ძე: „მოიწივნეს წევსა შავ შეთისასა“³, ისტორიკოსი ლეონტი მროველი: „წევსა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია“⁴; და სხვ. მოხვევების ახლანდელი ადგილსამყოფელიც ძველად წარმოდგენდა გარკვეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, რომელიც, აგრეთვე, წევრის სახელწოდებით იყო ცნობილი, და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს მოკვევებს უწოდებდნენ. ამიტომ არა გვგონია რომელიმე ძველ მწიგნობარს წევრისაგან წარმომდგარი ტომობრიობის გამოხატველი სიტყვა მეკვევე (ან მოკვევე) შინაარსობლივად გაეიგავებინა მეხელთან, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს რა ტომობრიობის აღმნიშვნელ ძველ ქართულ ტერმინებთან. თუ ეს ასეა, მაშინ ყოველად წარმოდგენილია ტრადიციული გადმოცემა ჩახრუხადის მოხვევობის შესახებ აღმოცენებულიყო მეხელის მოკვევედ გააჩრების ნიადაგზე.

1927 წელს მეხელისა და მოკვევის მნიშვნელობათა განმარტება სცადა ს. კაკაბაძემ. იგი მსჯელობდა ამგვარად:

ჩახრუხადე და რუსთაველი არიან ძმები, „მოკვევეს ძენი“, მესხეთის ხეობის მკვიდრნი. ჩახრუხადე „შესხმაში თავის თავს მაშა მეხელ-ს უწოდებს, რაც ნიშნავს მესხელ მოსიარულეს (მიმომსვლელს). ამისდა მიხედვით, ჩახრუხადე და შოთა სჩანან მესხებად და იმავე დროს მოხვევებად“. ძველად მოკვევე არ ნიშნავდა მხოლოდ თერგის ხეობის, ე. ი. ახლანდელი ხევის მკვიდრს, მაშინ მოხვევებად იწოდებოდნენ სამცხის ხევის (თუ ხეობის) მაცხოვრებლებიცო. „მაშასადამე, როდესაც მესხი ჩახრუხადე თავისს თავს და დიდ მოშაირე თავისს ძმას (იგულისხმება შოთა რუსთაველი, ი. ლ.) უწოდებს მოკვევე-ს, აქ უნდა იგულისხმებოდეს მათი სამცხის წვევიდან (შემდეგდროინდელ კეობიდან) წარმომავლობა“⁵.

¹ ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 1946, გვ. 45.

² TP, V, 1903, გვ. 55; ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, 1944, გვ. 184.

³ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 376.

⁴ იქვე, გვ. 131.

⁵ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1927, გვ. LXXV—LXXXI; შდრ. ჩახრუხადე, თამარიანი, 1937, გვ. 11—12.

ამრიგად, ს. კაკაბაძემ ტრადიციული ცნობა და ნ. მარის დაუსაბუთებელი მოსაზრება ჩახრუხადის სადაურობის შესახებ შინაარსობლივად დაუკავშირა ერთმანეთს და ჩახრუხადე მესხეთის ხევის მკვიდრად, ე. ი. მოხევე მესხად წარმოგვიდგინა.

მეხელის ეტიმოლოგიის საკითხში განსაკუთრებული პოზიცია დაიჭირა შ. ნუცუბიძემ. მან 1942 წელს „თამარიანის“ რუსული თარგმანის წინასიტყვაობაში აღნიშნა, რომ პირდაპირ ჩვენებათა და ისტორიულ ცნობათა უქონლობის გამო ძნელია დადგენა არა მარტო პოეტის დაბადების წლისა, აღზრდის პირობებისა და მისი სოციალური მდგომარეობისა, არამედ იმისაც, თუ იგი რომელი მხრიდანაა წარმოშობილი,—და იქვე დასძინა:

„Заявление поэта о том, что он «мехели», Н. Я. Марр был склонен одно время читать как «ме[с]хели», что означало бы месхский, т. е. что поэт был из Месхети, что нужно было Н. Я. Марру для неудавшейся попытки отождествить Чахрухадзе с месхом — Руставели. Другие толкования этого слова также мало убедительны“¹.

მიუხედავად ამ განცხადებისა შ. ნუცუბიძემ ს. კაკაბაძის მოსაზრება „მესხელი მოხევის“ შესახებ დამაჯერებლად მიიჩნია და სადავო ტერმინი მეხელი თარგმნა როგორც Месх из ущелья (მესხი ხეობიდან).

75-ე სტროფი რუსულ თარგმანში იკითხება ამგვარად:

Враг всех излишеств, чужд он и пиршеств,
Стрелы из корня высекающий —
Кто ж славословья иль мудрословья
Риторски мысли изрекающий?!
Чужд ли веселья месх из ущелья,
Чтобы не славить свод сверкающий?!
Вижу, хоть слепо, в синее небо
Луч что вознесся ослепляющий?²

ეს თარგმანი ქართული ტექსტიდან ძლიერ დაშორებულია... თუ რამდენად შეესატყვისება თარგმანის პირველი ტაეპი დედანს, ამის შესახებ სამართლიანად შენიშნა ა. ბარამიძემ³. ორიგინალით

¹ Чахрухадзе, Тамариани, 1942, стр. 21—22; Ш. Нущубидзе, Руставели и восточный Ренессанс, 1947, стр. 207.

² იქვე, გვ. 143.

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 289—290.

დავით სოსლანი ითვლება ეფრემიანად, ე. ი. იოსებ მშვენიერის ძის, ეფრემის, ჩამომავლად, შ. ნუცუბიძე კი შესიტყვებას „ეფრემის ძირთა ისართა მთლელი“ თარგმნის როგორც *стрелы из корня высекающий*, — რაც არსებითად სხვა შინაარსის შემცველია. ასევე, როგორც ქვევით დავინახავთ, დანარჩენი სამი ტაეპის თარგმანიც არ გადმოსცემს იმ აზრს, რომელიც გააჩნია ქართულ ტექსტს. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სტროფის წანაკითხები დამახინჯებულია და მთარგმნელს მათში ჩადებული შინაარსის ამოსაცნობად აზროვნების ძლიერი დაძაბვა უხდება.

1951 წელს კ. კეკელიძემ კვლავ განაცხადა, რომ „ძნელია მეხელი - ს ნამდვილი მნიშვნელობის გაგება და დადგენა“¹. დიდი მეცნიერის ეს განცხადება ლიტონი სიტყვა როდია. ცნობილია, რომ მას თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე არაერთხელ უცდია „თამარიანის“ პრობლემების ახლებური თვალსაზრისით განხილვა, მაგრამ მისმა ცდებმა ძველი ქართული ლიტერატურის კომპეტენტური მკვლევარი მეხელის მნიშვნელობის დადგენისას სკეპტიკურ დასკვნამდე მიიყვანა.

აღძრულ საკითხს ასევე ღიად ტოვებს ა. ბარამიძე: „თუ მეხელი მართლაც მესხს ნიშნავს, — წერს იგი, — (როგორც ამას ზოგი მკვლევარი ამტკიცებს), მაშინ ჩახრუხადე უკავშირდება მესხეთს. არსებული წყაროები არ იძლევა ამ საკითხის დაზუსტებითი გადაწყვეტის საშუალებას“².

დასასრულ, მეხელის შესახებ მცდარი მოსაზრება გამოთქვა გ. ჟორდანიამ წიგნში „მეხურელნი“. იგი წერს: „შესაძლებელია კიდევ «მეხურელი»-ს შეკვეცილ ფორმას წარმოადგენდეს მეცნიერულ ლიტერატურაში კარგად ცნობილი «მეხელი» და «მეხი»“³.

ამრიგად, ვამთავრებთ რა 75-ე სტროფის შესწავლის ისტორიას, უნდა დავასკვნათ: 1. სტროფის შინაარსი არ არის გახსნილი, 2. მეხელი გაგებულია ან როგორც ტომობრიობის გამომხატველი, ეთნოგრაფიული ტერმინი მეხელი (ნ. მარი), მეხი მობევე (ს. კაკაბაძე, შ. ნუცუბიძე), ან როგორც გეოგრაფიული სახელიდან ნაწარმოები ზედწოდება — მეხელი-ი (პ. ინგოროყვა), 3. „ძნელია მეხელი - ს ნამდვილი მნიშვნელობის გაგება და დადგენა“

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1951, ტ. II, გვ. 160.

² ა. ბარამიძე და კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1954, გვ. 251; შდრ.: ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 257.

³ გ. ჟორდანი, მეხურელნი, 1956, გვ. 40.

(კ. კეკელიძე), 4. არსებული წყაროები არ იძლევა მეხელის მნიშვნელობის „დაზუსტებითი გადაწყვეტის საშუალებას“ (ა. ბარამიძე), 5. მეხელი წარმოადგენს შეკვეცილ ფორმას სიტყვისას მეხურელნი (გ. ჟორდანიანი).

კითხვა იბადება: რითაა გამოწვეული აზრთა სხვადასხვაობა, ან ის სიძნელე, რომელიც დაკავშირებულია მეხელის მნიშვნელობის გაგება-დადგენასთან?

— უპირველესად იმიტო, რომ მეხელის მნიშვნელობის გასარკვევად თვით საკითხია არასწორად დაყენებული. ყველა მკვლევარი მის მნიშვნელობაში ეძებდა და ეძებს ტომობრიობის გამომხატველ ტერმინს (მესხელი, მეხევე, მესხი ხეობიდან), ან გეოგრაფიული სახელიდან შემუშავებულ ზედწოდებას (მ-ეხ-ელ-ი) და არავინ არ დაინტერესებულა იმ საკითხით, თუ მოცემულ კონტექსტში ეთნოგრაფიული, ან გეოგრაფიული სახელი რამდენად შეესატყვისება შინაარსობლივად საინტერპრეტაციო ტაეპის მთლიან აზრს.

მეორე მხრით, მეხელის მნიშვნელობის დაზუსტებას ართულებს ის გარემოება, რომ საერთოდ 75-ე სტროფი, სადაც ეს სიტყვაა დამოწმებული, ტექსტუალურად ძლიერ დაზიანებულია.

„თამარიანის“ ძველი (ABCDEF) ხელნაწერების მიხედვით შესაძლებელი ხდება ამ უაღრესად საკამათო სტროფის დაზიანებული წანაკითხები აღვადგინოთ და მასში დაფარული შინაარსი ამოვიცნოთ. სტროფის პირველი ნაწილი ყველა ნუსხაში თითქმის ერთნაირად იკითხება. ასე რომ, მისი აღდგენილი რედაქცია იქნება:

არს ლხინთა შთმობი, მართ ვითა მგმობი,
ეფრემის ძირთა ისართა მთლელი.
თუ ქებად თქვენად ბრძნად ქმნეს მათ ენა,
გამომეტყველებრ, რიტორებრ მთქმელი...

სტროფის მეორე ნაწილში ძველი ხელნაწერები ვარიანტულ სხვაობებს იძლევიან:

A: მაშა. მეხელი. მაშამეხელი.
მით. ვამგებლობდე. დაცავცე. ნალი:
ვინაშენებრად. ვინაშენ. ებრად.
თვალთ. შეუდგამი. ნათელი. მთენი:

B: მაშა: მეხელი: მაშა: მეხელი:
მით: ვამგებლობდე: დაცავცენელი:

ვინა: შენებრად: ვინა: შენებრად:
თვალ: შეუღდამი: ნათელი: ბ ნ ე ლ ი :.

C: მაშამახელი მაშა მახელი
მით ვ ა მ გ ე ბ ლ ო ბ დ ე და ცავს ცელი:

E: მაშ ამახელი მაშამე ხელი
მით ვამგელობდე დაცა ვსცნა ენალი.

F: მაშა: მე კელი: მაშა: მე: კელი:
მით: ვამგებლობდე: დაცა: ვსცე: ნალი:.

H: მაშა მე ხელი, მაშამე ხელი.
ვით ვამგელობდე. და ცა ვსცნა ელი:

ნ. მარმა, რომელმაც არ იცოდა ჩამოთვლილი ნუსხების არსებობა, 75-ე სტროფის ბოლო ორი ტაეპი H ნუსხისებური წანაკითხებისა და ბექტური გამოცემების მიხედვით გამართა, მაგრამ მან ვერ აღადგინა ტაეპთა პირვანდელი სახე და, მაშასადამე, მაშა მეხელის ნამდვილი მნიშვნელობაც ვერ ვანსაზღვრა: ABCF ნუსხების შესაბამისად მესამე ტაეპის აოდგინილ ტექსტი ასე გვესახება:

მაშა, მეხელი, მაშა, მეკელი,
მით ვამგებლობდე, და-ცა-ვსცე ნალი.

რომ ტაეპის შინაარსი გასაგები გახდეს, აქვე შევეცდებით თითოეული სიტყვის მნიშვნელობის განსაზღვრას.

ა. ვამგებლობდე XIX საუკუნის უმეტეს ნუსხებში იკითხება როგორც ვამგელობდე. უკანასკნელი წაკითხვა ნ. მარმა შეცვალა სიტყვით ვანგელობდე (ვანგელობობდე), მაგრამ ეს არ არის სწორი. „თამარიანის“ ABCF ნუსხებში გარკვევით წერია: ვამგებლობდე. ცხადია, სიტყვა ანგელობა აქ არაფერ შუაშია. ძველი ქართულით მგები, მგებელი არის „მოპასუხე“, „სიტყვის პასუხის მიმცემი“ (საბა). ძველ, საქრისტიანო მოძღვრებათა სახელმძღვანელოებში ხშირად შეხვდებით გამოთქმას კითხვა-მიგება. ეს გამოთქმა შეესატყვისება დღევანდელი მნიშვნელობით კითხვა-პასუხს. მგებელი-დან მიღებულია მგებლობა (შდრ: პასუხის-მგებელი, პასუხის-მგებლობა, სიტყვის-მგებლობა). ასე რომ, „თამარიანში“ დამოწმებული ზმნა ვამგებლობდე ნიშნავს: კითხვაზე პასუხს ვაგებდე, პასუხის-მგებლობა, სიტყვის-მგებლობა, ან დიალოგში მოპასუხეობა ვიკისრო.

ბ. და-ცა-ვსცე ძლიერ გავრცელებული ენობრივი ფორმაა, რომელსაც გრამატიკაში ტმესს უწოდებენ. შეიძლება იგი დაწერილიყო სხვანაირადაც: დავსცე-ცა (ანუ დავსცე-კიდეც). „თამარიანიში“ რამდენიმე შემთხვევაა ტმესის ხმარებისა: წამო-ცა-ვიდეს (წამოვიდეს-ცა), და-ცა-დებულად (დადებულად-ცა), მო-გლახ-ველოდი (გლახ მოველოდი), ზმნა დავსცე მიღებულია საწყისიდან დაცემა. ამ სიტყვას ძველ ქართულში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს: დამდაბლება ან გაგმერა (მტრისა), დაკვრა (საყვირისა), გაშენება (ვენახისა), მოჭრა (დრამისა), მაგრამ მოცემულ კონტექსტში „თამარიანის“ დაცემა არც ერთ ამ მნიშვნელობას არ შეესატყვისება; იგი აქ დამოწმებულია მოვიმარჯვო-ს (ხელში ავილო-ს) მნიშვნელობით. ამ გაგებით დაცემა გვხვდება იოანე ჭიმჭიმელის ლექსში, რომელიც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ბოლოსაა მიწერილი:

თუ თალი მილისეველმან სფერო შესაზა შამსისი,
მან ისტრულაბსა დასცა და მიდგა დაყიყა ჯამსისი¹.

დაცემა ამავე მნიშვნელობითაა ნახმარი სასულიერო პოემაში „ალექსიანი“:

სად არ გავა საუბარი, მაშინ უნდა დროს დაცემა².

გ. ნალ-ი სპარსული სიტყვაა ქს და ქართულად ითარგმნება როგორც ლერწმის კალამი, რომელსაც ძველად საწერად ხმარობდნენ (გაფაროვი, მიუღერი).

მაშასადამე, ტაეპის მეორე ათმარცვლელი „მით ვამგებლობდე, და-ცა-ვსცე ნალი“ ახალი ქართულით ნიშნავს: [რომ] მით სიტყვის-მგებლობა (დბალოგში მოპასუხეობა) ვიკისრო და ლერწმის კალამიც [საწერად] მოვიმარჯვო (ხელში ავილო).

ახლა თუ ამ ტექსტს სინტაქსურად გავარჩევთ, პირველი ათმარცვლელის მნიშვნელობასაც ადვილად მივაკვლევთ. გაშიფრული ტექსტი დამოკიდებული წინადადებაა უკავშირო ქვეწყობილი წინადადებისა: „მაშა, მეხელი, მაშა, მეგელი, [რომ] მით ვამგებლობდე, და-ცა-ვსცე ნალი“, ხოლო მთავარ წინადადებად გვევლინება „მაშა, მეხელი, მაშა, მეგელი“. ნ. მარის განმარტება თო ა, ნეყუმ-

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედაქციით, 1941, გვ. 140; ი. ლოლაშვილი, იყალთოელისა და ჭიმჭიმელის იამბიკოებისათვის („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1950, № 35).

² ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, I, 1946, გვ. 402; სტროფი 71.

ный, скиталец мехский, ან შ. ნუცუბიდის თარგმანი чужд ли веселья мех из ушелья სრულიადაც არ შეესატყვისება მოცემული კონტექსტის შინაარსს. რაკი „მაშა, მეხელი, მაშა, მეველი“ მთავარი წინადადებაა უკავშირო ქვეწყობილი წინადადებისა, ბუნებრივია, მასში საძიებელია წინადადების მთავარი წევრები: ქვემდებარე და შემასმენელი. ნ. მარისა და შ. ნუცუბიდის თარგმანები ამ საძიებელ წევრებს გამოორიცხავენ. პირველ ათმარცვლედში შ ა შ ა , მ ე ხ ე ლ ი ო რჯერაა გამეორებული, მაგრამ მათი მნიშვნელობა სხვადასხვაა და სწორედ ამაში ვლინდება ჩახრუხადის პოეტური მეტყველების თავისებურება. ჩახრუხადისათვის დამახასიათებელია ზმური (ომონიმური) გამოთქმები. ხშირად იგი ერთ და იგივე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობს: „მისცა დავალნი (სახელმწიფოები), ჯმელთა დავალნი (დასალიერი)“. პოეტი ზმური სიტყვების მთელ წყებასაც იძლევა: „მანგლის პირითა (მანგლისის მისასვლელიდან), მანგლის პირითა (ნამგლის პირით)“, ან: „შენ მისნი ერნი (შენ აჯადოებ, ხიბლავ ხალხს), შენ მისნი ერნი (შენ მისი ჯარი)“¹ და სხვ. ასეთივე ომონიმური გამოთქმებია: „მაშა, მეხელი, მაშა, მეველი“.

რას ნიშნავს პირველი შ ა შ ა , მ ე ხ ე ლ ი ?

ნ. მარის აზრით, ეს შ ა შ ა შემოკლებული ფორმაა სიტყვისა შ ა შ ა ს ა დ ა მ ე , მაგრამ ასეთი გაგება არასწორია. შ ა შ ა ^{مشا} სპარსულ-არაბული ფილოსოფიური ტერმინია და ქართულად ნიშნავს არისტოტელეს მიმდევარს, არისტოტელეანელს, პერიპატეტიკოსს. მეხელი თხოვნითი-ბრძანებითი ენიანი ვნებითი გვარის ზმნაა, რომელიც ნაწარმოებია საწყისიდან ხლება. იგი დაიშლება ამგვარად: მ-ე-ხ-ელ-ი. მისი პარალელური ფორმაა მეახელი (ე. ი. მომეახლე, ჩემთან ახლოს მოდი), სადაც ა-პრეფიქსი ფუძის განუყრელ ნაწილადაა ქცეული. ძველ ქართულში გვხვდება, აგრეთვე, ძლიერ იშვიათად ამ ზმნის ენიანი ვნებითის ისეთი ფორმებიც, სადაც ა-პრეფიქსი ფუძესთან არ არის შეხორცებული. მაგ.: ე-ხლ-ებ-ი-ს: „შიშისაგან მისისა ვერ მიეხლებოდეს [ახლოს ვერ მიდიოდნენ, ვერ მიახლებოდნენ] სარკინოზნი“ (კიმენი, I, გვ. 22)². მეხელი სწორედ ფუძესთან ა- შეუ-

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, გვ. 33-34.

² ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ექველ ქართულში, 1954, გვ. 135, 279. შდრ. სიტყვები: მ-ხლ-ებ-ელ-ი და მი-(ა)-ხლ-ებ-ულ-ი.

ხორცებელ ფორმათა კატეგორიას ეკუთვნის. ამრიგად, პირველი მაშა მეხელი ნიშნავს: არისტოტელეანელო, მომეახლე, მეახელი (ე. ი. მოდი ჩემთან ახლოს).

რას ნიშნავს მეორე მაშა, მეჯელი?

ნ. მარის აზრით, მეორე მაშა არაბული სიტყვაა, რომელსაც ქართულად შეესატყვისება სიტყვები: მოხეტიალე, მრავალმოსიარულე, მოგზაური. ეს მნიშვნელობა დაუდო საფუძვლად პ. ინგოროყვამ თავის ცნობილ ნარკვევს „ჩახრუხაისძე — პოეტი, მოგზაური“. მისი აზრითაც, ჩახრუხაძე არის მაშა, ანუ „მრავალმოსიარული, ე. ი. მჭირი-მოგზაური, რომელიც ყარიბად იყო უცხოეთში“¹. ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ ეტიმოლოგიას. მაშა ქართული სიტყვაა და ძველად იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დღეს სიტყვები მაშ ან აბა.

რაც შეეხება სიტყვას მეჯელი, იგი არც ტომობრივობის აღმნიშვნელი ტერმინია (მესხელი, მეჭევე) და არც გეოგრაფიული სახელიდან მიღებული ზედწოდება (მ-ეხ-ელ-ი). კონტექსტით ეს მეჯელი თხოვნითი-ბრძანებითი, ენიანი ვნებითი გვარის ინვერსიული ზმნაა და წარმოქმნილია არსებითი სახელიდან ჯელ-ი. იგი დაიშლება ამგვარად: მ-ე-ჯელ-ი. მისი საწყისი ფორმა უნდა იყოს ჯელვა, რაც ნიშნავს ხელქვეშ ყოფნას, აგრეთვე, აელის დადებას, მფარველობას. ამ სიტყვის ზმნურ ფორმებს სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს შემდეგნაირად: „**გველაგ** ჯელ-ქვეით მყავხარ, **ვველაგ** ჯელ-ქვეშ მყავს, **გიველყვის** ჯელქვეშე შენსა არს“². ლეონტი მროველის თხზულებაში³ დამოწმებული სიტყვა ჯელადნი (ხელქვეითნი, ხელქვეშ მყოფნი) და „ვისრამიანის“⁴ მოჯელება (ხელთ გდება, დაპატრონება, დაუფლება)

¹ „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 291.

² ქართული ლექსიკონი, ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედ., 1928. ხევისურულ, თუშურ, კახურსა და ქიზიყურში დამოწმებულია ზმნა მო-ვ-ჯელ-ე მნიშვნელობით ვიკოვე: „ერთი ჯიხვ დაჭრილი წამივიდ და იმის დევაში წრიაპებს სრუ წვერებ ჩასწყდ, ძლივს სადამ მავჯელი დაჭრილი“ (ბ. გაბუშური, ხევისურული მასალები: „წელიწდული“, I—II, გვ. 195—196; ნახეთ იქვე ლექსიკონი, შედგენილი ა. შანიძის მიერ, გვ. 316). ქიზიყელი გლეხებისაგან ხშირად გამოიგონია: „ვერ მოვქვლე სალაპარაკოთ“, ე. ი. სალაპარაკოდ ვერ ვნახე (ვერ მოვიგდე ხელში) და სხვ.

³ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 13.

⁴ ვისრამიანი, 1939, გვ. 23. შდრ.: დააჯელეს, მოიჯელეს, მოაჯელა და სხვ.

იმას ადასტურებს, რომ კლასიკური ქართულით გელვა და მო-
გელეა აღნიშნავდა ხელქვეშ ყოფნას, დაპატრონებას. სიტყვა
მე-გელ-ი ისეთივე წარმოებისაა, როგორც „თამარიანში“ დამოწ-
მებული სიტყვები მ-ე-წყალ-ი („ასრე მეწყალი, რომე თვალთა-
გან“), ან გ-ე-წყალ-ი („ვიცი გეწყალი, დამნთქამს მეწყალი“),
ან კიდევ არსებითი სახელიდან წარმოქმნილი ზმნები: მ-ე-ძმ-ე
(ძმობა გამიწიე), მ-ე-შვილ-ე (შვილობა გამიწიე), მ-ე-ფარ-ე (ფარო-
ბა გამიწიე) და მისთანები. ასე რომ, მეგელი არის ზმნა თხოვ-
ნით-ბრძანებით კილოს ფორმით, რომელიც თავისი შინაარსით
მრავალგზისობასაც უთითებს¹, და ახალი ქართულით ნიშნავს:
მემფარველე (მფარველობა გამიწიე), მიპატრონე, შენს ხელქვეშ
მამყოფე.

ზემოთქმულის შემდეგ 75-ე სტროფის მესამე ტაეპის შინაარ-
სი ასე გვესმის: არისტოტელეანელო, მომეახლე, მაშ, მფარველობა
გამიწიე, მიპატრონე (შენს ხელქვეშ მამყოფე), რომ მით სიტყვის-
მგებლობა (დილოგში მოპასუხეობა) ვიკისრო და ლერწმის კალა-
მიც (საწერად) მოვიმარჯვო.

ტაეპის ამნაირ გაშიფრვას მხარს უჭერს ჩახრუხადის
ფილოსოფიური მსოფლმხედველობაც. როგორც ცნობილია,
ჩახრუხადე იწყებს რა თამარის შესხმას, ამ ძნელ და საპასუხის-
მგებლო საქმეში დამხმარედ იწვევს ფილოსოფოსებსა და პოეტებს:
დიონისე არეოპაგელს, ენოსს, სოკრატეს, ჰომეროსს და პლატონს,
მაგრამ მათ შორის ყველაზე მაღლა აყენებს არისტოტელეს, რო-
მელსაც პოეტი საგანგებოდ სთხოვს, რომ თამარს მან უძღვნას
საფერი ქებანი:

არისტოტელო, ბრძენთა ტომელო,
თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა,
ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა:
ვერაგინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა.

ამ შემთხვევაშიც, როდესაც ჩახრუხადეს სურს ლერწმის კა-
ლამი ხელში აიღოს და სიტყვის-მგებლობა იკისროს, მფარველობის
გასაწევად იწვევს მაშას, ე. ი. პერიპატეტიკოსს — არისტოტე-

¹ ნამყო ხოლმეობითისაგან ბრძანების გამოსახატავად ნასესხები ფორმების
შესახებ იხილეთ ა. შანიძის ნაშრომში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და
ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, 1920, გვ. 27.

ლეს მიმდევარს (არისტოტელეანელს): „მაშა, მეხელი, მაშა, მეჭელი!“

დიდი ჰომეროსი თავის „ილიადას“ იწყებს მუზების ქალღმერთისადმი მიმართვით:

მიმღერე, ღმერთქალო, რისხვა აქილევსის, პელეას ძისა.

დიდი რუსთაველი ღმერთს ევედრება, რომ

შენ დამიფარე, ძლევა მეც დათრგუნვად მე სატანისა,

მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდილმდე გასატანისა.

პოეტი შავთელი ნატრობს:

სამებით ღმერთმან, არსებით ერთმან

მომცეს მე სწავლა თქვენდა შემკობად.

ასევე ჩახრუხაძე, როგორც დიდი რანგის პოეტი, შესხმის დაწყებამდე უხმობს ხან ფილოსოფოსებსა და პოეტებს (მო, ფილოსოფნო) და ხან თავის საკუთარ გულს (გულო, აბა, მო). ამგვარივე პოეტური ამონამღერია ნახევარი საუკუნის განმავლობაში შეცდომით გაშიფრული ტაეპი:

მაშა, მეხელი, მაშა, მეჭელი,

მით ვამგებლობდე, და-ცა-ვსცე ნალი!

ახლა გადავიდეთ მეოთხე ტაეპის შინაარსობლივ ანალიზზე:

მისი წანაკითხები A ნუსხის გარდა ყველგან ერთნაირად იკითხება. A-ში 75-ე სტროფის ტაეპთა რითმებია: ელი, ელი, ენალი და ენი. როგორც ზევით აღვნიშნეთ, რითმათა ასეთი სიჭრელე ჩახრუხაძის ლექსებს არ ახასიათებს. რომ პირველი ორი ტაეპის რითმაა ელი, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. მესამე ტაეპის რითმაც, ცხადია, ელი უნდა იყოს. მაგრამ ნუსხებში ეს ასე არ არის. აღდგენილი ტექსტის მიხედვით მისი რითმაა ენალი და არც ამაში შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა. ამისათვის მეოთხე ტაეპის რითმა ყოველ მიზეზს გარეშე უნდა შეესატყვისებოდეს მესამე ტაეპის ენალი-რითმას, მაგრამ მისი სარითმო სიტყვა ბოლოვდება ენი-ზე (ან ელი-ზე). თუ A ნუსხაში წერია მთენი, დანარჩენ ნუსხებში მის მაგიერ წერია ბნელი. ჩვენის აზრით, სიტყვა ბნელი ნუსხებში გაჩნდა მას შემდეგ, როდესაც გაუგებრობის გამო მესამე ტაეპის რითმა ენალი შეუფარდეს პირველი ორი ტაეპის ელი-რითმას (ნახეთ B ნუსხის რითმები: ელი, ელი, ენელი, ელი). უძველეს ნუსხებში შეუძლებელია ბნელი წერებულა

იყო, რადგანაც თავისთავად გამოთქმა ნათელი ბნელი (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი მასში ფილოსოფიურ გააზრებას ხედავს) შინაარსობლივად გაუგებარია და არც წინა ტაეპის ენალი-რითმის შესატყვისია. რაკი მესამე ტაეპის რითმა ენალი, „თამარიანის“ მეოთხე ტაეპში უნდა წერებულებოდა ნათლის მ[ფ]ენ[ალ]ი. ამ თავდაპირველი წანაკითხიდან თანდათანობით მიღებულია: ნათელის მფენი, ნათელი მფენი, ხოლო ფ-სა და თ-ს აღრევის ნიადაგზე¹—ნათელი მთენი, სულ ბოლოს კი —ნათელი ბნელი. ჩახრუხადე ხშირად ხმარობს გამოთქმებს: შუქ-მფინარი, ჰფენს შუქსა მზებერ, შუქ-მფენსა და სხვ. ეს გარემოებაც გვაძლევს დამატებით საბუთს იმისას, რომ ნათელი მთენი-სა და ნათელი ბნელი-ს ნაცვლად ვიგულისხმობთ ნათლის მფენალი. ამრიგად, მეოთხე ტაეპის აღდგენილი ტექსტი ასეთია:

ვინ აშენებრად, ვინ ა შენებრად
თვალთ-შეუდგამი ნათლის მ[ფ]ენ[ალ]ი?...
.....

რაც ახალი ქართულით ნიშნავს: ვინც აშენე სულიერ არსებად, ვინ არის (მათ შორის, თამარ,) შენსავით „თვალთ-შეუდგამი ნათლის მფენალი?“

ახლა, რაკი 75-ე სტროფის ყველა ტაეპი ცალ-ცალკე გაშიფრულია, ნება გვიბოძეთ აქვე წარმოვადგინოთ მთელი სტროფი აღდგენილი სახით:

არს ლხინთა მთმობი, მართ ვითა მგმობი,
ეფრემის ძირთა ისართა მთლელი.
თუ ქებად თქვენად ბრძნად ქმნეს მათ ენა
გამომეტყველებრ, რიტორებრ მთქმელი...

.....
.....
.....
.....

¹ ფ-სა და თ-ს აღრევის შემთხვევები ხშირია. მაგ. „თამარიანის“ F ნუსხაში იკითხება ეფრემის ნაცვლად ეთრემი („ვინ ეთრემს თვისობს“), ხალიფას ნაცვლად ხალითას („ხალითას სისხლთა რად სდის ტენალი“).

ტოტელეანელო) მიმართვაა, მეხელი და მექელი — შემასმენ-
ლები, ხოლო მეორე მაშა — ჩართული სიტყვა.

დ. 75-ე სტროფი არ შეიცავს რაიმე ისეთ ცნობას, რომლი-
თაც ჩახრუხადის სადაურობის გარკვევა შეიძლებოდა.

3. ტრადიციული ტექსტის 75-ე სტროფის მესამე ტაეპიდან
(„მაშა, მეხელი“) რომ გადავთვალოთ 16 ტაეპი, კვლავ შევხვდებით
ორი სხვადასხვა სტროფის ორ-ორი ტაეპებისაგან შედგენილ
სტროფს, რომელიც მეორე ჯგუფის ხელნაწერებში 79-ე ნომერზეა
მოთავსებული. იგი ს. კაკაბაძის გამოცემაში იკითხება:

მომან გებით, მოე მანგებით
ჰყავ ბაღდადიცა გასაჩენალი.
არსად არსა რა, არსად არს, არა!
შენებრ უკლები და საჩენალი.
ბრძნად მაქებართა, ვჰჭურეტ მაქ ებართა,
მაშა სამგზავსოდ მით გძნობენ, ალი.
ანუ რა გნახო, რასა გასახო,
ნათლისგან კიდევ სხივ განსაცნალი.

ხელნაწერებში ამ სტროფის პირველი ორი ტაეპი კარგადაა
შენახული (საქიროა მხოლოდ სასვენი ნიშნების სწორად დასმა),
მესამე-მეოთხე ტაეპები კი დამახინჯებულია. BCF ნუსხებში ვკით-
ხულობთ:

B: ბრძნად: მაქებართა: ვსჭურეტ: მაქებართა:
მაშა: სამგზავსოდ: მით: გ რ ძ ნ ო ბ დ ე ს: ე ლ ი:
ანუ: რა: გ ნ ა ხ ო ს: რასა: გა ს ა ხ ო ს:
ნათლისგან: კიდევ: სხივ: გა ს ა ც დ ე ლ ი:

C: ბრძნად მაქებართა ვსჭურეტ მქიქებართა
მაშა სამგზავსოდ მით გრძნობდეს ელი
ანუ რა გნახო რასა გასახო
ნათლისგან კიდევ სხივ გასაცდელი.

F: ბრძნად: მაქებართა: ვსჭურეტ: მქიქებართა:
შაშა: სამგავსოდ: მით: გ ძ ნ ო ბ დ ე ს: ე ლ ი:
ანუ: რა: გნახო: რასა: გასახო:
ნათლისგან: კიდევ: სხივ: გა ს ა ც დ ე ლ ი:.

ტაეპი გასწორდა ამ ნუსხებისა და ნ. მარის კონიექტურის
(VIII, 13 — 15) გათვალისწინებით:

მოემან გებით, მოე მანგებით
 ყაგ ბალდადიცა გასაჩენალი.
 არსად არსა რა, არსად არს, არა,
 შენებრ უკლები და საჩენალი!...

.

ბრძნად მაქებართა ვჭვრეტ მქიქებართა:
 «მა-შამსა ჰგავსო» — მით გძნობდეს ელი,
 ანუ რა გნახოს, რასა გასახოს
 ნათლისგან კიდე სხივ-განსაცდელი?

ეს ნიშნავს: სტუმრებთან შეგებებით და მარგალიტების მი-
 ცემით «ყაგ ბალდადიცა გასაჩენალი». არსად არავინ არ არის შენ-
 სავით უკლები და საჩენალი!.. ბრძნულად ქების შემსხმელებს (ე.ი.
 მეხოტბე პოეტებს) ვხედავ მქიქებართა (გამომამაშკარავებელთ შენი
 სილამაზისას): (მომთაბარე) მაჰმადიანი ხმაშეწყობილად გაქებდეს:
 «(თამარ) მთვარესა და მზესა ჰგავსო», ან როდესაც მან (პირის-
 პირ) გნახოს, რასა გასახოს (ანუ: რას შეგადაროს) ნათლისგან
 კიდე სხივ-დასანახავი?

ამგვარად, 79-ე სტროფიც მექანიკურადაა შერწყმული; მისი
 პირველი ორი ტაეპი ენალი-რითმიანი სტროფის ფრაგმენტია,
 ბოლო ორი ტაეპი კი — ელი-რითმიანი სტროფის ნაწყვეტი, მათ
 შორის კი ჩავარდნილია ენალი-რითმიანი სტროფების მთელი
 წყება. გვიანდელ გადამწერებს პირველ ორ და ბოლო ორ ტაეპთა
 შორის შინარსობლივი ნახტომი ვერ შეუმჩნევიათ და, რაკი ეს ტა-
 ეპები ერთ სტროფში ყოფილა შერწყმული, სარიტმო სიტყვები
 «გძნობდეს ელი» და «სხივ-განსაცდელი» შეუცვლიათ წინა ორი
 ტაეპის შესაფერი სარიტმო სიტყვებით: «მგრძნობენალი» და «სხივ-
 განსაცნალი».

შერწყმული სტროფების განხილული სამი შემთხვევა გვაძლევს საბუთს ვივარაუდოთ, რომ რომელიღაც ძველი (XVII საუკუნემდე გადაწერილი) ნუსხა „თამარიანისა“ დეფექტური ყოფილა. მას ჰკლებია შიგადაშიგ ფურცლები. ნუსხის თითო გვერდზე დაწერილი იქნებოდა ოთხი (ან ხუთი) სტროფი, სადაც ყოველი მეოთხე (თუ მეხუთე) სტროფის პირველი ორი ტაეპი წერებულა გვერდის დასასრულს, მესამე-მეოთხე ტაეპები კი — მომდევნო გვერდის დასაწყისში. ასეთი დეფექტური ნუსხა ხელთ ჩავარდნია ვიღაც უცნობ გადამწერს, რომელსაც ვერ შეუმჩნევია, რომ ხელნაწერიდან ფურცლებია ამოხეული, და ტექსტი თავიდან ბოლომდე თანმიმდევრულად, არსებულ სტროფული წყობით გადაუწერია. წერის დროს მას სხვადასხვა ფურცელზე დაწერილი სხვადასხვა სტროფის ორ-ორი ტაეპი უნებლიედ შეუერთებია და მიღებულა ახალი სტროფი, დაკარგული სტროფების კვალი კი გამქალა. „თამარიანის“ შინაარსის სპეციფიკური სირთულის გამო ვერც XVIII—XIX საუკუნეების გადამწერთ შეუმჩნევიათ ტაეპებს შორის არსებული შინაარსობლივი ხარვეზები და, ნაცვლად მექანიკურად შერწყმული სტროფების ტაეპთა განცალკევებისა, მათ ბოლო ორი ტაეპის სარითმო სიტყვები შეუსწორებიათ პირველი და მეორე ტაეპების სარითმო სიტყვების შესაბამისად და, ამნაირად, სხვადასხვა სტროფის ფრაგმენტებისაგან შექმნილა 28-ე, 75-ე და 79-ე სტროფები.

„თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი ნაკლულია. მას აკლია ოვნებად, ებარე და ენალი-რითმებიანი სტროფები.

გადაადგილებული სტროფები

„თამარიანის“ ტრადიციულ ტექსტში ადგილ-ადგილ თბრობის ლოგიკური თანმიმდევრობა ირღვევა და სტროფებს შორის მოულოდნელი შინაარსობლივი ნახტომები შეიმჩნევა. როგორც ჩანს, XVII—XVIII საუკუნეებამდე ძველის გადამწერებს ნებსით თუ უნებლიედ ერთი გარკვეული შინაარსის შემცველი სტროფების წყობა დაუშლიათ და ამ წყობიდან ნაწილი სტროფებისა გადაუადგილებიათ. ასეთ ცვლილებათა კატეგორიას ეკუთვნის იერსა, ელი და არი-რითმებიანი სტროფები.

1. 64-ე სტროფის შემდეგ, იქ, სადაც შეყვარებული მოყმეპოეტის მოგზაურობის ისტორია მთავრდება, ჩართულია ხუთი იერსა-რითმიანი სტროფი, რომლებშიც მოთხრობილია ბიბლიური ლეგენდა ქვეყნის გაჩენისა და სამოთხიდან ადამ და ევას გა-

მოძვეების შესახებ. ეს სტროფებია: 65-ე („ვთქვი შიშით მკრძალ-მან“), 66-ე („დასაბამს დადრკა“), 67-ე („სთნდა შექმნა ცისა“), 68-ე („უკუნთა მთენი“) და 69-ე („იწყო მაცდურმან“). 65-ე სტროფი დასაწყისია იერსა-რითმიან სტროფებში მოთხრობილი ამბისა. ჩახრუხაძე წერს: საღვთო ძალმა სიონში მყოფ მეცნიერს შეატყობინა სასწაულებრივი ამბავი ქვეყნის გაჩენის შესახებ, ყოველივე იქ თქმული სიონელმა ბრძენმა მე „მაუწყა-მამცნა“ და მე კიდევ თქვენ გადმოგცემთ: წინასწარ მგრძნობელი ფილოსოფოსები მოგვითხრობენ, თუ სამ-არსებიათმა ღმერთმა როგორ შექმნა ექვს დღეში ცა და დედამიწა, ხმელეთი და წყალი, დღე და ღამე, მცენარეები, ცხოველები და ადამიანები.

შემდეგ 66—69-ე სტროფებში პოეტი აღწერს სამოთხეში ადამ და ევას ცხოვრებას, ამბებს მაცდური გველის, ევას მიერ აკრძალული ხილის ჭამის, ღვთისგან ადამ და ევას დასჯისა და საშვებლისაგან მათი გამოძევების შესახებ.

70-ე სტროფიდან კი ძველი აღთქმის ეს ისტორია რაღაც სასწაულებრივი ძალით წყდება და მოულოდნელად შესხმა გრძელდება ახალი შინაარსისა და ახალი რითმული წყობის ლექსით:

გქმობ, თამარ, მზესა, უმზესად ზესა,
 მით რომელ უცხო ხარ სახილველი.

მხოლოდ 104-ე სტროფიდან კვლავ აღდგება 69-ე სტროფით შეწყვეტილი ისტორია ადამ და ევას მიერ ღვთის ცნების გატეხისა. 105—108-ე სტროფებში ამ გადმოცემას ენაცვლება ეპიზოდები წარღვნისა, ნოეს კიდობნისა და ქრისტეს ჯვარცმის შესახებ, ხოლო ბიბლიური სიუჟეტების ეს ზოგადი თხრობა მთავრდება 113-ე სტროფით, რომელიც, ჩვენი აზრით, „თამარიანის“ ბუნებრივ დასასრულსაც წარმოადგენს.

„თამარიანის“ პირვანდელ ნუსხებში სტროფების ასეთნაირ გადაადგილებას არ ექნებოდა ადგილი. ჩახრუხაძე იმდენად ჩამოყალიბებული პოეტია, რომ მან მშვენივრად იცის სად რა უნდა თქვას, როგორ მხატვრულ ფორმაში და მის მიერ აღწერილი ფაქტისადმი რანაირი რეაგირებით. 65—69-ე, 104—108-ე და 113-ე სტროფებში მოთხრობილი ბიბლიური ამბების შინაარსობლივი მთლიანობა და ლოგიკური თანმიმდევრობა რომ აღდგეს, 65—69-ე სტროფები უნდა გადავიტანოთ 104-ე სტროფის წინ. მათი ერთად

დაჯგუფება გამოწვეულია იმ გარემოებითაც, რომ ყველა ეს სტროფი დაწერილია ერთი უცვლელი რითმით — იერსა¹.

2. როგორც ზევით გავარკვიეთ, 75-ე სტროფი ელი და ენალი-რითმებიანი სტროფების ორ-ორი ტაეპის მექანიკური შეერთების შედეგადაა შედგენილი. ასეთივე ანალოგითაა შექმნილი 79-ე სტროფი, რომელიც, აგრეთვე, ენალი და ელი-რითმებიანი სტროფების ფრაგმენტებს შეიცავს. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ „თამარიანის“ რომელიღაც ძველ ნუსხაში ელი და ენალი-რითმებიანი სტროფების შემცველი ფურცელი გადამრუნებით ყოფილა შეკინძული (ე. ი. აკინძვის პროცესში ამ ფურცლის ბ-გვერდი წინ მოქცეულა, ა-გვერდი კი — უკან). რადგანაც ფურცლის თითო გვერდზე თექვსმეტი ტაეპი წერებულა იმავე წყობით, როგორც B ნუსხის დედნის ფურცლებზე, გადამწერს ხელნაწერში ჩაკერებული შებრუნებული ფურცელი გერ შეუმჩნევია და მას, როგორც კი გადაუწერია წინა ფურცლის ბ-გვერდის ელი-რითმიანი ტაეპები („არს ლხინთა მთმობი“ და „თუ ქებად თქვენად“), მათთვის მექანიკურად მიუბამს მომდევნო, უკულმა შეკინძული ფურცლის ბ-გვერდზე მოთავსებული ენალი-რითმიანი სტროფის ტაეპი „მაშა, მეხელი“. როდესაც მას ბ-გვერდის გადაწერა დაუშთავრებია, 79-ე ენალი-რითმიანი სტროფის პირველი და მეორე ტაეპისათვის მიუბამს იმავე ფურცლის ა-გვერდზე მოთავსებული ელი-რითმიანი სტროფის ტაეპი „ბრძნად მაქებაართა“...; რის შედეგადაც კვლავ ენალი და ელი-რითმებიანი სტროფების დასაწყის-დასასრულის მექანიკურად შეერთების ფაქტი გამეორებულა. საკმარისია გავასწოროთ გადამწერბს ეს ტექნიკური შეცდომა, ე. ი. 79-ე სტროფის ელი-რითმიანი ბოლო ორი ტაეპი და მომდევნო მე-80 სტროფი არსებული თანმიმდევრობით ჩავსვათ 75-ე ელი და ენალი-რითმებიან ტაეპებს შორის, რომ ის შინაარსობლივი ხარვეზი, რომელიც 75-ე და 79-ე სტროფების შიგნით არსებობს, უმაღვე მოისპოს, 75-ე სტროფის ტაეპთა ადრინდელი შედგენილობა აღდგეს და ელი-რითმიან სახატობო

¹ ამ შემთხვევაში ჩვენ ვიზიარებთ ნ. მარის მოსაზრებას იერსა-რითმიანი სტროფების ერთად დაჯგუფების შესახებ მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ 1—3-ე სტროფები, რომელნიც, ჩვენი აზრით, „თამარიანის“ შესავალს წარმოადგენს, უნდა დატოვებულ იქნეს თავის ადგილას (ნ. მარის, ცდანი ძველ ქართულ მწერლობაზე. I. ჩაბრუნების ლექსები: ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1936, I, გვ. 260 — 261; TP, IV, 1902, გვ. 34 — 35).

ლექსსაც მე-80 სტროფის სახით თავისი ლოგიკური დასასრული გამოუჩნდეს.

ამ ცვლილების შემდეგ 75-ე სტროფის შედგენილობა ასეთი იქნება:

არს ლხინთა მთმოზი, მართ ვითა მგმობი,
 ეფრემის ძირთა ისართა მთლელი.
 თუ ქებად თქვენად ბრძნად ქმნეს მათ ენა
 გამომეტყველებრ, რიტორებრ მთქმელი,
 ბრძნად მაქებართა ვჭვრეტ მქიქებართა:
 «მა-შამსსა ჰგავსო» — მით გძნობდეს ელი,
 ანუ რა გნახოს, რასა გასახოს
 ნათლისგან კიდე სხივ-განსაცდელი?

ამისი ბუნებრივი გაგრძელებაა 80-ე სტროფი — „იტყვის: მწვავეს მე ხებრ“ და ა. შ.

3. ჩახრუხადე 59—64-ე სტროფებში მოგვითხრობს თამარის სიყვარულით გახელებულ მოყმე-მგოსანზე, რომელსაც იმ დროის მძიმე სამეზავრო პირობებში შემოუვლია ევროპისა და აზიის უდიდესი სახელმწიფოები. პოეტი თხრობას იწყებს იმით, რომ მისმა მოყმემ სახლ-კარი მიატოვა და ველად გაიქრა. რაკი ველად გაქრასა და ლომთა შამბნარში ცხოვრებას ვერ დაუმშვიდებია შეყვარებული, მას გადაუწყვეტია შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა. 60-ე სტროფში აღწერილია, რომ ეს მოყმე წავიდა ინდოეთში, იქიდან ამოიარა ხანთა მხარე, ჩინეთი, მიაღწია ვოლგის ნაპირებს, მერმე ჩრდილო კავკასიაში გადმოვიდა, შემოიარა რუსეთიც და ყირიმში შავი ზღვის სანაპიროებს მიაღდა.

ცხადია, მომდევნო ტაეპში მოთხრობილი უნდა იყოს პოეტის შემდგომი მოგზაურობა, მაგრამ 61-ე ტაეპში ამის ნაცვლად ვკითხულობთ:

ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
 ფერად-ფერადი, მრავალი გვარი.
 ჰყვანდის მოყმები, მონა-მჭევლები,
 თვალ-მარგალიტი, სურნელ-ამბარი.
 ვერა შევიგნი, მოვიდის წიგნი, —
 მო-გლან-ველოდი! დამეცის ზარი,
 დამტყდიან ცანი! — «კვლავ განველი ზღვანი» —
 დავრჩი უსულოდ, მართ ვითა მკვდარი.

შეწყვეტილი მოგზაურობის აღდგენა მხოლოდ 62-ე სტროფიდან ხდება: მოყმე-მოგზაური ყირიმიდან შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროებზე გავლით მივა საბერძნეთში, „სადაც მეფედ ზის კეისარი“; მერმე შემოივლის ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებს „სრულად ეგვიპტეს, არაბთა მხარეს“, მიაღწევს იემენს. იქ მოგზაური პოეტი თავს ისახელებს; ყველა საჭირო საქმეს გააკეთებს, შეერთავს ცოლს და საქართველოსკენ შემობრუნდება. გზად სპარსეთის შემოვლასაც მოასწრებს, „ცათა მცთუნარ“ სულტანსაც ნახავს, რომელსაც ლექსად იგაგებს ეტყვის და მეფეებს შეუქებს; შემდეგ კიდირი განძეულით დატვირთული საქართველოს გზას დაადგება. 63-ე ტაეპის ბოლო სტროფში ვკითხულობთ:

მოყვასთა წინად, პირი ქმნის შინად,
ჩემთვის მოჰქონდის წმელთა აგარი.

თხრობის მიხედვით, ჩახრუხაძე უეჭველად გახარებული უნდა იყოს, რადგანაც მისი საყვარელი ადამიანი ძვირფასი საჩუქრებით მოემგზავრება საქართველოსაკენ, მაგრამ 64-ე სტროფში პოეტი მოულოდნელად მელანქოლიური განწყობილობით იუწყება:

რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი.

დაკვირვებული მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ 63-ე და 64-ე სტროფებს შორის რაღაცა ამბის შემცველი სტროფი აკლია; ეს სტროფი დაკარგული არ არის, არამედ ორი სტროფით წინაა გადაადგილებული. თუ ჩვენ 61-ე სტროფს გადმოვიტანთ 64-ე სტროფის წინ, ამით ველად გაჭრილი მოყმე-მოგზაურის მთელი თავგადასავალი ლოგიკური თანმიმდევრობით აღდგება და ჩახრუხაძის განცხადებაც („რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ, ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი“) გასაგები გახდება¹.

¹ ნ. მარმა 1888 წელს მოგზაური-პოეტის თავგადასავალი იმავე სტროფული წყობით აღადგინა, როგორ წყობასაც აქ ვიძღვევით (ლიტერატურული მემკვიდრეობა, 1936, I, გვ. 262 — 264), მაგრამ 1902 წელს მან უმართებულოდ, ყოველგვარი საბუთის გარეშე 63-ე სტროფიდან ამოღლიჯა ორი ტაეპი —

მოვლის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთი,
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
იგაენი უთხრნის, მეფენი უქნის,
მათდავე სწორად მათი ლაშქარი —

და 60-ე სტროფის წინ გადაიტანა (იხ. TP, IV, 1902, გვ. 32 — 33 და, აგრეთვე, VI ოდის ტექსტი).

ამგვარად, ეს სამი სხვადასხვა (იერსა, ელი და არი) რითმიანი სტროფის გადაადგილება „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტის ერთ-ერთი მსხვილი დეფექტური მხარეა, რომელიც გამოწვეულია ნუსხების ფურცელთა აღრევის, გადამწერთა ტექნიკური შეცდომებისა და რამდენადმე ჩვენთვის აუხსნელი მიზეზების გამო. თუ როდის მომხდარა ეს გადაადგილება, ამისი თქმა ჯერჯერობით არ შეიძლება, რადგანაც საამისო მასალები არ მოიძებნება; ისე კი XVII საუკუნისათვის იგი მომხდარ ფაქტს წარმოადგენს.

ყალბი სტროფები და ტაეპები

„თამარიანს“ საუკუნეთა განმავლობაში დროდადრო ინტერპოლატორის ხელიც შეხებია. ამისი კვალი თხზულების ტრადიციულ ტექსტში გარკვევით შეინიშნება: ინტერპოლატორთა მიერ შეთხზული ტაეპები მხატვრული ღირსებით ძლიერ მდარე ხარისხისაა; ისინი ჩახრუხადის მაღალმხატვრული სტროფებისაგან საგრძნობლად გამოირჩევიან.

ნ. მარმა, რომელიც გატაცებული იყო „თამარიანის“ ყალბი ადგილების ძიებით, 1902 წელს არაჩახრუხადისეულად სცნო 49-ტაეპი¹, ხოლო 1917 წელს ამ რაოდენობას დაუმატა VI და XII ოდების შემცველი ტაეპებიც² და, ამრიგად, მან სხვადასხვა დროს პოეტ-ინტერპოლატორთა დანამატად სულ 148 ტაეპი (ე. ი. თხზულების ერთი მესამედი ნაწილი) მიიჩნია. რა თქმა უნდა, ნ. მარი „თამარიანის“ ინტერპოლატორთა როლს ჰიპერბოლურად აზვიადებდა და ანგარიშს არ უწევდა იმ გარემოებას, რომ ასეთ გაზვიადებას მსხვერპლად შეეწირა ისეთი მაღალმხატვრული და ღრმა-იდეური ტაეპები, სტროფები და ცოცხალი ისტორიული დეტალების შემცველი ებ ულად-რითმიანი ოდები, რომლებშიც ჩახრუხადის პოეტური სული და აღმაფრენა შეიგრძნობა. მიუხედავად ამისა, ნ. მარის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მან „თამარიანის“ ტექსტი მთლიანად გაწმინდა ყალბი ტაეპებისაგან. ამ მხრივ მისი დეაწლი უფრო დასაფასებელი იქნებოდა, რომ ამ ყალბ ტაეპებს, რომელთა რაოდენობა, ჩვენი აზრით, ორ ათეულს არც კი აღწევს,

¹ TP, IV, გვ. 33—34, 38—40, 41, 52, 113, სქოლიო, აგრეთვე, გვ. რა-რდ, რკზ-რდგ.

² ИАН, 1917, გვ. 423, სქოლიო, 502 — 503.

ზედ არ მიეყოლებინა მნიშვნელოვანბ რაოდენობა ჩახრუხადისეული სტროფებისა.¹

„თამარიანში“ შეიმჩნევა ორგვარი ინტერპოლაციური ნაკადი: პირველი გამოწვეულია კომპოზიციურ ნაკლოვანებათა გასწორებით, მეორე კი — დეფექტური სტროფების აღდგენის მიზნით.

ჩვენ ინტერპოლაციური ტაეპები „თამარიანის“ დადგენილ ტექსტში არ შევიტანეთ. ამიტომ მათ აქვე წარმოვადგენთ:

1. დეფექტური სტროფების შევსების მიზნით შეთხზულია ყალბი ტაეპებია:

- ა. წმინდას ოქროსებრ, სიყვარულისებრ
ორგულთ ეწევის სიყმილი მძაფრი (23,4).
- ბ. ძეს სადმე საჭმლად მფრინველთა ასრე
გამიხდა ჩემი, აჰა, მთავარი.
ცულ-მაშვრალია ესე სოფელი,
ყოველთა თვისთა ესრედ მზა არი,
ყოველთა გვიჯობს ღმრთის მიდევნება,
მოშაირობა ცული თქმა არი (64,2 — 4).

„თამარიანის“ დადგენილ ტექსტში ამ ტაეპების ადგილი პუნქტირიანი ხაზებითაა აღნიშნული (II, 16 და IX, 22 — 24).

2. „თამარიანის“ დასასრულს ბოლოსიტყვაობის სახით დართული აქვს ინტერპოლაციური სტროფი:

თუ ქება გიქო, სხვა რაღა გიქო,
ამად ვერ ვიტყვი შენსა საფერსა
აწლა დავიწყებ, თუ-ღა რას ვარგებ
სასაქებოსა აწ ამა თავსა.
მე რომ ვხედვიდი წარბ-წამწამთავან
თქვენგან სურნელსა მონაბუქარსა,
აჰა, აწ რა ვქნა, თქვენგან გაყრილსა
ფინლა დამივსებს ცეცხლისა აღსა?

¹ ინტერპოლატორთა როლს „თამარიანში“ ძლიერ აზვიადებს იუსტ. აბულაძეც (შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის რედაქციით, 1926, წინასიტყვაობა, გვ. LXXII): „ჩახრუხადის «თამარიანი» სავსეა აუარებელ შემდეგი დროის ჩანართთაგან, ეს აშკარად ჩანს აკად. ნ. მარის გამოცემული ტექსტიდანაც, სადაც აუარებელი ყალბი ადგილი მოიპოვება. ეს ადგილები ყურადღებას იქცევენ მათი სტილის სიახლით და მათზე ჩანს ძალიან ხშირად რუსთაველის ნაწარმოების ძლიერი გავლენაც“.

ასე იკითხება ეს ტაეპი „თამარიანის“ პირველი ჯგუფის ABC ნუსხებში. XVIII — XIX საუკუნეების გადამწერებს უცდიათ მისი „გაჩაღხვა“, ე. ი. შინაგანი და გარეგანი რითმების გამართვა, და შინაარსობლივად დაზუსტება. ამიტომ მეორე ჯგუფის ყველა სრულ ნუსხაში იგი საგრძნობი ვარიანტული სხვაობის შემცველია:

თუ ქება გიქო, სხვა რაღა გიქო,
 ამაღ ვერ ვიტყვი შენ მსუბუქარსა!
 აწლა და გიწყებ; თულა რას ვიწყებ,
 სასაქებოსა შენს საშუქარსა.
 მე რომ ვხედვიდი, წარბ-წამწამთაგან
 თქვენგან სურნელსა მონაბუქარსა,
 აჰა, აწ რა ვქნა თქვენგან განყრილმან,
 შენით სიცოცხლე მქონდა მჩუქარსა (114).

3. გარდა ამისა „თამარიანს“ ერთვის ინტერპოლაციური წარმოშობის მეორე სტროფიც. ეს არის ცნობილი გლოსა თხზულების ავტორის შესახებ:

მოკვევს ძეთა ჩახრუხაძეთა
 ექო თამარი, მეფე წყლიანი,
 მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე.
 თინათინ ვაქო ბალი წყლიანი:
 ა, ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, —
 არაბეთს იყო სულადიანი, —
 ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი,
 სამოთხის ვარდი, პირად მზიანი (115).

„თამარიანის“ ძველ მკვლევრებს — პ. იოსელიანს, დ. ჩუბინაშვილს, ზ. ჭიჭინაძესა და მ. ჯანაშვილს ეს სტროფი ჩახრუხაძის პოეტური შემოქმედების ნაყოფად მიაჩნდათ. პირველად მისი ორიგინალობა ეჭვს ქვეშ დააყენა ნ. მარშა. იგი წერდა:

„Достаточно прочесть стихи (იგულისხმება „მოკვევს ძეთა ჩახრუხაძეთა“, ი. ლ.), чтобы признать, что они приписаны впоследствии. По небрежности, свойственной только писателям Возрождения, фамилия поэта поставлена во множественном числе... Цитованная строфа могла возникнуть еще тогда, когда помнили, что автор од есть Ч а х р у х а д з е“¹.

¹ ТР, IV, გვ. 52.

ეს სრულიად მართებული მოსაზრება შემდეგში თითქმის ყველამ გაიზიარა და დღეს ვერ ნახავთ ვერც ერთ მკვლევარს, რომელიც სტროფს — „მოკვევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“ — მერმინდელ დანამატად არა თვლიდეს. მხოლოდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მისი დაწერის თარიღი, შინაარსი და ავტორი.

მკვლევარი პ. ინგოროყვა დაბეჯითებით იცავს იმ აზრს, რომ „მოკვევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“, რომელიც თურმე თავდაპირველად შეიცავდა სამ ტაეპს, ხოლო გვიანდელ გადამწერებს მეოთხე ტაეპიც მიუმატებიათ, დაწერილია „თამარიანის“ რედაქტორის ბარამან მანის მიერ თამარ მეფის სიცოცხლეშივე, არა უგვიანეს 1213 წლისა, რადგანაც ავტორი თამარს მიმართავს, როგორც ცოცხალ პირს: „მოხევე ჩახრუხაძეებს ექოთ თამარი, მეფე ბრწყინვალე. აი ეს მნათობი (— თინათინ, ე. ი. მზის მსგავსად მოციანგე)“¹.

კ. კეკელიძემ, ვფიქრობთ, ეჭვმიუტანლად დაადგინა, რომ სტროფი „მოკვევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“ აღორძინების ხანის გლოსაა, და მანვე სწორად გაიგო მისი შინაარსიც². პ. ინგოროყვას დებულება, რომ ეს სტროფი თავდაპირველად სამ ტაეპს შეიცავდა და შემდეგში განიცადა მან გაოთხება, არ დასტურდება არც ხელნაწერი დოკუმენტებით და არც სტროფის შინაარსობლივი ანალიზით. ძნელი გასაზიარებელია, აგრეთვე, პ. ინგოროყვას მეორე მოსაზრება სტროფის ავტორისა და მისი დაწერის თარიღის შესახებ. გლოსის შინაარსი, რომელიც არ გვაძლევს საბუთს იმგვარი დასკვნის გამოტანისას, რასაც პ. ინგოროყვა დაბეჯითებით იუწყება, შემდეგია:

ჩახრუხაძეებს, მოხევის შვილებს, ექოთ თამარი, მეფე ბრწყინვალე, მისი აღმატებულება, სიდიადე, რომელიც ბრძენ კაცთ სირეტესა ჰგვრის; მე კი უნდა ვაქო ბალივით აყვავებული თინათინი, მაგრამ არა ის თინათინი, რომელიც «არაბეთს იყო სულადიანი», ე. ი. არაბთა მეფის როსტევანის ასული („ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი), არამედ აი, ეს თინათინი, რომელიც ჯერ კიდევ ახალ-

¹ პ. ინგოროყვა, რუსთველიანა, 1926, გვ. 132 — 134. მისივე, ჩახრუხაისძე—პოეტი, მოგზაური („კავკასიონი“, 1924, № 1 — 2, გვ. 276; № 3 — 4, გვ. 62 — 63).

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1924, გვ. 144; მისივე: რუსთველოლოგიური შტუდიები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, 1936, გვ. 122 — 125) და ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1951, გვ. 160 — 162.

გაზრდაა, ქალწული (წმიდათ ნაწილი, უმანკო), სამოთხის ვარდი და მხესავით ბრწყინვალე პირისახისა.

რასაკვირველია, ამგვარი შინაარსის გლოსა შესაძლებელია დაწერილიყო მხოლოდ აღორძინების ხანაში, ე. ი. იმ დროს, როდესაც ეპიგონი პოეტები ქედმაღლურად ეჯიბრებოდნენ კლასიკური ხანის პოეზიის კორიფეებს და თავიანთ პოეტურ ნამოღვაწარს უტოლებდნენ „ვეფხისტყაოსანსა“ და „თამარიანს“. რომ სტროფი „მოკვევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“ გვიანდელი გლოსაა, ეს მშვენივრად სცოდნია „თამარიანის“ B ნუსხის დედნის გადამწერსაც, რომელიც, ჩვენის აზრით, არჩილ მეფის კარის მეხოტბე უნდა ყოფილიყო. როგორც ზევით აღვნიშნეთ, ამ პოეტ-გადამწერს ეს სტროფი არაჩახრუხაძისეულად უცვნია და თავის მიერ გალექსილ სტროფებში ჩაურთავს. ეს ფაქტი გვაძლევს იმის საბუთს, რომ სტროფი „მოკვევეს ძეთა ჩახრუხაძეთა“ წარმოადგენს უცილობელ გლოსას, რომელიც შეთხზულია XVII საუკუნეში ან ცოტა ადრე, დაახლოებით იმ ეპოქაში, როდესაც ლიტერატურულ წრეებში ჯერ კიდევ კარგად სცოდნიათ „თამარიანის“ დამწერის ვინაობა და სადაურობა.

* * *

ამით ვამთავრებთ ტრადიციული ტექსტის სტრუქტურულ-კომპოზიციური ხარვეზების კრიტიკულ განხილვას. ამ ვრცელი მიმოხილვიდან გამოიკვეა შემდეგი:

„თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი, რომელიც შემოუნახავს XVII—XIX საუკუნეების ორივე ჯგუფის ნუსხებს, არ მომდინარეობს უშუალოდ ავტორის დროიდან. საუკუნეთა განმავლობაში მას განუცდია ის მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-კომპოზიციური ცვლილებანი, რომელნიც ზევით აღვნიშნეთ. მიუხედავად ამისა, „თამარიანის“ თავდაპირველი ტექსტის კომპოზიციის აღდგენა შესაძლებელია. მისი ადრინდელი სტროფული შედგენილობა და წყობა ასეთია:

№№ 1—28₁₋₂ (აკლია ოვნებად და ებარე-რითმიანი ტაეპები), 28₃₋₄, 29—51, 56—60, 62—63, 61, 64, 70—75₁₋₂, 79₃₋₄, 80, (აკლია ენალი-რითმიანი ტაეპები), 75₃₋₄, 76—79₁₋₂, (აკლია ენალი-რითმიანი ტაეპები), 81—91, 52—55, 92—103, 65—69, 104—108, 113, (აკლია ბოლოსიტყვაობა).

3. უმთავრესი გასწორებანი და კომენტარები

„თამარიანის“ ტექსტის აღდგენას, როგორც ფილოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემას, და მისი ცალკეული ტაეპის კომენტირებას ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევრებმა დიდი ენერგია შეაღიეს. ეს ითქმის ყველაზე მეტად ნ. მარზე, რომელმაც პირველმა მოგვცა „თამარიანის“ ტექსტის კრიტიკულად დადგენის ცდა. მიუხედავად ამისა, როგორც სამარათლიანად წერს კ. კეკელიძე, „ეს ნაწარმოები ჯერ საბოლოოდ არც წაკითხულია ჯეროვნად და არც გაგებული; იმაში არა ერთი ბუნდოვანი და გაუგებარი სტროფი და ტაეპია... საჭიროა მახვილი ფილოლოგიური აპარატი, რათა მართებულად აღდგენილ იქნეს ნაწარმოების ტექსტი, აღდგენილ იქნეს იმ სახით, რა სახითაც ის პოეტის ხელიდან გამოვიდა. მხოლოდ ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი ჯეროვნად გაგება და გამოვლინება იმაში ისეთი ამბებიც კი, რაც ოფიციალური ისტორიისათვის, შეიძლება უცნობი იყოს“¹.

როდესაც ნ. მარი „თამარიანის“ ტექსტის დადგენას ახდენდა, მის განკარგულებაში იყო ბეჭდური (პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის) გამოცემანი და სამი ხელნაწერი მეორე ჯგუფისა²; პირველი ჯგუფის ხელნაწერთაგან კი მისთვის არც ერთი არ იყო ცნობილი. რასაკვირველია, უმთავრესად ამ გარემოებით აიხსნება ის დიდი ხარვეზი, რომელიც ნ. მარის მიერ „აღდგენილ“ ტექსტს ახასიათებს. დღეს ჩვენს განკარგულებაშია 14 ნუსხა (1 ნუსხა XVII საუკუნის, 6—XVIII საუკუნის და 7—XIX საუკუნისა). „თამარიანის“ ტექსტის დასადგენად ძირითად წყაროს წარმოადგენს A და B ნუსხები, ხოლო დამხმარე წყაროებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს CDEFG ხელნაწერები. დანარჩენი ნუსხები ტექსტუალურად უაღრესობამდეა დამახინჯებული, რის გამოც ისინი მკვლევართაგან უნდობლობას იმსახურებენ.

ყველა ის გასწორება, რომელიც „თამარიანის“ ტექსტშია შეტანილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პუნქტუაციასა და ორთოგრაფიას, ძირითადად ორგვარი ხასიათისაა:

¹ კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, 1955, გვ. 27.

² TP, IV, გვ. 107.

ა) გასწორებათა ერთი ნაწილი მოხდენილია პირველი ჯგუფის ხუთივე (ABCDF) და მეორე ჯგუფის ორი (E და G) ნუსხის მიხედვით, ე. ი. უმეტესობა დაზიანებული სტროფებისა და ტაეპებისა აღდგენილია დასახელებულ ნუსხათა წანაკითხების შესაბამისად.

ბ) გასწორებათა მეორე ნაწილი წარმოადგენს საკუთარ კონიექტურას, ე. ი. ტაეპი აღდგენილია სტროფის შინაარსობლივი შესწავლის საფუძველზე და კლასიკური ხანის სალიტერატურო ქართულის ნორმათა გათვალისწინებით.

გასასწორებელ ტექსტად აღებულია ს. კაკაბაძის 1937 წლის გამოცემა: „ჩახრუხაძე — თამარიანი“.

გასასწორებელი ტაეპები ციტირებულია ს. კაკაბაძისა და ნ. მარის ნუმერაციით, გასწორებული კი — ჩვენი ნუმერაციით.

თუ ს. კაკაბაძის გამოცემაში რომელიმე ტაეპი ნ. მარის გამოცემისაგან განსხვავებით იკითხება, საკითხის გარკვეულობისათვის იქვე ვიმოწმებთ ნ. მარის წაკითხვასაც და სათანადო კომენტარების შემდეგ მოგვაქვს გასწორებული ტაეპი იმ სახით, როგორც ეს დაცულია ჩვენ მიერ დადგენილ ტექსტში.

გასწორებათა ნუსხაში შეტანილია ზოგიერთი მკვლევრის ისეთი კონიექტურაც, რომელიც ჩვენ მართებულად მიგვაჩნია, მაგრამ რატომღაც ნ. მარსა და ს. კაკაბაძეს უყურადღებოდ დაუტოვებიათ, ან შეუნიშნავი დარჩენიათ.

თავ-თავის ადგილას დასახელებულია ყველა ის წყარო, რომლითაც ტექსტის დადგენისას ვიხელმძღვანელებთ.

* * *

1. ყოველ ლიტერატურულ ძეგლს, რომელიც კი ადამიანის აზროვნებას შეუქმნია, აქვს თავისი შინაარსი და მისი ამსახველი სათაური. ცხადია, „თამარიანსაც“ ჰქონდა ერთი გარკვეული სათაური, მაგრამ ჯერჯერობით იგი რამდენიმე სახელითაა ცნობილი:

პირველი ჯგუფის ნუსხებით მას ეწოდება: „ქება თამარ მეფისა“ (ACD), ან „ქება და მკობა მეფისა თამარისა“ (B).

არჩილ მეფის თანამედროვე ანონიმი პოეტ-გადამწერი, რომელსაც არჩილის დაკვეთით გადაუწერია „თამარიანი“ (B ნუსხის დედანი), აღნიშნავს, რომ „ჩახრუხაძისა მოკვე-მოძმისა ნათქვამი ეს არს თამარიანი“, ან „აქა დასრულდა თამარიანი“.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ ძველიდანვე ჩახრუხადის თხზულება ორი სათაურით ყოფილა ცნობილი: „ქება მეფისა თამარისი“, ან შემოკლებით „თამარიანი“.

XIX საუკუნის გადამწერებმა ეს სათაურები უარყვეს და თავიანთ გადაწერილ ნუსხებს თხზულებისას წაუშმდვარეს ვრცელი კომენტირებული სათაურები. მაგ. დავით რექტორის ნუსხებში (H და K) ვკითხულობთ:

„სრულიად საქართველოს სამეფოთა ქართლ-კახეთ-იმერეთისა და ხუთთა სამთავროთა და სხუათა მპყრობელის ბაგრატიონის მეფის გიორგის ასულის თამარ მეფის ქება ჩახრუხადისაგან, რომელი იყო ადგილით არაგვსათა, თემით მოხევე, მისვე მეფის თამარის მდივანი. ესე მან დალექსა ოც მარცულონად, თითოსა ტაეპსა შინაწყობილად და მის გამო უწოდებენ ქართულნი ჩახრუხაულსა“.

XIX საუკუნის L და M ნუსხებშიც ასეთივე ვრცელი, მაგრამ HK ნუსხებისაგან ვარიანტულად განსხვავებული სათაური იკითხება:

„პოემა ანუ მშუშნიერ-სიტყუაობითთა გელოგნებითა შეწყობილნი სტიხნი სამქებაროდ სახელოვანისა და ძლევით განთქმულისა გელმწიფასა მეფაჲსა თამარ პირველისა, 3 გიორგი მეფის ბაგრატიონის ასულისა, სრულიად ზემოჲსა და ქუშმოჲსა ივერიისა, და სხუათა თუთმპყრობელისა და მრავალთა მტერთა მძლეველისა, წოდებული თამარიანად, ანუ ჩახრუხაულად, ქმნილნი ჩახრუხას ძისაგან, ნათესავით მოხევისა, არაგვის საერისთაოსაგან“.

ბეჭდურ გამოცემებშიც თხზულებას სხვადასხვა სათაური აქვს:

პ. იოსელიანით მას ეწოდება „თამარ მეფისა და მეუღლისა მისისა დავით მეფისა შესხმა, თქმული ლექსად ჩახრუხას ძისაგან“, დ. ჩუბინაშვილით — „შესხმა თამარ მეფისა“, ზ. ჭიჭინაძით — „თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით მეფის ქება“ („ქნარი გრიგოლ ჩახრუხადისა“), ნ. მარით — „თამარიანი“, ხოლო ს. კაკაბაძით — „ქება თამარ მეფისა ჩახრუხაული“ (1913 წ. გამოც.) და „თამარიანი“ (1937 წ. გამოც.).

„თამარიანი“, როგორც სათაური ჩახრუხადის თხზულებისა, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა 1902 წლიდან, როდესაც გამოქვეყნდა ნ. მარის ნაშრომი „Древнегрузинские олописцы“. დღეს ეს სათაური საყოველთაოდ მიღებულია. მას აქვს საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია: როგორც აღვნიშნეთ, XVII საუკუნეში ჩახრუხადის თხზულებას უკვე „თამარიანს“ უწოდებენ. მიუ-

ხედავად ამისა არ იქნებოდა მიზანშეწონილი, თუ „თამარიანის“ ძველ სათაურს მივივიწყებდით. მართებულად მიგვაჩნია თხზულება დავასათაუროთ ამგვარად: „ქება მეფისა თამარისი“. ამჟამად მიღებული სათაური („თამარიანი“) კი შეიძლება ვიხმაროთ ძველი სათაურის პარალელურად მხოლოდ სიმოკლისათვის წერის დროს.

2. დ ი ო ნ ო ს ი ს გ ა ნ, ვ ი თ ე ნ ო ს ი ს გ ა ნ

ს რ უ ლ ნ ი ქ ე ბ ა ნ ი ა მ მ ძ ლ ე თ ძ ლ ი ე რ ს ა (1,2; I,2)

გ ა ს წ ო რ დ ა B ნ უ ს ხ ს ი ს შ ე ს ა ბ ა ნ ი ს ა დ :

დ ი ო ნ ო ს ი თ გ ა ნ, ვ ი თ ე ნ ო ს ი თ გ ა ნ

ს რ უ ლ ნ ი ქ ე ბ ა ნ ი ა მ მ ძ ლ ე თ ძ ლ ი ე რ ს ა (შეს., 2).

ეს ნიშნავს: [თამარის] სრულნი ქებანი შეაძლებინეთ (ამძლეთ) (ყველაზე) ძლიერ (მეხოტბეს), რომელსაც თუ ოდესმე უცხოვრია დიონისიდან და ენოსიდან დაწყებული დღემდეო.

3. ს ო კ რ ა ტ ს ი ბ რ ძ ნ ი თ ა, ს ა რ ა მ ა რ გ რ ძ ნ ი თ ა

ვ ი ყ ვ ე თ, ვ ე რ ა ვ ი ქ მ თ ს ა წ ა დ ი ე რ ს ა (1, 3; I, 3).

ამ ტაეპში შესასწორებელია სიტყვა ს ა რ ა მ ა რ . როგორც ცნობილია, იგი დამოწმებულია იოანე შავთელის თხზულებაშიც (სტროფი 103). აქ ვკითხულობთ:

წ ი გ ნ ი მ ე ფ ე თ ა, ქ ე ბ ა ქ ე ბ ა თ ა,

ე კ ლ ე ს ი ა ს ტ ე, ს ა რ ა მ ა რ გ რ ძ ნ ი ს ა,

და ვ ი თ - ი გ ა ვ ნ ი, — ვ ი ნ თ ქ ე ა ი გ ა ვ ნ ი? —

ს ი ბ რ ძ ნ ე დ ი დ ი ს ა ს ო ლ ო მ ო ნ ი ს ა.

მკვლევრებს ს ა რ ა მ ა რ -ის შესახებ ძლიერ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. ნ. მარის აზრით, „თამარიანის“ ს ა რ ა მ ა რ გ რ ძ ნ ე უ ლ ის სახელია, ხოლო „აბდულმესიანის“ ს ა რ ა მ ა რ ნ ა ვ ა რ ა უ დ ე ვ ი ა ქ ე ს ს ო ლ ო მ ო ნ ბ რ ძ ე ნ ა დ . შ. ნუცუბიძე ასწორებს ნ. მარის შეხედულებას. იგი „თამარიანის“ რუსული თარგმანის შენიშვნებში წერს: „Сарамар — имя лица, не поддающегося установлению. Возможно, это деформированное на Востоке имя Соломона, связанное с именем Сократа по линии мудрости, с акцентом проникновенной мудрости, в отличие от мудреца Запада — Сократа“ (გვ. 164). შ. ნუცუბიძის ეს მსჯელობა ძირითადად გამომდინარეობს ნ. მარის ვარაუდიდან იმ განსხვავებით, რომ, თუ ნ. მარს

ეს ორივე სარამარ სხვადასხვა პირად მიაჩნდა, შ. ნუცუბიძეს ისინი ბიბლიურ სოლომონად ჰყავს წარმოდგენილი. ჩვენ არ შეგვიძლია ამ მოსაზრების გაზიარება. შავთელის თხზულება სრულიად გარკვევით ადასტურებს, რომ სარამარ სხვა პირია და სოლომონი კი — სხვა. 103-ე ტაეპში სარამარ-ის გრძნეულებასთან დაპირისპირებულია „სიბრძნე დიდისა სოლომონისა“; რომ სარამარ და სოლომონ ერთი და იგივე პირი იყოს, მაშინ ორივე ერთიმეორის გვერდით არავითარ შემთხვევაში არ იქნებოდა დასახელებული.

ხელნაწერების შემოწმება ასეთ სურათს იძლევა: სარამარ XVIII — XIX საუკუნის გადამწერთაგან დამახინჯებული წანაკითხია სახელისა სარამა. „თამარიანის“ კარგ ნუსხებში იკითხება: „სარამაგზნითა“ (A), „სარა მეგზნითა“ (BCDG) და „სარამაგრძნითა“ (E). ეს წანაკითხები მომდინარეობს „თამარიანის“ ადრინდელი ნუსხებიდან. ირკვევა, რომ დედანში წერებულა: „სარამა გრძნითა“, ხოლო შემდეგში დროდადრო სხვადასხვა გადამწერთა წყალობით სხვადასხვანაირად დამახინჯებულა. ტაეპი გასწორდა:

სოგრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა

ვიყვნეთ, ვერა ვიქმთ საწადიერსა (შეს., 3).

საინტერპრეტაციო ტაეპში საუბარია სოგრატის სიბრძნესა და სარამას გრძნეულებაზე. პოეტი ამბობს: გინდაც რომ ჩვენ სოგრატ ბრძენი ან სარამა გრძნეული ვიყოთ, თამარის შექმბას მაინც ვერ შევძლებთო. სოგრატის სახით ჩახრუხაძე გულისხმობს ცნობილ ფილოსოფოს სოკრატეს (469 — 399 წწ.), პლატონისა და ქსენოფონტეს მასწავლებელს. ძველი ქართველი მწერლები მას იცნობდნენ პლატონის თხზულებებით და აპოკრიფური ხასიათის ძეგლებით. ჩახრუხაძე ხშირად იხსენებს სოკრატეს, როგორც ბრძენ-კაცსა და სწავლულ ელინს. რაც შეეხება სარამას, იგი ჩვენი აზრით, ინდური მითოლოგიის სარამაა. „რიგვედას“ ჰიმნებში ამ სახელით ცნობილია გრძნეული ქალი, ტაროსისა და ომის ღმერთის — ინდრას შიკრიკი, რომელიც თავისი მბრძანებელი ღმერთის დავალებით დიპლომატურ და სადაზვერვო საქმეებს განაგებს. მას ჰყავს ორი შვილი — ტყუპი ძაღლი (სარამეები); ეს ძაღლები საზარელი შეხედულებისანი არიან: დიდი ყბები აქვთ, ოთხ-ოთხი თვალი და ქრელი ტყავი; ლაპარაკობენ ადამიანებზედ და ემსახურებიან მიცვალებულთა ქვეყნის მფლობელ იამას. ზ. რა-

გოზინი თავის წიგნში „История Индии“ მოგვითხრობს მეტად საინტერესო მითს სარამასა და მეკობრეთა შესახებ, რომელიც „რიგვედას“ ჰიმნებშია დაცული და საიდანაც მშვენიერად შეიძლება გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ ჩვენთვის საძიებელ სარამას ვინაობისა და საქმიანობის შესახებ. აი, ეს მითიც:

ცბიერმა მეკობრებმა, რომელთაც ინდიელები პანებს უწოდებენ. ძროხები მოიპარეს და ხალხს ძირითადი საკვები, რძე და ხორცი, მოუსპეს. ხალხი ძლიერ გაჭირვებას განიცდიდა. ტაროსისა და ომის ღმერთმა ინდრამ გადაწყვიტა, რომ ბრიხასპატების (ლოცვების მეუფეთა) დახმარებით და ანგირასების (ზეცის მგალობელთა და ქურუმების) თანხლებით მეკობრეთა წინააღმდეგ გაილაშქროს და მოპარული ძროხები ხალხს დაუბრუნოს. მან ძროხების მოსაძიებლად გაგზავნა გრძნეული სარამა. ამ უკანასკნელმა თავისი მოხერხებულობით სწრაფად მიაკვლია ძროხების ადგილსამყოფელს. სარამას შეეგებნენ ცბიერი მეკობრენი. მათ შორის გაიმართა მეტად საინტერესო დიალოგი, რომელიც „რიგვედას“ ჰიმნებში ერთ-ერთ მშვენიერ ეპიზოდს წარმოადგენს. მეკობრებმა მიმართეს სარამას მაღალფარდოვანი სიტყვებით:

— რა განზრახვით მოხვედი აქ, სარამა? რა გნებაეს ჩვენგან? როგორ გადმოხვედი მდინარე რასაზე?

— მოვედი მე, როგორც ინდრას შიკრიკი, მსურს მივიღო თქვენგან დაფარული განძეული. ეს მოვალეობა მიცავდა მდინარეზე გადმოსვლის დროს და ამიტომაც გაბედულად გადმოვლახე იგი.

— ვინ არის ეგ შენი ინდრა, რომლის დავალებითაც ასე შორიდან მოსულხარ შიკრიკად? არა სჯობდა, თვითონ მოსულიყო? ჩვენ მას დაეუმეგობრდებოდით და შეიძლება მენახირედაც დაგვეყენებინა.

— თქვენ არ შეგიძლიათ ინდრას ზიანი მიაყენოთ, ინდრა კი თქვენ ერთიანად მოგსპობთ. მას არ აშინებს ღრმა მდინარეები. იგი ძლიერი ღმერთი.

— ო, სარამა, ძროხები, რომელთა წასაყვანადაც აქ მოხველ, ცის ყველა კიდურზე დადიან; უბრძოლველად ვინ დაგითმობთ მათ?! ჭეშმარიტად, ჩვენც მჭრელი იარაღი გვაქვს.

— უნებელია თქვენი სიტყვები: გინდაც რომ თქვენი საზიზღარი სხეულები ისართაგან მოუწყვლავი დარჩეს და აქ მოსასვლელი გზებიც გაცილებით უფრო ძნელი გახდეს, ამით ბრიხასპატები მაინცდამაინც დიდად არ შეწყუზდებიან.

— გამოქვაბული კლდეებშია გამოკვეთილი და მთლად საყვავა ცხენებით, ძროხებით და ყოველნაირი ავლადიდებით. მას ყარაულობენ რჩეული მეკობრენი. შენ აქ უშედეგოდ მოხვედი.

— მკვებარა მეკობრენო, თქვენ არ იცით, რომ აქ მოვლენ ცეცხლისმფრქვეველი ქურუმი-პოეტები (რიშები) და ცხრა ანგირასი. ისინი დაეპატრონებიან სადგომებში გამომწყვდეულ ძროხებს და თქვენ კი უკანვე დაიბრუნებთ ამ სიტყვებს.

— ო, სარამა, ალბათ, ღმერთებმა მოგავლინეს აქ თავიანთი ძალით. მაშ, ჩვენთან დარჩი, უკეთესია ჩვენი დობილი გახდეს; ძროხებს გაჩუქებთ.

— არც დობა მინდა თქვენი და არც ძმობა. ინდრამ და მრისხანე ანგირასებმა ყველაფერი იციან. მათ ვერ ვუღალატებ. მათ სურთ თავიანთი ძროხები უკანვე დაიბრუნონ. ამიტომ, წადით აქედან, რაც შეიძლება, შორს!

სარამას დახვეწვა კარგად დამთავრდა: ის უკან დაბრუნდა და ინდრას ყველაფერი მოახსენა. ინდრა ბრიხასპატებისა და ანგირასების თანხლებით ძროხების გასათავისუფლებლად გაემართა. მას წინ მიუძღოდა სარამა, რომელიც პირველად მივიდა იმ კლდესთან, რომლის გამოქვაბულებში დამწყვედელი ძროხები იყვნენ. ანგირასების გალობას ძროხები გამოეხმურნენ ბლავილით. ინდრამ კლდე კვერთხის დარტყმით გააპო შუაზე. ბრიხასპატებმა ძროხები გამორეკეს და ხალხს დაუბრუნეს. მეკობრენი მოულოდნელი სასწაულის გამო სასოწარკვეთილებაში ჩააცვიდნენ¹.

ამ მშვენიერ მითში, რომელშიც ასახულია კეთილი და ბოროტი ძალების ჭიდილი და რომელიც სიკეთის გამარჯვებით მთავრდება, სარამა გრძნეული თავგამოდებით იბრძვის მეკობრეთა წინააღმდეგ და ყოველნაირი საშუალებით ცდილობს ინდრას კეთილშობილურ განზრახვას ხელი შეუწყოს. იგი ნიავეით მარდია, მითოლოგიური მდინარე რასა, ღრმა და სახიფათო, სიბნელისა და სიკვდილის გამოხატულება, არ აშინებს სარამას. ხალხისადმი მაღალიდგური მოვალეობა ჰკარნახობს მას, რომ ყოველნაირი სიძნელე გადალახოს.

შემდეგი დროის ინდურ ლიტერატურულ ძეგლებში სარამას წარმოშობა და საქმიანობა სხვადასხვანაირადაა წარმოდგენილი. „ბხაგავატა-პურანას“ მიხედვით სარამა ითვლება შემოქმედების ღმერთის დაქმნას ქალიშვილად და გარეულ ცხოველთა დედად. „მახაბხარატაში“ მას ეწოდება ღვთაებრივი ძალის, რომელსაც შეუძლია ადამიანის ბედი იწინასწარმეტყველოს. მაგ.: „მახაბხარატას“ ერთ-ერთ თქმულებაში მოთხრობილია შემდეგი ეპიზოდი: მსხვერპლთა შეწირვის დროს პარიკშიტას წველებმა, ჯანამეჯაიამ და მისმა ძმებმა, სცემეს სარამას ლეკვს, სარამეის. ლეკვმა ეს ამბავი თავის დედას შესჩივლა. როდესაც სარამა დარწმუნდა, რომ მისი შვილი უმიზეზოდ სცემეს, განრისხებული იგი მივიდა პარიკშიტას შვილებთან და ჯანამეჯაიას უთხრა: ჩემი შვილი არაფერში დამნაშავე არ იყო და რატომ სცემთ მას? ამ უსამართლობისათვის შენ გადაგხდება გაუთვალისწინებელი უბედურება! ჯანამეჯაიამ მოისმინა რა სარამას (ღვთაებრივი ძალის) ეს წინასწარ-

¹ З. А. Рагозина, История Индии, 1905, стр. 280 — 287.

მეტყველება, ძლიერ შემფოთდა და დანაღვლიანდა. შემდეგში ჯანამეჯაიას მართლაც დიდი უსიამოვნება შეემოხვა ¹.

სათანადო მასალების უქონლობის გამო ძნელია გათვალისწინება იმისა, თუ ჩახრუხაძემ როგორ გაიცნო ინდური მითოლოგიის საუნჯე — „რიგვედას“ ჰიმნებზე ერთი რამ კი ცხადია: ტაეპში ნახსენებ სარამას ვინაობის გაგება მხოლოდ ინდური მითოლოგიის საშუალებით ხერხდება. რომ კლასიკური ხანის ქართველი მწერლებისათვის ინდური მითური სახელები უცხო არ იყო, ამას ადასტურებს შავთელის თხზულების ზემოთ დამოწმებული 103-ე სტროფის ბოლო ტაეპიც, სადაც ვკითხულობთ:

მათთან ვრახმანი ძნობდეს რვა ჯმანი,

ვერა დამატონ ქება ძალისა.

ქართველ მეხოტბეთა ურთიერთობა ინდურ მითოლოგიურ სამყაროსთან უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი საკითხია ქართული კულტურის ისტორიისათვის, მაგრამ ეს საკითხი მეცნიერებაში ფილოლოგთა მიერ არამცთუ შესწავლილი, არამედ დღემდე დასმულიც კი არ ყოფილა. ჩვენ ამას ყურადღება მივაქციეთ იმის შემდეგ, რაც „თამარიანის“ რამდენიმე ტაეპში ინდური მითოლოგიის კვალი შევნიშნეთ. თუ დღემდე ეს კვალი სხვა მკვლევრებს შეუმჩნეველი დარჩათ, მხოლოდ იმისათვის, რომ ამის შემცველი ტაეპები გადამწერთა წყალობით დამახინჯებული იყო და მოითხოვდნენ ისინი შესწორებას. როდესაც ჩვენ ზემოაღნიშნული ტაეპი აღვადგინეთ და სარამას სახელში ინდური მითოლოგიის ანარეკლი დავინახეთ, ამან ძლიერ გაგვიცხოველა ინტერესი სხვა ტაეპების გადასინჯვისა და ზოგიერთ არაქართულ სიტყვებში ინდური სახელების ძიებისა. „თამარიანში“ აღმოჩნდა კიდევ ორი ტაეპი, სადაც „რიგვედას“ ჰიმნების აშკარა კვალი მოჩანს. აი, ეს ტაეპებიც:

4. არ ავი ღია, არ რავი ღია

ვიცით ნახული და ნასმენალი (76,3; VIII,3).

პირველი ათმარცვლედის დაყოფა ეკუთვნის ნ. მარს. ამგვარი დაყოფითვე აქვს გადმოხეჭილი ს. კაკაბაძეს. რავის გარდა

¹ «Махабхарата. Адипарва», кн. первая, перевод с санскрита В. И. Кальянова, 1950, стр. 42 და შემდეგ.

ტაეპში ყველა სიტყვა გასაგებია. ნ. მარის აზრით, რა ვი ნიშნავს: „Рассказанный, известный по преданию (არბ. *راوى* рассказчик, передатчик) или призрак (არბ. *سيرة* видение, сновидение, *سيرة* призрак, дух)“¹. ამის მიხედვით ტაეპის შინაარსი უნდა გავიგოთ ამგვარად: დიალ (დია), არ ავი, მონათხრობი ან გადმოცემით ცნობილი კი არა, არამედ რეალურად არსებული, ქალი „ვიცით ნახული და ნასმენალი“.

მ. ჯანაშვილმა არ გაიზიარა ნ. მარის ეს კონიექტურა და ომონიმური ათმარცვლედის ახლებური გაშიფრვა მოგვცა:

არ ავი დია (დიალ არ ავი)

არავი დია (დიდი ქარი)².

შ. ნუცუბიძემ კი ამ ტაეპის თავისუფალი თარგმანი შემოგვთავაზა:

Это не грёзы, а через грозы

Глаголоенье назидания³.

ხელნაწერებში მისი ომონიმური ათმარცვლელი იკითხება:

„არავი დია არავი დია“ (A), „არავი დია არ ავი დია“ (B), „არა ვი დია არავ დია“ (C), „არავი დია არ ავი დია“ (F), „არა ვი დია არა ვი დია“ (G).

თუ დასახელებულ ხელნაწერთა წანაკითხებს დავუკვირდებით, შევნიშნავთ, რომ ყველა ნუსხის პირველი და მეორე ხუთმარცვლედები ერთი და იგივე ბგერებისაგან შედგებიან. ამიტომ ნ. მარის წაკითხვა „არ რა ვი დია“ მიუღებელია, რადგანაც ამ ხუთმარცვლედში ერთი *რ* ზედმეტია და თანაც ტაეპი არც შინაარსობლივადაა გამართული. მ. ჯანაშვილის წაკითხვაში კი ხუთმარცვლედების ბგერათა შედგენილობა ერთნაირია, მათი თითოეული სიტყვაც გარკვეული მნიშვნელობის გამომხატველია, მაგრამ გაუგებრობას იწვევს სიტყვა არ ავი-ს უადგილო ხმარება, რომელიც საგრძნობლად აბუნდოვნებს სტროფის ნათელ შინაარსს. ტაეპი გასწორდა შემდგენიარად:

არ ავი დია, არ ავი დია

ვიცით ნახული და ნასმენალი (XI, 7).

¹ TP, IV, стр. რა.

² „ივერია“, 1902, № 204.

³ Н а х р у х а д з е, Тамариами, 1942, стр. 144.

ეს ნიშნავს: არ ავი (ანუ კეთილი) ქალი (ღია), ე. ი. თამარი, აი დიდი (ღია) ღვთიური მნათობი (რავი) „ვიციოთ ნახული და ნასმენალი“.

რომ უფრო ნათელი გახდეს ტაების შინაარსი, საჭიროა ორიოდ სიტყვა ვთქვათ რავის მნიშვნელობაზე.

ინდურ მითოლოგიაში რავი (ravi) ეწოდება მზეს, ღვთიური შუქის მქონე მნათობს. ინდიელები მას უწოდებენ აგრეთვე სურიას, ანუ მზის ღმერთს¹. ამიტომაც ჩახრუხაძე თამარს ხან რავის უდარებს და ხანაც სურიას. ებუღად-რიომიან ოლაში პოეტი წერს:

ედემურია, ვისცა სურია

ანუ სხვავე ჰხედეს შეძინებულად (XV, 18).

სურია ზოგიერთ გადამწერს და მკვლევრებსაც კი ზმნად მიუჩნევიან და ჰსურია-ად შეუცვლიან, მაგრამ ჩვენ ეს სიტყვა სანსკრიტული წარმოშობისა გვგონია. ზ. რაგოზინი თავის წიგნში „История Индии“ წერს: „Сурья—просто нарицательное имя, которое на санскритском языке означает «солнце», и корень, в нем заключающийся, выражает понятие «блеска, сияния». В Риг-Веде Сурья есть не что иное, как настоящее, видимое светило, «сотворенное» богами (или каким-нибудь одним богом), и послушное их велениям. Но вместе с тем, Сурья и не только солнце,—оно также бог, управляющий солнцем, могущественный, независимый, подвластный лишь уставам великих Адитья, которые сами покорны Рите, верховному мировому и нравственному закону“ (გვ. 236). „რივედას“ ჰიმნებით, სურია არის ყოვლისმხედველი თვალი, რომელიც ბურუსსა ჰფანტავს, სინათლეს იძლევა და ხალხს შრომისა და მოღვაწეობის სტიმულს ანიჭებს. სურიასადმი მიძღვნილია რამდენიმე ჰიმნი, მაგრამ მათ შორის თავის მრავალფეროვნებით და დასრულებული ლიტერატურული ფორმით აღსანიშნავია ერთი ჰიმნი, საიდანაც სურიას შესახებ სრულიად გარკვეული წარმოდგენის შემუშავება

¹ С. Радхакришнан, Индийская философия, I, 1956, стр. 63—64; W. Ruben, Beginn der Philosophien in Indien, 1955, Berlin, стр. 68—77; З. А. Рагозина, История Индии, 1905, Спб., стр. 236—247; М. Мюллер, Шесть систем индийской философии, 1901, Москва, стр. 39—40. Рамайна. Перев. с индийского А. П. Баранникова, 1949, стр. 270.

შეიძლება. ამ ჰიმნში ვკითხულობთ: სურია, ე. ი. მზე იმისთვის. ამოდის ცაზე, რომ მთელი სამყარო მიმოიხილოს, ზემოდან უჭვრიტოს ხალხს, მფარველობა გაუწიოს ყველა მოგზაურსა და ადგილზე მყოფს, ხალხთა შორის სამართალი განსაჯოს. სურია სამყაროს შემოქმედი და მმართველია, ის ამავე დროს სიკეთის განსახიერებაა ამიტომაც ინდიელთა რელიგიური რწმენით სურიას კულტი დიდ დღესასწაულად ითვლება და სურიას, როგორც ვედების ერთ-ერთ კეთილ ღმერთს, დღესაც თაყვანსა სცემენ.

ამრიგად, ყველა ზემოთქმულის შემდეგ, ვფიქრობთ, დადგინილად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი: რომ ჩახრუხადის „თამარიანში“ შეიმჩნევა ინდური მითოლოგიის და კერძოდ „რიგვედას“ ჰიმნების აშკარა კვალი. ჩახრუხადე თამარისადმი ხოტბის შესასხმელად მოხდენილად იყენებს ინდოეთის მითოლოგიურ პერსონაჟებს, მათი სახელების ხმარებით მკვეთრ ფერებში გვიხატავს ქების ობიექტს და ომონიმებისა და შედარებების ბრწყინვალე ნიმუშებს იძლევა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ძნელია იმის თქმა, თუ როგორ გაიცნო ჩახრუხადემ „რიგვედას“ ჰიმნები. საფიქრებელია მას ხელთ ჰქონდა „ელინთა ზღაპრობანის“ მაგვარი თხზულება, ან რაიმე კომპენდიუმი, სადაც შეკრებილი იქნებოდა თქმულებანი ინდური ღმერთებისა და გმირების შესახებ. თავისთავად ეს ფაქტი იმას მეტყველებს, რომ ჩახრუხადე დიდად განათლებული პოეტი ყოფილა და მისი თხზულების მკითხველიც საკმაოდ მაღალ კულტურულ დონეზე მდგარა.

ბ. არისტოტელი ბრძნეთა ტომელი

თუ არ, რას შესძლებს ენა ძლიერსა?

ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა,

ვერაინ სრულ ჰყოფს მას მეცნიერსა.

გულის ჯმის-ყოფა, გონება-ყოფა

მისთანასათვის მაძებნიერსა (2,1—3; I, 5—7).

სტროფი დამახინჯებულია ნაწილობრივ მეორე ჯგუფის ხელნაწერთა გადაწერთაგან და ნაწილობრივაც რედაქტორ-გამომცემელთა მიერ. დაყოფილი სიტყვები გასწორდა B ნუსხის შესაბამისად:

არისტოტელი, ბრძნეთა ტომელი,

თუ არა შესძლებს ენა-ძლიერსა,

ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა:

ვერაინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა,
 გულისჯმის - ყოფად, გონება - ყოფად
 მისთანისათვის მაძებნიერსა (შეს., 5—7).

6. „ბროლისა ველსა, თვალ უწდომელსა“ (5,2; XII,11)

გასწორდა კონტექსტისა და AB ნუსხების შესაბამისად:

ბროლისა ველსა. თვალ-უწდომელსა (I, 6).

მეტაფორა ბროლის ველი ნიშნავს ბროლივით თეთრ პირისახეს (შდრ.: რუსთაველი — „ბროლისა ველსა სტურფობდეს გიშრისა მუნ საყენია“). „თვალ-უწდომელი ველი“ არის გაბადრული პირისახე, ხოლო ინდონი — წარბ-წამწამები. ტაეპის აზრი ასეთია: თამარის გაბადრულ, ბროლივით თეთრ-გამჭვირვალე პირისახეს ამშვენებდნენ (შავი) წარბ-წამწამები.

7. შუქნი კრთებიან, ემუქმკებიან,

ზოალი იჩინებს დაქადებულად (5,3; XII, 6).

8. მარმა ზმნა ემუქმკებიან (ემუქმეკებიან) გაუგებარ სიტყვებში მოაქცია¹. ამ სიტყვას ჩახრუხადის გავლენით ხმარობს ნ. ბარათაშვილი ლექსში „ნა... ფორტებიანოზედ მომღერალი“: „თმანი ნაშალნი, მკერდზე დაყრილნი, ემუქმკებოდენ“². ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემის ლექსიკონში აღნიშნულია: ემუქმკებოდენ იგივეა, რაც „ემუქ-ემკობოდნენ, მუქჩრდილის დაფენით ამკობდნენ, ან: ემუშქმეგოდენ, ე. ი. მუშქის მკმეველად ხდებოდნენ მისთვის“³. ა. გაწერელიას აზრით, ემუქმკებიან, რომელიც „მხოლოდ ერთხელ ამოტივტივდა“ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ნ. ბარათაშვილთან⁴, „ეტიმოლოგიურად დღემდე აუხსნელი სარიტმო სიტყვაა“⁴. და მართლაც, იგი ყოველთვის აუხსნელი იქნება, თუ ხელნაწერთა წანაკითხებს არ მოვიშველიებთ. ეს სიტყვა ნუსხებში იკითხება ამგვარად: ემუქფეებიან (A), ემუშქრებიან (B), ემუქმეებიან (C), ემუქმე კებიან (E). ტაეპი გასწორდა A ნუსხის მიხედვით:

შუქნი კრთებიან, ემუქფეებიან,

ზუალ იჩინებს დაქადებულად (I,7).

¹ TP, IV, გვ. 102.

² ნ. ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, 1945, გვ. 27.

³ იქვე, გვ. 162.

⁴ ა. გაწერელია, ქართული ლექსი, 1955, გვ. 115.

ე. ძ. შუქნი კრთებიან (ცახცახებენ, თრთოლავენ), სამაგიეროს მიზღვევით იმსკვალებიან („ემუქფებიან“) თამარის სილამაზის გამო, ზუალი (პლანეტა სატურნი) ისე გამოიყურება, თითქოს თამარს ემუქრება, რადა ხარ ლამაზიო.

ემუქფებიან ნაწარმოებია სიტყვიდან მუქაფა. ქართულში გვხვდება ამ სიტყვის სხვა ფორმებიც: მუქფება, უმუქფენ. მაგ. „ვისრამიანში“ კკითხულობთ: „შენი დღენი სხარულით დალიენ და სიყვარული უმუქფენ“ (გვ. 81).

8. კაცნი რამე ყვეს დატყვევებულად (12,2; XII, 49)

გასწორდა ძველი ქართული ენის ნორმებისა და B ნუსხის შესაბამისად: კაცნი რომე ყვენეს დატყვევებულად (I,34).

9. მათსა ძღვევასა და აწ ჩვევასა,
გაეამაყნეს ალაღებულად (12,3; XII, 50).

სიტყვას ჩვევასა მთელი დისონანსი შეაქვს ტაეპის შინაარსის სწორად გაგებაში. იგი ნუსხებში სხვადასხვანაირად იკითხება: აწ ჩვენსა (A), მჩვევასა (E), რჩვევასა (D), ჩვევასა (B,C და მეორე ჯგუფის ნუსხები). გასწორდა D ნუსხის მიხედვით:

მათსა ძღვევასა და აწ რჩვევასა
გაეამაყნეს ალაღებულად“ (I, 35).

10. უთხარ მთავართა: ესე, ჰა, ვართა,
მათ ზედა განმკლენ გასახლებულად (12,4).

ამგვარად იკითხება მეორე ჯგუფის ხელნაწერებში და XIX საუკუნის გამოცემებში. 1902 წელს ნ. მარმა ტექსტი შეასწორა:

უთხარ მთავართა ესე: ჰავართა
მათ ზედა განმკლენ გასახლებულად (XII,56),

ანუ რუსულად: „Ты князьям велела мужаться и двинуться семьями на них, неверных!“¹

თხუთმეტი წლის შემდეგ ტაეპის ამგვარ გაგებაში მან ცვლილება შეიტანა: „Ты сказала князьям, вот именно мусульманам, чтоб они мужались против них (врагов), двинулись домами“².

¹ ТР, IV, გვ. 37.

² ИАН, 1917, გვ. 505.

შ. ნუცუბიძემ უარყო ნ. მარის ეს უმართებულო თარგმანები და თავის მხრით მან ტაეპის ახალი ინტერპრეტაცია მოგვცა:

Молвишь ты знати: Двиньте вы рати
встретить пришельца с дружной твердостью» (24).

მაგრამ არც ამგვარი გაგებაა სწორი. ტაეპის შინაარსობლივ გაუგებრობას იწვევს სიტყვები: განმკნდენ გასახლებულად. პირველი ჯგუფის ხელნაწერებში იკითხება: განმკნდენ გასაჯლმებულად (A) გაჯლმდენ გასაჯლმებულად (B), გამოხდენ გასახრმებულად (C), განმხნდენ გასახრმებულად (D).

ტაეპი გასწორდა კონტექსტისა და ციტირებული წინაკითხების შესაბამისად:

უთხარ მთავართა ესე: «ჰავართა
მათ ზელა განმკნდენ გასაჯრმლებულად» (I, 36).

ე. ი. (თამარ), მთავრებს ესე უთხარ: გამხნევდენ ურწმუნოთა (ჰავართა) წინააღმდეგ ხმალდახმალ ბრძოლისათვის.

გ-ა-ს-ა-ჯ-რ-მ-ლ-ე-ბ-უ-ლ-ა-დ მიმღეობაა ვითარებით ბრუნვაში დაყენებული; ნაწარმოებია არსებითი სახელიდან ჯრმალ-ი, რომლიდანაც წარმოქმნილია საწყისი გ-ა-ჯ-რ-მ-ლ-ე-ბ-ა, ე. ი. ხმალდახმალ შებრძოლება. ამ საწყისიდანაა მიღებული „გეფხისტყაოსანში“ დამოწმებული ზმნა გ-ა-გ-ე-ჯ-რ-მ-ლ-ე-ნ-ი-თ (ხმლით შეგებრძოლეთ):

რამაზ მეფე ჩამოვადე, ერთმანერთსა გავხრმლენით (451,3).

სიტყვა გასაჯრმლებულად ძნელი გამოსათქმელია; ამატომ მასში მომხდარა ფონეტიკური ცვლილებანი: ჯერ სიტყვის ძირიდან ამოვარდნილა რ (გასაჯმლებულად), მერმე ჯმლ თანხმოვანთა კომპლექსში მომხდარა მეტათეზისი (გასაჯლმებულად), აქედან მიღებულა გასახლმებულად და მ-ს ამოვარდნით — გასახლებულად.

11. განდრკეს მეოტნი განდიდეზულად (16,3; XII. 65).

ტაეპში გაუგებრობას იწვევს სიტყვა განდიდეზულად. დამარცხებული ჯარის განდიდებით გაქცევა არავის გაუგონია. C ნუსხაში იკითხება: „განდგეს მეოტნი განრისხებულად“, მაგრამ არც ეს წაკითხვაა სწორი. ტაეპი გასწორდა AG ნუსხების მიხედვით:

განდრკეს მეოტნი განრიდეზულად (I, 51).

12. თანა-მეყოფნი წარვიდეს, მყოფნი (16,4; XII, 66).

გასწორდა შინაგანი რითმისა და კონტექსტის შესაბამისად:

თანა-მეყოფნი წარვიდეს მსრბოლნი (I, 52).

AD ნუსხებშია: თანამეყოფნი წარვიდეს მსრბოლად.

13. ჯვართაც ღმერთთან მიმომთმინარი (22,3; II, 11)

გასწორდა AF ნუსხების მიხედვით:

ჯვართაცა, ღმერთო, არ მომთმინარი (II, 11),

ე. ი. ღმერთო, ჯვრებისაც არ დამთმობია (თამარი).

14. მანცა თამარის, მანცა თამარის

და მზე აბნელა მაცისკროვნებად (25,2).

ნ. მარი პირველ ათმარცვლედს კითხულობს როგორც „მან ცათამ არის მანცა თამარის“ (IV, 2) და მთელი ტაების შინაარსი ესმის ამგვარად: „Тот, небесный, Марсово жилище дал Тамаре и затмил солнце, осияв ею (Тамарою), точно зарею“¹.

სულ სხვა შინაარსს შეიცავს შ. ნუცუბიძის თარგმანი:

Взоры Тамары в зорях для кары

С солнцем презрели миротворчество (49).

„და მზე“ ხელნაწერებში იკითხება: განმზე (AB), განამზე (F), გან მზე (DC), გომზე (E). ამ წანაკითხებს თუ დაუტყვირდებით, გამოირკვევა, რომ გან არის კითხვითი ნაწილაკის განა-ს შემოკლება, ამის მიხედვით ტაები გასწორდა:

მანცათა მარის, მანცა თამარის

გან მზე აბნელა მაცისკროვნებად (IV, 2),

ე. ი. ღმერთმა განა თამარის, არამედ ცათა გველის მაცისკროვნებელი მზე დააბნელა..

15. ადამეთერთა, ადამეთერთა

დასახა სახებრ მსგავსი ქონებად (25,3).

ტაების პირველი ათმარცვლელი გასწორდა ნ. მარის გამოცემის მიხედვით (IV, 3), მეორე ათმარცვლედში კი შესწორდა სიტყვა ქონებად სიტყვით პოვნებად. ასეა ABCF ნუსხებში. ამ შესწორებით ტაების შინაარსიც ნათელი გახდა და სტროფის რითმაც გაიმართა:

¹ TP, IV, გვ. 94.

აღამეთ ერთა აღამ ეთერთა
დასახა სახებრ მსგავსი ბოვნეზად (IV,3).

ეს ნიშნავს: ღმერთმა ზეციერი აღამი დასახა აღამიანთა სახის მსგავსად სახილველად.

16. არსა ღაღადი, რად არს ღაღადი,
მზე შენგან მრთმევად უეტლოვნებად (25,4).

პირველ ათმარცვლედს ნ. მარი კითხულობს როგორც „არსა ღაღადი — რად არსლა ღადი“ (IV,4). გამოკვლევაში იძლევა იგი-სავარაუდო წაკითხვას შესატყვისი კომენტარით:

„Он [საუბარია პირველი ათმარცვლედის მეორე ნაწილზე, ი. ლ.] должен звучать не рад арсла ღადი, а как первый стишок, арსლა ღადი, понятно, с присущим ему особым делением на слова, и тогда весь куплет можно будет понять таким образом: «Нет нигде шума (т. е. кругом невозмутимая ночная тишина) — есть только темное (как ночь) солнце, обездоленное тобою, лишённое колесницы»¹.

ნ. მარს ღადი მიაჩნია არაბულ სიტყვად და ქართულად თარგმნის, როგორც ბნელი, თუმცა იქვე დასძენს, რომ ამ სიტყვაში შეიძლება დაეინახოთ არაბულ-სპარსული „غ-იც, რომელიც ნიშნავს потупление взора-ს, მაშინ ათმარცვლედის მეორე ნაწილი „რად არსლა ღადი“ ითარგმნება: Солнце «только потупляет взоры»².

ტაეპი გასწორდა ნ. მარის კონიექტურის შესაბამისად:

არსა ღაღადი: «რად არს-ლა ღადი
მზე შენგან მრთმევად უეტლოვნებად» (IV,4).

17. მისმიერ მისად, მისმი ერმისად —

სხვათა მნათობთა მართ მიხლ მკდოვნეზად (26,3; IV,7)

ნ. მარის განმარტებით ეს ნიშნავს: „[явившись] от него (Зевса) родною ему (Зевсу), ты пользуешься у меня славою Гермеса... для умерщвления прочих светил, т. е. чтобы затмить их“³.

ოდნავ განსხვავებულ შინარსს გადმოსცემს შ. ნუცუბიძის თარგმანი:

¹ TP, IV, გვ. 93.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 96, აგრეთვე სქოლიო 3.

С Зевсом же вместе, так же Гермес ты;
Звезды затмила ты узорами (52).

მინდ მკდოვნებად („для умершвления“) დამახინჯებული წაკითხვაა სიტყვების ბინდ მკდოვნებად, რომელიც B ნუსხას შემოუნახავს. შდრ.: ბინდ მკდოვნებად (A), ბინდ კდოვნებად (DF). დამახინჯება მომხდარა ბ-მ-სა და ჯ-კ-ს აღრევის ნიადაგზე. ტაეპი გასწორდა კონტექსტისა და B ნუსხის მიხედვით:

მის მიერ მისად მისმი ერმისად,
სხვათა მნათობთა მართ ბინდ მკდოვნებად (IV,7),

ე. ი. შენ ზევსის მაგიერ („მის მიერ მისად“) ხარ ჩემთვის ოტარიდი (მერკური), სხვა მნათობების ნამდვილად გამნათებელი, ბინდის ამხდელი.

18. მეტყვისით ენოს, მეტყვის: «მითენოს
წყვლიად, რომელ სჩანს ვარდი თოვნებად» (27,2; IV,10).

ნ. მარისა და ს. კაკაბაძის აზრით, პირველი მეტყვისი ნიშნავს: მეტყვის (ე. ი. ზედმეტად რაცხს), მაგრამ სიტყვის ამგვარი დაშლა უმართებულოდ მიგვაჩნია; უნდა იყოს მეტყვის (ტყვედ გამიხდება, დამიტყვევდება). ტაეპი გასწორდა:

მეტყვისით ენოს, მეტყვის: «მითენოს
წყვლიად, რომელ ჩანს ვარდი თოვნებად» (IV,10),

ანუ: ტყვედ გამიხდება (დამიტყვევდება) ენოსი (ფილოსოფოსი) და მეტყვის: გამითენოს წყვლიადი, რომ ვარდი მოჩანს დათოვლილად.

19. ძედ ღმრთისა შენ დად მიმწოდებარე (30,4; X,11)

გასწორდა BF ნუსხებისა და კონტექსტის მიხედვით:
ძე ღმრთისა შენდა მწედ მწოდებარე (V, 12).

20. ვის აქვს შენებრი, ვის აქვს მშვენებრი (31,1).

ეს ტაეპი ამგვარად იკითხება მეორე ჯგუფის ნუსხებში. წანაკითხს ნ. მარი ასწორებს — „ვის აქვს შენებრი — ვიჰ! — ნაქვს მშვენებრი“ (X,12), მაგრამ ამ გასწორებას ხელნაწერთა ტრადიცია არ უჭერს მხარს. პირველი ჯგუფის ნუსხებში ვკითხულობთ:
7. ი. ლალაშვილი

ვის აქვს შენებრი დამშვენებარე (ABCF), ვის აქვს შენებრივ დამამშვენებრივ (G). ტაეპი გასწორდა:

ვის აქვს შენებრი და მამშვენებრი (V, 13).

21. ვინ ან ისა და? ვინანი, სადა
მისთა მოყმეთა მარცხო მზებარე? (31,2).

ტაეპის პირველ ათმარცვლედს ნ. მარი კითხულობს: „ვინანი, სადა ვინ ანისადა“ (X, 13). გასწორდა კონტექსტისა და AD ნუსხების „მზლებარე“ წინაკითხის შესაბამისად:

ვინ ანისადა ა? ვინანი, სადა
მისთა მოყმეთა მარცხო მზლებარე (V, 14),

ანუ: ვინ არის ანისში? ვნანობ, (რომ იქ უამრავი) ანისელი მოყმე გაანადგურეს (მარცხო მზლებარე).

აქ იგულისხმება არდაველის სულტნის მიერ 1206 წლის მახლობლად ანისელთა ამოწყვეტისა და ქართველთაგან სამაგიერო მიზღვევის ამბავი, რომელიც მოთხრობილი აქვთ ქართველ და არაბ ისტორიკოსებს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ ვკითხულობთ: არდაველის სულტნის მოლაშქრეებმა „ჯელთ იგდეს ქალაქი [ანისი], ერთი ზევრი და ორ ათასი (ე. ი. 12.000, ი. ლ.) კაცი ეკლესიათა შინა, ვითარ ცხოვარი, დაკლეს, თვნიერ მისსა, რომელი უბანთა და ფოლორცთა შინა მოიკლა. ესოდენ მძვინვარედ მოაოჯრეს ანისი. და სავსენი ტყუთა და ალაფითა მიიწივნეს შინა“ (გვ. 130). ამ საზარელი ამბის გაგონებაზე ქართველები ძლიერ შეწუხდნენ, „გული მათი ცეცხლებრ ენთებოდა. მეფე და ყოველნი სპანი მისნი, მწუხარებითა და გულისწყრომითა მიერ მოცვულნი, სპარსთა მიმართ ბრძოლისა ყოფად აღემზადნეს“ (გვ. 130). ქართველები მხარგრძელთა მეთაურობით არდაველის სულტნის დასასჯელად გაემგზავრნენ. მათ „ესრეთ შეუწონეს ჟამი, რომელ აიდი განთენდებოდა, რომელ არს აღვსება მათი, და მას ლამესა გარე მოადგეს არდაველს... ყოველგნით ცხენი შემოუტივეს მჭარგრძელთა, შეუტდეს და უომრად ჯელთ იგდეს ქალაქი... სულტანი არდაველისა მოკლეს, ცოლნი და შვილნი მისნი ტყუე-ყვნეს და წამოასხნეს; ათორმეტი ათასი კაცი რჩეული მიზგითთა შინა მოკლეს, ვითარ მათ ყვეს ანისისა ეკლესიათა შინა, სხუად უპრავლეს ერი მოსწყვდეს და სხუად ტყუე-ყვეს“ (გვ. 131).

„თამარიანში“ არდაველის სულტნის მიერ ანისელთა ამო-
ხოცვისა და ქართველთაგან სამაგიეროს მიზღვევის გამოძახილს
პირველად ყურადღება მიაქცია კ. კეკელიძემ¹.

22. ოს-დიდმან დავით, ოს დიდ მან დავით,
ფარეზ შემუსრა წინა მგებარე.
მან გლისპირითა? მანგლის პირთა.
ოდენ მუნით ჰყო მეოტებარე.
შენ მისნი ერნი! შენ მისნი ერნი
გარნისს მამისკმნამით მემქებარე (32,2—4;X,17—19)

გასწორდა კ. კეკელიძის კონიექტურისა² და პირველი ჯგუ-
ფის ნუსხათა წინაკითხების გათვალისწინებით:

ოს დიდმან დავით ოს დიდ მან დავით
ფარეზ შემუსრა წინამგებარე.
მანგლისპირითა მანგლისპირითა
ოდენ მუნით ყო მეოტებარე,
შენ მისნი ერნი! შენ მისნი ერნი
გარნისს მოგისხნა, მით გემქებარე (V,18—20).

23. წაულერანი. წაულერანი,
ყელსა დასახენ ჩამომდებარე (33,3).

პირველი ათმარცვლელი ნ. მარის გამოცემაში შებრუნებით
იკითხება: „წაულერანი, წა, ულერანი“ (X,22). დასახენ არა-
სწორია, A ნუსხაში მის მაგიერ წერია დაასხენ. ეს წაკითხვა
უფრო ძველია და კონტექსტითაც მისაღები. ტაეპი გასწორდა:

წაულერანი, წა, ულერანი
ყელსა დაასხენ ჩამომდებარე (V, 23).

ეს ნიშნავს: (მაჰმადიანებს) წაართვი (დაიპყარ ქალაქი) რანი
(და მის ყოფილ მფლობელებს) ყელზე უღელი ჩამოჰკიდევ.

24. მიუშვენოღეს! მიუშვენ ოღეს
ამბერდად, რად ვთქვენე იგი მე ბარე? (33,4;X,23).

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1951, გვ. 171.

² კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, 1955, გვ. 32—36. ტაეპების პროზული
თარგმანი იხ. იქვე, გვ. 34.

პირველი ჯგუფის ნუსხებში იგი მე ბარე იკითხება: დვინის მეზარე (FD), დვინის მეზარე (AB). FD-ს სწორი წანაკითხი მეორე ჯგუფის ზოგიერთ ნუსხაში დამახინჯებულია.

ტაეპი გასწორდა:

მიუშვენოდეს, მიუშვენ ოდეს

ამბერდალ, რა ვთქვენ, დვინის მეზარე (V, 24).

ჩანრუხაძე დაცინის დვინის მფლობელს: როგორც ვთქვი, დვინის პატრონს (მეზარეს) მიუშვენოდა (გაქცევა), როდესაც მას უფლება მისცეს ამბერდში წასულიყო.

ამ ტაეპში „დვინის მეზარედ“ (ე. ი. მფლობელად) იგულისხმება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანში“ მოხსენებული „ბალშან, გაზრდილი ელდიგუზ ათაბაგისაჲ, ლომი ჭაბუკი, პატრონი დვინისაჲ და სომხითისაჲ, ძმაჲ სურმანელისაჲ“ (გვ. 111), რომელიც დვინში მიმავალი ლაშქრითურთ სასტიკად დაამარცხა ივანე მხარგრძელის მსტოვართა რაზმეულმა. შეიტყვეს რა ქართველებმა ივანე მხარგრძელის გამარჯვების ამბავი, „შეიყარა მეფე სპითა იმიერთა და ამიერთაჲთა ქუეყანასა განძისასა, და თამარ ჩავიდა დვინამდი“ (გვ. 112). „დვინის მეზარეს“ არც ამბერდში დაედგომებოდა, რადგანაც დვინის ალების შემდეგ ქართველებმა „აიღეს გელაქუნი, ბიჯნისი, ამბერდი და ბარგუშატი“. ეს ამბებია უნდა მომხდარიყო 1203—1204 წლებში.

25. ახლო პირო! მძლეო ნოსრ ვითა

ბრძენმან მასახა ასურმა ისო.

მწნეო და გმირო, ბობქარ ოხვრითა

იოხრის მგოდებმან ფლასულმა ისო.

ვა გაუჭშირო მტერთა მოსვრითა,

შენი თქვეს შინა ასურმა ისო.

ესერ ატირო გულსა მოკრვითა

ჯრმალი მოფხვრისა ნასურმა ისო (36; X, 32 — 35).

კ. კეკელიძე ამ სტროფს ინტერპოლატორის მიმატებულად მიიჩნევს: იგი „არ არის თამარიანის ავტორის კუთვნილება, ის შემდეგშია მიმატებული. ეს ჩანს შემდეგიდან: ყველა წინა სტროფს¹ ამ ოდაში (იგულისხმება ეზარე-რითმიანი ოდა, ი. ლ.) აქვს შინაგანი რითმა, ამ ოთხ სტროფს (32 — 35) კი

¹ „სტროფი“ ციტატაში ნახმარია „ტაეპის“ მნიშვნელობით. ი. ლ.

არა; ყველა წინა სტროფის რითმაა «ეზარე», ამ ოთხისა კი — «მა ისო» (ასურმა ისო, ფლასულმა ისო, ასურმა ისო, ნასურმა ისო, — რალაც ნაწვალეები სიტყვები, მაჯამის პრეტენზიით, რაც ამითაც ამჟღავნებს თავის სიყალბეს)¹.

კ. კეკელიძის მოსაზრებას, ვერ გავიზიარებთ. ეს სტროფი რომ ჩახრუხადის კალამს ეკუთვნის, ამას ადასტურებს ხელნაწერთა ტრადიციის გარდა მისი მალალმხატვრული ლექსთწყობა, მას მოეპოვება როგორც შინაგანი, ისე გარეგანი რითმები. იგი არ არის ეზარე-რითმიანი ოდის შემადგენელი სტროფი, არამედ წარმოადგენს დამოუკიდებელ ერთსტროფიან სახოტბო ლექსს, რომელსაც ძეგლში ისეთივე უფლება ენიჭება, როგორც ებულად, ევად, ეზარე და სხვა რითმებიან ოდებს. სტროფი გასწორდა პირველი ჯგუფის ხელნაწერების მიხედვით, მისი შინაგანი და გარეგანი რითმების თავისებურებათა გათვალისწინების საფუძველზე:

ახლო პირო, მძლეო ნოსრ ვითა, — ბრძენმან გასახა, ასურმა, ისო.

მგნეო და გმირო, ბოძქარ ოხრვითა ითხრის მგოდებმან ფლასურმა ისო,

უაჲ გაუჭვირო მტერთა მოსრვითა; შენი თქვეს: «შამი, ა სურმა ისო»

ესრე ატირო გულსა მოკრვითა, ჯრმალი მოფხვრისა ნასურმა ისო (VI).

ეს ერთსტროფიანი ლექსი ლოგიკური გაგრძელებაა ეზარე-რითმიანი ოდისა, რომელიც ლაშა გიორგის შესხმით ბოლოვდება. კონტექსტიდან ირკვევა, რომ საინტერპრეტაციო სტროფში შექმნილია ახალგაზრდა ლაშა გიორგი, რომელსაც პოეტი უწოდებს ახალ პიროს. პიროს სახელით ცნობილია ორი პიროვნება: აქილევსის ძე ნეოპტოლემი და დიდი მხედართმთავარი პირო, მეფე ეპირისა (319—272 წწ.), რომელიც მაკედონელებთან ბრძოლაში იქნა მოკლული. ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ აქილევსის ძე—ნეოპტოლემი, რომელმაც მამასთან ერთად თავი ისახელა ტროადის ბრძოლებში. პოეტი დავითისა და გიორგის საქებრად მშვენიერ ანალოგიებს მიმართავს: თუ დავით სოსლანი აქილევსის მსგავსი გმირია, მისი შვილი გიორგი ახალი პიროა, ძე აქილევსისა. ამავე დროს გიორგი მხნეა ნოსარივით. ნოსარ ნისრელი „ამირანდარეჯანიანის“ გმირია, რომელსაც კარგი ჭაბუკის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გიორგის მეტსახელად შეარქვეს ლაშა, რაც ნიშნავს „სოფლის განმანათლებელს“, „ქვეყნის მანათობელს“. ჩახრუხადის თქმითაც ლაშა გიორგი სურმაა, მანათობელი სანთელი (შამი).

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1951, გვ.77.

სურმა სამკურნალო მალამოა, საოლავი, რომელიც თვალს „მის-
ცემს ნათელსა და გარდაიღებს მანესა“, ე. ი. სიბინდეს. ძველ
სამედიცინო წიგნებში მას ეწოდება „თვალთა საოლავი სურმაჲ“¹.
ამის მიხედვით სტროფის დღემდე არასწორად გაგებული ში-
ნაარსი იცვლება.

ჩახრუხაძე მიმართავს ლაშა გიორგის: ახლო პირო (აქილევ-
სის ძვე), ნოსარ (ნისრელივით) მძლეო, მხნეო და გმირო, შენზე
თქვეს: (მანათობელი) სანთელია, (თვალის საოლავი) სურმაო.
ასურელმა ბრძენმა გიწინასწარმეტყველა, რომ ძაძებმოსილი (ფლა-
სური) აბუბაქრი ოხვრით ითხრიდეს (საფლავს). ის ისე უნდა
ატირო გულზე ხელის ცემით, რომ ამ უკეთურმა გულში თვითონ-
ვე ჩაისვას (მომაკვდინებელი) ლახვარი. შენ უნდა მტრებს მუსრო
გაავლო, (შეუბრალებელი) ხოცვით ვაჲ გაუხშირო.

26. აჰედრდეს ხვა ვინ, რზოდეს და სხვა ვინ (39,3; V, 11).
გასწორდა პირველი ჯგუფის ხელნაწერთა მიხედვით:

აჰედრდეს ოდეს, სხვა ვინ და რზოდეს (VII, 11).

ამ გასწორებას პირველად ყურადღება მიაქცია ა. ბარამიძემ².

27. აჯა და ლოდნა, ამით ხვდა ლოდნა

მისთა გამვრათა ელვათა ძვეად (40,1; V, 13).

მისთა გაძვრათა უაზრობაა. A-ში იკითხება: მის გან-
ძევართა, BCDFG ნუსხებში კი — მის გაძევართა. ტაეპი
გასწორდა A ნუსხის მიხედვით:

აჯა და ლოდნა! ამით ხვდა ლოდნა

მის განძევართა ელვათა ძვეად (VII, 13).

აქ საუბარია იმ განძეულობაზე, რომლის მოპარვის გამო
აქარი დაისაჯა სიკვდილით. „ბიბლიაში“ მოთხრობილია ასეთი
ლევგენდა:

აქარმა მოიპარა ღვთისაგან შეჩვენებული განძეული. ამის
გამო ღმერთი ისრაელების მიმართ განრისხდა; მათი ლაშქარი
ქ. იერიქოს მისასვლელებთან სასტიკად დამარცხდა. უფალმა ისუ-
ნავეს უწინასწარმეტყველა: თქვენ შორის ერთმა ისრაელმა ჩემს
მიერ შეჩვენებული განძეული მოიპარა; სანამ მას სახლეულით არ
დასჯი, მტერთან გამარჯვებას ვერ მოიპოვებ. ისუ ნავემ შემოიკ-

¹ წიგნი სააქიმოჲ, გვ. 113, 266; იადიგარი დაუდი, გვ. 286, 289, 435.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 236.

რიბა ისრაელთა ტომები და ყველას აღსარება ათქმევინა. როდესაც ჯერი აქარზე მიდგა, მან აღიარა თავისი შეცოდება: „ჭეშმარიტად მე ვსცოდე წინაშე უფლისა ღმრთისა ისრაელისა... ვიხილე ნატყუნავსა მას შინა ნაქსოვი ერთი ჭრელი, და ორასი სატირი ვეცხლი, და ენა ერთი ოქროდსა ერგასის სატირი სასწორით, ყოველი იგინი გულმან მითქვა და მოვიღე. აჰა ესერა, ესე დამიმაღავს მიწასა ქუეშე კარავსა შინა ჩემსა და ვეცხლი იგი დამიმაღავს ქუეშე მათსა“. ისუ ნავემ გაგზავნა მოციქულნი და მოპარული განძეული მოატანინა: მერმე „ჰრქუა ისუ აქარს: «რად აღგუჯოცენ ჩუნ, და აღგჯოცოს შენ უფალმა, ვითარცა ესე დღეს. და განტუნეს იგი ყოველმან ისრაელმან ქჯთა. და დაწვეს ყოველი ცეცხლითა და აყრიდენ მათ ქუათა, და აღდგეს მის ზედა ბორცვი ქჯსად დიდი“ (ისუ ნავე, VII).

28. ივდითის მწყდარი (VII, 17),

ე. ი. ივდითის მიერ მოკლული. ივდითი ბიბლიური პერსონაჟია. მისი გმირობის ისტორია მოთხრობილია „ივდითის წიგნში“:

ასურელებმა ნაფუგოდონოსორის დროს გაილაშქრეს ისრაელთა წინააღმდეგ. ლაშქრობას მხედართმთავრობდა ოლომფრე. ისრაელები ქ. ბეთილში გამაგრდნენ და მტერს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ოლომფრემ ქალაქს ალყა შემოარტყა. ბეთილის მცხოვრებთ სიმაგრეში ყოფნა გაუჭირდათ, ტყვედ ჩაბარება გადაწყვიტეს. ისრაელთა ხსნა განიზრახა გულადნა ებრაელმა ქალმა, სახელად ივდითმა. მან იმავე დღეს „მოუწოდა მკვეალსა თჯსა და გამოვიდა სახლით თჯით. და განიძარცვა თავისა თჯისაგან ძაძა და სამოსელი საჭურით“, ჩაიცვა ძვირფასი ტანისამოსი. „დასდვა აბრის მკვეალსა ზედა თჯსა თხიერთა ღჯნო, და ჭურჭლითა ზეთი, და მჯალი, და ლელჯ, და პური, და ყუელი“ და გაემართა მტრის ბანაკისაკენ. ასურელებმა გზად დააკავეს ივდითი, რომელიც მაშინვე მხედართმთავარს მიჰგვარეს. ოლომფრემ მას ჰკითხა მიზეზი, თუ რისთვის მიატოვა ისრაელნი და ასურელთა მხარეს გადმოვიდა. ივდითმა ცბიერული მკვერმეტყველებით უპასუხა, რომ იგი ასურელთა ლაშქრის სიძლიერეში დარწმუნებულია და ღვთის მოწოდებით მოევლინა აქ, რათა ასწავლოს მათ ქალაქში შესასვლელი გზები. ოლომფრემ ქალის ნათქვამი დაიჯერა და კარვის გუშაგებს უბრძანა, რათა ივდითისთვის დღისით და ღამით თავისუფალი სიარულის ნება მიეცათ. სამ დღეს ლოცულობდა ქალი. მეოთხე დღეს ოლომფრემ განიზრახა მისადმი თავისი გულისთქმის გამჟღავნება, ამიტომ საჭურისს უთხრა: „წარვედ და აუწყე ებრა-

ელსა ამას, რათა ნებსით ინებოს დავანებაჲ ჩემ თანა“. ივდითი ესტუმრა ოლომფრეს. მხედართმთავარმა სთხოვა ივდითს, რომ მის გვერდით დამჯდარიყო. ივდითმა უპასუხა: „განდიდებულ არს სული ჩემი დღეს უფროდს ყოველთა დღეთა ჩემთა“, რომ მე ღირსი ვაგხდი ჩემი პატრონის ყურადღებისა! გახარებულმა ოლომფრემ მოისვა გვერდით ივდითი მოახლით და შეუდგა პურობას. დაღამებამდე მან იმდენი ღვინო შესვა, „რაოდენიც არასოდეს ესუა ცხორებასა შინა თვისსა“. ღამით საჭურისმა „დავშნა კარნი საწოლისანი“. ოლომფრე „წვა სარეცელსა ზედა ფრიად მთრვალი და ეძინა ძლიერად“. ივდითმა იხელთა დრო, მძინარე ოლომფრეს ხმლით თავი მოჰკვეთა და ტომარაში გახვია, შემდეგ ფარულად განვლო მტრის ბანაკი და ბეთილს მივიდა. მეორე დღეს ოლომფრეს სიკვდილის გამო ასურელთა ლაშქარში დიდი პანიკა შეიქმნა. ამით ისარგებლეს ისრაელებმა და მტერი ბეთილის მისასვლელებიდან შორს განდევნეს.

ჩახრუხაძე იხსენებს რა ივდითის ისტორიას, თამარს მიმართავს: ივდითის მიერ მოკლული (ან ივდითისათვის მომკვდარი) ოლომფრე შვიდგზის შეცდა, რომ შენ არ გეტრფილაო.

29. სამფსონ პალატად ჩანს გე ღალატად
თავი დალიდას განაპარსევად (41, 2; V, 18).

პირველი ჯგუფის ნუსხების მიხედვით ჩანს გე გასწორდა სიტყვით ჩანს-ეე (VII, 18).

ტაეპის შინაარსის ასახსნელად საჭიროა გავიხსენოთ ბიბლიური ლეგენდა სამფსონისა და დალიდას შესახებ, რომელიც მოთხრობილია „მსაჯულთა წიგნის“ მე-13—16 თავებში:

ისრაელთა შორის იყო ერთი კაცი სახელად მანოე. ჰყავდა ცოლი, რომელსაც შვილი არ უჩნდებოდა. ერთხელ დედაკაცს ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: შენ მალე დაორსულდები და ვაჟს გააჩენ. მშობიარობამდე არც ღვინო დალიო და არც უწმიდური რაიმე ჭამო, ყრმას კი არასოდეს თმა არ გადაპარსო, რადგანაც იგი ღვთისაგან რჩეული იქნება და ისრაელებს ფილისტიმელთა მონობისაგან გაანთავისუფლებსო. რამდენიმე ხნის შემდეგ მანოეს ცოლი დაორსულდა; გაუჩნდა ვაჟი, რომელსაც სახელად სამფსონი უწოდეს. ყრმა უფალმა აკურთხა და დალოცა. სამფსონი დაჰბუჟდა. ღმერთმა მას ისეთი სიძლიერე მიანიჭა, რომ ლომს კატასავით ჰკლავდა. ცოლად შეირთო თამნაელი ქალი, მაგრამ

მოყვრებმა ქალი ქმარს გააცილეს და ვიღაც თამნაელ კაცზე გაათხოვეს. საფსონმა ეს ამბავი თავის დამცირებად მიიჩნია, რის გამოც ფილისტიმელებს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაემტერა. იმ დღეს, როდესაც მან ცოლის გათხოვების ამბავი შეიტყო, სამასი მელა დაიჭირა, კულებზე ანთებული ჩირალდნები მოაბა და ფილისტიმელებს პურის ყანები, ვენახები და ზეთისხილის ბაღები გადაუწვა, მერმე ათასამდე ფილისტიმელი მოკლა კომბლით, ცოცხლად გადარჩენილები კი დაიმონავა.

ერთხელ სამფსონმა სორეჟის ხევში ნახა ლამაზი ქალი, რომელსაც სახელად დალიდა ერქვა. შეუყვარდა იგი და ცოლად შეირთო. ეს ამბავი ფილისტიმელთა მთავრებმა რომ შეიტყვეს, დალიდას უთხრეს: სამფსონს ათქმევინე, რისგან აქვს მას ასეთი სიძლიერე, ან როგორ შეიძლება მისი შეკვრა და დამდაბლება; ჩვენ შენ მოგცემთ თითო კაცის თავზე ათას ას ვერცხლსაო. ქრთამით დახარბებული დალიდა მაცდურობის გზას დაადგა. იგი სამფსონს ყოველდღე ეკითხებოდა: რისგან გაქვს შენ ესოდენ დიდი ძალა და როგორ შეიძლება მისი დაკარგვა? სამფსონი დალიდას დიდხანს სწორ პასუხს არ აძლევდა, საიდუმლოს გამჟღავნებას ერიდებოდა, მაგრამ, როდესაც დალიდამ მის სიყვარულში ეჭვი შეიტანა, სამფსონი სატრფოს გულწრფელად მიენდო, რათა დალიდასადმი უზაკვო სიყვარული საიდუმლოს გამჟღავნებით დაემტკიცებინა, და უთხრა: მე ძლიერი ვარ იმით, რომ ჩემს თმებს სამართებელი ჯერ არ მიჰკარებია: „უკეთუ დავიყვინო თმა ესე ჩემი, მოუძღურდეს ჩემგან ძალი ჩემი“. რაკი დალიდამ სამფსონის სიძლიერის საიდუმლოება შეიტყო, მოიხმო ფილისტიმელნი, ქრთამი გამოართვა მათ და მძინარე სამფსონს თმები გადაკრიჭა. გაიღვიძა სამფსონმა, მაგრამ ის უკვე დაუძღურებული იყო. მტრებმა შეიპყრეს მოცთუნებული მიჯნური, გაზას საპყრობილეში ჩაადგეს; „შეკრეს ბორკილითა რვალისათა“ და მისცეს მას საფქვავეი საფქველად. დალიდასაგან განაპარსევი სამფსონი იჯდა საპყრობილეში და უცდიდა დროს, როდესაც ჯავრს ამოიყრიდა ფილისტიმელებზე. ამასობაში „იწყო თმამან თავისა მისისამან აღმოსლვად“. დადგა ფილისტიმელთა რელიგიური დღესასწაული—მსხვერპლთა შეწირვის დღე. ფილისტიმელთა დიდებულები, რიცხვით სამიათასამდე, შეიკრიბნენ სამსხვერპლო ტაძარში და სამფსონის დამორჩილებისათვის ღმერთს ქებას ასხამდნენ. მოიყვანეს საპყრობილედან სამფსონიც, „დაადგინეს იგი შორის ორთა მათ სუეტთა ტაძრისათა“ და დაცინვა დაუწყეს. სამფსონი უფალს შეევედრა: „განმა-

ძლიერე მე ერთგვისა კუალად“, რათა ფილისტიმელთა მიმართ ვიძიო შური! მერმე მარჯვენა ხელი მოხვია ტაძრის ერთ საყრდენ სვეტს, მარცხენა მეორე საყრდენ სვეტს და სიტყვებით „მოკუდინ სული ჩემი უცხოთა თესლთა ამათ თანა“—მოზიდა სვეტები თავისკენ. სახურავი შეირყა კედლებითურთ და მთელი ტაძარი მიწაზე ჩამოწვა. ტაძარში მყოფი დიდებულები ერთიანად ამოიხოცნენ. მათ შორის დაიღუპა სამფსონ ძლიერიც.

30. თუ ვთქვა რად დარად, შენად რად დარად,
 ანუ დებორა გაგულ ქველევად (41, 3; V, 19).
 ნებით რად რა შენ, გემუდარა შენ,
 ანუ სამონოდ მოგმართა ძლევად (43,4; V, 28).

ციტირებულ ტაეპებში ნ. მარმა ამოიკითხა რომელიღაც რომანტიკული თხზულების გმირთა საკუთარი სახელები. იგი წერს: «Пожалуй, собственные имена каких-либо романтических героев скрываются в стихах Шенал рад дарад (V, 19) и ნებით-რად რა შენ (V, 28)»¹.

ამ მოსაზრების გავლენით, პ. ინგოროყვამ წამოაყენა ჰიპოთეზი: „თამარის მეფობის პირველ წლებში ქართულ ენაზე არსებობდა ხუთი რომანი, რომლებიც დღეს დაკარგულია“. თურმე ეს რომანებია: „ეთერიანი“, „ოსანო-შარიელი“, „ანალათ-შატბიერი“ „რადლარ“ და „რაშენ“². 1938 წელს ორი უკანასკნელი „რომანის“ გმირების შესახებ პ. ინგოროყვა წერდა: ჩახრუხაძე V ოდაში თამარს მიმართავს, რომ „თუ გიწოდო რადლარ (გთქვა, ე. ი. შეგაქო «რადლარად»), რა შესადარებელი იყო იგი შენთან“, ხოლო იმავე ოდაში „რაშენ წარმოდგენილია როგორც მიჯნური, რომელიც სხვა მიჯნურებთან ერთად (რამინთან, სალამანთან, შატბიერთან და კენისთან) განცვიფრებულია თამარის მშვენიერებით და ინატრის დაემონოს თამარს“³.

კ. კეკელიძემ სამართლიანად უარყო ნ. მარისა და პ. ინგოროყვას მოსაზრებანი, მაგრამ თავის მხრით მანაც რად დარის შესახებ საეჭვო ჰიპოთეზი გამოთქვა, რა შენის წაკითხვაში კი სინამდვილეს დაუახლოვდა: „რადლარად, — წერს კ. კეკელიძე, — თუ ეს საკუთარი სახელია, უნდა იყოს ძალზე დამახინჯებული ბიბლი-

¹ TP, IV, გვ. 99, შენიშვნა.

² „კავკასიონი“, 1—2, 1924, გვ. 285—286.

³ რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 41, სქოლიო.

ური სახელი ქალისა, ვინაიდან ის მოთავსებულია «ივლითი, და-ლიდა და დებორას» სახელებს შორის, ხოლო სიტყვები: «ნებით-რად რა შენ გემუდარა შენ». უნდა წაკითხულ იქნეს ასე: «ნებით არ აშენ», ესე იგი ნებაყოფლობით არ გახადე შენი, უკეთ, შენ არ გახდი მისი (იგულისხმება ვილაც თამარის ხელის მძებნელი), გემუდარა, შეგეხვეწა შენ, აქედანაც არაფერი გამოვიდა, მერე სამონოდ, დასაპურობად მოგმართაო¹.

შ. ნუცუბიძემ რად დარისა და რა შენის საკითხს გვერდი აუარა და საინტერპრეტაციო ტაეპები რუსულად თარგმნა შემდეგნაირად:

Кто тебе равный, доблестью славный?

Даже Дебора стала хилою (82).

Лишь пред тобою ставши с мольбою,

Он не лишился б сил отважности (86).

რად დარისა და რა შენის საკითხის შესახებ ა. ბარანიძემ რაიმე კონკრეტული მოსაზრების გამოთქმისაგან თავი შეიკავა, მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში აღნიშნა: „კონტექსტის მიხედვით შესაძლებელია საქმე გვექონდეს მართლაც რომანტიკულ პერსონაჟებთან და რომანტიკულ პოემებთან. მაგრამ უფრო კონკრეტულად რაიმეს თქმა ძნელია“².

მართლაც, იმ მონაცემებით, რაც დღემდე ცნობილი იყო მეცნიერებისათვის, საინტერპრეტაციო ტაეპების შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა; ამჟამად უკვე შეიძლება საკითხის დაზუსტებისათვის გარკვეული ნაბიჯის გადადგმა. პირველი ჯგუფის ხელნაწერები საამისოდ სანდო წინაკითხებს იძლევა:

BDFG: დურიად რად ვთქვა შენად რად დარად,

C: თურიადრა ვათქვა შენად რად დარად,

E: თუ რიად რად ვთქვა შენად რად დარად.

ამ წინაკითხებიდან XIX საუკუნის გადამწერებს ტაეპი „გაუმართავთ“ ისე, როგორც ეს ცნობილია ბექდური გამოცემებით, მაგრამ მათ ვერ აღუდგენიათ ტაეპის პირვანდელი წინაკითხი, რომელიც გაიმართა A ნუსხის მიხედვით:

დორიადარა რად ვთქვა შენ დარად

ანუ დებორა გაგულქველევად (VII, 19).

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1951, გვ. 192, №5. 2.

² ა. ბარანიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 283.

დებორა ბიბლიური პერსონაჟია. მის შესახებ „მსაჯულთა“ წიგნში ვკითხულობთ: „დებორა იყო დედაკაცი წინაწარმეტყუელი, ცოლი ლაფიდოთისი და ესე შვიდა ისრაელსა მას ჟამსა შინა“¹. მან მოსპო ებრაელ ტომთა შორის უფლი და ქიმზობა. ის ხელმძღვანელობდა ქანაანელთა წინააღმდეგ ბრძოლას პალესტინის დასაპყრობად. „მსაჯულთა“ მეხუთე თავი წარმოადგენს „დებორას გამარჯვების ჰიმნს“.

დორიადარა სპარსული სიტყვებისაგან (სრა და სრა) შედგენილი კომპოზიცია. დორია (ან დარია) ქართულად ითარგმნება როგორც ზღვა, დარა — როგორც მეუფე, მფლობელი, მპყრობელი, დორიადარა კი — როგორც ზღვის მპყრობელი, ზღვის მეუფე.

ამის მიხედვით პირველი ტაეპის აზრი ასეთია: შენ, თამარ, საქველმოქმედო და სახელმწიფოებრივი საქმიანობით იმდენად დიდი ხარ, რომ მე ვერ შეგადარებ ზღვის მეუფეს, ან გაგულქველუბულ (გულმხნე) დებორასო.

მეორე ტაეპის წანაკითხები B ნუსხის მიხედვით სწორად აღადგინა სარგის ცაიშვილმა²:

ნებით რად არა შენ გემუდარა,

ანუ სამონოდ მოგმართა ძლევად? (VII, 28).

31. არ ჰქონდა ნება, არც რა შენება (41, 4; V, 20)

გასწორდა: არ ჰქონდა ნება, არცა შენება (VII, 20).

32. ოსანოს რეტი არს შენაჭვრეტი (42; 3; V, 23)

გასწორდა კ. კეკელიძის კონიექტურის შესაბამისად³:

ოსან ოს რეტი არს შენამჭვრეტი (VII, 23).

ასევე იკითხება BE ნუსხებში.

33. სალას სალმობად უჩნსვე დალმობად (42, 4; V, 24),

უჩნსვე გასწორდა როგორც პირველი ჯგუფის ნუსხებშია: უჩნს-ყე (VII, 24).

სალა უცნობი რომანის პერსონაჟია. მის შესახებ სხვადასხვა ნოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ ყველა ჰიპოთეზურია. სალა მოხსენებულია ბიბლიაშიც — „სალა შეა ებერ“ (შესაქმე, X, 24),

¹ წიგნი მსაჯულთა, IV, 4—5.

² „სახალხო განათლება“, 1955, № 10.

³ კ. კეკელიძე, ეტიუდები, III, 1955, გვ. 27—32; ტაეპის ვრცელი კომენტარები იხ. იქვე.

მაგრამ მას არავითარი საერთო არა აქვს რა „თამარიანის“ სალასთან. ნ. მარის აზრით, სალა (იგივე სალმან, რომელიც „ვეფხისტყაოსანშია“ დამოწმებული) უცნობი სპარსული სამიჯნურო პოემის „სალმან და აბსალის“ გმირია¹. პ. ინგოროყვამ უდავო კეშმარიტებად მიიღო ნ. მარის ვარაუდი სალას ვინაობის შესახებ და თავის მხრით დაუმატა: რომანი „სალმან და აბსალ“ თარგმნილი ყოფილა ქართულად და ერთგვარი პოპულარობითაც სარგებლობდა მკითხველ საზოგადოებაში“. კ. კეკელიძემ უარყო ეს მოსაზრება და სალას პროტოტიპად მიიჩნია ნიზამის „ლეილმაჯნუნიანის“ გმირი სალამი². მკვლევარი წერს: „ვეფხისტყაოსნის“ სალამანის სახით „мы не можем видеть Саламана, героя иранской поэмы Салман-о-Эбсаль (как думал Н. Я. Марр), Руставели не мог цитировать ни одной иранской редакции этой поэмы. В этом имени мы имеем не неоформленный падеж «Саламан», а оформленный «Сала-ман». Этот Сала тот же самый Сала, который, по V (VII, о. л.) оде Тамариани, был влюблен без удовлетворения, безотрадно лбишь-უნახევად. Этот последний некто иной, как герой той же поэмы Низами «Лейла и Меджнун» Ибн-Селям, безотрадно влюбленный в насильно за него выданную Лейлу“ (იქვე, 177—178).

კ. კეკელიძის ეს საინტერესო მოსაზრება, რომელიც გაიზიარა ა. ბარამიძემ³, საეჭვო არ იქნებოდა, რომ ენათმეცნიერულად სალამის გადმოქართულება სალად დასაბუთებელიყო. გაუგებრობას იწვევს მ-ს ამოვარდნა. რომ „თამარიანის“ საინტერპრეტაციო ტაეპში „ლეილმაჯნუნიანის“ იბნ-სალამი ივარაუდებოდეს, მაშინ უნდა გვეკონდეს სალამს და არა სალას. ნიზამის თხზულების მიხედვით ლეილას ქმრის სახელი იბნ-სალამ წარმოდგება მისასალმებელი გამოთქმიდან: სალამ ალეიქუმ.

თუ ეს ასეა, მაშინ ყოვლად წარმოუდგენელია არაბული სალამი, რომელიც იხმარება ამავე ფორმით სპარსულშიც, ქართულში სალად შემოსულიყო, რადგანაც ქართულში ჩვენ გვაქვს მისალმების აღმნიშვნელი სიტყვა სალამი, რომელიც შეესატყვისება სალამს.

¹ TP, IV, გვ. 68, შმშ. 1; TP, XII, გვ. XLI—XLIV.

² К. Кекелидзе, Руставели и Низами Ганджеви (თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, V, 1936, გვ. 163—169, 177—178).

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 279.

ამიტომ სალას და იბნ-სალამის ერთ და იგივე პირად მიჩნევა საგრძნობ დაეჭვებას იწვევს.

34. ანალათისა რად დაშვრა მოძევად (43,1; V, 25)

გასწორდა პირველი ჯგუფის ხელნაწერთა მიხედვით:

ანალათისა რად დაშვრა ძევად (VII, 25).

შატბიერი და ანალათი სპარსელი პოეტის ონსორის (გარდ. 1039 წ.) ჩვენამდე არმოდწეული სამიჯნურო თხზულები პერსონაჟები არიან¹. ცნობა ონსორის რომანის შესახებ დაცულია 1126 წლით დათარიღებულ ირანულ წყაროში, სადაც ვკითხულობთ: „ბაჰმანის, გოშთასაბის ძის, დროს იყო მოთხრობა შად-ბეჰრ და ანალჰაჯათზე“. შატბიერისა და ანალათის სიყვარულის ისტორია ცნობილი ყოფილა „ისტორიანი და აზმანის“ ავტორისთვისაც (გვ. 80—81). შდრ. ამ თხზულების ხელნაწერთა წანაკითხები: აინლიეთისათვის (მარიამ დედოფ. ვარიანტი), ანალათისათვის (ვახტანგის რედაქცია).

35. ითქმი უღამო, ტკბილ იულ ამო (46, 2; V, 38).

ნ. მარის აზრით, იულ (ქონი, ზეთი) სომხური სიტყვაა, ხოლო „ტკბილ იულ ამო“ ნიშნავს: ტკბილი, სასიამოვნო ზეთი². ამნაირი გაგება ტექსტისა, ვფიქრობთ, არასწორია; არა გვგონია ჩახრუხაძეს მიემართა თამარისათვის, რომ შენ ითქმი ტკბილ, სასიამოვნო ზეთადო. ტაეპი გასწორდა კონტექსტისა და პირველი ჯგუფის ნუსხათა მიხედვით:

ითქმი უღამო, ტკბილი და ამო (VII, 38).

36. სიბრძნითა სავისი ყოვლ არ მოთავსი,

ვინცა იბოვოს ნაორგულევედ (46, 3; V, 39)

გასწორდა კონტექსტისა და ABF ნუსხების შესაბამისად:

¹ კ. ქეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო (რუსთ. კრ., გვ. 155); მისივე — „ისტორიანი და აზმანის“ წინასიტყვაობა (გვ. 31); პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტ. მემკვიდრეობა (რუსთ. კრ., გვ. 31—34); ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 279—282. Н. Марр, Витязь в барсовой шкуре и новая культурно-историческая проблема (ИАН, 1917, 428—429), TP, IV, გვ. 99—100; ი. მარი, ქართ.-სპარსული ლიტ. ურთიერთობიდან („მნათობი“, 1934, № 9, გვ. 144—148); Ю. Н. Марр, Статьи и сообщения, 1939, II, გვ. 132—136.

² TP, XII, 1910, გვ. 22.

სიბრძნითა საესი, ყოლ არ მოთავსი,
ვისცა იბოვოს ნორგულევად (VII, 39),

ე. ი. სიბრძნით უნაკლოა (თამარი), სრულიად მოუთმენელია იმათ შიმართ, ვისაც ნორგულევს ნახავს¹.

37. ნე ბიერს პირსა (47, 4; V, 44)

გასწორდა ისე, როგორც პირველი ჯგუფის ხელნაწერებშია:
ნაყბიერ პირსა (VII, 44).

ნაყაბ არაბული სიტყვაა بقی (პირსაბურავი, ჩადრი, აჯილა), აქედანაა წარმოებული ნაყბ-იერ-ი, რაც ნიშნავს: პირსაბურავი-ანი, ჩადრიანი, აჯილიანი.

38. არ დამაჩნდების ცულ ნამჭევრევად (48,2; V, 46)

გასწორდა A ნუსხის მიხედვით:

არ დამაჩნდების ცულ-ნაჭორევად (VII, 46).

BDEF ნუსხებში იკითხება: ნამჭორევად, CG ნუსხებში—
ნამჭევრევად. უკანასკნელი წაკითხვიდან მიღებულია დამახინჯე-
ბული ნამჭევრევად.

39. იტყვიან მნახნი, ჯმა-მალა მზაჯნი:

ივლის ოს ველსა, გავს ნაჯუფ თევად (49, 1; V, 49).

ნ. მარი არ იძლევა ამ ტაეპის კომენტარს, მხოლოდ განმარ-
ტავს სიტყვას ნაჯუფ. იგი წერს: ნაჯუფ არაბულად ნიშნავს
ვარსკვლავებს, მაგრამ თუ მის ნაცვლად წავიკითხავთ ნაჯუფ თე-
ვად, მაშინ ეს უკანასკნელი უნდა გავიგოთ ორი სპარსული
სიტყვის ნა-სა და ჯუფ თ-ის შეერთებად, რაც ნიშნავს точно
тросник-სო.²

შ. ნუცუბიდის თარგმანით ტაეპის შინაარსი ასეთია:

Молвят согласно все громогласно:
«Коль ты несешься над просторами
В лунном сияньи»...³

ხელნაწერთა შედარებითი შესწავლა არ ამართლებს ნ. მარის
კონიექტურას და შ. ნუცუბიდის თარგმანს. ნუსხებში მეორე ათ-
მარცვლელი იკითხება:

¹ შდრ.: ნ. მარის თარგმანი (ТР, XII, 1910, გვ. 44).

² ТР, IV, გვ. რნთ.

³ Чахрухадзе, Тамариани, 1942, стр. 128.

- A: ივლი ოს ველსა ჰგავს ნაჯუფთევაღ.
 BCDEF: ივლოსის ველსა ჰგავს ნაჯუფთევაღ.
 G: ივლიოსის ველსა ჰგავს ნაენუფთევაღ.

ამ წანაკითხების შესაბამისად ტაეპი გასწორდა:

იტყვიან მნახნი, კმა-მალლად მზახნი:

«ილვისოს ველსა ჰგავს ნაჯუფთევაღ» (VII, 49).

გამოთქმა ილვისოს ველი გვხვდება „ისტორიანი და აზმანშიც“ შემდეგი კონტექსტით:

„[თამარს] სახეობად მოესთლო სურნელებად და შუებად სამოთხისად და მოეფუტკრა ვარდ-ბუტკობად, ასფოდელ-ნარგოზობად ილვისოსის ველის ნამორჩებათად“¹.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, „ილვისოსი, რომელ არს ოლვისიოსი, გინა აპოლვიოსი, ესრეთ გამოითარგმნების ვითარმედ: განსასუენებელი უჯაჭო, ესე იგი არს ჳსნილი, თავისუფალი ტანჯვისაგან“ (ნახეთ: ილვისიოსი). ამ „უჯაჭო განსასვენებელს“, სადაც ადამიანის სული თითქოს თავისუფალია ყოველნაირი ტანჯვისაგან, ქრისტიანული რელიგიით სამოთხე ეწოდება, ბერძნული წარმართული მითოლოგიით კი—ელისეის მინდორი, ანუ ილვისიოსის (ილვისოს) ველი (ელიზიუმი). მართლაც, იოანე პეტრიწთან ილვისიოსის ველი სამოთხეს ნიშნავს. იგი წერს: „ღირს ყენეს იგინი [ე. ი. აქილევსის ძენი—მინიოსი და რადამანთი, ი. ლ.] ველთაცა ილვისიოსთა, ესე იგი არს ქუეყანასა რასმე საშუებსა უხრწნელსა, რამეთუ ილვისიო უჯაჭოდ და განჳსნილ თავისუფლად ითარგმანების“ (შრ., II, 226). ჰომეროსის „ოდისეაში“ ზევსის სიძეს, მშვენიერი ელენეს ქმარს—მენელაოსს ეუბნებიან: შენთვის ღმერთებმა სხვა რამ მოამზადეს. შენ არ მოგელის სიკვდილი ცხენების მასაზრდოებელ არგოსზე, არამედ ღმერთების მიერ გაგზავნილ იქნები ელისეის მინდვრებზე, ქვეყნიერების ყველაზე განაპირა მხარეში, სადაც რადამანთი ცხოვრობს. ამ მინდვრებზე ადამიანს ელის უტანჯველი ცხოვრება; იქ არასოდეს არ მოდის წვიმა და თოვლი, არ უბერავს სუსხიანი ქარი. ოკეანიდან მუდმივად მოქრის არაჩვეულებრივი სიამოვნების მომგვრელი, გრილი ნიავი და იქ მყოფნი ნებივრად

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 101; რუს. თარგ. История и восхваление венченокосцев, 1954, გვ. 58. ქართულ ტექსტში ილვისიოსის ველი შესწორებულია კ. კეკელიძის მიერ ვარიანტული წაკითხვიდან „ივლიოს ველი“.

და განცხრომით ცხოვრობენ¹. ჰესიოდეს თხზულებით, ამ ველზე იგზავნებიან ტროადის ბრძოლებში დაღუპული გმირებიც, ხოლო პლატონის მიხედვით — აგრეთვე ყველა ჭეშმარიტი ბრძენი. მაშასადამე, ილვისოს ველი იგივე სამოთხეა, რომელიც ბერძენთა მი-
თოლოგიამ შეჭქმნა წარმართ გმირთა საუკუნო განსასვენებლად.

ტაეპში დამოწმებული მეორე სიტყვა ნა-ჯუფთ-ე-ე-ი ნაწარ-
მოებია სპარსული სიტყვიდან ჯუფთი 𐎠𐎧, რაც ნიშნავს ტოლს,
ცოლსა და ქმარს, წყვილის ცალს, მეუღლეს. ამ გაგებით იხმარება
ის კლასიკური და აღორძინების ხანის ლიტერატურაში. მაგ.:
„ვისრამიანში“ იკითხება „სიამოვნე სიმწრისა ჯუფთია“²; ფეშან-
გის „შაჰნავაზიანში“ ნათქვამია: „აქა ამა ჭკუიანთა და ბრძენთა
ვეზირთა მეფისას ესრეთ უმეჯუფთოდ (ე. ი. უმეუღლეოდ,
ი. ლ.) ყოფას შეიჭირვებდენ“³; ან კიდევ: „მან ასული ძესა ჩემსა,
იციოთ, ჯუფთად მოებარა“⁴ და სხვ.

ამრიგად, ტაეპის შინაარსი ასეთია: (თამარის) მნახველები
ხმამალა იტყვიან: ილვისიოსის ველზე ნაჯუფთევს (ნაწყვილევს,
გათხოვილსა) ჰგავსო.

40. შენი მსგავსების ყოვლ დამსახევეად (50, 3; V, 55)

გასწორდა ACF ნუსხების მიხედვით:

შენის მსგავსების დასახევეად (VII, 55).

შდრ.: წასახევეად (B), დასახევეად (E).

41. ვითა მოვედები, ჭირით განჰტდეზი,

მაგალითები აღარ ითქმოდის.

შენთა მოყმეთა რა ქნან, მოძმეთა?

დედა და მამა აღარა სმოდის.

მუნ დაიჯოცნეს, სადა ეოცნეს,

ქვეყნის სახელი არ ასმოოდის (51, 2—4; VI, 2—4)

გასწორდა პირველი ჯგუფის ნუსხათა მიხედვით:

ვითა მოვედები, რომლის ჭირითა

მაგალითები აღარ ითქმოდის,

შენთა მოყმეთა რა ჰქმნან, რომელთა

¹ Гомер, Одиссея, пер. В. Жуковского, 1935, стр. 71; пер. В. Вересаева, 1953, стр. 48—49.

² ვისრამიანი, 1939, გვ. 55.

³ ფეშანგი, შაჰნავაზიანი, 1936, გვ. 23.

⁴ იქვე, გვ. 65, სტრ. 369.

დედა და მამა აღარა სმოდის?—

მუნ დაიჯოცნეს, სადა სახელი

ქვეყანისა ცა არა ისმოდის (VIII, 2—4).

ოდის-რითმიანი სტროფები დაწერილია ისე, რომ ტაეპთა პირველ ათმარცვლედებში შინაგანი რითმა არ არის დაცული. რომელიღაც პოეტ-გადამწერს მოუწადინებია ტაეპების „გასწორება“. საამისოდ მას სიტყვები „რომლის ჭირითა“, „რომელთა“ და „სახელი“ ტაეპთა შინაგანი რითმების აღდგენის მიზნით შეუცვლია სიტყვებით „ჭირით განჰქდები“ (შდრ. მოგვედები), „მოძმეთა“ (შდრ. მოყმეთა) და „ეოცნეს“ (შდრ. დაიჯოცნეს), მაგრამ სტროფის გარკვეული შინაარსი გაუბუნდოვნებია და ვერც პოეტური ნიჭი გამოუმჟღავნებია.

42. ათი ათასი მართ გაკვეთილი

ბიბიმი მოყვანდის, მოეზოდის (57, 2; VI, 14).

ს. კაკაბაძის ლექსიკონში, რომელიც დართული აქვს „თამარიანის“ 1937 წლის გამოცემას, ვკითხულობთ: „ბიბიმი (სპ.) 57—მხედარი; გაკვეთილი 57—განკვეთილი, გაჭრილი; მოზავება 57 (მოეზოდის)—ზავით, მშვიდობით მოსვლა“. ამ განმარტებათა მიხედვით ტაეპის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: ბაღდადეგ დიდებულებს ათი ათასი გაჭრილი (განკვეთილი) მხედარი მოჰყავდათ და მშვიდობის ჩამოსაგდებად მოდიოდნენ თამართან.

ცხადია, ასეთ უაზრობას არ დაწერდა ისეთი დიდი პოეტი, როგორც ჩახრუხაძე იყო. შ. ნუცუბიძეს უგრძნებია ეს და ტაეპის შინაარსი რუსულ თარგმანში ამგვარად „შეულამაზებია“:

Шли десять тысяч воинов славных,

С ними же мира шел провозвестник (113).

საკითხის გასარკვევად გავიხსენოთ კონტექსტი: ბაღდადეგი დიდებულები თამარ მეფესთან სადარბაზოდ მოდიოდნენ. მათ აქლემებით საჩუქრად მოჰქონდათ ძვირფასი განძეული. აქლემთა ქარავანს მონა-მხეველები მოუძლოდნენ. ბარდავში მოსულებმა მათ თამართან მახარობელი გამოგზავნეს, რომ მეფეს წინასწარვე შეეტყო მობაღდადეგლთა სურვილი და სათადარიგო სამზადისს შესდგომოდა. თამარი საზეიმოდ გამოწყობილი გაეგება სტუმრებს „სურნელთა კმევად“ და ყველანი სადარბაზოდ მიიწვია.

კითხვა იბადება: მართლა ათი ათასი ბაღდადეგი ნეომარი მოდიოდა საქართველოში? რასაკვირველია, არა. სამშვიდობოდ

მოსული დელეგაცია არავითარ შემთხვევაში ასეთი დიდი ჯარით არ მოადგებოდა საქართველოს საზღვრებს. სხვაც არა იყოს რა, ეს გარემოება ერთგვარ დაეჭვებას და საომარ სამზადისს გამოიწვევდა ქართველების მხრივ.

პირველი ჯგუფის ხელნაწერებით ირკვევა, რომ ბალდადელ დიდებულებს

ათი ათასი მარ-გაკვეთილი

ბიბი მოჰყვანდის, მოეზაოდის (VIII, 10).

რას ნიშნავს „მარ-გაკვეთილი ბიბი“?

ბიბი ۷۷ სპარსული სიტყვაა და ქართულად ითარგმნება როგორც ქალი, ცოლი, ქალბატონი. ეს სიტყვა დამოწმებულია „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიშიც“, სადაც ვკითხულობთ: ქართველებისაგან დამარცხებული აგარიანნი, „რცხუენილნი ცოლთაგან, საკიცხელ და სანერწყუავ იქმნეს ბიბთა ელიმთა და ხადუმთაგან“¹. კ. კეკელიძე იძლევა ამ ტექსტის ადეკვატურ თარგმანს: „Пристыженные своими женами, оплеванные и осмеянные почтенными, благородными дамами и евнухами, они ругали“².

მარ-იც სპარსული სიტყვაა ۷۸ და ქართულად ნიშნავს: ურვადი, საქმროს მიერ საცოლისადმი განკუთვნილი საქორწინო ფულადი თანხა. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ვკითხულობთ: „მარი ეწოდების მოჰმანდიანთა ცოლის მიზდსა, რომელსა ქებინად უწოდენ“. ან კიდევ: „მანი ესე არს, რომელსა თათარნი მისცემენ მიზდად საწოლისა ცოლთა მათთა (მიზდსა დასაწოლად დიაცთა... გულისთქმისა მათისათვის, მარიც იგივეა“³.

მარის გაკვეთა ნიშნავს საქმროსაგან საცოლისადმი საქორწინო მიზდის გაღებას. ეს გამოთქმა დამოწმებულია „ამირანდარეჯანიანში“: როდესაც ამირანმა ჭაბუკი ანთარქავისძე მოკლა, გამარჯვებული გმირი მკვდრის კარავში შევიდა, სადაც მან ნახა „ინდოთა მეფის ასული ეგეთი, ვითა მზე. გაეხარნეს დარეჯანის ძესა და მუნვე მარი გაუკვეთა და ცოლად შეერთო“³.

ასე რომ, „მარ-გაკვეთილი ბიბი“ ნიშნავს: საქორწინო მიზდით დაურვებული ქალბატონი, ე. ი. ცოლი.

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 98.

² История и восхваление венченокцев, пер. К. Кекелидзе, 1954, გვ. 54.

³ მ. ხონელი, ამირანდარეჯანიანი, 1939, გვ. 130.

მთელი ტაეპის შინაარსი ასეთია: მობალდადელ დიდებულებს: „ათი ათასი მარ-გაკვეთილი“ ქალბატონი (ე. ი. ცოლი) მოჰყავდათ (თამართან) და მშვიდობის ჩამოგდება სურდათ.

ამგვარი გაგება ზედმიწევნით შეესატყვისება იმ შინაარსს, რომელიც მოთხრობილია 57-ე სტროფში და წანაკითხიც „მარ-გაკვეთილი ბიბი“ დოკუმენტირებულია ყველაზე კარგი ნუსხებით.

43. ბარამარმანმან მკლავნი მოგზვიენეს,
სიხარულითა სული იწოდის (58,1; VI, 5).

ნ. მარს ეს ტაეპი მიაჩნია ყალბად. ს. კაკაბაძის აზრით, აქ საუბარია ხლათის სულტანზე—არმენ-შაჰზე. „თამარიანის“ საძიებელში ვკითხულობთ: „არმანი 58—სომეხი, აქ კიდევ არმენ-შაჰი (ხლათის სულტანი)“¹. პ. ინგოროყვა ტაეპის წანაკითხს საკუთარი კონიექტურით ცვლის. იგი პირველ ათმარცვლედს კითხულობს ამგვარად:

ბარამან მანმან მკლავნი მოგზვიენე...

ვინ არის ეს ბარამან მანი? იგი, პ. ინგოროყვას აზრით, მანიქეისტია, „თამარიანის“ ერთ-ერთი ინტერპოლატორი, რომელსაც დაუწერია ჩახრუხაძის საპასუხოდ ელეგია და „თამარიანის“ კრებულის ბოლოსიტყვაობა: „მოჰვევს ძეთა ჩახრუხაძეთა...“²

ა. ბარამიძემ მკაცრად გააკრიტიკა პ. ინგოროყვას მოსაზრება ბარამან მანის შესახებ. მან ტაეპის მარისებური წანაკითხი მიიღო და შეეცადა მისი შინაარსის გახსნას. ა. ბარამიძე წერს: „კონტექსტის მიხედვით ეს მარამარმანი (და არა ბარამან მანი) არის სპარსეთის სულტანი, რომელსაც პატივით მიუღია მოგზაური პოეტი («მკლავნი მოგზვიენეს» ნიშნავს მკლავნი მოგზვიენსო). მომდევნო ტაეპში მოთხრობილია, რომ თავის მხრივ მოგზაურს სულტნისათვის უთქვამს ლექსები. ამ სულტნის კარზე გადახვეწილ პოეტს გული დაამებია («მას გაუმთელდეს გული მოკლული, აღარა ოდეს ლახვარს ისობდის»-ო). ამგვარად, ბარამან მანი საერთოდ არაფერ შუაშია“³.

ა. ბარამიძე სრულიად მართებულად უარყოფს პ. ინგოროყვას მოსაზრებას არარსებული ბარამან მანის შესახებ, მაგრამ ამავე

¹ ჩახრუხაძე, თამარიანი, 1937, გვ. 63.

„კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 274; აგრეთვე გვ. 316—320. შდრ. რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 73; პ. ინგოროყვას გავლენით ბარამან მანმან თავი იჩინა თამარიანის რუსულ თარგმანშიც (Тамариани, стр. 134).

² ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, 1952, გვ. 264.

დროს ის გამოთქვამს ისეთ მოსაზრებას რომელიდაც სულტნის შესახებ, რომლის გაზიარება ყოველად შეუძლებელია.

ტაეპში დამოწმებული სიტყვა მოგზვიენეს გრაფიკულ ნიადაგზე ხ-სა და ზ-ს აღრევის შედეგად წარმოშობილი წანაკითხია ზმნისა მოგზვიენეს, რომელიც შემოუნახავს ABF ნუსხებს (C-ში იკითხება მოგზვიენეს). ეს ზმნა სამპირიანია: მათ მო-გ-ხვიე-ნ-ეხ უნ ისინი (მკლავნი), თუ მარამ არმან-ის სახით გიგულისხმებთ ერთ პირს — არმენ-შაჰს (ხლათის სულტანს), ან სპარსეთის სულტანს, მაშინ ათმარცვლელი უნდა გასწორდეს ამგვარად: „მარამ არმანმან მკლავნი მოგზვიენა“, მაგრამ ასეთი გასწორების უფლებას არ გვაძლევს ABCF და სხვა დანარჩენი ნუსხები, სადაც იკითხება მოგზვიენეს. ზმნის დამახინჯებული ფორმები: მოგზვიენეს, მოგზვიენეს და სხვ. ზმნა მოგზვიენეს შესწორებას არ საჭიროებს, იგი დამოწმებულია ყველაზე კარგი ნუსხებით.

წანაკითხი მარამ არმანმან ძველ ნუსხებში დაცულია ამგვარად: მარამარმარმან (A), მარა მარმარმან (BCEF), მარამ არმარმანი (G). ამ ვარიანტებში იკითხება ორი სიტყვა: მარა და მარმარი. პირველი სიტყვა ნიშნავს მაგრამ-ს (შემოკლებით: მაგრა) და დღესაც ამავე მნიშვნელობით იხმარება. მარმარი (მარმარა) საბას განმარტებით ნიშნავს მარმარაილოს. ბარუქ წინასწარმეტყველთან ვკითხულობთ: მარმაროღს (6,70), იერუსალიმის № 11 ხელნაწერის მიხედვით — მარმარინოღსა (ფ. 56r). მარმარი დიდად გავრცელებული სიტყვაა აღორძინების ხანის მწერლობაში. მაგ.:

მარმარის ქვანი მოყარა!...¹

ყაფრად შედგმულსა მარმარსა ზე ედგნეს...²

თეთრ მარმარსა ებანა...³

თლილითა მარმარითა აღმართებულ იყვნეს სვეტნი...⁴

მღვთმარე იყვნეს... ქერობინნი მარმარისანი...⁵

ეს სიტყვა იხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულშიც: ო, რა შენოდა მარმარობა მკერდ-ფიქალისა⁶.

¹ გ. ჯაკობია, იოსებ-ზილიხანიანის ქართული ვერსიები, 1927, გვ. 60.

² ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1932, გვ. 27.

³ იქვე, გვ. 98.

⁴ ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამოცემა, 1956, გვ. 12.

⁵ იქვე.

⁶ პრომეთე, № 3, 1918, გვ. 34. ს. წიველის ლექსი „თალიკო“.

„თამარიანში“ მარმარი ზედსართავი სახელის ფუნქციას ასრულებს და ნიშნავს: მარმარილოსებრი, მარმარილოს მსგავსად ბრწყინვალე (შდრ.: სპ. *مرمر* და ბერძ. *μαρμαριος*, ან *μαρμαρειος*). ამის მიხედვით ტაეპი გასწორდა:

მ ა რ ა მ ა რ მ ა რ ნ ი მ კ ლ ა ვ ნ ი მ ო გ ხ ვ ი ვ ნ ე ს ,
სიხარულითა სული იწოდის (VIII, 13).

ეს ნიშნავს: მაგრამ (მათ, ე. ი. ბაღდადიდან შენტან სადარ-ბაზოდ მოსულმა მარ-გაკვეთილმა ქალბატონებმა) მარმარილო-სებრი (მარმარილოს მსგავსად ბრწყინვალე, თეთრი) მკლავები მოგ-ხვიეს. (ეს შეხვედრა იმდენად გულთბილი იყო, რომ) სიხარულით (შენი, ან ამ შეხვედრის მონაწილეთა) სული იწოდა, ხოლო მას (შენი ხელის მთხოვნელს—ქაბას მფლობ დიდ ემირს, რომელიც მობაღდადე დიდებულების მეთაურად მოჩანს,) „გაუმთელდეს გული-მოკლული, აღარა ოდეს ლახვარს ისოდის“.

ამგვარად, ჩვენი გამოცემის მიხედვით VIII სახოტბო ლექსის მე-9—16 ტაეპებში აღწერილია საინტერესო ისტორიული ფაქ-ტი—თამარის შეხვედრა მობაღდადე დიდებულებთან ბარდავის მახლობლად. სამწუხაროდ, ეს ფაქტი საისტორიო წყაროებით ჯერ-ჯერობით დადასტურებული არ არის.

44. ატალას მოპყვის, ქვეყანა მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაუარი (60, 3; VI,9).

შესაუარი გასწორდა ნუსხის მიხედვით: შესაპოვარი (IX,7). ეს სიტყვა CF-ში იკითხება: შესაპუარი, G-ში—შესაპაური, E-სა და XIX საუკუნის ნუსხებში—შესაუარი. დამახინჯება მომ-ხდარა ფონეტიკური ცვლილებებისა გამო: შესაპოარი—შესაპუარი—შესაუარი.

45. ანუ გთქვათ ის არს, ბრძენთათვის ის არს,
ასკილიბოსებრ გონება ვრცელი (72,3).

6. მარი პირველ ათმარცვლედს სხვანაირად კითხულობს: „ანუ გთქვათ ის არს: ბრძენთათვის ის არს“ და ა. შ. (VII,12), ხოლო გამოკვლევაში იძლევა მის კომენტარს:

„Несомненно, имя какого-то лица имеем в слухари или ти-სარი (VII, 12): «Или предназначим тебя (для воспевания) Исару

(Тисару). Для мудрецов он обладает обширным умом подобно Асклепию»¹.

შ. ნუცუბიძე არ იზიარებს ნ. მარის კომენტარს. იგი სიტყვას ის არს თანამედროვე მნიშვნელობით ხმარობს:

Мысли же зрелы, мчатся как стрелы,
Рея просторно лишь в Асклепии (144).

ორივე მკვლევრის კომენტარები დაფუძნებულია ტაეპის მცდარ შინაარსობლივ ანალიზზე. A და B ნუსხებში ტექსტი დაუცულია სავსებით გამართულად. აქ ვკითხულობთ:

ანუ გთქვამთ ისი: არს ბრძენთა თვისი,
ასკილიბოსებრ გონება-ვრცელი (X, 11).

ეს ნიშნავს: ანუ (შენს საქებრად) ისა გთქვამთ, რომ (თამარი) არის ბრძენთა ნათესავი (თვისი) და (სამედიცინო ხელოვნების ღმერთის) ასკლეპის მსგავსად გონებავრცელი.

გადამწერებს „ისი არს“ გაუგიათ როგორც დამახინჯებული ფორმა სიტყვისა „ის არს“ (ან „ისარს“), ხოლო „ბრძენთა თვისი“ — როგორც „ბრძენთათვის“. მაგ.: E-ში იკითხება: „ანუ გთქვამთ ის არს ბრძენთათვის“. გვიანდელ გადამწერებს ეს დამახინჯებული წანაკითხი მარცვალთა რაოდენობითაც შეუვსიათ და შინაგანი რითმაც გაუსწორებიათ: „ანუ გთქვამთ ის არს, ბრძენთათვის ის არს“, მაგრამ ტაეპის პირვანდელი სახე მაინც ვერ აღუდგენიათ.

46. ხალიფას სვისა ჯვართა მშლელი (73,4; VII, 17)

ნ. მარის თარგმანით ნიშნავს: „Крестом она разрушает счастье халифа“². გასწორდა BF ნუსხების მიხედვით:

ხალიფას სვისა ჯავართა მშლელი (X, 16).

ჯავარი جوار არაბული სიტყვაა, აქ ნახმარია დამცველის, მფარველის, მექომავის მნიშვნელობით. გადამწერებს მისი მნიშვნელობა ვერ გაუგიათ და შეუცვლიათ სიტყვებით: ჯვართა (მეორე ჯგუფის ნუსხები) და ჯავრთა (E). ტაეპის შინაარსი ასეთია: (თამარ მეფე არის) ხალიფას ბედის (ბედნიერების) მფარველთა, მექომავეთა გამანადგურებელი, დამრღვეველი (მშლელი).

¹ TP, IV, გვ. 99, სქოლიო.

² TP, XII, 1910, გვ. 44.

47. ღმრთისაგან ეგე, როს თამარ ეგე (76, 1; VIII, 1)
გასწორდა პირველი ჯგუფის ხელნაწერთა მიხედვით:

ღმრთისაგან ეგე, ოს თამარ ეგე (XI, 5).

ოს ნიშნავს: როს, როდესაც, ოდეს. შდრ.: „ოს დიდმან დავით ოს დიდ მან დავით“ და ა. შ.

48. მიეც ქადილსა, სრულ ჰყავ წადილსა,
ვახტანგს სწორებით შემასმენალი (77, 2; VIII, 6).

ტაეპში დასაზუსტებელია სიტყვა შემასმენალი. B-ში ეს სიტყვა არ არის საერთოდ, A-ში იკითხება: შემას მქენალი, C-ში — შემასმქენალი, E-ში — შემასქმნელი, F-ში — შემასქენალი. ცხადია, შემასმენალი დამახინჯებული წაკითხვაა სიტყვისა შემასმქენალი. შამმას სამა არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს მზის თაყვანისმცემელს. იგივე მნიშვნელობა აქვს სიტყვას შემასმქენალი, ე. ი. მზის კერპის მავედრებელი ანუ მზისთაყვანისმცემელი. ტაეპი გასწორდა:

მიეც ქადილსა, სრულ-ჰყავ წადილსა
ვახტანგს სწორებით შემას-მქენალი (XI, 10),

ანუ: ვახტანგ (გორგასალის) მსგავსად დაემუქრე და წადილიც აუსრულე მზის კერპის მავედრებელს (ე. ი. „ბოზქარ მგოდებს, მცდრად ნაწოდებს“).

49. მით გააშენე, მით გააშენე,
რომელ გულითურთ მანაყენალი (77, 4; VIII, 8).

ნ. მარმა მანაყენალი შეიტანა იმ სიტყვათა წყებაში, რომელთა განმარტება მან ვერ შეძლო¹. ტაეპი გასწორდა კონტექსტისა და პირველი ჯგუფის ABC ნუსხების მიხედვით:

მით გააშენე, მით გააშენე,
რომელ გულითურთ მანაყენალი (XI, 12).

პირველი გააშენე უნდა გავიგოთ გადატანითი მნიშვნელობით—ააყავე, მეორე გააშენე—შენად გახადე, შენად აქციე-

¹ TP, IV, გვ. 102.

ნალი სპარსული სიტყვაა, ქართულად ითარგმნება როგორც ლერწმის კალამი; მანაყე უცხო სიტყვისაგან ნაწარმოები ზმნაა. იგი დაიშლება ამგვარად: მ-ა-ნაყ-ე. ნაყი 𐌆 არაბული სიტყვაა და ქართულად ნიშნავს: წმიდა, მშვენიერი, აქედან მიღებული მანაყე კი—გამიმშვენიერე, მიმშვენიერე. ტაეპის შინაარსი ასე გვესმის: იმით ააყვავე (შენი საქმენი) და შენად აქციე, რომ გულთან ერთად (შენ) გამიმშვენიერე ლერწმის კალამი (რომელიც შენს ქებასა და მკობას ემსახურება).

50. ვქმნა ნებიოთა, ვხნღე მომაქსენალი (78, 1; VIII, 9)
გასწორდა პირველი ჯგუფის ხელნაწერების მიხედვით:

ოქვენად ვქმნა ნებიოთ, ვხნღე მოქსენალი (XI, 13).

51. თამარ ვთქვა ნათლად და ძისა მისად (81, 1; III, 1)
გასწორდა პირველი ჯგუფის ნუსხების მიხედვით:

თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად... (XII, 1).

ამ გასწორებას პირველად ყურადღება მიაქცია ა. ბარამიძემ¹.

52. შენად ცხებული, გამრიცხვებული (82, 4; III, 8)

გასწორდა A ნუსხის მიხედვით:

შენათ ცხებული, გამრიცხვებული (XII, 8).

53. იცისკარებით: იცი სკარებით

შენთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფუნეჲვად (47, 1; V, 41).

ნ. მარი ამ ტაეპს რუსულად თარგმნის ამგვარად: „(Когда ты, Тамара,) всходишь утреннюю зарю, по твоим розам (лани-там) и хрусталою (челу) на распутившемся стебле, как тебе известно, пчелы странствуют (для собирания сладости)“².

ტაეპი გასწორდა ი. ჯავახიშვილის კონიექტურის მიხედვით³:

იცისკარებით იცისკარებით

შენთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფუნეჲვად (VII, 41).

54. შენ მწუნობი ხარ მნათობთა,

არის ასმენ, ლებ არიდენ (85, 1).

¹ ა. ბარამიძე, ნარკვევები, 1952, III, გვ. 236.

² TP, XII, გვ. 22.

³ ი. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 278. ტაეპის კომენტარი იხ. იქვე.

ტაების მეორე ათმარცვლედს ნ. მარი კითხულობს „არის ასმენ, ლებ, არი დენ“ (III, 16), ხოლო მთელ ტაებს რუსულად თარგმნის ამგვარად: „Ты пренебрежительна к светилам: Марса представляешь виновным, покрываешь синяком, Марса гонишь“¹.

შ. ნუცუბიძე უარყოფს ნ. მარის ამგვარ გაგებას, მაგრამ მაინც ვერ იძლევა ტაების ადეკვატურ თარგმანს:

Затмеваешь ты светила,
Отвергаешь блеск их края (169).

ტაები გასწორდა კონტექსტისა და ABC ნუსხების მიხედვით:

შენ მწუნობი ხარ მნათობთა,
არ ისასმენ ლებ, არი დენ (XIII, 1).

ეს ნიშნავს: შენ (თამარ) მნათობთა მწუნობი ხარ, ყურს არ უგდებ (მათ).

55. ეჩვენებოდა, მზედ ეგებოდა (52, 1; XII, 22)

გასწორდა პირველი ჯგუფის ნუსხების მიხედვით:

ეჩვენებოდა, ეფერებოდა (XV, 21).

მზედ ეგებოდა იკითხება მეორე ჯგუფის ნუსხებში.

56. ედემისა ხე (52, 2; XII, 10) გასწორდა ABC ნუსხების მიხედვით: ედემის სახე (XV, 22).

57. ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა,

სელონის ეტლთა მოგირბევანი.

ნარგიზნი გიცნა, ზეცას გზა გიქმნა,

თქვენ: ა გ წ ყ ა ლ ო ბ ე ნ შე ნ ლ ო მ ნ ე ბ ა ნ ი (55, 3—4; IX, 3—4)

გასწორდა კონტექსტისა და ABC ნუსხების მიხედვით:

ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა,

სელონის ეტლთა მოგირბევანი,

ნარგიზნი გიცნა, ზეცას გზა გიქმნა,

თქვა: ა გ წ ყ ა ლ ო ბ ე ნ შე ნ ლ ო მ ნ ე ბ ა ნ ი (XVI, 3—4).

რომ აღდგენილი ტაეების შინაარსი გასაგები გახდეს, საკიროა გამორკვეულ იქნეს სელონის ვინაობა.

¹ TP, IV, გვ. 63.

მეორე ჯგუფის ნუსხებში იკითხება სელონის ნაცვლად ლეონი. ნ. მარის აზრით, ლეონი ნიშნავს ლომს, თანავარსკვლავედს (созвездие), ხოლო ლეონის ეტლი — ლომის თანავარსკვლავედს (созвездие льва)¹.

შ. ნუცუბიძის მიერ ლეონის ეტლი თარგმნილია როგორც საოცარი თანავარსკვლავედი (дивное созвездие).

არც ერთი ვაგება არ არის სწორი. ტერმინი ლეონის ეტლი თხოულობს შესწორებას. მის მაგიერ პირველი ჯგუფის ნუსხებში ყველგან წერია: სელონის ეტლი.

ვინ არის სელონი და რა იგულისხმება ცნებაში სელონის ეტლი?

სელონი (ანუ სელენე), ბერძნული მითოლოგიით, მთვარის ქალღმერთია. იგი ქალიშვილია ჰიპერიონისა და თეასი. ხალხი მის ერთადერთ ჰიპოსტასად ასახელებს მზიურ ბრწყინვალეობას. ამიტომ იგი სხივოსნური მშვენიერებისა და მოციმციმე შუქის მქონეცაა. ჰომეროსის სახელით ცნობილ 32-ე ჰიმნში სელენე წარმოდგენილია, როგორც ულამაზესი ქალი დიდი ფრთებითა და ოქროს გვირგვინით; ხელში უჭირავს ჩირალდანი; მიუძღვება წინ ციურ ვარსკვლავებს და ვერცხლისებრ სხივებს აფრქვევს წყვილით მოცულ სივრცეში, რომ ხალხს თავისი სასიამოვნო სინათლე მისცეს. სელენე ცის სივრცეში მოგზაურობს ძვირფასი ეტლით, რომელშიც შებმულნი არიან ხან თეთრი ცხენები და ხან ხარები (ხარის რქები მთვარის სიმბოლოდაა მიჩნეული). გაზაფხულზე, ბუნიაობის დამეს, ზღვის ტალღებში განბანილი სელენე თეთრი ცხენებით შებმულ ეტლში ჩაჯდება და დარბაისლურად შემოივლის ცის კამარას, თან თავისი თეთრი, გრძელი ტანისამოსითა და ოქროს გვირგვინით მოანათებს. ბოლოს ის ჩაეშვება მთის უფსკრულში, სადაც თვლემს მისი საყვარელი მშვენიერი ენდომიონი. ზოგიერთი თქმულებით, სელენე ყოფილა ზევსის საყვარელი და მისგან ვაჟიშვილი შესძენია².

ჩახრუხაძე, როგორც კარგი მცოდნე ბერძნული კულტურისა, გონებამახვილურად იყენებს ძველ ბერძნულ მითოლოგიურ თქმულებებს. ამის საუცხოო დადასტურებაა ზემოდ აღდგენილი საინ-

¹ TP, IV, გვ. რმ. იხ. აგრეთვე TP, XII, გვ. 11 და 27.

² სელენეს შესახებ იხ. Preller, Griechische Mithologie, გამოც. IV, გვ. 443—446; Paulys-Wissowa, Real-Encyclopädie, შტუტგარტი, 1921, რვეული 25a-26a. В. В. Вересаев, Сочинения, III, 1948, გვ. 313, ჰომეროსის XXXII ჰიმნი: „К Селене“.

ტერორეტაციო ტაეპები, რომლებშიც ჩახრუხაძე მიმართავს თამარს: შენ, თამარ, ზევსმა მზედ შეგიცნო, (ზეცაში) ადგილსამყოფელიც მოგიჩინა, (მთვარის ქალღმერთის) სელენეს ეტლი მოგიბრუნინა, ნარგიზნი მოგართვა (ნიშნად საგაზაფხულო ბუნიობის დღესასწაულისა), ზეცას გზა გიქმნა, (რომ სელენეს ეტლით იმოგზაურო) და თქვა: შენა გწყლიანობენ (ე. ი. გშვენიან) ლომისებრი ნებისყოფანი.

58. სძღვენენ ნიჰად თავთა დამონებანი (95, 1; IX 17)

გასწორდა AB ნუსხებისა და კონტექსტის მიხედვით:

სძღვენენ ნიჰად თვალნი და მონებანი (XVI, 17),

ე. ი. საჩუქრად უძღვენეს (თამარს) თვლები და მონებანი, ე. ი. მორჩილება.

59. არ ზარ მოსულსა, ეთქვა: მოსულსა

ქაფურსა ნახავ გაბასრებულად (13, 2; XII, 52).

ნ. მარის აზრით, ტაეპის შინაარსი ასეთია: „Не испитавши еще страха, он, оказываясь, сказал: «увидишь, что в Мосуле камфара будет в презрении»“. რომ ეს თარგმანი მკითხველისათვის გასაგები ყოფილიყო, ნ. მარი იმავე გვერდზე შენიშვნაში წერდა: „От богатых добыч, после победы над Грузиею, в мусульманском городе Мосуле ценные вещи будут в изобилии и пренебрежении“¹.

ს. კაკაბაძეს ამ ტაეპის კომენტარი არ მოუცია, მაგრამ მის მიერ შედგენილი ლექსიკონით შეიძლება დავასკვნათ, რომ მას ტაეპის შინაარსი არასწორად ესმის. იგი წერს: „ბასრებული — გალანძღული“, „ქაფური — ქ. ქაფადან (ყირიმში)“, „მოსული — ქალაქი ერაყში“. ს. კაკაბაძეს ჰგონია, რომ ქაფური სადაურობის აღმნიშვნელი სახელია: ქაფ-ური, რომელიც ნაწარმოებია თითქოს გეოგრაფიული სახელიდან ქაფა, მაგრამ ასეთი „ლექსიკონით“ ვერაფერთარ შემთხვევაში ვერ გავიგებთ ტაეპის შინაარს.

შ. ნუცუბიძის თარგმანი ნ. მარის ინტერპრეტაციას უახლოვდება:

Слышно их в гуле: «рано в Мосуле

Будем с добычей и утехами» (25).

მაგრამ არც ეს თარგმანია ტაეპის ნამდვილი შინაარსის გამომხატველი. საქმე იმაშია, რომ ისეთი დიდი მცოდნე სპარსული

¹ TP, IV, გვ. 37.

ენისა, როგორც ნ. მარი იყო, ქაფურის რეალურ მნიშვნელობას შეცდომით მარტავს და მთელი გაუგებრობაც ამითაა გამოწვეული. ეს სიტყვა არაბული წარმოშობისაა (იხ. გაფაროვისა და მიულერის ლექსიკონებში სიტყვა *كافور*) და ქართულად ითარგმნება როგორც არაკეთილშობილი, არაკეთილსინდისიერი. ამის მიხედვით ტაეპის შინაარსი შეიძლება გააზრებულყო ამგვარად:

არ ზარ-მოსულსა ეთქვა მოსულსა:

«ქაფურსა ნახავთ გაბასრებულად»,

გ. ი. რუქნადინს, რომელსაც თავზარი არ დასცემია, მოსულში უთქვამს: არაკეთილშობილს (არაკეთილსინდისიერს) ნახავთ შერცხვენილადო, მაგრამ არა გვგონია „თამარიანის“ ძველ დედანში ქაფურსა წერებულყო, რადგანაც ამ სიტყვით ტაეპის შინაარსი არცთუ ისე კარგადაა გამართული. კლასიკური ხანის ქართულში იხმარებოდა მეორე სიტყვაც ქაფარი *كافر*, რაც ნიშნავს ურწმუნოს, სარწმუნოებისაგან გამდგარს, უმორჩილოს, ჯიუტს (შდრ. *كافر ქაფირ*). მაგ. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი წერს: როდესაც ქართველი მეომრები დავით სოსლანის მეთაურობით მიუახლოვდნენ რუქნადინის ბანაკს, „იხილა კაცმან სულტნისამან, ვითარმედ მოვიდა სპაჟ ურცხვი ქაფარი“¹. თხზულების რუსულ თარგმანში „სპა ურცხვი ქაფარი“ ნათარგმნია როგორც „несчисленное войско безрочных“².

გარდა ამისა ქაფარი ურწმუნოს (გიაურის) მნიშვნელობით დამოწმებულია აღორძინების ხანის ძეგლებშიც. ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიაში“ ვკითხულობთ: გიორგი მეფის შესახებ „ყაენს.ებრძანებინა: „მე მუსურმანი მეგონა, ის ისევ ქაფარი ყოფილაო“³, ე.ი. მე მუსლიმანი მეგონა, ის ისევ ურწმუნო (გიაური) ყოფილაო.

ამავე გაგებით სიტყვას ქაფარი ვხვდებით „მელის წიგნშიც“. ერთ-ერთ იგავში ვკითხულობთ: ბერმა ასკეტური ცხოვრების წესი დაარღვია და სიძვა ჩაიდინა. როდესაც ის სოფლიდან სენაკში ბრუნდებოდა, გზად ანჩხლმა ძაღლმა დაგლიჯა. ბერს მაშინ გაახსენდა, რომ ცოდვა ჩაიდინა, და შეშინებული ღმერთს შეევედრა: „ღღეს ერთის ქაფარის ძაღლისაგან ამ მწუხარებაში,

¹ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 126.

² Ист. и восх. венценосцев, 1954, стр. 77—78.

³ ქართლის ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოც., 1913, II, გვ. 348.

ვარ, გავეჩეც და ვერ მოურჩი. აწ შემებრალე, ქრისტე, და წაართვი თავი ჩემი ეშმაკსა“¹.

გამოცემის ლექსიკონში ქაფარი განმარტებულია როგორც „ეზოს დიდი ძალღი“, რაც სრული გაუგებრობაა². იგავით, ეს სიტყვა ურწმუნოს (გიაურს) ნიშნავს და, „ეზოს დიდი ძალღი“ რა მოსატანი იყო, ჩვენთვის განსაცვიფრებელია. საერთოდ მაჰმადიანები ქრისტიან ქართველებს, რომელთაც მაჰმადის მოძღვრება არ სწამდათ, ურწმუნოებს (სარწმუნოებისაგან გამდგართ) უწოდებდნენ, რადგანაც ისინი ქრისტიანობას, როგორც სარწმუნოებას, არა სცნობდნენ. მათი გაგებით მორწმუნე იყო მხოლოდ ის, ვინც მაჰმადის სჯულს აღიარებდა, არამაჰმადიანი კი ითვლებოდა ქაფარად.

„თამარიანის“ საინტერპრეტაციო ტაეპის კონტექსტიდანაც ირკვევა, რომ რუქნადინს ქართველები ურწმუნოებად მიაჩნია. ამიტომ სიტყვა ქაფური უნდა შეიცვალოს სიტყვით ქაფარი. ტაეპი შესწორდა:

არ ზარ-მოსულსა უთქვა მოსულსა:

«ქაფარსა ნახავთ გაბასრებულად» (I, 38).

ეს ნიშნავს: რუქნადინს, რომელსაც დამარცხების შიში არ განუცდია, ქ. მოსულში (კვეხნით) უთქვამს: ურწმუნო (სარწმუნოებისაგან გამდგარ) ქართველებს ნახავთ გაკიცხულადო.

60. მათ რომე წიგნნი, ქამისად მცნობნი,

მით იქმნან ესრედ განცვიფრებულად (15,4).

ნ. მარის აზრით, ეს ინტერპოლატორის მიერ დეფექტური სტროფის შევსების მიზნით შეთხზული ტაეპია.³ ნ. მარს ამის საბუთს აძლევდა ტაეპის შინაარსობლივი ბუნდოვნება, მაგრამ ამჟამად არავითარი საბუთი არ არსებობს იმისა, რომ ეს ტაეპი ყალბად გამოვაცხადოთ. A ნუსხაში იკითხება:

მათ. რომე. წიგნი. ვასცეს. ქამისად.

მცნობნი. მით. იქმან. განცვიფრებულად.

ასევე იკითხება CD ნუსხეებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქმან ზმნის მაგიერ C-ში წერია იქნა, D-ში კი — იქმნა.

¹ ს. ყუბანეიშვილი, ქრესტომათია, II, 1949, გვ. 302.

² იქვე ლექსიკონში ნახეთ ქაფარი.

³ TP, IV, გვ. 113, შენიშვნა 1.

ტაეები გასწორდა კლასიკური ხანის ქართულის გრამატიკული ნორმებისა და შინაგანი რითმის შესაბამისად:

მათ რომე წიგნნი გასცნეს ჟამისნი,
მცნობნი მით იქმნენ განცვიფრებულად (I, 48).

61. არია კრონოს ენა გარდმკონოს,
ვარღთა გიღარნე ნაშვენებანი (92, 1; IX, 5)

გასწორდა კონტექსტის შესაბამისად:

არეა! კრონოს ენა გარდმკონოს,
ვარღთა გიღარნე ნაშვენებანი (XVI, 5).

„ელინთა ზღაპრობანში“ კრონოსის გვერდით იხსენიება რეა-
ქედან ირკვევა, რომ არია-წანაკითხში შეერთებულია ორი სიტყვა:
ა და რეა (→ არია).

რეა და კრონოსი იყვნენ ურანისა და გეას შვილები, და-
ძმანი, მაგრამ ამავე დროს ცოლ-ქმარნიც. კრონოსმა დედის დახ-
მარებით ვერაგულად დაიპყრო მამის საბრძანებელი, ცოლად შე-
ირთო თავისივე და—რეა, რომელთანაც შეეძინა რამდენიმე შვი-
ლი, რეა ძლიერ იტანჯებოდა კრონოსის ხელში, რადგანაც კრონო-
სი შვილებს დაბადებიდანვე ყლაპავდა ცოცხლად. ერთხელ მორიგი
მშობიარობის მომლოდინე რეამ მშობლების რჩევით თავი კუნძულ
კრეტაზე შეაფარა, იქ მღვიმეში შობა ზევსი, კრონოსს კი ახლად-
შობილის ნაცვლად ჩვარში გახვეული ქვა გადააყლაპა. როდესაც
ზევსი დავაჟკაცდა, მამას შეებრძოლა: მას ჯერ გადაყლაპული შვი-
ლები ამოაღებინა მუცლიდან, მერმე სამეფო ტახტიდან ჩამოაგდო
და ქვეყნისა და ცის გამგებლობა ახალგაზრდა ზევსმა იტვირთა
კისრად.

62. მე გული შენი, ჩემად ვიშენი,
თულა მივიქცი, ვსჩნდი ზარ-ღებულად.
არ დამეტი: მამკლა მე ღია,
ჩემი სიცოცხლე გაცუღებულად (54, 1—2; XII, 13—14).

ქართული ლიტერატურის მკვლევარნი ჩვეულებრივ ამ ტაეების
ზოგად კომენტარებს იძლევიან. ნ. მარის აზრით¹, მეორე ტაეები
ამ შინაარსის შემცველია: „Я не вместил в себе (любовь к ней).

¹ TP, IV, გვ. 71.

Она, конечно, убила меня: жизнь моя погублена“. 1910 წელს ნ. მარმა ეს ტაეპი გაშიფრა სხვაგვარად: „არ დამე, დია! მომკალ მე დია“ და ა. შ. და იქვე მოგვცა ტაეპის ახლებური თარგმანი: „Не снизошла ты, женщина, ко мне! Убила ты меня в конец— жизнь моя стала пустою!“¹

პ. ინგოროყვა ნ. მარის შესაბამისად შიფრავს რა სიტყვებს არ დამე ტია-ს როგორც „არ—დამე!—დია“, წერს: მეორე ტაეპი „სიტყვა-სიტყვით თარგმანში ახალ-ქართულზე ნიშნავს შემდეგს: შენ არ ხარ (—დიადი იყვეს მეფური შენი სახელი!—), მაგრამ შენ არ ხარ ქალი! მომკალ მე ჭეშმარიტად! ჩემი სიცოცხლე გაცუდე-ბულად“².

სულ სხვანაირ გაგებას შეიცავს შ. ნუცუბიძის თარგმანი:

Царственным сердцем быть страстотерпцем
В муках разлуки мне назначено;
Клятве поверь ты: даже и в смерти
Пламя разлуки не погашено (107).

სამივე მკვლევარი ცდილობს ამ ტაეპებში ორიგინალური გაგება შეიტანოს, ძირითადად კი ისინი ერთი თვალსაზრისიდან გამომდინარეობენ: ჩახრუხაძე ამ შემთხვევაში ვერ ფარავს თავის ინტიმურ განცდებს და საქვეყნოდ ამჟღავნებს თამარისადმი სიყვარულს.

აზრთა სხვადასხვაობის მიზეზია ის გარემოება, რომ ქართული ტექსტის ზედმიწევნით გააზრება ვერ ხერხდება. წანაკითხებო „თულა მივიქცი“ და „არ დამეტია: მომკლა მე დია“ ტექსტულურად დაზიანებულია. „თამარიანის“ ძველ ხელნაწერებში ვკითხულობთ:

A: რაღა. მივიქცი... არდამეტია. მომკალ. მედია
B: რაღა. მიიქცი... არ: დამეტია: მომკალ: მედია:
E: ლა მივიცი... არ დამეტია მომკლა მედია
C: რაღა. მიიქცი... არ დამეტია მომკალ მე დია.

ამ საილუსტრაციო მასალებიდან ირკვევა: „თამარიანის“ თავდაპირველი წანაკითხებია — რაღა მივიქცი და მომკალ მე დია. ეს სიტყვები გვიანდელ გადაწერებს ვერ ამოუკითხავთ სწორად და მათგან მიღებული სხვადასხვანაირი მნიშვნე-

¹ TP, XII, გვ. 23.

² „კავკასიონი“, № 1—2, 1924, გვ. 304.

ლობის წანაკითხები: რაღა მივიქცი, ლა მიქცი, თულა მივიქცი, მამკლა მეღია და სხვ.

რაც შეეხება წანაკითხს არ დამეტია (არდამეტია), იგი, ჩვენი აზრით, წარმოდგარია ორი სიტყვის არ დი მეტია-ს არასწორი წაკითხვის შედეგად.

სიტყვა მეტია იგივეა, რაც დღევანდელი გაგებით: ზედმეტია.

რას ნიშნავს არ დი? ი. ჯავახიშვილის აზრით, „მზეს ქართულად ოდესღაც «არდი» უნდა რქმეოდა“¹. ისტორიკოსი თავის მოსაზრებას ასაბუთებდა სიტყვიდან არ და დეგი, რაც საბას განმარტებით ნიშნავს მზის დგომას ლომზე. „თამარიანის“ არ დი-ს კონტექსტის მიხედვით, ზმნისწინის ფუნქცია უჭირავს. მართლაც, არ დი, როგორც ზმნისწინი, იოანე პეტრიწის „კომენტარებშია“ დამოწმებული: „არ დი ფრუდ იქმნას წესი და დგომაჲ არსთაჲ“², ან: „ამათ და ესევეთათა ყოველთა სუეტნი სიბრძნისანი ყოველნი, პლატონურნი დიდნი და ჭეშმარიტებით ღმრთისმეტყუელნი, არ დი უჩინო ჰყოფენ“³. იოანე პეტრიწის თხზულებათა გამომცემლებმა „კომენტარებში“ ნახმარი სიტყვა არ დი მზის უძველეს სახელწოდებად მიიჩნიეს: „მზეს ის (ე. ი. პეტრიწი) ძველი ქართული წარმართული სახელწოდებით — «არდით» გამოხატავს“⁴, მაგრამ, როგორც კ. კეკელიძემ გამოარკვია, პეტრიწის მიერ დამოწმებული არ დი „მზეს კი არ აღნიშნავს, არამედ ბერძნული სიტყვაა *ἀρτι* და ნიშნავს, როგორც თვით კომენტარების ტექსტშია აღნიშნული «მყის», იმწამსვე, თვალის დახამხამებაში“⁵. გარდა ამისა, არ დი შეესატყვისება ზმნისწინებს: ახლა, ამ წუთას, ამ მომენტში, აწ. სულხან-საბა ორბელიანს არ დი განმარტებული აქვს აწ-ის მნიშვნელობით. მაშასადამე, არ დი მეტია ნიშნავს — ახლა (ამ წუთას, ამ მომენტში, აწ) ზედმეტია (მეტია). ტაეპი გასწორდა კონტექსტის შესაბამისად:

მე გული შენი ჩემად ვიშენი;

რაღა მიიქცი, ვჩნდი ზარ-ღებულად.

არ დი მეტია — მომკალ მე, დია! —

ჩემი სიცოცხლე გაცულებულად (XV, 29—30),

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 121.

² იოანე პეტრიწის შრომები, II, 1937, გვ. 40.

³ იქვე, გვ. 130.

⁴ იქვე, გვ. C III.

⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 280.

ანუ ახალი ქართულით: მე შენი გული ჩემად მივიჩნიე, (რადგანაც მეგონა ჩემი გრძნობების მოზიარე იქნებოდი, მაგრამ) რაღა პირი იბრუნე ჩემგან, მე გაეხდი ზარ-ღებული, ე. ი. მოწამლული; ახლა (აწ, ამ წუთს, ამ მომენტში) ჩემი გაცუდებული სიცოცხლე ზედმეტია. დიად, მომკალ (და მომასვენე).

63. ჯაფად და გესხენ, ქრმად რამე გესხენ:

აწ ძვალთა მათთა დაქდეს რა რუევად.

ერანს მფლობელი, შეუფლობელი,

გახადე ნატრად ესრე ნასხმევად:

ლომთა თავადად, თქმული ავადად,

სხვათა ვინმე სჩანს: ხართ ნამარხევად

(44, 2—4; V, 30—32).

ამ ტაეების კომენტირებას მეტად ვრცელი და საინტერესო ისტორია აქვს. ისინი პირველად შინაარსობლივად განიხილა ნ. მარმა და მათში მოცემული რეალიების მიხედვით შეეცადა ევად-რიოთმიანი ოდის დათარიღებას. ნ. მარი წერდა: „По всей видимости, ода (იგულისხმება ევად-რიოთმიანი ოდა, ი. ლ.) сочинена до супружества Тамары с Давидом. Время написания этой оды можно определить точнее на основании двух стихов 44-й строфы (V, 30—31)... Опираясь на них, оду можно приурочить ко времени изгнания первого мужа, о котором поэт выражается в презрительном тоне, называя его *რამე* нечто“.

თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ნ. მარმა იქვე წარმოადგინა საინტერპრეტაციო ტაეების რუსული თარგმანი:

„Они внезапно напали на тебя. У тебя мужем сидел некий (букв.: нечто). Теперь когда его костям пришлось сотрясаться (он бежал с трепетом), то во властелине Ирама, не имеющем над собою господина, ты зародила желание быть (у тебя) посаженным таким же образом, т. е. мужем, но некто еще другой виден, прославленный вожаком и князем Львов: (для него) сохрانية вы“¹.

ამგვარად, ნ. მარის აზრით, ევად-რიოთმიანი ოდა, რომელიც 1902 წლის გამოცემაში მეხუთე ოდადაა მიჩნეული, დაწერილია თამარის პირველი ქმრის გიორგის საქართველოდან განდევნის ახლო ხანში, როდესაც თამარი ჯერ კიდევ არ იყო გათხოვი-

¹ TP, IV, 46—47.

ლი დავით სოსლანზე; ეს მტკიცდება თურმე ჩახრუხადის სიტყვებიდან, სადაც ნაგულისხმევია, რომ ა) გიორგი აღარ ითვლება თამარის ქმრად და ბ) თამარმა ქმრობის სურვილი გაუღვიძა ირანის რომელიღაც მფლობელს, მაგრამ მასზე უფრო უკეთესი საქმრო გამოჩნდა ვიღაც „ლომთა თავადი“, ქებული „ავადი“ (ბელადი) და თამარი ამჟამად მისთვის „ნამარხევია“, ე. ი. დანიშნულია.

1924—1938 წლებში ნ. მარის ამ ჰიპოთეზური მოსაზრების გაშლა-დასაბუთებას შეეცადა მკვლევარი პ. ინგოროყვა თავის ორ ცნობილ ნაშრომში: „ჩახრუხაისძე—პოეტი, მოგზაური“¹ და „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“².

„ჩახრუხაისძის მე-V ოდა, —წერს პ. ინგოროყვა,—როგორც ეს ჩანს თვით ტექსტის ჩვენებებიდან (იგულისხმება საინტერპრეტაციო ტაეპები, ი. ლ.), დაწერილია 1188 წელს. თარიღი ირკვევა შემდეგის მიხედვით: ოდის დაწერის დროს გიორგი რუსი უკვე განდევნილი ყოფილა საქართველოდან (რაც 1187 წელს მოხდა); ამასთან თამარ ჯერ კიდევ არ არის დაქორწინებული დავით სოსლანზე (თამარ 1189 წელს დაქორწინდა). ჩახრუხაისძეს ეს ოდა დაუწერია შირვან-შაჰის დარბაზობის დროს თამარის კარზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1188 წელს“³.

ამ წელს,—განაგრძობს მკვლევარი,—შირვან-შაჰი „აღსართან სადარბაზოდ ჩამოვიდა შირვანიდან საქართველოში და თამარის კარზე იმყოფებოდა იმ განზრახვითა და იმედით, რომ თამარის გული მოეგო და ღირსებოდა ხელს“ (იქვე, გვ. 24). სამეფო კარის დიდებულთა შორის აღსართანის სტუმრობის „პირველ ხანებში ისეთი აზრი ყოფილა გავრცელებული, რომ თამარ გაიზიარებს აღსართანის წინადადებას, და აღსართან თითქმის ოფიციალურ საქმროდაც კი ყოფილა მიჩნეული“ (იქვე, 25).

შემდეგ თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მკვლევარი იშველიებს ევა დ-რითმიანი ოდის ორ ტაეპს ამგვარად:

თქმული ავადად, ლომთა თავადად
სხვაცა ვინმე სჩანს, სჩანთ ნამარხევად:
ვიცით შარვანით, მყოფი არ ვანით,
გაშას გასული ნაგაშპასევად—

¹ „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 288—289.

² რუსთაველის კრებული, 1938, გვ. 22—25.

³ იქვე, გვ. 22.

და დასძენს: „ჩახრუხაისძე ამბობს: «იმ მრავალთა შორის, რომლებიც ეძებენ თამარის ხელს, ჩანს „ავადი“ (ე. ი. ბელადი), ლომთა თავადი, რომლისთვისაც თქვენ (თამარ) დანიშნული („ნამარხევი“) ხართ; ვიცით, რომ იგი შარვანიდან არის, მოშორებულია სახლსამყოფელს („მყოფი არ ვანით“), ზის ტახტზე („გაშა“) სიყვარულით თქვენი შემომცქერალი („ნაგაშპასევი“)»“.

პ. ინგოროყვას ეს მოსაზრება ძირითადად გამეორებანა მარის კომენტარებისა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ თუ ნ. მარი თავს იკავებდა და არას ამბობდა იმ „ლომთა თავადის“ ვინაობაზე, რომელზედაც თამარი ყოფილა ვითომცდა დანიშნული (ნამარხევი), პ. ინგოროყვა დაბეჯითებით იუწყება, რომ ეს „ლომთა თავადი“ არის შირვანის მფლობელი აღსართან, რომელმაც, როგორც ცნობილია ისტორიიდან, მართლაც ითხოვა თამარის ხელი.

ნ. მარის მოსაზრება გაიზიარა 1902 წელს მ. ჯანაშვილმა, მაგრამ მან „ლომთა თავადის“ სახით წარმოიდგინა თამარის ქმარი დავით სოსლანი. მას საინტერპრეტაციო ტაეპების შინაარსი ესმის ამგვარად:

„ის, რომელიც თავის ნებით შენ საქმროდ მოვიდა და მერე (გადდების შემდეგ) შენ საძლეად მოგმართა, იმის ძვალთაგან რაღა დარჩაო? ერანს მფლობელი შეუფლობელი გახადე ნატრად, ესრე ნახმევეად! თქვენ თავს იმარხავთ, იცავთ იმისთვის, ვინც სჩანს ლომთა თავადად (ე. ი. დავით სოსლანისთვისო)“¹.

მ. ჯანაშვილმა ეს კომენტარი უფრო გაშლილი სახით წარმოადგინა 1904 წელს ნაშრომში „თამარ მეფე და მისნი ისტორიკოსნი“:

„რუსიც კი ვინმე ქმრად გიჯდა, მაგრამ რა დარჩა მის ძვალთაგანო. ერანს მფლობელიც ნატრად გახადეო; ვიცი შენ თავს ინახავ ლომთა თავადისთვის, ავადად თქმულისთვისო. «თამარიანში» დავით სოსლანი ავადად მოხსენებულა... ავად ოსური სიტყვაა და ნიშნავს სახლისკაცს, ზოგის თქმით ავად—მეგვარტომეს... შეიძლება ავადი ოსური კი არ იყოს, ქართული ავადი (ინგ. ავადმყოფი). დავით სოსლანს, ალბათ, იწუნებდნენ ზოგიერთნი, რომ ვითომ იგი ყოფილიყოს ავადი“².

მ. ჯანაშვილის მოსაზრება, რომ „ლომთა თავადი“ არის დავით სოსლანი, უკრიტიკოდ მიიღო შ. ნუცუბიძემ. მკვლევარი ზემოთ მოტანილ ტაეპებს თარგმნის შემდეგნაირად:

¹ „ივერია“, 1902, № 204.

² „მომამბე“, 1904, № 2, გვ. 18 — 19.

Жаждут быть другом; неким супругом
 Вдаль уносились кости с грохотом.
 Хана Эрана нежности рана
 Сблизиться с солнцем гонит с ропотом.
 Ждет лишь улада тигров тавада
 Ты же со страстным ждала шопотом (87—88).

თარგმანი პოეტური აღმადრენითაა შესრულებული, მაგრამ მას მცირეოდენი საერთო აქვს ქართულ ორიგინალთან. მართალია, შ. ნუსუბიძე წინასიტყვაობაში წერს: „В моем переводе я точно сохранил эти полторы строчки, посвященные изгнанному царю—неудачному супругу Тамары“ (გვ. 36), მაგრამ ეს სიზუსტე უნდა დაცულიყო არა მარტო ნახევარ სტრიქონში, არამედ მთელ სტროფშიც. მთარგმნელი „თამარიანის“ კომენტარებში წერს, რომ „ლომთა თავადი“, რომელსაც თამარი „со страстным ждала шопотом“, არის დავით სოსლანი — „единственный удачливый претендент на любовь Тамары“ (გვ. 167) მაშინ, როდესაც თარგმანის შესატყვის, ქართულ ტექსტში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი დავით სოსლანისა და თამარის ინტიმური ურთიერთობის შესახებ.

ასეთია მოკლედ საინტერპრეტაციო ტაეპების შესწავლის ისტორია.

ამ ისტორიულმა ექსკურსმა გამოავლინა უპირველესად ის, რომ საინტერპრეტაციო სტროფის შინაარსი არ არის გახსნილი, რომ საამისო ცდები ჰიპოთეზური ხასიათისაა. ის აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც ამ სტროფის შინაარსობლივ გაგებაში არსებობს, საგრძნობლად ხელს უშლის ევად-რითმიანი ოდისა და საერთოდ „თამარიანის“ დაწერის თარიღის დადგენას. ნ. მარის დაუსაბუთებელმა ჰიპოთეზამ, რომელიც მის ავტორმა ტექსტულურად დამახინჯებულ სტროფზე ააგო, შეუშოშობლად ღრმა ფესვები გაიდგა „თამარიანის“ შესწავლის ისტორიაში და მისგან მკვლევართან ერთი ჯგუფი დღესაც ვერ განთავისუფლებულა. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ნ. მარსა და მისმა თანამოაზრებელმა ნაძალადევად მოტანილი ისტორიულ-ფილოლოგიური პარალელებით შთლად დამახინჯეს სტროფის გარკვეული აზრი. „თამარიანის“ პირველი ჯგუფის ხელნაწერთა მოშველიებით თავისუფლად შეიძლება აღდგენილ იქნეს სადავო სტროფი იმ სახით, როგორც სახითაც იგი ავტორის ხელიდან გამოვიდა.

A ნუსხის მიხედვით და კონტექსტის შესაბამისად პირველი ტაეპი გასწორდა:

ქაფად და გესხნეს, ქმრად რომე გესხნეს,
აწ ძველთა მათა გაუქდეს რყევად.

მომდევნო ტაეპში პირველი ათმარცვლელი სწორად იკითხება, მეორე ათმარცვლელი კი დაზიანებულია. მის აღსადგენად მეორე ჯგუფის ნუსხები არავითარ მასალას არ იძლევა, პირველი ჯგუფის ხელნაწერებში კი ვკითხულობთ:

ACD: ბოზქარ. გახადე. ნატარ. ნასხმევად.

B: ბობესრ: გაჯადე: ნატარ: ნასხმევად.

F: მობესრ: გაჯადე: ნატარ: ნასხმევად.

ამ ამონაწერებში გაუგებრობას იწვევს „ნატარ ნასხმევად“ ნა-ს ხ მ-ე ვ-ა დ ნამყო დროის მიმდებარე, ვნებით ბრუნვაში დაყენებული, წარმოქმნილია ს ხ ა მ-ფუძიდან. „ძველ ქართულში, — წერს ი. ქავთარაძე, — ეს ზმნა ძალიან ფართოდაა გავრცელებული და სხვადასხვა მნიშვნელობაც მოეპოვება. იგი თითქმის აძველებს მრავლობითის სხვა ფუძეებს და მათ ადგილს იკერს“¹. ეს ზმნა შინაარსით მრავლობას გამოხატავს, ამიტომ მისი ობიექტიც მორფოლოგიურად მრავლობითში დგას, თუმცა არის ისეთი შემთხვევებიც, რომ მისი ობიექტი მხოლოდითია, მაგრამ შინაარსით იგი დაუთვლელ მრავლობას გამოხატავს. მაგ. დაასხა წყალი, ღვინო, ფისი, ოფლი და სხვ.

ნატარ დამახინჯებული წაკითხვაა. იგი მიღებულია ტ-სა და ც-ს აღრევის ნიადაგზე სიტყვიდან ნაცარ. ძველ ქართულში ს ხ ა მ-ფუძესთან ხშირად იხმარება ობიექტად ნაცარი. მაგ.: „შთაასხმიდა ნაცარსა საცეცხლურთასა“², „საგებელსა ჩემსა ნაცარი გარდაასხ“³, „ისხმიდეს ნაცართა თავთა“⁴, „ისხმიდიან თავთა ნაცარსა და მტუერსა“⁵, „დამსხმელთა თავთა ნაცრისათა აღიხილნეს თუალნი“⁶ და სხვ.

¹ ი. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, 1954, გვ. 231.

² კიმენი, I, 1918, გვ. 24.

³ ი. ცურტაველი, მარტვილობა წმინდისა შუშანიკისი, 1938, გვ. 13.

⁴ ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტ. ქრესტომათია, I, გვ. 281.

⁵ ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, გვ. 139.

⁶ იქვე, გვ. 101.

მაშასადამე, წინაკითხის „ბობქარ გახადე ნატარ ნასხმევად“ აღდგენილი სახეა: „ბობქარ გახადე ნაცარ-ნასხმევად“, ე. ი. აბუბაქრი გახადე შერცხვენილად, თავზე ლაფდასხმულად.

მესამე ტაეპში დასაზუსტებელია მეორე ათმარცვლედის წინაკითხი „სჩანს: ხართ ნამარხევად“. მის აღსადგენად საყურადღებო ვარიანტებს იძლევა ABCDFG ნუსხები, სადაც ვკითხულობთ:

A: ჩნდეს. ხ ლ ა თ. ნამარხევად

BDG: ჩანს: ხ ა ლ თ: ნამარხევად

C: ჩანს ხ ლ ა დ ნამარხევად

F: ჩანს ხ ლ ა თ ნამარხევად

E: ჩნდეს ხ ა ჰ თ ნამარხევად

ამ მასალების მიხედვით მკვლევართა მოსაზრება — თამარ, თქვენ ხართ ნამარხევად (ე. ი. დანიშნული) ლომთა თავადისა (ან დავით სოსლანისა) — გამორიცხულია. ხართ XIX საუკუნის გადამწერთა მცდარი კორექტივია. წინაკითხი გასწორდა ACF ნუსხებისა და კონტექსტის შესაბამისად: „ჩანს ხ ლ ა თ ს ნამარხევად“, ე. ი. ჩანს ქ. ხ ლ ა თ შ ი დამარხულად.

გადამწერებს ხ ლ ა თ ს ვერ გაუგიათ და სხვადასხვანაირად დაუწერიათ: ხ ლ ა თ (AF), ხ ლ ა დ (C), ხ ა ლ თ (BDG), ხ ა ჰ თ (E) და ხ ა რ თ (მეორე ჯგუფის დანარჩენი ნუსხები).

ამრიგად, საინტერპრეტაციო ტაეპები გასწორდა ხელნაწერებისა და კონტექსტის შესაბამისად:

ჭ ა ფ ა დ ლ ა გ ე ს ხ ნ ე ს, ქ მ რ ა დ რ ო მ ე გ ე ს ხ ნ ე ს,

ა წ ძ ვ ა ლ თ ა მ ა თ თ ა გ ა უ ჯ დ ე ს რ ყ ე ვ ა დ;

ე რ ა ნ ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ი, შ ე უ ფ ლ ო ბ ე ლ ი

ბ ო ბ ქ ა რ გ ა ხ ა დ ე ნ ა ც ა რ - ნ ა ს ხ მ ე ვ ა დ;

ლ ო მ თ ა თ ა ვ ა დ ა დ, თ ქ შ უ ლ ი ა ვ ა დ ა დ

ს ხ ვ ა მ ც ა. ვ ი ნ ა ჩ ა ნ ს ხ ლ ა თ ს ნ ა მ ა რ ხ ე ვ ა დ (VII,30—32).

ახლა მივმართოთ საქართველოს ისტორიის წყაროებს და აღდგენილი ტაეპები გავაანალიზოთ ისტორიულ ასპექტში.

ქართველი და მაჰმადიანი მემკვიდრეები მოგვეთხრობენ იმასვე, რასაც პოეტი ჩახრუხაძე გადმოგვცემს საინტერპრეტაციო ტაეპებში. საქართველოს ოფიციალური ისტორიიდან ცნობილია შემდეგი:

ა) 1185 — 1186 წლებში სახელმწიფო დარბაზის გადაწყვეტილებით თამარ მეფე დაქორწინდა სუზდალის რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლუბსკის შვილზე, გიორგიზე, მაგრამ გიორგი წლინახევრის შემდეგ, 1187 — 1188 წლებში, საქართველოდან „წარიყვანეს ექსორია ქმნად“, ე. ი. გააძევეს. შეურაცხყოფილი რუსი მთავრის შვილი 1190 — 1191 წლებში კონსტანტინეპოლიდან ყარსში მოვიდა დაკარგული სამეფო დიდების აღსადგენად. მან თავის მხარეზე გადაიბირა თამარის მეფობით უკმაყოფილო პირები: შავშეთ-კლარჯეთის მფლობელი გუზანი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი და სამცხის სპასალარი ბოცო. თავის მხრით, ვარდან დადიანმა მიიმხრო „ყოველი სუანეთი, აფხაზეთი, საეგროდ გურიითა, სამოქალაქოდ, რაჭა-თაკუერი და არგუეთი“. გიორგიმ მათი დანმარებით დაიპყრო საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, თავი მეფედ გამოაცხადა და ქართლის მხარეს შეუტია. თამარის ერთგულმა მეომრებმა დავით სოსლანის მეთაურობით გიორგი რუსი და მისი მოკავშირე ქართველი მეთაურობენი თმოგვსა და ერუშეთს შუა გაანადგურეს. გიორგი ბიზანტიაში გადაიხვეწა, ან, როგორც მემბტიანე იტყვის: „მასვე მისსა სუეუბედურსა გზასა გაემართა“.

1193 წელს გიორგიმ კვლავ სცადა საქართველოს სამეფო ტახტის ხელში ჩაგდება. ამისათვის ის ჯერ კონსტანტინეპოლიდან არანში გადმოსახლდა, სადაც კვლავ მოკავშირენი გაიჩინა, და ჯარით ქიზიყში შეიჭრა, „შიგნით მინდორნი მოარბია და აიღო სიმრავლე ტყუისა და ნატყუენავისაჲ“. მაგრამ ხორნაბუჯის პატრონმა საღირ მახატლისძემ შეყარა მცირედი ლაშქარი და გიორგი რუსი დაამარცხა, მისი მოკავშირენი ტყვედ აიყვანა და დასაჯა¹.

ბ) 1191 წელს ადარბადაგანის ათაბეგმა ყიზლ-არსლანმა თავი სულტნად გამოაცხადა და მთელი სპარსეთის მფლობელი გახდა, მაგრამ მალე იგი მოლიდების მიერ მოკლულ იქნა. ტახტის მემკვიდრეებად დარჩნენ მისი შვილები — ხუტლუ-ინანჩი, აბუბაქრი და ამირ-მირმანი (უზბეგი); პირველმა მიიღო სამფლობელოდ ტერიტორია ერაყიდან ხორასნამდე და ბაბილონამდე, მეორემ — ადარბადაგანი სომხეთამდე, მესამემ კი — ტერიტორია გურჯანის ზღვიდან გელაქუნის ზღვამდე. მალე ძმებს უთანხმოება ჩანოღუვართათ და ურთიერთის წინააღმდეგ ამხედრდნენ. გამარჯვება მოიპო-

¹ ისტორიანი და აზმანი შარაფანდეთანი, გვ. 90—95, 100; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 258 — 263.

ვა საშუალო ძმამ, აბუბაქრიმ. მან განდევნა თავისი სამფლობელო-დან ხუტლუ-ინანი და თავი ათაბაგად გამოაცხადა, შემდეგ ჯარით მიადგა ამირ-მირმანის სამფლობელოს. შეშინებული ამირ-მირმანი შეეკედლა შირვანის შაჰს აღსართანს. გალღებულნი და გათამამებული აბუბაქრი თავისი ჯარით შირვანსაც მიუახლოვდა. აღსართანს არ შეეძლო აბუბაქრისათვის წინააღმდეგობა გაეწია და თამარს დახმარება სთხოვა. საქართველოს სახელმწიფო დარბაზმა დაადგინა აბუბაქრის წინააღმდეგ გალაშქრება. 1195 წელს ციხე-ქალაქ შანქორთან დავით სოსლანისა და აბუბაქრის ჯარებს შორის დიდი შეტაკება მოხდა. ქართველებმა მტერი დაუნდობლად გაანადგურეს. შეშინებული და შერცხვენილი აბუბაქრი შირვანიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა „ერთითა მონითა“¹.

გ) იბნ ალასირის ცნობით, 1204 — 1205 წლებში ქართველებს გალაშქრება მოუხდათ ხლათის სულტნის წინააღმდეგ. მათ ჯერ დალაშქრეს ადარბადაგანი, იქიდან ხლათს მიადგნენ და მანასკერტამდე ჩააღწიეს. მოწინააღმდეგე თითქმის აღარა ჩანდა, მაჰმადიანთა ლაშქარი ყველგან გაანადგურეს ქართველებმა და ტყვეთა და დიდი ნადავლით დაბრუნდნენ საქართველოში².

პოეტი ჩახრუხაძე თავის თხზულებაში არა ერთგზის ამხვილებს ყურადღებას თამარის ამ ძღვეამოსილ ბრძოლებზე, რომელიც მიმართული იყო თურქ-სპარს დამპყრობთა წინააღმდეგ. საინტერპრეტაციო ტაეპებშიც სწორედ ეს მნიშვნელოვანი ლაშქრობანი იგულისხმება. იგი წერს: თამარ შენ უძღვეველი მეფე ხარ. ვისაც კი შენი ძღვეამოსილი ლაშქრობანი უნახავთ, ისინი „უძლოდ გიტყვიან, არ შეუძღვევად“. ეს შენი უძღვეველობა ყველაზე თვალსაჩინოდ გამოჩნდა იმაში, რომ შინაური და გარეშე მტრები დაამარცხე: „ქმრად რომე გესხნეს“, ის და მისი მოკავშირენი მართალია „ქაფად დაგეხსნეს“, მაგრამ ახლა მათი ძეგლები საფლავშიც რყევას განიცდიან; ერანის მფლობელი აბუბაქრი, რომელსაც თავი დაუმარცხებელი ეგონა, „გახადე ნაცარ-ნასხმევად“, ხოლო სხვა კიდევ ვინ უნდა გამოჩნდეს „ლომთა თავადად, თქმული ავადად“, რომელმაც თავისი სამარე ხლათში გაითხაროს?

ჩახრუხაძე, როგორც უანგარო პატრიოტი და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესის დამცველი პოეტი-მეხოტბე, აღფრთო-

¹ ისტორიანი და აზნანი შარავანდედთანი, 1941, გვ. 101-110; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 266 — 272.

² ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1948, გვ. 274.

ვანებულია თავისი სამშობლოს სამხედრო ძლიერებით, რომელიც ქართველმა ხალხმა თამარის ხელმძღვანელობით მოიპოვა; როდესაც ის თამარის პიროვნების შესახებ წერს, მის ინდივიდუალურ ღირსებებთან ერთად ჩამოთვლის იმ ძლევამოსილ ბრძოლებსაც, რომელთაც კავკასიის ერთა შორის მშვიდობიანობის დასამყარებლად გადამწყვეტი როლი ითამაშეს. თამარ მეფის დამსახურება ისტორიის წინაშე ჩახრუხადეს მშვენივრად აქვს შეგნებული და თავის ამ რწმენას პოეტურად გადმოგვცემს იმ ტაეპებში, რომელნიც ნახევარი საუკუნის განმავლობაში ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა მიერ შეცდომით იყო წაკითხული და გაგებული.

რაკი ამ საინტერპრეტაციო ტაეპების რეალური შინაარსი გაგამორკვეულია, დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს დადგენა იმისა, თუ ევად-რითმიანი ოდა როდისაა დაწერილი. ნ. მარის აზრით, ეს ოდა დაიწერა გიორგი რუსის საქართველოდან განდევნის ახლო ხანში თამარის მეორედ გათხოვებამდე. ამ მოსაზრებისაა თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი ევად-რითმიანი ოდის დათარიღების საკითხს შეეხო (პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, ა. ბარამიძე), მაგრამ ჩვენ ვერ გავიზიარებთ მათ მოსაზრებებს, რადგანაც მათი ვარაუდი დაფუძნებულია საინტერპრეტაციო ტაეპების არასწორ ანალიზზე. ჩვენ მიერ აღდგენილი ტექსტის მიხედვით, გიორგი რუსის განდევნა საქართველოდან და მისი ბრძოლები სამეფო ტახტის ხელში ჩასაგდებად დიდი ხნის წინ მომხდარი ფაქტია. როდესაც ევად-რითმიანი ოდა იწერებოდა, ქართველ მეომრებს 1195 წლის შამქორის ბრძოლებიც მოთავებული ჰქონდათ. უფრო მეტიც: ევად-რითმიანი ოდა 1204—1205 წლებზე ადრეც ვერ დაიწერებოდა, რადგანაც ჩახრუხადე იხსენიებს დავით სოსლანის მეთაურობით ქართველთა ჯარის გალაშქრებას ხლათელთა წინააღმდეგ. ასე რომ, ის მოსაზრება თითქოს „თამარიანი“ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში იწერებოდა, **ა. ს.** ელებაში მოცემული ისტორიული რეალიებით არ დასტურდება. ამ მოსაზრების ერთადერთ სერიოზულ საბუთს წარმოადგენდა საინტერპრეტაციო ტაეპები, რომელთა მიხედვით თითქმის თამარი მოჩანდა „ლომთა თავადის“ ნამარხევად, ე. ი. დანიშნულად, მაგრამ, როგორც ზემოთ გავარკვეეთ, ტაეპების ამგვარი ვაგება ტექსტის არასწორი გაშიფრვის შედეგს წარმოადგენს და მას არავითარი საერთო არა აქვს რა იმ ამბებთან, რომელთაც ჩახრუხადე გადმოგვცემს¹.

¹ თამარიანის დაწერის თარიღის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ. გვ. 170—180.

64. ვერცა დამტევრობს სოფელი,
არა თუ ჩემნი შესხმანი! (86, 4; III, 17).

ნ. მარს სიტყვა დამტევრობა, რომელიც, მისი აზრით, წარმომდგარია სიტყვიდან ტევრი, განმარტებული აქვს, როგორც „превосходить численностью, превзойти“¹.

ს. კაკაბაძის აზრით, ეს სიტყვა მიღებულია მტევრი-დან და ნიშნავს: „დახშირება, ჯობნა“².

შ. ნუცუბიძეს ტაეპის შინაარსი ესმის ამგვარად:

Что мой гимн! Того не сможет
Даже мира созидатель (172).

ჩვენის აზრით, არც ერთი განმარტება მისაღები არ არის და აი რატომ:

ძველ ქართულში (და ასევე ახალშიც) ხშირად გვხვდება სიტყვა ტევრი. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, ეს ნიშნავს: „დიდი და ხშირი ტყე“. ამ მნიშვნელობით იხმარება იგი „ვეფხისტყაოსანში“: „მოახსენა: მხეცთა თანა იარები მარტო ტევრაღ“ (272,2). ტევრი-დან მიღებულია ზმნების საწყისები: ტევრება (ტყესავით გახშირება) და გატევრება (დაბურულ ტყეში გაჭრა). „თამარიანში“ ვკითხულობთ: „ატევრებ თმათა“ (ტყესავით ახშირებ თმებს), ანდა: გატევრებისა (ტყეში გაჭრისა). თუ დამტევრობა ნაწარმოებია ტევრი-დან, მაშინ მისი სწორი ფორმა იქნება და-ტევრ-ებ-ა. აქ არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს მ-მეტობა. ამიტომ არა გვგონია სიტყვა დამტევრობა-ს რაიმე საერთო ჰქონდეს სიტყვასთან ტევრი. A ნუსხაში მის ნაცვლად იკითხება დამეტობს (შდრ.: C—დამტეობს). ვფიქრობთ ეს წინააკითხი მისაღებია. იგი ნიშნავს: გადაამეტებს (აჯობებს), უფრო მეტს იტყვის. ამის მსგავს გამოთქმებს ხშირად ხმარობენ ჩახრუხაძე („უმიროს, პლატონ სიტყვა დამატონ“, ან: „ვერა დამატონ სოგრატ და პლატონ“) და შავთელი („ვერა დამატონ ქება ძალისა“).

ამრიგად, „ვერცა დამტევრობს“ გასწორდა A ნუსხის მიხედვით: „ვერცა დამეტებს“, ე. ი. ვერც გადაამატებს, უფრო მეტს ვერ იტყვის, ვერ აჯობებს.

¹ TP, IV, გვ. 600, ნახეთ: ტევრი.

² თამარიანი, 1937, გვ. 56. ნახეთ: დამტევრობა.

ახლა გასარკვევია, ვისზეა ამ ტაეპში საუბარი? ვინ ვერ გადაამეტებს, ან ვინ ვერ იტყვის უფრო მეტს? ხელნაწერების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ამ კითხვის საპასუხოდ ხელში შეგვერჩება სიტყვა სოფელი, მაგრამ კონტექსტით შეუძლებელია „თამარიანის“ დედანში სოფელი წერებულისყო. ჩახრუხაძე წერს:

შენთვის ჯმდა არისტოტელი;
დიონის წიგნთა შესხმანი,
მსგავსად აქილეე-ტროელთა.
უმიროსისგან შესხმანი.

ამას მოსდევს საინტერპრეტაციო ტაეპი, სადაც არისტოტელთან, დიონისე არეოპაგელთან და ჰომეროსთან დაპირისპირებულია თვითონ „თამარიანის“ ავტორი დარომელილაც მწერალი, რომელთაც არ შეუძლიათ უფრო უკეთესი ქებანი შეთხზან, ვიდრე არისტოტელის, დიონისისა და ჰომეროსის შესხმანია. ვინ არის ეს მწერალი? რაკი მისი სახელის მაგიერ წერია სოფელი, მაშასადამე, ამ დამახინჯებულ წანაკითხში იგულისხმება ბერძნული დრამის ბრწყინვალე წარმომადგენელი სოფოკლე (ძვ. ქართულით: სოფოკლი), რომელიც სახოტბო ოდებსაც წერდა (მისი სახოტბო ლექსებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ორმა). პალეოგრაფიულად სრულიად ადვილი შესაძლებელია ოკ-სა და ე-ს აღრევის ნიადაგზე წანაკითხი სოფოკლი დამახინჯებულიყო სიტყვით სოფელი. თუ ო და კ გაკრული ხელით დაწერილ ნუსხებში გადაბმულია, ძლიერ ჰგავს უშნოდ დაწერილ ე-ს. აქვე საყურადღებოა აღენიშნოთ ის გარემოებაც, რომ A ნუსხაში სოფელი ისეა ჩაწერილი, რომ უეცარი შეხედვით სოფოკლი-ს ამოიკითხავთ.

ტაეპი გასწორდა A ნუსხისა და კონტექსტის შესაბამისად:

ვერცა დამეტებს სოფოკლი,
არა თუ ჩემნი შესხმანი (XIV).

ეს ნიშნავს: (თამარ, შენს საქებრად ამეტყველდა არისტოტელე, დიონისეს და ჰომეროსის შესხმანიც შენდამია მიძღვნილი), მაგრამ მათ ქებაში ვერ გადავამეტებ (ვაჯობებ) არა მარტო მე ჩემი „შესხმანით“ (ე. ი. „თამარიანით“), არამედ სოფოკლეს (თავისი ხოტბებით).

65. რომელმან ღამე დღე ჰყო, ვთქვა და მე,
ფენს შუქსა მზეებრ გათენებულად (54,3).

პირველ ათმარცვლედს ნ. მარი ასწორებს: „რომელმან ღამე-
დღე ჰყო — ვსთქვალა მე“ (XII, 28).

ტაეპს შ. ნუცუბიძე თარგმნის შემდეგნაირად:

Шлют твои очи свет даже ночи,
И светозарно все украшено (108).

ნ. მარის კონიექტურა და შ. ნუცუბიძის თარგმანი ამახინჯე-
ბენ ტაეპის შინაარსს, რომელსაც ჩახრუხადის პროვიდენციალური
მსოფლმხედველობის გასარკვევად მნიშვნელობა ენიჭება. მ. ჯანა-
შვილმა სწორად გაიგო ტაეპის აზრი, როდესაც ნ. მართან კამა-
თის დროს უპირატესობა XIX საუკუნის გამოცემათა წანაკითხს
მიანიჭა¹:

რომელმან ღამე, დღე ჰყო ჰსთქვა ღამე,
ჰფენს შუქსა მზეებრ გათენებულად (ჰიჰ).

ამ წანაკითხში სწორად უნდა დასმულიყო სასვენი ნიშნები
AB ნუსხების მიხედვით „გათენებულად“ შეცვლილიყო სიტყვით:
„განათებულად“ და მთელი ტაეპის აზრი გასაგები გახდებოდა.
გასწორდა AB ნუსხებისა და კონტექსტის შესაბამისად:

რომელმან ღამე-დღე ყო, თქვა: «ღამე
ჰფენს შუქსა მზეებრ განათებულად» (XV, 31),

ეს ნიშნავს: რომელმაც დღე და ღამე გააჩინა, (მანვე, ე. ი.
შემოქმედმა ღმერთმა) თქვა: (დღე თუ ნათელია), ღამე მზიურ
შუქს მოაფენს (თამარი) და ღამეც დღესავით განათდებაო.

ამით ჩახრუხადეს ის უნდა თქვას, რომ თამარ მეფის მზიური
სილამაზე შემთხვევითი, ამქვეყნიური მოვლენა კი არ არის, არა-
მედ ის ქვეყნის შემოქმედის მიერ დღე და ღამის გაჩენისთანავე
ნაწინასწარმეტყველებია, ე. ი. თამარისათვის იდეალური სილამა-
ზე ღვთის მიერ ზეცით მონიჭებული ატრიბუტია.

66. მცროხსა აქილევს, მბრძოლთა აქ ილევს,
რა მძლედ ავადის მოწსენებანი.
ახალო ხვასრო, ბაღდადით სპარსო,
ააველესო დასვენებანი (95, 2—3; IX, 18—19)

არც ნ. მარი და არც ს. კაკაბაძე არ იძლევიან ამ ტაეპების
შინაარსობლივ ანალიზს.

¹ „ივერია“, 1902, № 204.

მ. ჯანაშვილი ეკამათება რა ნ. მარს, არ იზიარებს მის გა-
შიფრვას. იგი თავის მხრით ცდილობს საინტერპრეტაციო ტაეპები
სწორად აღადგინოს და მათში დაფარული შინაარსი ამოიცნოს.
მისი აზრით, პირველი ტაეპი უნდა გასწორდეს ამნაირად:

მცრობს აქა ალევს, მბრძოლთა ქაალევს
რა მძლედ ავა, დის მოხსენებანი.

ამის შემდეგ ორივე ტაეპის შინაარსი იქნებაო: „დავით მეფე
აქ მცრობს ალევსო (ალევი — სოფელია ქართლში), ქაალევის (ხა-
ლევოს) მბრძოლთა საძლევად რომ წავაო და დაამარცხებს მტერ-
სო, მყის მოდისო მოხსენებანი: თამარ მეფეო (—ახალო ხვასრო),
ბაღდადით სპარსეთამდე დაიჭირესო (ააევლესო) შენმა მეომრებმა,
გაიხარენ და დასვი მკვრელ-მომღერალიო (ებანი)“¹.

მ. ჯანაშვილის მოსაზრება, ერთი მხრით, გულუბრყვილოდ
მოჩანს, მაგრამ, მეორე მხრით, მეტად საყურადღებოცაა, რადგანაც
იგი შესაძლებლობას გვაძლევს ტაეპის დამახინჯებული წანაკითხე-
ბი მიახლოებით მაინც აღვადგინოთ და მათი შინაარსიც როგორ-
მე გაეხსნათ.

ხელნაწერებში საინტერპრეტაციო ტაეპები იკითხება ამ-
გვარად:

A: მცრობსაქა. ალევს. მბრძოლთა, აქაალევს,
რა მძლედ ავი დის. მოხსენებანი.
ახალო. ხვასრო. ბაღდადით. სპარსო.
ააევლესო. დასვენებანი.

B: მცნობ: აქა: ალევს: მბრძოლთა: აქა: ალევს:
რა: მძლედ: ავადის: მოხსენებანი:
ახალო: ხვასრო: ბაღდადის: სპარსო:
ააევლესო: დასვენებანი:

ტექსტი გასწორდა:

მცრობსა აქილევს, მბრძოლთა აქ ილევს,
რა მძლედ ა, ვი დის მოხსენებანი:
«ახალო ხვასრო, ბაღდადით სპარსო,
ააევლესო, დასვენებანი». (XVI, 17-18).

¹ „ივერია“, 1902, № 188.

ეს ნიშნავს: (დავით სოსლანი თავისი ვაჟეაცობით) ამცირებს აქილევსს, აგრესორებს (მბრძოლთა) აქ (ე. ი. საქართველოში) ანადგურებს. როდესაც ის (მტერზე) მძლედ არის (გამარჯვებულია), თამართან იგზავნება (ვიდის) მოხსენებანი: თამარ მეფეო (ახალო ხეასრო, ბაღდადით სპარსო) (ბრძოლაში გამარჯვებულმა ქართველებმა) სირთა (ჩიტების) მსგავსად გალობა დაიწყეს (ააელესო) და ებნის (დამკვრელიც) დასვესო.

67. თვით ბრძენი წვართა, მით მოიმართა (102, 1; XI, 19)

გასწორდა A ნუსხის მიხედვით და შინაგანი რითმების შესაბამისად: თვით ბრძენი წვართა, მით მოიწვართა (XVII, 17).

68. დაყვნარა წყალნი (66, 4; I, 20)

გასწორდა პირველი ჯგუფის ნუსხების მიხედვით:

„სიტყვით ყვნა წყალნი“ (XVIII, 8).

ამ გასწორებას პირველად ყურადღება მიაქცია¹. ბარამიძე¹.

69. ცოდნისა კაცთა (69, 3)

გასწორდა პირველი ჯგუფის ხელნაწერების მიხედვით: „ცოდნისა კაცთა“ (XVIII, 19): ასე კითხულობს ნ. მარიც (I, 31).

70. მის კერძოდ მართებს ჯსნა მიწიერსა (107, 3; I, 47)

გასწორდა AB ნუსხების მიხედვით:

მის კერძოდ ვერ მართებს ჯსნა მიწიერსა (XVIII, 35).

71. მკვდართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი

სრულად უვნებლად საწესიერსა (107, 4; I, 48).

საწესიერსა გასწორდა შინაარსის შესაბამისად: საწესიერსა (XVIII, 36). ტაეპის შინაარსი ასეთია: „მკვდართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი“ (ე. ი. იესო ქრისტე) უვნებლად არის საგანმგებლოში (საწესიერს).

72. ადამ პირველსა შეჭირვებულსა

სუფევასავე ღირს ყო. ციერსა (108, 2; I, 50).

„შეჭირვებულსა“ გასწორდა AB ნუსხების მიხედვით, ტაეპის შინაარსისა და შინაგანი რითმის შესაბამისად: შეუჭირველსა (XVIII, 38). ტაეპის შინაარსი ასეთია: იესო ქრისტემ რა „თავს

¹ ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 236.

იღვა ვნება“, ამით ადამი ჯოჯოხეთიდან ამოიყვანა და პირველსავე შეუჭირველ და ციურ სუფევას ღირს ყო.

73. ღირს ყვნა წარმართნი, წინასწარ მათნი (108, 3; 1, 51).

„წინასწარ მათნი“ გასწორდა B ნუსხის მიხედვით, შინაარსისა და შინაგანი რითმების შესაბამისად: წინა-წარმართნი (XVIII, 39).

74. თამარ შუქ მფენით ნათელიერსა (108, 4; I, 52)
გასწორდა პირველი ჯგუფის ნუსხების მიხედვით:

თამარ შუქ-მფენსა, ნათელიერსა (XVIII, 40).

ამით გამთავრებთ „თამარიანის“ დეფექტური ტაეპების უმთავრეს გასწორებათა აღნუსხვას. ტექსტში შეტანილია ორთოგრაფიული სახის გასწორებანიც, მაგრამ მათზე საგანგებოდ ყურადღების გამახვილება მიზანშეწონილად არა ვცანით, რადგანაც მკითხველი მას მიხვდება ვარიანტებთან შეპირისპირების დროს. მიუხედავად ყველა ამ გასწორებისა „თამარიანში“ კვლავ დარჩა ზოგიერთი ბუნდოვანი ტაეპი, რომელთა გამართვა ამჟამად არსებული მასალებით ჯერჯერობით ვერა ხერხდება. ასეთი ტაეპები ტექსტში ხელუხლებლად დავტოვეთ იმ სახით, როგორადაც ისინი იკითხებიან „თამარიანის“ ყველაზე კარგ ნუსხებში.

„თამარიანის“ სტრუქტურა და კომპოზიცია

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც „თამარიანის“ ტექსტის დადგენასთანა დაკავშირებული, თხზულების სტრუქტურისა და კომპოზიციის გარკვევაა. ეს პრობლემა უწინაც იყო მკვლევართა ყურადღების ცენტრში და მის გარშემო კამათი დიდ ინტერესს იწვევდა. მიუხედავად ამისა „თამარიანის“ სტრუქტურა და კომპოზიცია დღემდე დაუდგენელია, რაც საგრძნობლად აფერხებს თხზულების ტექსტის შინაარსის გაგებასა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტას.

XIX საუკუნეში „თამარიანი“ მიჩნეული იყო ერთ მთლიან თხზულებად, რომელსაც მკვლევარი ჩვეულებრივ სახოტბო პოემას უწოდებდნენ. 1902 წელს, როდესაც ნ. მარმა ტრადიციული ტექსტი განიხილა და მოგვცა ცდა მისი აღდგენისა, მანვე იმავე დროს მთელი თავისი სიღრმე-სიგანით წამოჭრა საკითხი „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ. ნ. მარმა თავიდანვე სწორად განჭვრიტა ამ საკითხის გარკვევისათვის შესაძლებელი საშუალებანი, საფუძვლიანად შეისწავლა თხზულების ერთნაირრი თმიანი სტროფების წყობანი და გონებამახვილურად მიაგნო ჩახრუხადის სახოტბო ლექსებში ისეთ სტრუქტურულ თავისებურებას, რომელმაც მას დაბეჯითებით უკარნახა, რომ მანამდე პოემად ცნობილი ძეგლი პატარ-პატარა სახოტბო ლექსების კრებულად მიეჩნია: ნ. მარი წერდა: ცალკეული ადგილის ნათელყოფისას აღმოჩნდა, რომ ტაეპები არაიშვიათად არეულ-დარეულია და მათი წყობის აღდგენა აუცილებელი გახდა¹. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ „თამარიანის“ ტაეპობრივი თანმიმდევრობა აღდგენილია, მან თხზულების სტრუქტურულ-კომპოზიციური საკითხების შესწავლას მოჰკიდა ხელი და დაადგინა მეტად საინტერესო ფაქტი: ერთნაირ-

¹ TP, IV, გვ. 32.

რითმიანი ტაეპების წყობანი დაწერილია გარკვეული გეგმით. მოვუსმინოთ თვით ნ. მარს:

„თამარიანის“ სახით „საქმე გვაქვს არა ერთ მთლიან ოდასთან, არამედ სახოტბო შინაარსის პატარა ლექსების თხზულებათა კრებულთან. ეს ლექსები ქებას ასხამენ თამარს, ან ასე თუ ისე მის სახელთან არიან დაკავშირებულნი. ამასთან, კრებულის პროლოგად გამოყენებულია ყველაზე მეტად გავრცობილი ოდა (I). ცალკეული ლექსიდან თითქმის თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი შესავალი. უფრო მეტიც: ყველა ეს სახოტბო ლექსი დაწერილია ერთი გეგმით, სახელდობრ:

1. შესავალი: ა) ღვთისადმი მიმართვა ან [პოეტ-ფილოსოფოსთა] მოწვევა თამარისადმი მალაღფარდოვანი ქების სათქმელად, ბ) ავტორის ლექსთა საგანი.

2. შინაარსი.

3. დასასრული, ზოგჯერ ქება-დიდება, უმეტესად (განსაკუთრებით ქების დროს) დასასრული შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთა თანმიმდევრობას მნიშვნელობა არა აქვს: ა) პოეტი უარს აცხადებს თამარის ქებაზე, ბ) მსოფლიოს არც ერთ ბრძენს არ შეუძლია მისი შექება“¹.

ამ გონებამახვილური მიგნებით ნ. მარმა სწორად განჭვრიტა თხზულების სტრუქტურულ-კომპოზიციური სახე. რაკი მან რამდენიმე ოდის სტრუქტურული ნიშნები დაადგინა, იგი მაშინვე შეუდგა ოდების ტაეპობრივი შედგენილობის დაზუსტებას და მათ თანმიმდევრულად განლაგებას. ამ მხრივ ჩატარებული კვლევა-ძიების შემდეგ ნ. მარი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „თამარიანი“ შედგება 11 ოდისაგან, ერთი ელეგიისა და ერთი ყალბი ლექსისაგან, რომელიც ელეგიის პასუხს წარმოადგენს.

სამწუხაროდ, ნ. მარმა სწორად დაწყებული საქმე მცდარი დასკვნით დაამთავრა იმ ორი უმარტებულო მოსაზრების გამო, რომელიც მკვლევარმა საფუძვლად დაუდო „თამარიანის“ ოდების სტროფული შედგენილობის განსაზღვრას და მათ თანმიმდევრულ განლაგებას:

1. ნ. მარმა „თამარიანის“ ხელნაწერთა ტრადიციას ანგარიში არ გაუწია და ამოსავალ დებულებად მიიღო ის მოსაზრება, რომლითაც ჩახრუხადემ სახოტბო ლექსები თითქოს ტაეპებად დაწერა, ხოლო

¹ TP, IV, გვ. 39.

გვიანდელმა გადამწერებმა ეს ტაეპობრივი წყობა შეცვალეს სტროფული სისტემით¹. ამის მიხედვით მან VII და XII ოდები სხვადასხვა სტროფიდან ამოკრებილი ტაეპებით შეადგინა, ხოლო ის ტაეპები, რომლებიც შინაარსობლივად ვერ შეესატყვისა მის მიერვე ხელოვნურად შექმნილ ოდებს, ყალბად გამოაცხადა. ამიტომ მან ვერ განსაზღვრა არა მარტო „თამარიანის“ ოდების შედგენილობა, არამედ ამ ოდების რაოდენობაც.

2. ნ. მარმა „თამარიანის“ ოდების განლაგებას საფუძვლად დაუდო ქრონოლოგიური პრინციპი. იგი წერდა: „ოდები თამარის შესახებ დაწერილია სხვადასხვა დროს, თითოეული მათგანი განსაკუთრებული შემთხვევის გამო, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში თამარის პირველი ქმრის განდევნიდან (1192) რუსუდანის დაბადებამდე (1195)“. ამის გამო ნ. მარმა ხელნაწერებში არსებული თანმიმდევრობა ერთნაირრითმიანი სტროფების წყობისა დაარღვია: იერსა-რითმიანი ოდა თხზულების დასაწყისში გადმოიტანა; მას წიაყოლა ნარი-რითმიანი ოდა, შემდეგ — ამისად-რითმიანი, რომელიც ხელნაწერების წიხედვით ენალი-რითმიანი ლექსის მომდევნოა; მერმე ოვნებად-რითმიანი ოდა მოათავსა, ხოლო მის მომდევნო ებარე-რითმიან ოდას დაუთმო ებანი-რითმიანის მიმყოლი ადგილი და ა. შ. ამგვარად, ნ. მარმა ოდების განლაგების მხრივაც მეტიმეტი ხელოვნურობა გამოიჩინა, რამაც მნიშვნელოვნად გაართულა „თამარიანის“ მთლიანი შინაარსის გაგება და მისი სტრუქტურულ-კომპოზიციური სახის ნათლად წარმოდგენა.

ნ. მარის დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ, მან დააყენა რა საკითხი „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ, გონებამახვილურად განჭვრიტა თხზულების ოდების თავდაპირველი აღნაგობა. ნ. მარის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ „თამარიანის“ სახობო ლექსები დაწერილია ერთი, წინასწარშემუშავებული გეგმით, რომ თითოეულ ოდას აქვს თავისი შესავალი, შინაარსი, დასასრული და ერთი უცვლელი გარეგანი რითმა. ეს აღმოჩენა ნ. მარის ნაშრომის „რაციონალური მარცვალი“, რომელიც თანამედროვე ფილოლოგიამ უცილობლად უნდა მიიღოს; სამაგიეროდ მისი სხვა დასკვნები „თამარიანის“

¹ ამის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 40 — 43.

სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ, ჩვენი თვალსაზრისით, უფრო მეტ დეტალიზაციას და გარკვეულობას მოითხოვს.

ნ. მარის თეორია „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ ზოგად ხაზებში გაიზიარეს ე. თაყაიშვილმა¹, ი. ჯავახიშვილმა², პ. ინგოროყვამ³, კ. კეკელიძემ⁴ და ა. ბარამიძემ⁵, მაგრამ ამ მკვლევართაგან მხოლოდ პ. ინგოროყვა შეეცადა „თამარიანის“ შედგენილობის დაზუსტებას. იგი წერს: „ნიკო მარმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ჩახრუხაისძის შესწავლას იმით, რომ მან შეძლო დაედგინა საზოგადო ხაზებში «თამარიანის» ტექსტი, რომელიც საოცარის დამახინჯებით იყო მოღწეული. ნიკო მარმა პირდაპირ გენიალურის გონებამახვილობით აღმოაჩინა, რომ «თამარიანი» არის ცალკე ლექსების კრება, და ამასთან მიაგნო ძირეულ რეალურ საზომს (—გარეგანი რითმების ერთგვარობა), რომლის მიხედვით მტკიცედ ირკვევა ცალკე ნაწარმოებთა ზოგადი ფარგლები. ჩვენ ვღებულობთ ნ. მარის ამ ძირეულ პრინციპს ტექსტის დასადგენად. ჩვენ მასში შევიტანეთ მხოლოდ მეტი დეტალიზაცია და დაწმენდა“⁶.

პ. ინგოროყვას წვლილი „თამარიანის“ შედგენილობის დაზუსტებაში იმით გამოიხატება, რომ მან სახოტბო ლექსების რაოდენობა გაზარდა. „ამ კრებულში, —წერს მკვლევარი, —მოთავსებულია შემდეგი ნაწარმოებნი: 1. თორმეტი ოდა, 2. ორი ელეგია და ამას გარდა 3. კრებულის ბოლოსიტყვაობა“ (იქვე). პ. ინგოროყვამ სპეციალური დაკვირვება აწარმოა ებულად, ოდის, არირითმებიან სტროფებზე და დაასკვნა, რომ ებულად-რითმიანი სტროფები, რომელნიც ნ. მარმა XII ოდად მიიჩნია, შედგება ორი ოდისაგან: პირველი ოდა მოგვეთხრობს ქართველი მხედრების ბრძოლას რუქნადინთან და დაწერილია ბოლოსტიკეს ძლევაშისილი გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით, ხოლო მეორე, ოდა წარმოადგენს „მიჯნურობის დეკლარაციას“, რომელიც დაწერილია 1192 წლის ახლო ხანშიო. „ჩვენამდე მოღწეულა ერთი ლექსი პოეტისა, —წერს პ. ინგოროყვა, —სადაც ჩვენ დაუფარავად

¹ Е. Такаишвили, Описание рукописей, I, 530—531.

² Оттиск из XI тома Визант. временника, 1904, гв. 12—20; ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 657.

³ „კავკასიონი“, 1924, 1—2, გვ. 272 და შემდეგ.

⁴ ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1951, გვ. 159.

⁵ ნარკვევები, III, გვ. 237—239.

⁶ „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 272.

ვხედავთ მიჯნურობით შეწყობილი პოეტის სახეს. ეს ლექსი შეტანილია «თამარიანში». პირდაპირ გასაოცარია, როგორ გაბედეს ამ ლექსის დატოვება პოეტის თხზულებათა ამ ოფიციალურ კრებულში, როგორც არის თამარიანი. იგი წარმოადგენს საცთურს ლეგიტიმური თვალსაზრისით; და, რასაკვირველია, ამით აიხსნება, რომ ბევრი ადგილი ამ ლექსისა ჩანს დაკარგულია და იგი ფრაგმენტის სახით არის დარჩენილი. ეს ფრაგმენტი — «არ არის სიმღერა, ეს არც ლექსია», იგი არის მხატვრულ დამშვიდებას მოკლებული დეკლარაცია მიჯნურობისა»¹.

შემდეგ პ. ინგოროყვას მოაქვს ვრცელი ამონაწერი „თამარიანიდან“ და იგი მას მიაჩნია ებულად-რითმიანი მეორე ოდის ფრაგმენტად. საკითხის გარკვევისათვის მიზანშეწონილად ვთვლით იგივე ამონაწერი აქვე დავიმოწმოთ იმ რედაქციით, როგორც ეს მოცემული აქვს პ. ინგოროყვას:

1. ... უკვირდა შენი-სიკეთე-შენი,
სინდა ყოვლსა სულსა განკვირვებულად.
2. ვერვინ გი-ხილა! თუ[ცა] გიხილა—
ვინ არ გიჭკრეტდეს გარეტებულად!
3. თუ ვერ[და] გნახის, მით ივაგლახის,
შეიქმნებოდის განცვიფრებულად:
4. მოუბარისა მის მდულარისა
დილარგეთისებრ აღშფოთებულად,—
5. თავსა კლვად სღებდეს, ხვეჭით ეძებდეს
შენსა ნახვასა მიახლებულად!..
6. ვინ აშენე ბდენ: სულთ აშენებდენ
• სამონოთ მოგცენ, ერთ-უფლებულად...
• • • • •
7. ვამცნი მსმენელთა, მოსათმენელთა
ნიჭთა ვით მივხვდი შენთ ხელთ გებულად.
8. მე რომ თქვენ გნახე ედემი[ს] სახე
მართ სამოთხისა [მზისა] ხლებულად.
9. ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
შენს შუქსა ეყვის დარიღებულად...

¹ „ქავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 303.

10. ვნახე ჰინდონი, ვითა რინდონი
რამე სჩნდეს ზონგნი ალაღებულად...
11. მე გული შენი ჩემად ვიშენი,
თუ ლა მივიქცი ვჩნდი ზარ-ღებულად...
12. არ — დამე! — დია... მომკალ მე დია,
ჩემი სიცოცხლე გაცუღებულად! (იქვე).

პ. ინგოროყვას მოსაზრება უთუოდ საგულისხმოა და მისი დაკვირვება ე ბ უ ლ ა დ-რითმიან სტროფებზე ყურადღებას იპყრობს. „თამარიანი“ შედგება თორშეტი ოდისა და ორი ფრაგმენტისაგან¹. რაც შეეხება კრებულის ბოლოსიტყვაობას, რომელიც პ. ინგოროყვას აზრით წარმოადგენს სტროფს „მოკვეცეს ძეთა ჩახ-რუხადეთა“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი აღორძინების ხანის ინტერპოლაციაა და მისი შეტანა „თამარიანის“ ძირითად ტექსტში მიზანშეუწონლად მიგვაჩნია. პ. ინგოროყვამ პირველმა შენიშნა, რომ ე ბ უ ლ ა დ-რითმიანი სტროფები ორ ოდას შეიცავს. ეს თავის დროზე ნ. მარმა ვერ განსაზღვრა. პ. ინგოროყვას კორექტივი უთუოდ მისაღებია, მაგრამ აქ საკითხი დგება ამ ორივე ოდის სტროფული შედგენილობის შესახებ, რომელშიც ჩვენი მოსაზრება დიამეტრალურად უპირისპირდება პ. ინგოროყვას მოსაზრებას. საქმე იმაშია, რომ პ. ინგოროყვა, ნ. მარის მსგავსად, ოდების სტროფულ შედგენილობას საზღვრავს იმ მცდარი დებულებით, თითქოს „თამარიანი“ დაიწერა თავდაპირველად ტაეპებად და არა სტროფული სისტემით, ამიტომ პ. ინგოროყვა უფლებას იტოვებს ხელნაწერების ტრადიცია უარყოს, სხვადასხვა სტროფებიდან სუბიექტური მოსაზრებებით ამოგლიჯოს თითო-ოროლა ტაეპი და მათი შეკოწიწებით შეადგინოს ესა თუ ის ახალი ოდა. მაგ.: ზემოთ დამოწმებული ფრაგმენტი, რომელსაც პ. ინგოროყვა „მიჯნურობის დეკლარაციას“ უწოდებს, შედგენილია ტრადიციული ტექსტის შემდეგი ტაეპებისაგან: 88₄, 53₄, 4₂, 5₁, 7₂₋₃, 88₃, 52₂₋₄ და 54₁₋₂. „თამარიანის“ ტექსტი გადამწერთაგან არასდროს ისე არ დამაზინჯდებოდა, მისი სტროფები იმგვარად არ აირდაიროდა, როგორც ეს წარმოდგენილი აქვთ ნ. მარს და მისი გავლენით პ. ინგოროყვას. ი. ჯავახიშვილი თავის ერთ ნაშრომში

¹ გარდა თორშეტი ოდისა და ორი ფრაგმენტისა „თამარიანში“ დაცულია აგრეთვე ოთხი თითოსტროფიანი საზოტბო ლექსი. ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 157—168.

(„ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის ირგვლივ“) გამოთქვამს მეტად საყურადღებო მოსაზრებას, რომელიც, ვფიქრობთ, ყველა მკვლევარმა უნდა იქონიოს მხედველობაში, როდესაც ის ძველი ქართული ტექსტის კრიტიკულად შესწავლას, ან მის გამოსაცემად მომზადებას აპირებს. სახელდობრ, ი. ჯავახიშვილი წერს: „როდესაც ამა თუ იმ ნაწარმოების მერმინდელი, შეგნებული, რედაქტორული შეცვლილობისა და შეკვეცილობის ეჭვი, თუ რწმენა არსებობს, უნდა წინასწარ გამორკვეულ იქნეს, თუ რა მოსაზრებით შეეძლო რედაქტორს, თუ გამომცემელს ტექსტის შემოკლების, თუ შეცვლის დროს ეხელმძღვანელა და რა გარემოებამ აიძულა ისინი ასე მოქცეულიყვნენ“¹. სამწუხაროდ, ნ. მარი და პ. ინგოროყვა დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ „თამარიანის“ ოდები ტაეპობრივი წყობით იყო დაწერილი და გვიანდელმა გადამწერებმა სტროფული სისტემით დალაგების დროს თავდაპირველი წყობა აურდაურდესო, მაგრამ ისინი ერთი წუთითაც კი არ ცდილობენ დასახელონ მიზეზი, თუ რამ აიძულა ეს „ცოდვილი“ გადამწერები, რომელთაც თავში ასეთი „უბადრუკი აზრი“ მოსვლიათ. რასაკვირველია, თხზულების ტრადიციულ ტექსტს აქვს საკმაოდ მსხვილი დეფექტური მხარეები, მაგრამ ეს განისაზღვრება ძირითადად ორორი სხვადასხვა სტროფის ტაეპთა მექანიკური შერწყმით (თუ შეერთებით) და სტროფების გადაადგილებით. ასე რომ, მკვლევარმა ხელნაწერების მიხედვით უნდა დაადგინოს ეს მექანიკურად შერწყმული სტროფები, გადაადგილებულ სტროფებს თავისი ადგილი მოუძებნოს, ტექსტიდან ყალბი სტროფები ამოიღოს და ამის შემდეგ გარკვეული იქნება როგორც „თამარიანის“ თავდაპირველი სტროფული თანმიმდევრობა, ისე მისი სტრუქტურა და კომპოზიცია. ნ. მარი და პ. ინგოროყვა კი თხზულების ტექსტის აღდგენისად დიდ უპირატესობას ანიჭებენ ტექსტის თავისუფალ ინტერპრეტაციას. მათი აზრით, „თამარიანის“ ოდების შემადგენელი ტაეპები გაფანტულია სხვადასხვა სტროფში, მკვლევრის მოვალეობაა ეს ტაეპები ამოკრიბოს გარეგანი რითმების მიხედვით და ისინი ლოგიკური თანმიმდევრობით დაალაგოს. ცხადია, ამგვარ რედაქტორულ მუშაობას, რანაირი ჭკუამახვილობითაც არ უნდა იყოს იგი წარმოებული, სუბიექტურობის დალი ატყვია და არც მისი ინიციატორია უხეში შეცდომებისაგან დაზღვეული.

¹ ი. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 22—23.

„თამარიანის“ კვლევის ისტორიაში თავი იჩინა ნ. მარის თეორიის საპირისპირო მიმდინარეობამაც. გამოჩნდნენ მკვლევარნი, რომელთაც წამოაყენეს თეორია „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტის უპირატესობის შესახებ. ამ თეორიის პირველი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო მ. ჯანაშვილი¹, მაგრამ მან მალე თავისი პოზიციიდან უკან დაიხია და თხზულების სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ ორიგინალური მოსაზრება წამოაყენა. მისი აზრით, „თამარიანის“ ტრადიციულ ტექსტში არეულ-დარეულია მხოლოდ სტროფები. იგი წერს: „[ჩახრუხადის სახობრო თხზულება] შეიცავს მრავალგვარ მასალას და შევნიშნეთ, რომ ეს მასალა დალაგებულია არა დედნის წესრიგზე ლოდიკური მსჯელობის თანმიმდევრობის განვითარების მიხედვით, არამედ ამ დედნის შერმინდელი გადამწერის გემოვნების საფერობით: რადგან მის წინ მდებარე წიგნს ერქვა «თამარიანი», გადამწერს თამარის შესახები ხანანი გადმოუსხამს წინ, წინა ხანები უკან, შუალანი ბოლოს“². ისტორიკოსი ამ მოსაზრების საილუსტრაციო მაგალითად ასახელებს C ნუსხას, რომელიც ყოფილი საეკლესიო ფონდის № 656 ხელნაწერს წარმოადგენს, და იქვე განაგრძობს: „«თამარიანის» ავტორი რამე ერთ ანუ ერთნაირი საგნის თუ აზრის გამოსათქმელად თითქმის მუდამ ხმარობს ერთნაირწყობილს. მაგ. თამარის ზეგარდამო მოწოდებისათვის მიუძღვნია ხანები 1—15 და ამ ხანების წყობილი ყველგან არის «იერსა». დედნის გადამწერს კი ეს ერთი მთლიანი აზრის გამომხატველი ხანანი (1—15) მოუფენია მთელს თხზულებაში“ (იქვე).

ტრადიციული ტექსტის ამგვარი კრიტიკის შემდეგ მ. ჯანაშვილი იძლევა „თამარიანის“ სტროფთა ორიგინალურ წყობას და ამით მას თხზულების სტრუქტურისა და კომპოზიციის საკითხში ახლებური გაგება შეაქვს. როგორია მ. ჯანაშვილის აზრით „თამარიანის“ სტრუქტურა და კომპოზიცია? იგი თხზულებას ჰყოფს ათ თავად, თითოეულ თავში სტროფებს აჯგუფებს იმ თვალსაზრისით, როგორც მას „თამარიანის“ შინაარსი ესმის, და ცდილობს ამ ათივე წყობას თავ-თავისი სათაური მოუძებნოს.

- I. შესავალი (სტრ. 1 — 3).
- II. თამარის ზეგარდამო მოწოდება (სტრ. 65—69, 104—108, 113 და 20).
- III. თამარის შესხმა ზეგარდამო მოწოდების გაშო (სტრ. 21 — 24).

¹ „ივერია“, 1902, № 188, 199, 204, 223.

² „ტრიბუნა“, 1923, № 466.

- IV. საუბარი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს თამარის ქმარი (სტრ. 37 — 50).
- V. საქმროს წინასწარი განცდები (სტრ. 51, 56 — 64).
- VI. თამარის ქება დავითის მოწვევის გამო (სტრ. 80, 70 — 75).
- VII. თამარ-დავითის ომები (სტრ. 76 — 79, 55, 92 — 97, 25 — 27, 98 — 103, 81 — 84, 36, 4 — 19, 87 — 90).
- VIII. უებრო ღირსებანი გმირ თამარ-დავითისა (სტრ. 91, 52 — 54, 28 — 35).
- IX. დასკვნა „თამარიანისა“ (სტრ. 85 — 86).
- X. ავტორის განცხადება (სტრ. 114 — 115).

ამგვარად, მ. ჯანაშვილი დაასკვნის: „ჩახრუხადის ქმნილება ყოფილა ერთი მთლიანი თხზულება, აგებული წინასწარშედგენილ „გეგმაზე“ (იქვე).

მ. ჯანაშვილის ამ მოსაზრების უყურადღებოდ მიტოვება არ შეიძლება. ისტორიკოსი უეჭველად სწორ პოზიციასზე დგას, როდესაც აღნიშნავს: „თამარიანი“ აგებულია წინასწარშედგენილი გეგმის თანახმად, მაგრამ ამ სწორი მოსაზრებიდან გამომდინარე იგი „თამარიანის“ სტრუქტურულ-კომპოზიციური სახის აღდგენისას ნ. მარის მსგავსად სუბიექტურობას ავლენს და ნაცვლად იმისა, რომ მან თანმიმდევრული მსჯელობითა და დოკუმენტური მასალებით გაარკვიოს, თუ რომელი სტროფებია გადაადგილებული, რატომ ან როდის, — მოულოდნელად გეთავაზობს „თამარიანის“ სტროფული წყობის ისეთ პროექტს, რომელიც არც დოკუმენტურადაა დასაბუთებული და არც რაიმე მტკიცე თეორიულ ფუნდამენტზეა დაყრდნობილი. ერთი გარემოება, რომელსაც ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მ. ჯანაშვილი, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: რაკი „თამარიანის“ ხელნაწერებში სტროფების აღრევა შეიმჩნევა, ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ტრადიციული ტექსტის სტროფული წყობა მთლიანად უარყოფთ და თხზულების სტრუქტურა და კომპოზიცია წარმოვიდგინოთ ისე, როგორც მოგვეხასიათება. „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის დასადგენად ერთადერთ წყაროს ტრადიციული ტექსტი წარმოადგენს და მისი ხელალებით უარყოფა და ჩვენი შეცდომებისა და უცოდინრობის გადაბრალება გადამწერებისადმი ქეშმარიტების საძიებელი გზიდან გადახვევა იქნებოდა. მაგ. XVIII საუკუნის გადამწერებს ჩვენზე კარგად სცოდნიათ, რომ 87—91, 52 — 54-ე ებ ულად-რითმიანი და 55, 92 — 97-ე ებანი-რითმიანი სტროფები წარმოადგენს ერთმანეთზე მიყოლებულ,

პოეტურად გამართულ ორ ოდას; მ. ჯანაშვილმა კი ისინი ერთმანეთს დააცილა და ნაწყვეტებად გაანაწილა VII და VIII თავებში. გარდა ამისა, მ. ჯანაშვილმა „თამარიანის“ სტროფული წყობის პროექტში სხვა შეცდომებიც დაუშვა, მაგ.: V, VI, VII და IX თავების შინაარსი ვერ გაიგო სწორად; სიყვარულით გახელბული მოყმე-პოეტის თავგადასავალი არ შეიძლება დავით სოსლანის წინასწარ განცდებამ მივიჩნიოთ; 85-ე და 86-ე თექვსმეტმარცვლოვანი სტროფები არ წარმოადგენს თხზულების დასკვნას, მე-20 ნა რ ი-რითმიანი სტროფი ი ე რ ი ს ა-რითმიანი ოდისათვის ზედმეტად მიუტმასნებია და სხვ. ყოველივე ეს იმაზე მიგვითითებს, რომ მ. ჯანაშვილის მოსაზრება აგებულა საყვარელდომსჯელობაზე და მისი გაზიარებაც შეუძლებელია.

დასასრულ, „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ საყურადღებო მოსაზრება წამოაყენა შ. ნუცუბიძემ. მან, როგორც „თამარიანის“ მკვლევარმა და მთარგმნელმა, აღნიშნული საკითხის მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერება გამოიჩინა. მის წინაშე დაისვა სრულიად ბუნებრივი საკითხი: თხზულების რომელი ტექსტი ითარგმნოს რუსულად: ტრადიციული თუ კრიტიკული? ამ საკითხის გასარკვევად მან გულდასმით შეისწავლა „თამარიანის“ ბეჭდური გამოცემები და სათარგმნელად აირჩია ის ტექსტი, რომელიც ს. კაკაბაძის 1937 წლის გამოცემაშია წარმოდგენილი. ამავე დროს შ. ნუცუბიძე მკითხველის წინაშე „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ კარგად მოფიქრებული მოსაზრებით წარდგა.

შ. ნუცუბიძის შეხედულება ძირითადად ასეთია:

„თამარიანის“ 1902 წლის გამოცემა წარმოადგენს ტრადიციული ტექსტის სტროფთა თვითნებური და ფორმალური გადაჯგუფების ცდას. ამ გადაჯგუფებას ნ. მარი ახდენს იმის გამო, რომ ერთგვაროვანი გარეგანი რითმებიდან დამოუკიდებელი ოდები შექმნას. განსაკუთრებით შემზარავია, როდესაც ჩახრუხაძის თხზულების მხატვრულ ანალიზს წინასწარშემუშავებული სქემის მიხედვით ახდენენ, რათა დაამტკიცონ, თითქოს „თამარიანი“ შედგება ოდებისაგან და ეს ოდები კი—შესავლის, შინაარსისა და დასასრულისაგან. თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ძველს სტროფები აკლია, ტრადიციულ ტექსტში აზრთალოგიკური თანმიმდევრობის გაწყვეტა არსად არ იგრძნობა; სტროფების გადაადგილება მასში სრულებითაც არ არის საჭირო, საამისოდ არც ადგილი მოიძებნება. თუ «თამარიანს» განვიხი-

ლავთ როგორც მხატრულ ძეგლს, მაშინ იგი მთლიან თხზულებად უნდა მივიჩნიოთ. «თამარიანის» კომპოზიციის შესწავლას, დედააზრის მიგნებას და პოემის პოეტურ სამოსელს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მთლიან თხზულებასთან, რომელიც ჩაფიქრებული და შესრულებულია ერთიანი გეგმით. პოემას რამდენადმე აკლია სტროფები, რის გამოც ზოგიერთი ადგილის გაგება რთულდება, მაგრამ არა გვეგონია მასში მოიძებნებოდეს ინტერპოლაციები და მით უმეტეს მთლიანი სახით სხვისი თხზულებანიო¹.

შ. ნუცუბიძემ თავისი მოსაზრება ააგო ს. კაკაბაძის 1937 წლის გამოცემაზე. მისი კვლევის სფეროც საერთოდ „თამარიანის“ ბექდური გამოცემებით იფარგლება. მისი მთავარი შეცდომაც სწორედ ამაში მდგომარეობს. შ. ნუცუბიძე სცდება, როდესაც აღნიშნავს: „თამარიანის“ ტრადიციულ ტექსტში აზრთა ლოგიკური თანმიმდევრობა არ ირღვევა და ტექსტი სტროფების გადაადგილებას არ საჭიროებსო. მას მხედველობიდან არ უნდა გამოჰპარვოდა ის გარემოება, რომ „თამარიანის“ კაკაბაძისეული გამოცემა ძირითადად ტრადიციული ტექსტის გამეორებას წარმოადგენს, რომ იგი XIX საუკუნის ხელნაწერების მიხედვითაა გამოცემული. შ. ნუცუბიძე, როგორც ქართული კულტურის ერთ-ერთი გამოჩენილი მკვლევარი, მოვალე იყო, სანამ „თამარიანის“ დაუდგენელ ტექსტს არაქართველ მკითხველებს გააცნობდა, მანამდე ხელნაწერების კრიტიკული შესწავლით ძეგლი აღედგინა, მერე კი ხელი მიეყო სამთარგმნელო საქმიანობისათვის. მაშინ, შესაძლებელია, მას აღარ დასჭირდებოდა ასეთი განცხადება: „Я должен признаться, что перевод Чахрухадзе потребовал значительно больших усилий, чем перевод Руставели». უმთავრესად ტრადიციული ტექსტის უკრიტიკოდ მიღების გამოა დაშვებული ის შეცდომები, რომელიც „თამარიანის“ რუსულ თარგმანს ახასიათებს. ზევით ჩვენ დაწვრილებით განვიხილეთ „თამარიანის“ ტექსტის საკითხები და გამოვავლინეთ ხელნაწერებში დაშვებული ტექნიკური შეცდომები, რომელთაც თხზულების სტრუქტურა და კომპოზიცია დაამახინჯეს; აგრეთვე, მივუთითეთ ნ. მარისა და ს. კაკა-

¹ Чахрухадзе, Тамариани, пер. Ш. Нунубидзе, 1942, зб. 33—56; იხ. აგრეთვე, Ш. Нунубидзе, Руставели и восточный Ренессанс, 1947, зб. 212—221.

ბადის გამოცემათა ნაკლოვან მხარეებზე. ამიტომ გამეორებათა თავიდან აცილების მიზნით აღნიშნულ საკითხებს აღარ დავუბრუნდებით. ვინც ჩვენი ნარკვევის მეორე თავს საფუძვლიანად გაეცნო, შ. ნუცუბიძის მოსაზრების მცდარობა-ჭეშმარიტებას იოლად შენიშნავს. მხოლოდ აქ შევჩერდებით მის ერთ მეტად საყურადღებო დებულებაზე:

შ. ნუცუბიძე მართებულად წერს: „თამარიანის“ სახით „ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მთლიან თხზულებასთან“. მისი განცხადება, რომ „если к «Тамариани» подойти как к художественному памятнику, то нет никакого основания не считать его цельным произведением“, ჭეშმარიტად სწორი გაგებაა „თამარიანის“, როგორც მხატვრული ძეგლის, თავისებურებისა, მაგრამ იგი არ გამოორიცხავს მეორე მოსაზრებას, რომ ამავე დროს ეს ძეგლი ციკლური სახობტო ლექსების მთლიანობაა. „თამარიანის“ კომპოზიციური თავისებურება სწორედ ისაა, რომ იგი თავიდანვე ერთდროულადაა ჩაფიქრებული და დაწერილი სახობტო ლექსების სახით.

„თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის გარკვევას დღევანდლამდე ართულებდა ის გარემოება, რომ არ იყო დადგენილი თხზულების სტროფული შედგენილობა, წყობა და ტაეპების წანაკითხები. ახლა რაკი „თამარიანის“ თავდაპირველი ტექსტი შესაძლებლობის ფარგლებში დადგენილია, მისი სტრუქტურულ-კომპოზიციური საკითხების გადაწყვეტა დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს. „თამარიანი“ ერთი მთლიანი, სტრუქტურულ-კომპოზიციურად შეკრული პოეტური თხზულებაა, რომელსაც თავიდან ბოლომდე წითელი ზოლივით გასდევს ერთი გარკვეული იდეა—ქება თამარ მეფისა, ფეოდალურ-ცენტრალური სახელმწიფოს უფლებების განმტკიცება და ხალხში პატრიოტული გრძობების გაღვივება. თხზულების ეს იდეა მხატვრულად ხორცშესხმულია ოდებსა და თითოსტროფიან ლექსებში, რომელთაც მონოლითურ მთლიანობას აძლევს პოეტის სოციალ-პოლიტიკური და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა. „თამარიანი“ არის ერთი მთლიანი სიმღერა თამარ მეფეზე, მის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. მის ძლევამოსილ ბრძოლებზე მუსლიმანთა წინააღმდეგ კავკასიის ერთა დამოუკიდებლობისათვის. ეს სიმღერა მინორულ და მაჟორულ ტონებში გადადის და მასში მუსიკალურ ბგერათა ჰარმონიული ელერადობა შეიგრძნობა. მაგრამ ეს ერთი მთლიანი შესხმა შედგება შესავლისა და 18 ციკლური სახობტო ლექსისაგან, რომელნიც

ერთმანეთისაგან გამოირჩევიან საკუთარი შინაარსითა და თითოეული ლექსისათვის დამახასიათებელი ფორმალური ნიშნებით. ამ ლექსებიდან თორმეტი ოდაა, ორი—მაგალითების, ე. ი. საარაკო ამბების შემცველი ფრაგმენტი და ოთხიც თითოსტროფიანი სახოტბო ლექსი. მათი სტროფული შედგენილობა, აღნაგობა და ზოგადი შინაარსი ასეთია:

შესავალი. ჩახრუხაძე უხმობს ანტიკური კულტურის გამოჩენილ პოეტებს, ფილოსოფოსებს და სთხოვს მათ, რომ გვირგვინოსან ქალს; თამარ მეფეს, „სრულნი ქებანი“ უძღვნან:

მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო
თამარს ვაქებდეთ გულისკმეირსა;
დიონოსითგან, ვით ენოსითგან
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა.

შემდეგ პოეტი განაგრძობს: თამარის შესხმა იმდენად ძნელია, რომ ჩვენ „ვერა ვიქმთ საწაღიერსა“, გინდაც რომ გვექონდეს სოკრატეს სიბრძნე და სარამას გრძნეულება. თუ ამას ვერ შეძლებს ფილოსოფოსი არისტოტელე, „ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა: ვერავეინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა“. მიუხედავად ამისა შე ვბედავ და ვიწყებ თამარისადმი საკადრი ქებანის დაწერას.

შესავალი შეიცავს 12 ტაეპს, მისი რითმაა იერსა.

I. ოდა შედგება ტრადიციული ტექსტის მე-4 — 19 სტროფებისაგან. მისი რითმაა ებულად.

იწყება:

ვინ ჩნდა ეგმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ მთქმელი მისთა მთქმებულად
თუ ვერვინ განახის, მით ივაგლახის,
შეიქმნებოდის განცვიფრებულად.

მთავრდება:

საულს მეფობა ართო, მეფობა
დავითს მიჰმადლა შეფიცებულად.
შენგან იშვების, პირველ შიშვლდების
სამოთხესავე კვალად შვებულად.

შინაარსი: პოეტი შესხმას იწყებს თამარის, მისი მეუღლის — დავით სოსლანისა და მათი შვილის — ლაშა გიორგის ქება-დიდებათ, შემდეგ ზოგადად აღწერს თამარისდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ ძლიერებას, თუ რა სამხედრო წარმატებებს მიაღწიეს თამარმა და მისმა მეუღლემ, დავითმა, შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

და მერმე ისტორიული სისწორით მოკვითხრობს ქართველი მხედრების მიერ მხეცებრ განძვინებული და მკვებარა რუქნადინის სამარცხვინოდ დამარცხების ისტორიას, რომელსაც პოეტი ავგირგვინებს პატრიოტული მიმართვით:

ჩვენ ერნი შენნი, შენ მიერ შენნი,
ერთ-ქმობით ვიტყვით განმარტებულად:
რა არს-ქმნა იყოს, ვირე თვით იყოს,
ღმერთმან თქვენცა გყვნეს ძითურთ გებულად“.

II. **ოდა** შედგება ტრადიციული ტექსტის მე-20—23 სტროფებისაგან. უკანასკნელი სტროფის ბოლო ტაეპი დაზიანებულია და მისი პირვანდელი ტექსტის აღდგენა ვერ ხერხდება. ოდის რით-
მ ა ა რ ი .

იწყება:

სიბრძნით ქმნა ღმერთმან, სამებით ერთმან,
ცა და ქვეყანა—არს მეცნიარი!—
მნათობთა დასი, სხვა ბევრ-ათასი
ჰაერი, ეტლი, ქართა მქნიარი.

მთავრდება:

ვერ მიგწოდენ ქებად—სხდენ თვითვე ვნებად!—
პლატონის ენა, დავითის ქნარი.

შინაარსი: თამარი არის „მზე დაუვალი, შუქ-მომფინარი... ელვა-ეთერი, დარმანის ველი, ედემს მალნარი“, ყველაფრის მცოდნე, ყველასთვის სიკეთის მომტანი; მისი სიუხვე ზღებრია, სიმაღლე—ცებრი; იგი „მდაბლად მოწყალეა“, შესახედავად ნარნარა; კედრით კედრამდე ცნობილია მისი „მძლეთა მძლევლობა და უძლევლობა“. იგი ისეთი ერთგული მოწყვეა ქრისტიანული სარწმუნოებისა, რომ ის ჯვარს არავის დაუთმობს ერთი წუთითაც კი. თამარს, როგორც უებრო სილამაზის მქონე გვირგვინოსანს, ცის მნათობები მზეს უწოდებენ და ამკობენ. მისი შექება არ შეუძლიათ არც ენა-რიტორ პლატონს და არც ქნარზე მგალობელ დავით წინასწარ-მეტყველს.

III. **ერთსტროფიანი სახოტბო ლექსი**—„თამარ წყნარი, შე-საწყნარი“ (სტროფი მე-24) დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი მაღალი შაირით, მისი რითმია ნ ა რ ი .

IV. **ოდა** ბოლონაკლულია; გადარჩენილია მხოლოდ სამი სტროფი სრულად და მეოთხე სტროფის პირველი ორი ტაეპი; შეიცავს ტრადიციული ტექსტის 25.—28₁₋₂ სტროფებს, მისი რითმია ო ვ ნ ე ბ ა დ .

იწყება:

ვინ არს ებანი? ვინ არსე ბანი,
არა არს სათნი სახელოვნებად!

წყდება:

თქვენა ზენათა, მზეო ზენათა,
თუმც ა მზე ეთერს ნამტიციცოვნებად...

შინაარსი: ღმერთმა თამარი სილამაზის განსახიერებად დაბადა. ის სამყაროში ყველაზე დიდი მნათობია, რომელმაც მაცისკრებელი მზეც კი დააბნელა. მისგან მზე უეტლოდაა დარჩენილი. იგი არის „დაუ-ყოვნებადი მნათი“, არე-მარის მთენი, რომელსაც მარსიც კი არ შეედრება „შუქთა ჰაეროვნებად“. მას ისეთი დიდი სინათლე აქვს, რომ სხვათა მნათობთა ბინდის ამხდელია. იგი მკაცრია სამშობლოს ორგულთა და მტრების მიმართ. ფილოსოფოსი ენოსი, თამარის პიროვნებით დატყვე-ვებული, მე, მის მეხოტბეს, მეუბნება: თამარმა გამითენოს წყვდიადი, რომ ვარდი დათოვლილად მოჩანს. ის დიდ ნათელად გაჩნდა: მზემ ეს ნათელი (თამარი) რომ ნახოს, იგი (ე. ი. მზე) სიბნელით დაიჩრდილება. თამარის შესადარი არავინაა: მისი მსგავსი არსება არც არავის უნახავს ცხადად და არც ვისმე გაუგონია...

V. ოდა თავნაკლულია. გადარჩენილია მხოლოდ შვიდი სტროფი და მერვე სტროფის ბოლო ორი ტაეპი; შეიცავს ტრადიციულ ტექსტის 28₃₋₄, 29—35 სტროფებს; მისი რითმაა ე ბ ა რ ე.

იწყება:

... მაგრამ კალ, იბი, რადგან კალიბი
შენთა შუქთა სძლევს შუქ-მტაცებარე.

მთავრდება:

ბევრჯელ ნაყოფად არსმცა ნაყოფად
ლაშა თქვენ მიერ ნამორჩებარე.

შინაარსი: თამარ, შენ სილამაზით ყველა დაატყვევე; რადგანაც შენი ტანის მოყვანილობა შუქ-მტაცებარეა. მჭვრეტელნი ამბობენ: თამარი „სი-ზმრად მაოცებარე“ არსებაა, სოფლისა წყალთა მშვენებაა, მთვარე მცება-რე; ცად ამადლებული იგი სხვა მნათობებს აბნელებს. შენი მოწყალება დიდია; მე ვინატრე, რომ იესო ქრისტემ მწე გიწოდოს, შენ გაქვს დამამშვენებელი „ქცევა, გონება, სული მწლფებარე“. გვერდს გიმშვენებს ღირსეული ქმარი დავით სოსლანი, „აგარის ერთა... სრვად შემძლებარე“, მხნე და გულადი, „ლომებრ შემძახებარე“. მან „ფარუხ შე-მუსრა წინამგებარე“, როდესაც ის მანგლისის მისასვლელიდან ნამგლის პი-რით გააქცია. თამარ, იმდენად ძლიერი მეფე ხარ, რომ შენთან ჰერაკლე კეისარიც კი ვერ მოვა. შენმა ლაშქარმა დავით სოსლანის სარდლობით სპარსთა ჯარები განადგურა, მაჰმადიანებს ქალაქი რანი წაართვა და მათ ყელზე მონობის უღელი ჩამოაჭიდა, დვინის მებარეც ამბერდში გა-ამგზავრეთ; დავით სოსლანი ეფრემის ნათესავია, „მბრძოლთა სისხლითა გმელთა მღებარე“, რომელიც ბრძოლებში ისუ ნავესავით მხნეობს.

VI. ერთსტროფიანი სახოტბო ლექსი — „ახალო პირო, მძლეო ნოზრ ვითა“ (სტროფი 36-ე); მისი რითმაა ა ს უ რ მ ა ი ს ო .

VII. ოდა შედგება ტრადიციული ტექსტის 37—50-ე სტროფებისაგან; მისი რითმია ევად.

იწყება:

ფილოსოფოსნი დაწყებად მყოფნი,
გონება-ვრცელნი რიტორთა წვევად...

მთავრდება:

ნათელი უთქმან, შენვე თაგითქმან,
თვალნი ვერ გახვევნი სხივ-შესადგმევად.

შინაარსი: გონებავრცელმა ფილოსოფოსებმა რომ რიტორები მოიწვიონ, ელადაში განსწავლულმა, ელინებმა სიტყვების ასარჩევად ენამახვილობა გამოიჩინონ და მეფსალმუნე დავით წინასწარმეტყველმა შენს შესამკობად ათძალი ააჟღეროს, მაინც ვერ შეგაქებენ ღირსეულად. ვისაც კი შენი ხმა და შუქი ვუქე, „ელვ ანუ მხევად, ანუ მთვარევად“. შენი სილამაზით ცის მნათობებიც კი გახელბულან, როდესაც შენ გაბაონს ისუ ნავემ განაზა, გულში მომაკვდინებელი ლაზვარი ჩაისო. ტროელთა მეომრებს სიკვდილი უმძიმთ, რატომ შენთვის არ გაწირეს თავი. იგდითისაგან მოკლული მხედართმთავარი ოლომფრე შეიდგზის შეცდა, რომ შენ არ გეტრფილა; დალიდასაგან თმაშეკრეჭილი და ღონეგამოცლილი სამფსონ ძლიერი პალატაში ზის და ნანობს, რატომ შენ არ შეგიყვარა. შენ ზღვის მეუფე ან დებორა ქველი როგორ შეგედრება? მათ არც შენებური ნებისყოფა აქვთ და არც შენსავით შევნება. რამინს გული სტკივა, რომ შენს მაგიერ ვისის სიყვარულისათვის იტანჯებოდა. როდესაც მომღერალმა მგოსანმა (ოსანმა) შემოგხედა, თავს რეტი დაესხა და უბედობას ჩიოდა; სალასაც სანანებლად აქვს გამზდარი, რომ ლინუნაზავი სხვისთვის იყო გახელბული; შატბერიც გულმოკლულია: „ანალათისა რად დაშვრა ძევად“; ყაისიმის მკვლეელი კაენივით მოსთქვამს, რატომ შეიქმნა იგი „ლეილის ნამიჯუნურევად“ და „ნებით“ რად არა შენ გეშუდარა, ანუ სამონოდ მოგმართა ძლევად“.

შენზე ამბობენ, რომ უძლეველი ხარ და ეს სინამდვილეცაა: ქმრად რომ გყავდა, ის და მისი მომხრეები უცბად დაგესხნენ თავს, მაგრამ ახლა მათი ძვლებიც კი შერყეულია; ერანის დაუმარცხებელი მფლობელი აბუბაქრი თავლადდასხმული გააძევე; მის მსგავსად „ლომთა თავადად, თქმული ავადად“ სხვა ვინ უნდა გამოჩნდეს ხლათს ნამარხვევად? ვიცით, აგრეთვე, შირვანელი მოტრფილდე; რომელიც შენთან ტახტზე მჯდომარე სიყვარულით შემოგტყვეროდა; ასევე

სხვანი მრავალნი, დაუთვალავნი
მდომელ-ტრფილნი შევბისა წვევად.

შენ ხარ „ლალი, მწყაზარი, არად დამზარი“ ურჩთა მიმართ ღირსეული სასჯელის მისაზღველად; ამავე დროს სიბრძნით ხარ სავისი და დაუნდობელი იმათ მიმართ, ვისაც სახავ „ნაორგულევად“. შენ „სულისა დგმითა ანატრებ, განახოს, ვინ განაძლევად“. ვისაც კი მახვილ-უკრევად სული შეუნარჩუნე, შენივე მავედრებელია. მნახველები, „ჟმა-მალა მზახნი“;

ამბობენ: თამარის ლაწვთა შუქნი მთვარეს ეცემიან, ხოლო მისი თვალები მეღნის ტბის მორვეია.

ამიტომ აღარ შემძლია მეტი ქების თქმა! ისევ ვირჩიე პირში ლაგამი ამოვიდო, აღვირი ამოვისხა და დავდუმდე. თუ ენოსი ძნობდეს, მან „მწყობრ-შენასხმევად“ პლატონი დაიყენოს; მართალია, მან მოიხმო ჰომეროსი, სამფსონი და კვიროსი, რომელნიც შენი ვინაობის გამოსაკვლევად აღძრა, მაგრამ ისინი

იპოვნენ მცდარად და ვერ მიმხვდარად
შენი მსგავსების დასასახვეად.

VIII. საარაკო ამბების ფრაგმენტი შედგება ტრადიციული ტექსტის 51-ე და 56—58-ე სტროფებისაგან; მისი რითმია ო დ ი ს.

იწყება:

ასრე მეწყალი, რომე თვალთაგან
ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის...

მთავრდება:

მოჰმადის ჯმობად, მიზგითად შესლვად,
თაყვანისცემად მას შიგან გცოდის.

ქართული ლიტერატურის მკვლევრებს ამ ლექსის შინაარსი სხვადასხვანაირად აქვთ გაგებული. ნ. მარი გამომდინარეობდა რა იმ მცდარი შეხედულებიდან, თითქოს „თამარიანი“ დაწერილია ტაეპობრივად, მან მისი სტროფები დაშალა და ტაეპები წინასწარ-შემუსავებული თვალსაზრისით დაალაგა; შემდეგ ისინი შინაარსობლივად დაუპირისპირა არ ი-რითმიან ლექსს და დაასკვნა, რომ 51, 56—58-ე სტროფები შეიცავს ანონიმი პოეტის ლექსს, რომელიც ჩართულია „თამარიანში“ მოყმე-რაინდის სათავგადასავლო ფრაგმენტის საპასუხოდ¹. ნ. მარის ეს შეხედულება გაიზიარეს პ. ინგოროყვამ² და ა. ბარამიძემ³. შ. ნუცუბიძემ აღნიშნული სტროფების შესახებ ახალი და ყოვლად დაუსაბუთებელი ჰიპოთეზი წამოაყენა. მისი აზრით, ე. წ. არ ი-რითმიანი ელევგის საპასუხოდ ცნობილი ფრაგმენტი დაწერილია ნიზამი განჯელის „ხოსროვშირინიანის“ გავლენით და შინაარსობლივად წარმოადგენს ფანტასტურ ამბავს აფხაზეთში თამარ მეფის მოგზაურობის შესახებ, რომელსაც არ ი-რითმიანი სტროფების სახით ენაცვლება

¹ TP, IV, გვ. 42—43.

² „კავკასიონი“, № 1—2, 1924, გვ. 319—320.

³ ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 258.

მეორე ფანტასტური ამბავი სიყვარულით გახლებული ქაბუკი-მოგზაურისაო¹. ჩვენი აზრით, 51, 56—58-ე სტროფები „თამარინის“ ორგანული ნაწილია და მათი სახით საქმე გვაქვს შინაარსობლივად გარკვეულ სახოტბო ლექსთან, რომელიც ლოგიკური გაგრძელებაა VII ოდისა. მასში თამარი წარმოდგენილია ისეთ საყვარელ და სათაყვანებელ ქალად, რომელსაც უნდა ეტრფიალებოდნენ სამიჯნურო რომანების გმირი მამაკაცები: ივლითისაგან შეცდენილი მხედართმთავარი, სამფსონ ძლიერი, რამინი, სალა, შატბიერი, ყაისი (მაჯნუნი) და ყველა მომღერალი პოეტი (ოსანი). ჩახრუხაძე ამთავრებს რა ამ ერთ-ერთ უმშვენიერეს ოდას, შემდეგ ის მოგვითხრობს იმ უცხო პირთა შესახებ, რომელნიც თამარის სიღიადით მოხიბლულნი სხვადასხვა ქვეყნიდან მის სანახავად საქართველოში მოდიოდნენ სადარბაზოდ. პოეტი თამარს მიმართავს ამგვარად:

ცრემლთა ნაკადი თვალთაგან ღვარივით მოდის, რადგანაც სიკვდილის შემდეგ შენი დიდების მაუწყებელ მაგალითებს (საარაკო, საოცარ ამბებს) ვეღარ ვიტყვი. შენ სწუხხარ იმის გამო, რომ შენს მოყმებს (ქაბუკებს) მშობლები აღარა ჰყავთ, რომ ისინი დაიხოცნენ სამშობლოსათვის ბრძოლებში იქ, სადაც „სახელი ქვეყანისაცა არა ისმოდის“, მაგრამ გულს იმედად უთხარ: ვითომ ისინი შორს წასულნი არიან და მალე ისევ საქართველოში დაბრუნდებიან. დღეს შენთან სხვადასხვა ქვეყნიდან დელეგაციები მოდიან. შენმა მნახველებმა დასავლეთში დიდხანს დაჰყვეს, მაგრამ ისინი აჰვზსა და მოსულში რომ მოვიდნენ, დიდძალი ძვირფასი ქვა და ოქრო ჰქონდათ აქ წამოსაღებად. ხაზარებმა, ჩინელებმა და ხანთა ქვეყნის წარმომადგენლებმა გზა შეიმოკლეს და შენთან მოისწრაფოდნენ. კონსტანტინეპოლში ნავები ააგეს და საქართველოსაკენ გამოემგზავრენ; ზღვა წყნარად იყო და სამგზავროდ კარგი ამინდი ჰქონდათ; ბალდადელი დიდებულები ბარდავში მოვიდნენ, საიდანაც მათ მახარობელი გამოგზავნეს სადარბაზოდ მომავალი დელეგაციის სურვილის მაუწყებლად. მათ თან ცოლები მოჰყავდათ და ზავის ჩამოგდება სურდათ. საჩუქრად აქლემებით დატვირთული განთუღი მოჰქონდათ, ხოლო ქარავანს მონა-მხეველები მოუძლოდნენ. თამარ, შენ წინ მიეგებე მათ „სურნელთა კმევად“ სამეფო ამალით, საჯულსიო მოღვაწეების თანხლებით და სტუმრები სადარბაზოდ მოიწიე. მობალდადე ქალბატონებმა მეგობრულად „მარმარნი მკლავნი“ მოგხეიეს და სიხარულისაგან მათი სული იწოდა. შენთან ხელის სათხოვნელად მოსული დიდი ემირი ამ ამბის ნახვის შემდეგ გულში ლახვარს აღარ ჩაისობს. ის ქაბაში თავისთვის აკლდამას იმზადებდა, შორიდან გეტრფიალებოდა, ქრისტეს სჯულის უარყოფას, მაჰმადიანობის მიღებას გთხოვდა, მაგრამ შენ მის ვედრებას ყური არ ათხოვე.

¹ Чахрухадзе, Тамариანი, 1942, გვ. 52—55; III. Нуцубидзе, Руставели и восточный Ренессанс, 1947, გვ. 219—220.

IX. სამიჯნურო-სათავადასავლო ფრაგმენტი შედგება ტრადიციული ტექსტის 59—60, 62—63, 61-ე და 64-ე სტროფებისაგან. უკანასკნელი სტროფი დაზიანებულია; გადარჩენილია მხოლოდ მისი პირველი ტაეპი; ელევგის რითმაა არ ი.

იწყება:

ვიცი გეწყალი: დამნთჳანს მე წყალი,
ნოეს ნაკადი, მოქცევი ღვარი...

წყდება:

რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი.

შინაარსი ეხება თამარის სიყვარულით გახლებულ მოყმე-პოეტს, რომელსაც შემოუვლია აზიისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და რომელიც სამუდამოდ უცხოეთში ყარბად დარჩენილა.

ეს ფრაგმენტი შინაარსობლივად წარმოადგენს VII—VIII სახოტბო ლექსების გაგრძელებას. ამით პოეტი მაგალითების ჩამოთვლას ამთავრებს.

X. ოდა შედგება ტრადიციული ტექსტის 70—75¹⁻², 79³⁻⁴ და 80-ე სტროფებისაგან; მისი რითმაა ელ ი.

იწყება:

გვმობ, თანარ, მზესა, უმზესად ზესა,
მით რომელ უცხო ხარ სახილველი...

მთავრდება:

სამებად ქსული საუფლო სული
მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი.

შინაარსი: ქებას გიძღვნი შენ, თამარ, როგორც მზეზე უზენაესს, უცხოლ სახილველს. შენი ლაწეები ცისკარივით ნათობენ, მოხედვა გშვენის, „ბროლ-ვარდობს ყელი“. შენი მნახველი განცვიფრებულად წამოიძახებს: „ჰე, საკვირველი!“ თუ თამარი მთვარეა, რად მზეობს, რატომ არასდროს არა ბნელდება? თუ ელავს, რად გვალეღვებს მისი ჩაჭრობა? ან ასე უმაღროგორ გვწვდება მისი სხივები? იგი ჭეშმარიტად „შვიდთა მნათობთა მნათობელია“.

ღმერთმა თამარი ადამიანის მხსნელად დაბადა. ამიტომ ის ბრძენთა ნათესაეია, ასკლეპის მსგავსად გონებაურცელი. მას ვერ შეედრებიან დარიოს მეფე, ხოსრო ანუ შირვანი, სამ ფაღვანი, აქილევსი და დებორა ქველი. მან თავისი მეფობით შეარცხვინა არა მარტო მოსაზღვრე ქვეყნების მეფეები, არამედ ზეცისა ძალნიც; თამარი ღვთის მცნებით ყოველთა საწადელი მეფეა, რომელიც მუსლიმანებს სამართლიანად ანადგურებს, ურჩ ფეოდალებს სასიკვდილო ლახვრითა ჰგმირავს, ხოლო ხალიფას ბედის მექომაგეთა შლის და სკობს. შეშინებული აბუბაქრი დვინისაკენ გარბის, რომ ბნელი საზღვარი დადოს. სხვათა მომრევი (მძლეველი) მეფეები თამარს ხარკს უგზავნიან და შიშითა ძრწიან მის წინაშე. რაკი თამარს გვერდს უმშვენებს „ფერემის ძირთა ისართა მთლელი“ დავით სოსლანი, ისპირისა და შარვანის დარბევა არცთუ ისე ადვილია.

მაჰმადიანები ამბობენ: თამარი მზესა და მთვარესა ჰგავს. დავითი მენისებრი სისწრაფით გვესხმის თავს და ხესავით გვეწვავს. თქვენს შესახებ. ორატორმა თქვა: ვინც კი შემოგხედავთ, იტყვიან: ათას წელს უნდა მეფობდნენო.

XI. **ოღა** თავბოლონაკლულია; შედგება 75₃₋₄, 76—78-ე და 79₁₋₂ სტროფებისაგან; ოდის რითმაა ენალი.

იწყება:

მაშა, მენელი, მაშა, მექელი,
 მით ვამგებლობდე, და-ცა-ვსცე ნალი.

წყდება:

არსად არსა რა, არსად არს, არა,
 შენებრ უკლები და საჩენალი...

შინაარსი: არისტოტელეანელი, მომეახლე, მთავრელობა გამიწიე, რომ სიტყვისმგებლობა ვიკისრო და ლერწმის კალამი საწერად მოვიმარჯვო. სულიერ არსებათ შორის ვინ არის შენსავით „თვალთ-შეუდგამი ნათლის მფენალი?“ ღვთისაგან გეწყალობა, როდესაც ბნელის ცისკრულად გამნათებლად და ყოვლითურთ უნაკლო გაჩნდი. შენ ხარ „მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა (ძვირფასი ქვების), ურჩთა კლვად ზინდანს შემაყენალი“. შენ დამეშუქრე და ვახტანგ გორგასალის მსგავსად წადილიც აუსრულე მზის კერპის თავყვანისმცემელ აბუბაქრს, რომელიც დავითის ხმლით შერცხვენილი ჰგოდებს. შენ გამიმშვენიერე კალამი, რომელიც შენს ქება-დიდებას ემსახურება. მე ცად ავმალღდი, რომ დვინი მომეცა და თქვენს მომხსენებლად უნდა ვჩნდე:

მბროძლთა მხარკემან გძღვნას მოხარკემან
 ელიჯად ოქრო დასატენალი.

სტუმრების მიღებითა და მარგალიტების გაცემით ბაღდადიც დაიბყარ. ჭეშმარიტად სწორუბოვარი და უძლიერესი მეფე ხარ. შენსავით უკლები და საჩენალი არსად არავინ არ არის...

XII. **ოღა** შედგება ტრადიციული ტექსტის 81—84-ე სტროფებისაგან; მისი რითმაა ამისაღ.

იწყება:

გულო, აბა, მო, დაუსაბამო,
 თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად...

მთავრდება:

რად არ აჩნია, რა მიაჩნია,
 ენა ვით სძლებდეს საქებარისად.

შინაარსი: თამარი დასაბამის ნათელია, მამის სწორი, თანგანმწყობი, იესიანი, აბრაჰამის ასული. მას ისეთი დიდი სინათლე აქვს, რომ დღესაც კი აბნელებს. როდესაც ის ანათებს, ისუ ნავეც ვერ შეედრება შუქის კრთომით. იგი ზენათ ცხებული ასულია, ყოველთა მჯობი, კაცო-

ზირობის მესია, რომელიც მტკიცედ დგა ქრისტიანობის სადარაჯოზე „აგარის ტომთა გულსა შხამისად“. მას საუფლო სული ზეციდან ნიავის საშუალებით ეძლევა.

მე მსურდა უფრო ვრცელი ქებანის თქმა, მაგრამ არ შემიძლია, ვერც პლატონისებრ ქებას შევასხამ.

XIII. ერთსტროფიანი ხანოტბო ლექსი— „შენ მწუნობი ხარ შნათობთა“ (სტრ. 85) დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი დაბალი შაირით; მისი რითმაა ა რ ი დ ე ნ .

XIV. ერთსტროფიანი ხანოტბო ლექსი— „გვიან შენებრთა ძებნანი“ (სტრ. 86) დაწერილია თექვსმეტმარცვლოვანი დაბალი შაირით; მისი რითმაა შ ე ს ხ მ ა ნ ი .

XV. ოდა შედგება ტრადიციული ტექსტის 87—91, 52—54-ე სტროფებისაგან; მისი რითმაა ე ბ უ ლ ა დ .

იწყება:

ვინ ჩნდა საწმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ-მთქმელი მოსწავებულად...

შთავრდება:

მოესს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა,
ეწერნეს თქვენი ძლევა გებულად.

შინაარსი: ვინც საწამებლად (ე. ი. იესო ქრისტედ) გამოჩნდა, ახლა მის მსგავსად წინასწარ მოსწავებულად გიცნობ შენ, თამარ, „ცად, საყდრად, ღრუბლად, ლაწვ-ბროლ-ვარდ-შუბლად“. დავით წინასწარმეტყველმა თავისი ნათესავი გიწოდა და შენს წინაშე ცეკვავდა. შენ, „დავითიანს“, „სილომონ გემობდა სახელდებულად“: ჩემო ასულო, მჭვრეტელთა დამმონებელო, სიკვთით განშენებული ჩანხარ. მან შენი ნახვის შემდეგ იწამა, თუ როგორია ღამე დღისფერად გაბრწყინებული. როდესაც მე შენს ნიჭს მივხვდი, ყველას შეჭატყობინე ეს და ყოველ სულიერს შენი სიკეთე უკვირდა. ყოველ არსებას, მათ შორის მიდიელებსა და სპარსებსაც კი, შენს სამწყსოში ყოფნა მოუხდათ. ისინი შენ დაგემონენ, რადგანაც ღმერთმა შენთვის თავდადებულად აღძრა. მე ამ სასწაულს ვხედავ ცხადად.

რამდენადაც ვიცი, რად მაბრალებენ, რომ შენი უკადრი ქებანი ვთქვა? შენი სახის სილამაზე ვისაც კი ვუქმე, ვითომც მათ შორის მოლექსეობაში ვინმე მომბაძავს? შენ ბრწყინვალე სანთელივით ცისკრობ, რადგანაც ზეცის მნათობები შეარცხვინე. ჩემგან რალა ქებანი გჭირდება? „აღმოსუნებსა ვინ აშენებსა მორჩსა ახალსა აღმორჩებულად?“ მე ვიცი და მსმენელებსაც ვუუბნები, რომ შენი სწორი არავინ არის. როგორც ახალი, ისე ბადრი მთვარე შენგან დასაწყლებული მოჩანს. ყველას ეგ თქვენი პირი ეჩვენება. ვაცისკრებულად. როდესაც ვნახე, ჭეშმარიტად სამოთხეში მიახლებული, ძლიერ შევეცადე შენთვის დიდხანს მეცქირა, მაგრამ ვერ შევძელი, ჩემმა თვალებმა შენი ეშხის სიძლიერეს ვერ გაუძლო. ვნახე შენთან სადარბაზოდ მოსული ინდიელები, რომელნიც შენით მოხიბულნი რინდებს დამსგავსებოდნენ; აგრეთვე, ვნახე ზანგები, რომელნიც

შენდამი ტრფობას ვერ იკავებდნენ და ალაღებულებიყვნენ. ვინც შენო თვალები მელნის ტბად წარმოიდგინა და შენი ტანი კიპარისის შეაღრა, მანვე მაგალითად მოიყვანა, რომ როდესაც მზე ნათობს, ის მაშინაც კი დაბნელებულია, რადგანაც თამარი მასზე დიდი მნათობიაო. განა ვინმე გჯობს ბედითა? მზე შენი გადამეტებული სიშუქით რად გაასაწყლეო მე შენი გული ჩემად მივიჩნიე, მაგრამ, რაკი შენ ჩემი გრძნობების მოზიარე არ განდი, მოწამლული გავხდი. ახლა ჩემი გაცუდებული სიცოცხლე აღარაფრად ღირს. დიად, მომკალ და მომასვენე! შემოკმედმა დღე და ღამე რომ დააწესა, მაშინვე თქვა, რომ დღე თუ ნათელია, სამაგიეროდ კაცობრიობას მოველინება თამარი და მისი სილამაზით ღამეც განათდებაო. მოსეს ფიცარზეც იმთავითვე შენი ძლევა მოსილება ეწერა.

XVI. ოდა შედგება ტრადიციული ტექსტის 55, 92—97-ე სტროფებისაგან; მისი რითმაა ე ბ ა ნ ი.

იწყება:

იგავთ დამწესი და გმირთა მწესი
იესეს ძისა მით გძნობს ებანი...

მთავრდება:

ფილოსოფოსთა გონებად მყოფთა
ვერ შეუგნიათ თქვენნი დრებანი.

შინაარსი: შენდა საქებრად დავით წინასწარმეტყველის ებანი ჟღერს. მერკურმა რომ განახა, უკუნეთის კარი გაიღო და შენით სიბნელე განათდა. ზეესმა მზედ შეგიცნო, ზეცაში სამყოფი მოგცა, სელენეს ეტლი მოგირბენინა, ნარგიზნი მოგცა, ზეცას გზა გიქმნა და თქვა: შენა გშვენის ლომისებრი ნებისყოფაო. მე შენი ნაშვენებანი ვარდს შევადარე, ყოველივე ის, რაც ბრძენ-კაცის გონებას შეუქმნია, განა შენთვის არ შეიქმნა? შენ იმდენად მომხიბვლელი სილამაზისა ხარ, რომ

წამწამთა ხრანი ვისკენც ქმენ ცხრანი,
ცხრა ათას ექმნეს ნატირებანი.

გტრფიალობს ლომი აბესალომი (ე. ი. დავით სოსლანი), ფერემის ძირთა ჩამომავალი, რომელიც „ნებროთს სჯობს ძალად“, ხოლო „დებორს ჰმატიან ახოვნებანი“. დავითი არის „მბრძოლთ გულის მდალი“, ის „ბედ-დიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ ავლად“. შავი ზღვიდან შირვანამდე მისი სამფლობელოა. მის წინაშე ძრწის ჩრდილოეთი, ხალიფა გაურბის, ხოლო შარიფა (მექის მოძღვარი) ამბობს: „აწ გაგვიცუდდა სჯულის-დებანი“. საქართველომ თავისი სიძლიერით ისეთი სახელი გაითქვა აღმოსავლეთში, რომ მის გვირგვინოსან მეფეს საჩუქრები მოსდის. თარშიდან, დელიდან, ეგვიპტიდან და ალბოდან. დავითი აგრესორთა გამანადგურებელია; როდესაც ის მტერზე იმარჯვებს, თამარს მოხსენებას უგზავნის, რომ გაიმარჯვეს ქართველმა მეომრებმა, სირთა მსგავსად გალობა დაიწყეს და ებნის დამკვრელი დასვესო. შენ, თამარ, ძლიერ მტრებს გაუძელ, მტრის მრავალრი-

ცხოვანი ჯარი დაამარცხე, როდესაც აბუბაქრი განდევნე კავკასიიდან. შენ, ვახტანგის ჩამომავალს, მზისა გშვენიან განშვენებანი. თქვენ ღვთისაგან ძე-ბად, მდიდრად განძებად გენიშნეს ლაშა გიორგის დაბადება. ენოსი რომ მწერლობდეს დაუზარელად, მას მაშინაც კი არ ძალუძს თქვენი ქება; ხოლო ფილოსოფოსებს არ შეუძლიათ თქვენი შესადარი ვინმე გამონახონ.

XVII. ოლა შეიცავს ტრადიციული ტექსტის 98—103-ე სტროფებს; მისი რითმია ე ბ ა დ.

იწყება:

ისმინეთ, არსნო! ირწმუნეთ, სპარსნო!
პირველითგანვე გვესწავა ღმრთებად...

მთავრდება:

არისტოტელმან მეძიებელმან
თავი თვით მისცა საძიებელად.

შინაარსი: ისმინეთ, არსნო, და ირწმუნეთ, სპარსნო! პირველიდანვე ღვთის მიერ გვესწავა, რომ დასაბამიდან მხოლოდ ზღვა იყო. მაშინ ღმერთმა ეს ერთბუნებოვანი მატერია „ქმნა სამად თებებად“—წყლად, მიწად და ცად. შემდეგ მანვე მიწიდან გამოძერწა ადამიანი, ჩაბერა სული და „უწო-და ძებად“. გაუწყებთ, აგრეთვე, სხვა საქმესაც: ღმერთმა ბუნება, სულიერი და უსული საგნები გააჩინა „თამარის ცნებად“. მანვე თამარი

ნათლითა სრულ ყო, ედემს ასრულ ყო
ღამეთა ნათლად, ბნელისა ცებად.

ამიტომ იგი ღვთის მოშიშია, წრფელი, უცრუო, „ჯავარ მოცალე, ტკბილი, მოწყალე ყოველთა კაცთა განურისხებად“.

თამარმა ცით ნაწოდები დავით სოსლანი იხმო ქმრად და „მეფეთა ძებად“. დავითმა, „მან აზოვანმან, მძლედ საზოვანმან ჯელ-ყო ისლამთა ცეცხლისა დებად“. მანვე გამოიჩინა კარგი მხედართმთავრული ნიჭი. ის, ბუნებით ქველი, თავისი სიძლიერით ჯავშნიანი ტანისამოსისა და იარაღის მფრქველია. მან აქილევის მსგავს მოწინააღმდეგეს დაუწყო ძლევა და დაუ-სრულებელი ომებით თურქები გააძევა საქართველოდან. ხვარაზმმა-მდეგსა, ე. ი. ათაბეგსა „კეთილ-განრჩევით სჯულ უდვა მცნებად“. მის წინაშე ქედი მოიხარა შემძლე მელიქმა, რომელმაც „მოყმე სვიანი, იესიანი ლაშა“ გიორგი მოიკითხა და თავისთან მიიწვია „ლხინად და შვეებად“. ამავე დროს მან მოკრძალებული შიშით თამართან და დავითთან გამოგზავნა „ვაზირთა ძალი“ „დიდთა ცხენთა ძღვანებად“ და მათი ქალიშვილი, შე-უღარებელი „მზე მოითხოვა“ „ბნელისა კართა ნათელთა ცებად“.

ჩემს ქებას ველარ დაუმატებენ სოკრატე და პლატონი, ორნივე რომ ეფრემის წყებად გალობდნენ. ვერც აპეტოსემ და ზორთასტრომ შეძლეს შენი საკადრი ქების თქმა, ხოლო

არისტოტელმან მეძიებელმან
თავი თვით მისცა საძიებელად.

XVIII. ოდა შეიცავს ტრადიციული ტექსტის 65—69, 104—108, 113-ე სტროფებს; მისი რითმაა იერსა.

იწყება:

ვთქვი უიშით მკრძალმან: საღმრთომან ძალმან
მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა...

მთავრდება:

უძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი.
მშვიდსა და წრფელსა და ლმობიერსა.

შინაარსი: მოთხრობილია ამბავი ქვეყნის გაჩენისა, ადამისა და ევას მიერ აკრძალული ხილის შეჭმისა, სამოთხიდან მათი გამოძევების, წარღვნისა და ნოეს კიდობნის ისტორია, ქრისტეს მესიანური მოღვაწეობა. მთავრდება თამარის სახელმწიფოებრივი საქმიანობის განდიდებით.

XVIII ოდით იხურება „თამარიანის“ ტექსტი. საფიქრებელია, მას რამდენიმე სტროფის სახით დართული ჰქონდა ბოლოსიტყვაობა, მაგრამ ხელნაწერებში მოიპოვება მხოლოდ ის ორი ყალბი სტროფი (114—115), რომელთა შესახებ ზემოდ გვექონდა საუბარი. ჩვენი გამოცემის 111-ე სტროფი უნდა მივიჩნიოთ „თამარიანის“ დასასრულად.

ასე გვესახება „თამარიანის“ სტრუქტურა, სახოტბო ლექსების სტროფული შედგენილობა და შინაარსი.

თუ ჩვენ „თამარიანში“ სრულად დაცულ სახოტბო ლექსებს დაუჟკვირდებით და მათ სტრუქტურულ წყობას შევისწავლით, უეჭველად შევნიშნავთ თითოეულ მათგანში სპეციფიკურ თავისებურებას, რომელიც მათ პოეტურ ფორმასა და შინაარსში ვლინდება. ყველა ამ ოდას აქვს თავისი საკუთარი შინაარსი, მაგრამ ამავე დროს თითოეული მათგანი მის წინა და მომდევნო ოდებთან ისეთ შინაარსობლივ მიმართებაშია, რომ მათი ერთმანეთისაგან დაცილება ან გადაადგილება „თამარიანის“ საერთო კომპოზიციის დარღვევასა და მისი მთლიანი შინაარსის გაბუნდოვნებას გამოიწვევდა. არა გვგონია ამიერიდან ვინმესთვის საეჭვო იყოს ის, რომ „თამარიანის“ I, II, VII, X, XII და XV—XVIII ოდები დაწერილია პოეტის მიერ წინასწარმოფიქრებული სალექსო ფორმით (დასაწყისი, შინაარსი და დასასრული), რომელსაც დაბეჯითებით აღნიშნავდა ჯერ კიდევ 1902 წელს ნ. მარი. თუ ასეთი ნიშნები IV, V და XI ოდებში არ შეიმჩნევა, ეს გაზოწვეულია იმის გამო, რომ ამ სამმა ოდამ ჩვენამდე ფრაგმენტების სახით

მოაღწია. მიუხედავად ამისა მათი ზოგიერთი ტაეპის შინაარსობლივი ანალიზიდან მშვენივრად ირკვევა, რომ მათაც თავიდანვე ისეთივე პოეტური წყობა ჰქონიათ, როგორც აქვთ ჩვენამდე მოღწეულ სრულ ოდებს. მაგ.: IV ოდის პირველი ტაეპი („ვინ არს ებანი“) და XI ოდის მესამე ტაეპი („მაშა, მეხელი“) უდაგოდ ამ ოდების დასაწყისი სტროფების შემადგენელი ტაეპებია, ასევე V ოდის 32-ე ტაეპი („ბევრჯელ ნაყოფად“), რასაკვირველია, ოდის დასასრულს წარმოადგენს. რაც შეეხება VIII და IX სახოტბო ლექსებს, მათაც აქვთ თავიანთი დასაწყისი და დასასრული. IX ლექსში ეს მკვეთრად შეინიშნება, VIII-ში კი მკრთალად. დანარჩენი ოთხი (III, VI და XIII — XIV) სახოტბო ლექსი თითოსტროფიანია და არ არის აუცილებელი მათშიც სტრუქტურული ნიშნები ვეძიოთ.

ამგვარად, შეათელის ენით რომ ვთქვათ, „თამარიანი“ არის ერთი გრძელი და ძნელად სათქმელი ქება, რომელიც, თავის მხრით, შედგება პატარ-პატარა ქებათაგან. ეს ქებანი ერთმანეთთან შინაარსობლივად ისე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი, რომ ერთად აღებული ისინი ჰქმნიან ერთდროულად ჩაფიქრებული და დაწერილი თხზულების შთაბეჭდილებას. მართალია, თითოეულ სახოტბო ლექსს აქვს თავისი დასაწყისი და დასასრული, მაგრამ ყოველი მათგანი ცალკე აღებული შეუძლებელია დამოუკიდებელ სახოტბო თხზულებად ვცნოთ. მკითხველი მშვენივრად ხედავს, რომ თითოეული მათგანი წარმოადგენს მის წინამძღოლი სახოტბო ლექსის ლოგიკურ გაგრძელებას. ასე რომ, ის საყოველთაოდ ცნობილი მოსაზრება, თითქოს „თამარიანი“ იწერებოდა ოდების სახით პერიოდულად, თამარ მეფის სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით, 1184 წლიდან 1207 წლამდე, ე. ი. თამარის მეორედ გამეფებიდან დავით სოსლანის გარდაცვალებამდე, ხოლო შემდეგში პოეტმა ამ ოდებს თავი მოუყარა, რედაქცია გაუკეთა და სახოტბო ლექსების კრებულის სახე მისცაო, არ მართლდება არც ძეგლის კომპოზიციით და არც მასში მოცემული ისტორიული რეალიებით. ჩვენი ღრმა რწმენით, „თამარიანი“ თავიდან ბოლომდე ერთდროულად გააზრებული მხატვრული ძეგლია, რომელიც შეთხზულია ერთი გარკვეული დროის მონაკვეთში თამარ მეფის პიროვნებისა და მისი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის განსაღიღებლად. ეს არ არის უწყვეტი სიუჟეტური თხრობის თხზულება არამედ ის შეიცავს პატარ-პატარა სახოტბო ლექსებს: თორმეტ ოდას, მაგალითების ორ ფრაგმენტს და ოთხ თითოსტროფიან სახოტბო ლექსს. ძეგლს უძღვის სამსტროფიანი შესავალი.

„თამარიანის“ დაწერის თარიღი

„თამარიანის“ დაწერის თარიღის შესახებ იმდენივე ახალი მოსაზრებაა გამოთქმული, რამდენი ნაშრომიც ამ საკითხზეა გამოქვეყნებული. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მკვლევარმა „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის საკითხში სხვადასხვა მოსაზრებისანი არიან. ვინც ამტკიცებს, რომ „თამარიანი“ ერთი მთლიანი სახოტბო პოემაა, ის ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ძველი ერთი გარკვეული დროის მონაკვეთშია ჩაფიქრებული და დაწერილი, ხოლო ის, ვინც აღნიშნავს: „თამარიანი“ შედგება სახოტბო ლექსებისაგან და თითოეული მათგანი დაწერილია თამარის სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით, ამ ლექსების დაწერის თარიღსაც ორი და სამი ათეული წლის მანძილზე სჭიმავს. ასე რომ, თხზულების თარიღის საკითხი ისე მჭიდროდ უკავშირდება მისი სტრუქტურისა და კომპოზიციის საკითხს, რომ ამ უკანასკნელის განხილვის შემდეგ ბუნებრივად მიგვაჩნია განვიხილოთ მკვლევართა მიერ არა ერთხელ აღძრული პრობლემა: „თამარიანი“ მართლაც რამდენიმე ათეული წლის მანძილზე იწერებოდა, თუ ის დაიწერა თამარის მეფობის რომელიმე პერიოდთან დაკავშირებით?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, ორიოდ სიტყვით შევჩერდეთ მისი შესწავლის ისტორიაზე:

ძველიდანვე ქართველ ხალხში ტრადიციულად იყო განმტკიცებული, რომ ჩახრუხაძე რუსთაველზე ადრე ცხოვრობდა და მისი „თამარიანიც“ „ვეფხისტყაოსანზე“ უწინ დაიწერა. პოეტი არჩილი ამ ტრადიციულ გადმოცემას ეყრდნობოდა, როდესაც ის თეიმურაზ პირველს ასაუბრებდა რუსთაველთან:

„ჩახრუხაძემ უწინ არ თქვა, რად იპარავ პირველ თქმასა?“¹

¹ არჩილ მეფე, არჩილიანი, II, 1937, გვ. 11.

XIX საუკუნის მკვლევრებს სჯეროდათ ეს გადმოცემა და ჩახრუხაძე რუსთაველის უფროს თანამედროვედ მიაჩნდათ. ისინი გამოთქვამდნენ შეხედულებას, რომ „თამარიანი“ 1187 წელსაა დაწერილი. ეს შეხედულება პირველად წამოაყენა პ. იოსელიანი-მა¹, შემდეგში გაიზიარეს დ. ჩუბინაშვილმა², ზ. ჭიჭინაძემ³ და ა. ხახანაშვილმა⁴.

1902 წელს ნ. მარმა „თამარიანის“ დაწერის დროის შესახებ ახალი მოსაზრება გამოთქვა; იგი აღნიშნავდა: რაკი თხზულება წარმოადგენს სახოტბო ლექსების კრებულს, მისი ოდები დაწერილია სხვადასხვა დროს 1192 წლიდან 1195 წლამდე. ძეგლის შინაარსობლივი ანალიზი იძლევა საკმაო საფუძველს იმისას, რომ მისი ავტორი მივიჩნიოთ კარის პოეტად, რომელსაც თავისი ოდები თამარ მეფის სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებით დაუწერია, შემდეგ კი ისინი ერთ კრებულში შეუკრებია და მისთვის „თამარიანი“ უწოდებია. ოდების ერთი ნაწილი დაწერილია თამარის მეორედ გათხოვებამდე, ე. ი. მაშინ, როდესაც მას სიქალწულის მშვენიერება ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდა და სხვადასხვა მხრიდან მთხოვნელები მოუდიოდნენ. ზოგიერთ ოდაში შექმებულია თამარი და დავითი, ხოლო ზოგიერთშიც — თამარი, დავითი და მათი შვილი ლაშა. მაშასადამე, ნაწილი ამ ოდებისა თამარის მეორედ გათხოვების შემდეგაა დაწერილი და ნაწილიც ლაშა გიორგის დაბადების შემდეგ, 1195 წლამდე, ე. ი. მანამდე, სანამ რუსუდანი დაიბადებოდაო⁵.

ეს მოსაზრება ნ. მარმა 1917 წელს შეასწორა. იგი წერდა, რომ საჭიროა გადაისინჯოს საკითხი „თამარიანის“ ტექსტის ნამდვილობისა და დაცულობის შესახებ, ამავე დროს დაზუსტდეს კრებულის წარმოშობის დრო და მისი შემადგენელი სახოტბო ლექსების რაოდენობა: უკანასკნელ ხანებში ჩემ მიერ წარმოებულმა კვლევა-ძიებამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ელევია პოეტი-მოგზაურის შესახებ დაწერილი უნდა იყოს XIV საუკუნეში, არა-უგვიანეს 1338 წლისაო. „ელევიაში“ დატირებული პოეტი-მუსლი-

¹ ჩ ა ხ რ უ ხ ა ძ ე, თამარიანი, პ. იოსელიანის გამოცემა, 1838 (წარწერა თავფურცელზე); П. Иоселиани, Описание города Душети, 1860, გვ. 61—65.

² დ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ქრესტომათია, II, 1846, გვ. III.

³ ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართული მწერლობა XII საუკუნეში, 1887, გვ. 3—4.

⁴ А. Х а х а н о в, Очерки, II, 1897, გვ. 310; მისივე, ქართული სიტყ. ისტორია, 1904, I, გვ. 394.

⁵ ТР, IV, გვ. 46—48, 75—76.

მანი... არ შეიძლება დაკავშირებულ იქნეს თამარის ეპოქასთან. მოხეტიალე პოეტის მთელ მოგზაურობას მონღოლთა ეპოქის ელფერი აძევს¹.

1923 წელს ნ. მარის საწინააღმდეგო მოსაზრება წამოაყენა შ. ჯანაშვილმა. იგი გაზ. „ტრიბუნაში“ წერდა:

„პოემის დაწერის დათარიღებისათვის გვეხმარებიან ხანები 84 — 91 [I, 33 — 64], რომელშიაც გალექსილია ბოლოსტიკეს ლაშქრობის (1204 წლ.) ამბავი, მეორე მხრით ხანაში 107 [V, 29 — 32] გამოთხოვებაა სოსლანისა, და ეს კი გარდაიცვალა 1207 წელს; ხანებში 108—109 [XIII—XIV სახატო ლექსები] მიმართვაა ცოცხალ თამარისადმი, მაგრამ მომდევნო 110 [114] ხანაში კი უკვე სამძიმრის სიტყვებია: «აჰ, აწ რა ვქნა თქვენგან გაყრილმან». ჩანს, 108 — 109 ხანების დაწერის დროს თუ თამარი ცოცხალი იყო, 110 ხანის დაწერისას კი იგი უნდა ავტორისაგან უკვე «გაყრილი», ე. ი. მკვდარი ყოფილიყო. ამ ცნობების მიხედვით ჩვენ დავდებთ, რომ «თამარიანის» წერა უნდა დაწყებულიყო ადრევე, მაგრამ უკანასკნელი ხანები კი დაწერილიყო 1212 წლებში“².

1924 წელს „თამარიანის“ დაწერის თარიღის შესახებ ორიგინალური მოსაზრება წამოაყენა პ. ინგოროყვამ. მისი აზრით, თხზულება დაწერილია ორ სხვადასხვა პერიოდში 1184 წლიდან 1193 წლამდე. პირველ პერიოდში, ე. ი. 1184-5 წლიდან 1188 წლამდე, დაწერილია I (XVIII), II (II—III), III (XII—XIV), IV, V (VII) ოდები, ხოლო მეორე პერიოდში, ე. ი. 1191 წლის დასასრულიდან, ან 1192 წლის დასაწყისიდან 1193 წლამდე — VII (X), VIII (XI), IX (XVI), X (V), XI (XVII), XII (I) და XII-B (XV) ოდები; „ამ ორივე პერიოდის ლექსებს შორის არის ხარვეზი სამი წელი. 1188 წლის ბოლოდან ვიდრე 1191 — 1192 წლამდე ჩვენ არა გვაქვს არც ერთი ოდა ჩახრუხანისძისა“³.

პ. ინგოროყვა ამ მოსაზრებას ასაბუთებდა თხზულების შინაარსითა და მასში დაცული რეალიებით, მაგრამ ნ. მარის მსგავსად მანაც უყურადღებოდ დატოვა ზოგიერთი ისეთი რეალია, რომელსაც „თამარიანის“ დაწერის საკითხი სულ სხვა შუქზე გამოაქვს.

¹ ИАН, 1917, გვ. 503—505.

² „ტრიბუნა“, 1923, № 466.

³ „კავკასიონი“, 1924, № 1 — 2, გვ. 288 — 290.

პირველი მკვლევარი, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა „თამარიანში“ არსებული ისტორიული რეალები და მოგვცა მათი ანალიზი, არის კ. კეკელიძე. 1924 წელს მან „თამარიანის“ დაწერის თარიღის შესახებ ახალი შეხედულება გამოთქვა. მან აღნიშნა, რომ „თამარიანის“ II (II — III), III (XII — XIV), IV და V (VII) ოდები, შესაძლებელია, მართლაც დაწერილი იყოს 1185—1188 წლებში „მათი შინაარსის უნიშანდობლივობის გამო“, ხოლო დანარჩენი ოდები, გარდა XI (XVII) ოდისა, „ჩახრუხაძეს დაუწერია 1195 წლიდან მოყოლებული 1206—7 წლებამდე... ვინაიდან ოდებში თამართან ერთად შექებულია დავით სოსლანი († 1207 წ.) და 1207 წელზე უგვიანესი ამბები აქ მოხსენებული არაა; «თამარიანი» დღევანდელი შემადგენლობით 1207 წელს დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს“¹.

1939 წელს კ. კეკელიძემ „თამარიანის“ საბოლოოდ ჩამოყალიბების თარიღი (1207 წელი) შეცვალა 1210 წლით. იგი წერდა: „Оды написаны на все протяжении царствования Тамары, по поводу тех или иных знаменательных событий этого царствования. Последнее по времени событие, на которое намекает одна из од, это персидский поход 1210 года“².

მკვლევარმა თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მოიშველია „თამარიანის“ XV ოდის ერთი ტაეპი:

მოუნდა არსთა, მიდთა და სპარსთა
ერთ-სამწყსოობა, ერთ-უფლებულად (XV, 10),

და იქვე დაასკვნა, რომ „აქ იგულისხმება მიდთა და სპარსთა დაპყრობა, ე. ი. სპარსეთში გალაშქრება, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1210 წელს... მაშასადამე, «თამარიანი» 1210 წლის მახლობლად დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს“³.

ს. კაკაბაძის აზრით, ჩახრუხაძის „შესხმა მთლიანად დაწერილია დავით სოსლანის სიცოცხლეში“, ბიჯნისის ალების (1201 წლის) შემდეგ ბოლოსტიკეს ომამდე, „შესხმის დაწერის დასათარიღებლად მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, რომ კ. დვინს ჩახრუხაძე ჯერ კიდევ ათაბაგ აბუბაქრის ხელში გულისხმობს,

¹ კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, II, 1924, გვ. 151—153.

² К. Кекелидзе, Конспект. курс истории др. груз. литературы, 1939, стр. 70—71.

³ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, II, 1951, გვ. 171—172.

ხოლო 1203 წ. კი დვინი დაიკავეს ქართველებმა. ამის მიხედვით ირკვევა თარიღიც, როდესაც ჩახრუხადის შესხმა უნდა იყოს დაწერილი, სახელდობრ 1201 წლის შემდეგ, მაგრამ 1203 წელზე ადრე ანუ დაახლოებით 1201—1202 წლებში—წერს ს. კაკაბაძე „თამარიანის“ წინასიტყვაობაში¹.

დასასრულ, „თამარიანის“ დაწერის თარიღის შესახებ მოსაზრება გამოთქვა ა. ბარამიძემ. იგი წერს: „«თამარიანის» ცალკეული ხოტბები სხვადასხვა დროს იწერებოდა სხვადასხვა ისტორიული შემთხვევების გამო. ტექსტის გამომცემელმა აკად. ნ. მარმასაერთოდ სწორად მოხაზა ქრონოლოგიის საკითხები“... „ჩახრუხადის ხოტბები შეთხზულია 1187—1207 წლების განმავლობაში“².

ამგვარად, ვინც კი „თამარიანის“ დაწერის თარიღის შესახებ რაიმე მოსაზრება გამოთქვა, ყველა მათგანმა ცალკე პოზიცია დაიჭირა. ეს აზრთა სხვადასხვაობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამოწვეულია იმ სხვადასხვა მოსაზრების გამო, რომელიც გამოთქმული აქვთ მკვლევარ-ისტორიკოსებს „თამარიანის“ სტრუქტურისა და კომპოზიციის შესახებ. ჩვენ ამ ნაშრომის მეორე თავში გავარკვევთ, რომ „თამარიანი“ შედგება კომპოზიციურად ერთ მთლიანობაში მოცემული სახოტბო ლექსებისაგან. მაშასადამე, როდესაც „თამარიანის“ დაწერის თარიღზე ვმსჯელობთ, უნდა გაეწიოს ანგარიში იმ გარემოებას, რომ ეს თხზულება ერთდროულადაა გააზრებული და ერთდროულადაც დაწერილი ისევე, როგორც მისი ეპოქის მეორე დიდი პოეტის—იოანე შავთელის თხზულება—ე. წ. „აბდულმესიანი“. გარდა ამისა, მკვლევარმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვოს ის ისტორიული რეალიები, რომელიც დაცულია „თამარიანის“ ტექსტში. მართალია, ჩახრუხადე, როგორც პოეტი, თავის მსოფლმხედველობას და ესთეტიკურ შეხედულებას მხატვრულ სახეებში იძლევა და ერთი წუთითაც არ ცდილობს, რომ მან ძველი ქართველი ჟამთააღმწერლების მსგავსად თამარ მეფის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და ცხოვრების გზა ისტორიული თანმიმდევრობითა და სიზუსტით მოგვითხროს, მაგრამ ის ისტორიული ფაქტები, რომელთა ამოკითხვაც

¹ შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1927, წინასიტყვაობა, გვ. LXXIII—LXXV; ჩახრუხადე, «თამარიანი», 1937, წინასიტყვაობა.

² ა. ბარამიძე, ნარკვევები, III, გვ. 267—268; ა. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტორია, I, 1954, გვ. 252—253.

შესაძლებელია „თამარიანის“ ტექსტიდან, რასაკვირველია, დიდად გვეხმარება ამ გენიალური თხზულების წარმოშობის გარემოსა და მისი დაწერის თარიღის ზედმიწევნით განსაზღვრაში. ამიტომ ძეგლის დათარიღების საკითხს სწორედ ასეთი ისტორიული რეალების ანალიზით გავარკვევთ.

ამთავითვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: „თამარიანი“ დაწერილია თამარ მეფისა და დავით სოსლანის სიცოცხლეში მაშინ, როდესაც ქართველმა ხალხმა კულტურული, ეკონომიური და სამხედრო სიძლიერის ზენიტს მიაღწია. ეს იმდენად ცხადი დებულებაა, რომ ჩვენ მის დასამტკიცებლად საჭირო ამონაწერების მოშველიებას არც კი ვფიქრობთ¹. ისტორიიდან ვიცით, რომ დავით სოსლანი გარდაიცვალა 1207 წელს. მაშასადამე, „თამარიანი“ 1207 წლის შემდეგ შეუძლებელია დაწერილიყო.

რაც შეეხება „თამარიანის“ დაწერის არაუადრეს თარიღს, მისი დადგენაც იოლად ხერხდება თხზულებაში გაბნეული ისტორიული რეალების საშუალებით.

„თამარიანის“ პირველ ოღაში მოთხრობილია რუქნადინის გამოლაშქრება საქართველოზე და მისი სამარცხვინო დამარცხება, რომელიც მართლაც დადასტურებულია საქართველოს ისტორიიდან XIII საუკუნის მემათიანეთა ცნობებით. მართალია, „თამარიანში“ რუქნადინის სახელს არსად არ ვხვდებით, მაგრამ პირველ ოღაში (ტაბებები № 33 — 44, 49 — 60) აღწერილი ამბავი უდაოდ რუქნადინისა და ქართველი მეომრების ბრძოლის ისტორიას გულისხმობს. ამის საუცხოოდ დადასტურებას წარმოადგენს თამარის ისტორიკოსების მონათხრობისა და ჩახრუხადის ლექსის შინაარსობლივი და ზოგიერთ შემთხვევაში დეტალური დამთხვევა.

ჩახრუხადე წერს:

„გამოჩნდა ზვაი“ (რუქნადინი), რომელსაც თავი დაუმარცხებელი ეგონა და განძინებული მხეცივით მიწას ბრდღვნიდა, იმუქრებოდა ჩვენს წინააღმდეგ. მას აღმოსავლეთში მშიშარა ხალხი დაუტყვევებინა და „მათსა ძლევასა და აწ რჩევასა გაეამაყნეს ალაღებულად“. ქ. მოსულში მოსული რუქნადინი იკვებნიდა: საქართველოს სულ მალე მოვაოზრებ და სარწმუნობისაგან გამდგარ ქართველებს ნახავთ გაკიცხულადო. ეს ამბავი თამარმა

¹ მ. მახათაძე უსაფუძვლოდ ამტკიცებს, თითქოს „თამარიანის“ ზოგიერთი ოდა დაწერილია თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ (იხ. მისი—«ვეფხისტყაოსნისა» და «თამარიანის» ურთიერთობისათვის: ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, 1948, გვ. 175 — 197).

რომ გაიგო, უშფოთველად და სიბრძნით შეუდგა საომარ სამზადისს. მთავრები მოიწვია თავისთან და უთხრა: ურწმუნოთა წინააღმდეგ ხმალ-დანხალ კაბრძოლველად გამხნევდით და ქრისტიანული სჯულისათვის თავი დადეთ „სისხლ-წამებულად“. „დაასკვნეს ომი“. მთავარსარდლობა ჩააბარეს დავით სოსლანს და გაემართნენ მტრის შესახვედრად. ქართველებმა მტერს არ აცალეს შემოტევა, ისინი პირველად დაესხნენ თავს:

მოუჯდეს ზედა რა ზედი-ზედა
ცხენს ლომი მელებრ დაჯაბნებულად,
მართ ვითა ნახეს, მით ივაგლახეს,
თავი მცდრადა ქმნეს, ცნობა-ვნებულად,
მათგანვე ივენეს, მით განიბნივენეს,
განდრკეს მეოტნი განრიდებულად;
თანა-მეყოფნი წარვიდეს მსრბოლნი,
შეიქმნა შიში ხარ-აღებულად.

მან იქალაქა. აღსრულდა აქა
შენით აღთქმული თვით ქადებულად.
თქვენგანმან ოცმან, ბევრისა მვოცმან,
სძლო მათთა სპათა დამეტებულად.
არ იცის ერთმან ათასი, ერთმან
მით წარიკცივნა მიდევნებულად.
მოჰმადის ტომნი უკრავ-უომნი
მოსრნეს, მოსწყვიდნეს განქიქებულად.

აღივსნეს ტყვითა, ლარ-პირუტყვითა,
არ დარჩა კაცი არ შოებულად.
ეზინკას მფლობი, არ შენაფლობი
სეგორს დამქცევად ჰგავს შესწრებულად.
უარ-ყვეს თნებით: „არ მოვეთ ნებით,
ვიყავთ უნებლიე მო[ცთუ]ნებულად“.
გვესმინა, სითგან იქმნეს დღესითგან
მოჰმადიანნი მოყვანებულად.

იგივე ამბავი მოთხრობილია თამარ მეფის მატრიანებში. საის-ტორიო თხზულებაში, რომლის სათაურია „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, ვკითხულობთ:

„იხილნა რა [რუქნადინ] ფრიადი იგი სიმრავლე [სპისა თვისისაჲ] შეკრებულად, რომელი ზეშთა იყო რიცხვისა, აღზუანა გულითა, მსგავსად სენაქერემისა, და აღმადლდა ღმრთისა ზედა, და არა შეიშინა პირველთა მათ მზაკუვართა ფიცთაგან და სიყვარულისა აღთქვმათა, არამედ ფრიად წინა-უკუმო განმზადა თავი თუსი და მოიწია ქალაქად სევასტიად, და იწყო მუნ განმზადებად საომართა მანქანათა“. იქიდან თამარს რუქნადინმა მუქარა შემოუთვალა: დამნებდი უბრძოლველად, თორემ შენს ქვეყანას მოვაოხრებ და ვაიძულებ ქართველებს, რომ ქრისტეს რჯული დაგმონ და „გელითა თუსითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯვარისა“.

თამარ მეფემ რუქნადინს საკადრისი პასუხი მისწერა, ხოლო მერმე „უბრძანა თვსთა სპათა ყოველთა შესხდომა“ ცხენებზე და საბრძოლველად გამზადება. მან მოიწვია „წინაშე თვსთა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა: რათა თვთოეული მათი მოვიდოდის წინაშე წმიდისა ჯუარისა და თაყუანის ცემდენ და შეემთხუოდინან“. ფიცის შემდეგ ქართველი მეომრები ამხედრდნენ და დავით სოსლანის მეთაურობით მტრის შესახებ ვედრად გაემგზავრნენ.

რუქნადინი დაბანაკებული იყო „ადგილსა ბოლოსტიკედ წოდებულსა“. მისი ჯარი „ნებიერად მდგომარე იყუნეს და არაა უდგა დარაჯანი სულტანსა“. ქართველებმა ისარგებლეს ამ ვარემოებით და რუქნადინის ბანაკს მოულოდნელად დაესხნენ თავს. თავხარდაცემულმა სპარსელებმა სადგომები მიატოვეს და „სიმაგრეთა მიმართნეს, რამეთუ მიავლინა მათ ზედა ღმერთმან შიში დიდი. ხოლო ქრისტიანეთა იხილნეს რაა მათ წინაშე გაქცეულნი, მიეტევენს და არაა უტევენს წარსლვად, არამედ გარემოცვენს და [იქმნა ომი ფიცხელი და ძლიერი]“. დავით სოსლანმა დაინახა, რომ ბრძოლა გახანგრძლივდა, დასვენებული მეომრებით შეუტია მტერს. ქართველები „ვითარ მგელნი ცხოვართა, ეგრეთ შეუცვიდეს ურიცხუთა მათ სპათა სულტანისათა... და ნახდად ეგვოდენი იგი სიმრავლე განსქდა, იძლია და დაიფანტა; და ამას გვანდა თვალ-გადაუწოდომელი იგი ლაშქართა სიმრავლე, ვითა მალნარი მიწითურთ მოგლეჯილ იყო, და განქცეულ, და სადეთცა თუალი მისწუთებოდა, ყოველგან ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილებოდა ლტოლვილად“...

„ხოლო ქართუელთა იხილნეს რაა გაქცეულნი წინაშე მათსა მტერნი თვსნი, აღსხდეს ჰუნეთა მათთა და დევნა უყუეს, ცოცდეს, ჩამოყრიდეს და იპყრობდეს, და სიმრავლისაგან ვერ ივლტოდეს, არამედ ურთიერთარს და ისთრგუნვიდეს... უდიდესი მათი შეიკროდა უმცროსისა მიერ თვსისა, და უწარჩინებულესი მათი მოიყუანებოდა გამომბული ძუასა ცხენისასა, და ერთითა საბლითა ერთისა მიერ კაცისა შეიკუროდა ოცი, და თმითა გამოებმოდა ერთი-ერთსა, ყრმისა მიერ მცირისა უმჯობესნი მბრძოლთანი მოიყუანებოდეს, ვითარცა თიკანნი. გამოიძივნეს ყოველნი ადგილნი, და გაქცეულთა ცოცდეს, ხოლო ნეშტთა, ვითარცა მართუეთა ქათამთასა, მოჭკრედდეს, და გაუშვებდეს აურაცხელსა სიმრავლესა. რამეთუ ასსა სპარსსა ერთი ქრისტიანე ძლით მიხუდებოდა წარმომყუანელად...“

ხოლო ესე ყოველი რაა იქმნა, (მერმე) მოუქდეს ბარგსა მათსა, რამეთუ არა იყო განცდა და აღრიცხვა სიდიდეთა ოქროსა და ვეცხლისა ქურჭელთა, ნაქსოვთა სიმრავლე აურაცხელი, სასმურნი ოქროსანი, თვალმარგალიტოვანნი ლანკნები და პინაკები, ლაგინებისა და ქუხაბებისა თანა ყოველთურთ სავსეთა მიუწოდომელითა ალაფითა. ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემებისა სიმრავლე და კარავთა და საფენელთა [სიმრავლე] და ურიცხვება, რომელ დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს?...“

სულტნის წარჩინებულთაგან ქართველებმა ტყვედ აიყვანეს „ერზინკელი“ მფლობელი, რომელიც თბილისის ციხეში ჩააგდეს პატიმრად, შემდეგ კი ჯორის ნალის ფასად გაყიდეს (გვ. 26 — 29).

თამარის ანონიმი ისტორიკოსი და პოეტი ჩახრუხაძე ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად აღწერენ ერთსა და იმავე ისტორიულ ამბავს—ქართველი მეომრებისა და რუქნადინის ბრძოლების ისტორიას. ისინი ამ ბრძოლებიდან მოგვითხრობენ ისეთ ეპიზოდებს, რომელთაც ისტორიული ჭეშმარიტების დალი აზით. მკითხველი ამას მშვენივრად შენიშნავს მათი შინაარსობლივი შეპირისპირების დროს. აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი დეტალი: თამარის ანონიმი ისტორიკოსის ცნობით, რუქნადინს მოკავშირედ ჰყავდა „ერზინკელი“, რომელიც ქართველებს ტყვედ ჩავარდნიათ, თამარს იგი თბილისის ციხეში დაუმწყვდევია¹. ეს პიროვნება მოხსენებულია „თამარიანიში“:

ეზინკას მფლობი, არ შენაფლობი,
სეგორს დამქცევად ჰგავს შესწრებულად.

იმ საერთო საბრძოლო ეპიზოდებს გარდა, რომელთაც ჩახრუხაძისა და თამარის ანონიმი ისტორიკოსის თხზულებაში ვხვდებით, „ერზინკელის“ (თუ „ეზინკას მფლობის“) დასახელება საკმარისია იმის გასათვალისწინებლად, რომ ჩახრუხაძე I ოდაში გადმოგვცემს რუქნადინისა და მისი მოკავშირეების სამარცხვინოდ დამარცხების ისტორიას.

როგორც ვიცით ისტორიიდან, ქართველების ბრძოლა დავითის მეთაურობით რუქნადინის წინააღმდეგ მოხდა 1205 წელს „ადგილსა ბოლოსტიკედ წოდებულსა“. მაშასადამე, როდესაც „თამარიანი“ იწერებოდა, ეს ისტორიული ბრძოლა უკვე მომხდარ ფაქტს წარმოადგენდა. სრულიად ადგილი მოსალოდნელია, რომ ჩახრუხაძე (ისევე როგორც თამარის ანონიმი ისტორიკოსი) ამ ბრძოლების თვითმხილველი და მონაწილე ყოფილიყო, რადგანაც იგი ამბავს გვიყვება ისეთი წვრილმანის ცოდნით, რომელიც გვიანდელ მწერალს შეიძლება გამოჩენოდა, ან არ სცოდნოდა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, ჩახრუხაძე იხსენებს, აგრეთვე, ქართველთა ლაშქრობას აბუბაქრის წინააღმდეგ, რომელიც ცნობილია შამქორის ომის სახელწოდებით და რომელსაც ადგილი ჰქონდა 1195 წელს.

როდესაც „თამარიანი“ იწერებოდა ქართველებს დვინიც აღებული ჰქონიათ. ირკვევა, რომ დვინის ალების დროს მათ ქალაქის თავი შეუპყრიათ და ამბერდში წაუყვანიათ. ჩახრუხაძე ამ ფაქტს ასე იუწყება:

¹ ბასიანის ომში „ერზინკელის“ ტყვედ აყვანას ადასტურებს ლაშა გიორგისდროინდელი მემატიანეც (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 368).

მიუშვნოდეს, მიუშვენ ოდეს
ამბერდად, რა ვთქვენ, დვინის მეზარე (V, 24).

როგორც ცნობილია, დვინი ქართველებმა აიღეს 1203 წელს. რასაკვირველია, ამ ისტორიულ რეალიებსაც „თამარიანის“ არაუადრესი თარიღის დასადგენად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათ შორის საყურადღებოა VII ოდის ერთი ისტორიული რეალიაც, რომელიც მკვლევართაგან დღემდე შეუნიშნავია. ჩახრუხადე ამ ოდაში ყურადღებას ამახვილებს იმ ლაშქრობაზეც, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1204 — 1205 წლებში ხლათის სულტნის წინააღმდეგ. იბნ-ალასირის ცნობით, 1204 — 1205 წლებში ქართველებმა ჯერ დალაშქრეს ადარბადაგანი, მერმე ხლათის სულტანს ურჩობისა და ორგულობისათვის საკადრისი პასუხი გასცეს, ხოლო შემდეგ მანასკერტამდე გადაშლილი ტერიტორია მოარბიეს. „თამარიანში“ ამ ისტორიული ლაშქრობის ანარეკლი მოცემულია ამგვარად:

ლომთა თავად, თქმული ავად,
სხვამცა ვინა ჩანს ხლათს ნამარხევად (VII, 32).

აქედან ირკვევა, რომ როდესაც „თამარიანი“ იწერებოდა, ქართველებს ხლათელების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების პირველი ტური უკვე მოთავებული ჰქონიათ.

ამრიგად „თამარიანის“ დაწერის თარიღია 1205 — 1207 წლების შუალედი, ე. ი. დროის ის მონაკვეთი, რომელიც გაგვაჩინია რუქნადინისა და ხლათელთა წინააღმდეგ ლაშქრობიდან ვიდრე დავით სოსლანის გარდაცვალებამდე. ამ თარიღის უფრო დაზუსტებაც შეიძლება:

ჩვენი აზრით, „თამარიანის“ დაწერა დაკავშირებული უნდა იყოს ბასიანის ომში ქართველთა ძლევამოსილ გამარჯვებასთან. ქართველმა ხალხმა, თანარ მეფისა და დავით სოსლანის ხელმძღვანელობით, 1205 წელს ბასიანში რუქნადინის სახით დაამარცხეს საქრისტიანო საქართველოს ერთ-ერთი დაუძინებელი მტერი, რომელიც ქართველ ხალხს ფიზიკური და სულიერი განადგურებით ემუქრებოდა. ამ გამარჯვების შემდეგ საქართველოს სამეფომ დიდი ავტორიტეტი მოიპოვა ახლო აღმოსავლეთში, მან ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოს სახელი მოიხვეჭა. ცნობილია, რომ თურქთა მიერ შევიწროებული ჯვაროსნები საქართველოდან ელოდნენ დახმარებას.

ბასიანის ომმა სათანადო გამოძახილი პოვა ქართულ მწერლობაში. თამარის ისტორიკოსები დიდი აღფრთოვანებით აღწერენ ამ ომს. რუქნადინის დამარცხების ისტორიას მოგვითხრობს, აგრეთვე, პოეტი ჩახრუხაძე. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ „თამარიანი“ ბასიანის ბრძოლების აღწერით იწყება. როგორც პირველი ოდიდან ირკვევა, ჩახრუხაძე ამ ომის მონაწილეც ყოფილა და, ცხადია, მას ქართველ ხალხთან ერთად მონაწილეობა უნდა მიეღო იმ ეროვნულ ზეიმში, რომელიც მოაწყო თამარ მეფემ რუქნადინზე გამარჯვების აღსანიშნავად. ამიტომ ჭეშმარიტებასთან ახლოს ვიქნებით, თუ დავასკვნით, რომ „თამარიანი“ დაიწერა ბასიანის ომში გამარჯვებულ ქართველთა საზეიმო განწყობილების შედეგად 1205 — 1206 წლებში.

ქება მეფისა თამარისი

(ტექსტი)

ქება მეფისა თამარისი

[შესავალი]

1. 1. მო, ფილოსოფნო, სიტყვითა არსნო,
თამარს ვაქებდეთ გულისჯმიერსა!
2. დიონოსითგან, ვით ენოსითგან
სრულნი ქებანი ამძლეთ ძლიერსა!
3. სოგრატ სიბრძნითა, სარამა გრძნითა
ვიუვნეთ, ვერა ვიქით საწადიერსა;
4. უპიროს, ჰლატონ სიტყვა დამატონ,
თვით ვერა მისვდენ შესატყვიერსა.

2. 5. არისტოტელო, ბრძენთა ტომელო,
თუ არა შესძლებ ენა-ძლიერსა,
6. ათინას თქმულა, სიღრმით დანთქმულა:
ვერავინ სრულ-ჰყოფს მას მეცნიერსა,
7. გულისჯმის-უოფად, გონება-უოფად
მისთანისათვის მაძებნიერსა;
8. ვინ გული ესე სიბრძნითა სთესე,
ანუ ვის ძალ-უმს შენგან მიერსა?

3. 9. გელ-გჰყოფ კადრებად, ქებად დარებად,
მჯვრეტთა ვაუწყო გონებიერსა:
10. დაწვი მწეაზარი — ა, მულლაზარი,
უგავს ელობა კრონოს ციერსა.
11. ნაელვებითა, მზისა ვნებითა
ცისკროვნად ვხედავ შუქ-მოსიერსა.
12. აჰა, მზიანად, მიზეზიანად
მთვარესა გაჰჭდი უნათლიერსა.

I

4. 1. ვინ ჩნდა ეკმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ მთქმელი მისთა მთქმებულად
 2. თუ ვერვინ გნასის, მით ივაგლასის,
შეიქმნებოდის განცვიფრებულად;
 3. ვერ მრავლებისა გატევრებისა,
თამარ, შენ გიცნობ განცსადებულად!
 4. ჩვენ ვთქვით: „ეს რად ჰგავ? — სეციერად ჰგავ
შვიდთა მნათობთა დაშვენებულად“.
5. 5. მოუბარისა მის მდულარისა
დილარგეთისგან აღმოფოთებულად
 6. ბროლისა ველსა, თვალ-უწდომელსა,
ინდონი ევენეს დამონებულად.
 7. შუქნი კრთებიან, ემუქფებიან,
ზუალ იჩინებს დაქადებულად.
 8. გულისა ნებო, მზეო, ინებო,
თამარ ჩანს შენად რუსსა მკლებულად.
6. 9. თუ მოვანება გწადდეს, თუ ნება,
ვისგან უფრო აქვს დამეტებულად,
 10. ვის მოწეული, ვარდ-გაწეული
ღაწვი უმწეაზრობს განბრწეინებულად
 11. ვინ ჩნდეს სამუაროს, ალვა აუაროს,
ან თამარ ჩნდების განმთავრებულად,
 12. შემურნეობდეს, რად მიმეკანობდეს,
რომე ვინ იუოს მოძორვებულად.
7. 13. ლერწამ ტანისა, საროსა ხისა
მიმსგავსებულ სარ განკვირვებულად!
 14. თავსა კლვად სდებდეს, სვეჭით ემებდეს
შენსა ნახვასა მიახლებულად;

15. ვინა შვენებდენ, სულთ აშენებდენ,
სამონოდ მოგცენ ერთი-უფლებულად.
16. ბნელი თუ უყო, ელვა განუყო,
მაძინც არ ითქმი დაბნელებულად.
8. 17. მე თუ ვსტირ ოდე, ვისლა ვსტიროდე,
თუ არ შენ გჯვრეტდე დადუმებულად?
18. დავით ძენე, ბრძენი, რომლისა ზენი
ვდად-ჰყოფენ ზესთა წარჩინებულად,
19. ისრვის ისარსა, — ვიტყვი: „ის არსა
ეფრემის პირთა აღმორჩებულად,
20. ვინ ვრძლითა ბადრობს, უძიმ-უკადრობს
მტერთა სრვისათვის აღმართებულად“.
9. 21. რომლისა მემან, უბინდოდ მზემან,
ლაშა-ეე გიმზო წარმართებულად, —
22. ვიტყვი: „მას მზესა! ვინ განუწესა
ღმერთსა ღმრთისაებრ შეეკარებულად,
23. მესა სანდომსა, ვასტანგის ტომსა,
რომელ ენატრა მისად სწრებულად,
24. ვითა იწადა, რა დაიბადა
სპარსთა სიმაღლე და-ცა-ღებულად?“
10. 25. მით ლხინი თქვენი იევეს სამშვენი
ალაბს და მუძოვს დასულტნებულად;
26. მოწონეს თავი, ცნეს მათი ნავი
მაძინ დანთქმისა მიახლებულად;
27. სწრაფით მოსარკე იქმნეს მოსარკე,
თავის მმონები მით შეძლებულად.
28. თვით აძან დავით ქმნა, უნდოდა ვით,
ურჩ-ქმნილთა მებნად მოწოდებულად.

11. 29. უარუემს და არანს, მით ზედა არანს
როსტომ ებრძოდა თვით შეძლებულად.
30. უოვლითვე მჯობენ სძლო დიდად მჯობენ,
ვინ ჩნდეს მას თემსა განმთავრებულად.
31. სხვაცა ჩანს მათი მარაჲანდ-მნათი.
მისგან ნაოტი დამონებულად.
32. მონებენ ზღვანი, სიტუვაცა-მავნი:
არვინ ჩნდა თქვენად ასწორებულად.
12. 33. გამოჩნდა ზვაჲი, მძლედ ჰქონდა თავი,
იბრდღვენდა მვეცებრ განძვინებულად.
34. მდღდრნი და ცუდნი, ძალ-შეუზღუდნი
კაცნი რომე ეგნეს დატუჲეჲებულად,
35. მათსა ძლეჲასა და აწ რჩეჲასა
გაეამაუნეს ალაღებულად.
36. უთხარ მთავართა ესე: „ჰავართა
მათ ზედა განმწნდენ გასაჯრმლებულად!“
13. 37. ურიცხვი ერი, მოუმე და ბერი
წამო-ცა-ვიდეს ამქედრებულად.
38. არ ზარ-მოსულსა ეთქვა მოსულსა
„ქათარსა ნახავთ გაბასრებულად!“
39. იტუოდა: „ვჰკადრე, მე შევქმენ ადრე
მათი ქვეჲანა მოოჯრებულად“.
40. რა გესმა მშვიდსა, საქმესა შვიდსა
გელ-ჰუაჲ სიბრძნითა არ შფოთებულად.
14. 41. უბრძანე სჰათა: „ლხინად ვლი სჯათა,
რომლისაგან ვჩანთ ნათელ-ღებულად!“
42. განამწენ მწენნი, თავის კლჲად მთენნი,
თქვენთა სჯულთათვის სისხლ-წამებულად.

43. დასკვნეს ომი. წაუძღვა ღომი
დავით დავითის მიბაძვებულად,
44. მწნედ და სვიანად, აგარიანად;
არა განრისხდა გაზი ვსებულად.
15. 45. ელნი ელნობდეს, ვინ სოგრატ ბრძნობდეს,
იგია მისთვის შემსგავსებულად;
46. გინა უძიროს, გულსა უგძიროს,
ვის ძალ-აქვს ცნობა განმარტებულად,
47. ანუ ენოსა. მე უენოსა
რად ვინ მაბრალებს ვთქვა დაკლებულად?
48. მათ რომე წიგნნი გასცნეს ჟამისნი,
მცნობნი მით იქმნენ განცვიფრებულად.
16. 49. მოუგდეს ზედა, რა ზედი-ზედა
ცხენს ღომი მელებრ დაჯაბნებულად,
50. მართ ვითა ნასეს, მით ივაგლასეს,
თავი მცდრადა ქმნეს, ცნობა-ვნებულად.
51. მათგანვე ივნეს, მით განიბნივნეს,
განდრკეს მეოტნი განრიდებულად;
52. თანა-მეყოფნი წარვიდეს მსრბოლნი,
შეიქმნა შიში ზარ-აღებულად.
17. 53. მან იქალაქა. აღსრულდა აქა
შენით აღთქმული თვით ქადებულად.
54. თქვენგანმან ოცმან, ბევრისა მკოცმან,
სძლო მათთა სპათა დამეტებულად.
55. არ იცის ერთმან ათასი, ერთმან
მით წარიტცივნა მიდევნებულად.
56. მოჰმადის ტომნი უკრავ-უომნი
მოსრნეს, მოსწუვიდნეს განქიქებულად.

18. 57. აღივსნეს ტევითა, ლარ-პირუტყვითა,
არ დარჩა კაცი არ შოებულად.
58. ეზინკას მფლობი, არ შენაფლობი,
სეგორს დამქცევად ჰგავს შესწრებულად.
59. უარ-უვეს თნებით: „არ მოვეთ ნებით,
ვიუავთ უნებლივ მო[ცთუ]ნებულად“.
60. გვესმინა, სითგან იქმნეს დღესითგან
მოჰმადიანნი მოუვანებულად,
19. 61. ჩვენ, ერნი შენნი, შენ მიერ შენნი,
ერთ-ჯმობით ვიტყვით განმარტებულად:
62. „რა არს-ქმნა იუოს, ვირე თვით იუოს,
ღმერთმან თქვენცა გვენეს მითურთ გებულად“.
63. საულს მეფობა ართო, მეფობა
დავითს მიჰმადლა შეფიცებულად.
64. შენგან იშვების, პირველ შიმვლდების
სამოთხესავე კვალად შვებულად.

II

20. 1. სიბრძნით ქმნა ღმერთმან, სამებით ერთმან,
ცა და ქვეუანა — არს მეცნიარი! —
2. მნათობთა დასი, სხვა ბევრ-ათასი
ჰაერი, ეტლი, ქართა მქნიარი.
3. დასდვა ბრძანება და ამცნო მცნება
თვისად და თვისად შესაშინარი:
4. „აღრაცხენ ტომნი მცთომნი, უმცთომნი,
უსიტყვ-მოსიტყვნი და მოუბნარი!“
21. 5. თამარ! შენ გიძნობ, ასულად გიცნობ:
მზე დაუვალი, შუქ-მომფინარი!
6. მხიარულ იქმენ! ნაქმარი გიქენ,
გესმნეს ნატიფნი და მშვიდი, წუნარი,

7. ელვა-ეთერი და სიტყვიერი,
 დარმანის ველი, ედემს მალნარი;
8. არს ცნობათ მოთსე, ვითა სამოთსე,
 წელად წუალი მრწეველი, მუნვე მდინარი.
22. 9. სიუსვით ზღვებრი, სიმაღლით ცებრი,
 მდაბლად მოწუაღე, ჭვრეტად ნარნარი,
 10. მძლეუთა მძლეველი, თვით უძლეველი,
 კედრით კედრამდის მძლედ სასმენარი —
 11. ასეთი ესე არს ეს მოწესე,
 ჯვართაცა, ღმერთო, არ მომთმინარი.
 12. დიდსა მსაჯულსა ამტკიცებს სჯულსა,
 ღმერთმან მით მოგვცა მისი საქნარი.
23. 13. კაცები გმონებს და გიპატრონებს
 ვეფსთა კლდოვანი, ლომთა შამბნარი,
 14. არსნი მზედ გკმობენ, შვიდნი გამკობენ,
 ვინცა შეგცოდა თავის საქნარი.
 15. ვერ მიგწოდენ ქებად — სხდენ თვითვე ვნებად! —
 ზლატონის ენა, დავითის ქნარი.
 16.

III

24. 1. თამარ წუნარი, შესაწუნარი,
 ვმა-ნარნარი, ჰირ-მცინარი,
 2. მზე-მცინარი, საჩინარი,
 წუალი მქნარი, მომდინარი.
 3. მისთვის ქნარი რა არს? — ქნარი
 არსით მთქნარი, უჩინარი.
 4. ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი,
 ღაწე-მწყაზარი, მუქ-მფინარი.

IV

25. 1. ვინ არს ებანი? ვინ არსე ბანი,
არა არს სათნი სასელოვნებად!
2. მან ცათა მარის, მანცა თამარის
გან მზე აბნელა მაცისკროვნებად?
3. ადამეთ ერთა ადამ ეთერთა
დასახა სასებრ მსგავსი ჰოვნებად.
4. არსა ღალადი: „რად არს-ლა ღადი
მზე შენგან მრთმევად უეტლოვნებად?!“
26. 5. შენ არე მთენი! შენ არე მთენი
არ გგვანდეს შუქთა ჰაეროვნებად!
6. არა თუ სევსი, არათ უსევსი,
არ, შენ სარ მნათი დაუოვნებად!
7. მის მიერ მისად მისში ერმისად,
სსვათა მნათობთა მართ ბინდ მქდოვნებად.
8. არს ასულ-ტანი — არსა სულტანი
არა თუ შინა სამაროვნებად,
27. 9. არამედ გარე, არა მედგარე
თვით და სალითას გამკიცსოვნებად.
10. მეტევის მით ენოს, მეტევის: „მითენოს
წუგდიად, რომელ ჩანს ვარდი თოვნებად.
11. არ აქა, მანდა, არ აქამანდა
არა ნარგისთა შამბი მოვნებად“.
12. ეგე ნათელი! ეგე ნათელი
რა ნახოს, მხესა აქვს ბნელოვნებად.
28. 13. შენსა სადარსა! შენსა სადარსა
ვერა ვსჭვრეტ ცხადად და ნავსოვნებად!

14. თქვენა ზენათა, მზეო ზენათა,
თუმც ა მზე ეთერს ნამტკიცოვნებად...

15.

.

16.

.

V

29. 1.

.

2.

.

3. მაგრამ კალ, იბი, რადგან კალიბი
შენთა შუქთა სძლევეს შუქ-მტაცებარე.

4. ვინ ნახა სადა, ნახასად სად ა
შენებრ ნათელთა ბნელი მცებარე?

30. 5. ანუ ვის ესმის, ან უვის ეს მის
და არა იქმნეს განცვიფრებარე?

6. მჭვრეტნი ვიტყვითა, მჭვრეტნი ვიტყვითა:
„ანუ თუ სიზმრად მაცებარე!“

7. ანუ ცნა ურად, ან უცნაურად
სოფლისა წუალთა დამშვენებარე,

8. რადგანცა დასვალ, რადგან ცად ასვალ
ზუალი, ეტლი, მთვარე მცებარე.

31. 9. რომელ ვანება, რომ ელვანება
შენ ოდენ გქონდეს მაცისკრებარე!

10. არა გეთნია, არ აგეთნია
მნათობნი, მით ვცნენ დამბნელებარე.

11. მანა თოვლითა, მანა თოვლითა.
დაწე-მუღღაზარობს გამოძღებარე.
12. ვინა ტრეღია? ვინატრე, დია,
მე ღმრთისა შენდა მწედ მწოდებარე.
32. 13. ვის აქეს შენებრი და მამშვენებრი
ქცევა, გონება, სული მწლფებარე?
14. ვინ ანისად ა? ვინანი, სადა
მისთა მოუძეთა მარცხო მზღებარე.
15. წუსად ანელმან რა თქვას ან ელმან
დღეს მუსულმანთა მოსათნებარე? —
16. აგარის ერთა საღმობიერთა
სხვამცა ვინ იყო სრვად შემძღებარე?
33. 17. არ მით ავნებდა, არმით ავნებდა,
რომე ჩანს ლომებრ შემძახებარე;
18. ოს დიდმან დავით ოს დიდ მან დავით
ფარუს შემესრა წინამგებარე,
19. მანგლის ჰირითა მანგლის ჰირითა
ოდენ მუნით ეო მეოტებარე,
20. შენ მისნი ერნი! შენ მისნი ერნი
გარნისს მოგისხნა, მით გემქებარე.
34. 21. მამბთა ვით ისრი, შენგან ჩანს ნისრი
შენებასავე მრწოლად ებარე.
22. გამცრობს ერაკლე: სპარსთა ერ აკლე,
მოსრენ, მოსწევიდენ ანათებარე.
23. წაუღე რანი, წა, უღერანი
უელსა დაასხენ ჩამომდებარე.
24. მიუშვენოდეს, მიუშვენ ოდეს
ამბერდად, რა ვთქვენ, დვინის მებარე.

35. 25. თუღამე მთენი, თუ ღამე მთენი
 აქილოს ჰზოგნე, მამაკლე ბარე;
 26. ვინ ეფრემს თვისობს, სიმწნითა ისობს
 მბრძოლთა სისხლითა ვმელთა მღებარე.
 27. იგი ვარდ-გული, იგი ვარდ-გული,
 ხე ედემს რგული, ნაშენებარე.
 28. ჯავარ მოწუალე, ჯავარ მოწუალე,
 თურქთა მრისხანედ შემრისხებარე.
36. 29. აქა მან დავით აქამანდა ვით,
 სხვამცა ვინ ჰგვანდა მეთრე ბარე?
 30. ბერთა საჩვენი, ჭაბუკთა მლხენი,
 მმათა შვებისა მოუკლებარე,
 31. მეჯლისთა შინა, დიდებულთ შინა
 ლაძქართ სიუსვით მამთოვლებარე.
 32. ბევრჯელ ნაუოფად არსმცა ნაუოფად
 ღაძა თქვენ მიერ ნამორჩებარე.

VI

37. 1. ასაღო ჰირო, მძლეო ნოსრ ვითა, —
 ბრძენმან გასასა, ასურმა, ისო.
 2. მენეო და გმირო, ბობქარ ოსრვითა
 ითხრის მკოდებმან ფლასურმა ისო,
 3. ვად გაუქმირო მტერთა მოსრვითა,
 შენი თქვეს: „შამი, ა სურმა ისო“.
 4. ესრე ატირო გულსა მოკრვითა,
 ვრმალი მოფხვრისა ნასურმა ისო.

VII

38. 1. ფილოსოფოსნი დაწეებად მეოფნი,
გონება-ვრცელნი რიტორთა წვევად,
2. ელენთა შვილნი, ელადს სწავლილნი,
ენა-მხეობდეს სიტევათა რჩევად,
3. ფსალმუნთა მთქმენსა, შენსა სასმენსა
ათბალი ჰქონდეს ქნარ-სიტევა რევად,
4. ეგრეცა მსგავსად ვერ გმნობდეს გავსად,
ფერო ეთერსა ელვათა სრევად.
39. 5. თუ ვისცა ვუქი შენი ჳმა-მუქი,
ელვ ანუ მხევად, ანუ მთვარევად.
6. არა გაქეს ბნელი, ხარ სამებნელი
ხეჭვით და ნდომით შენამართევად.
7. მესმა ათენით: თქვენ გაათენით,
ცუდად გაიჭრნეს ღამეთა თევად
8. ზენით მნათობნი, ეტლთა მთიებნი,
არ მათად სჭვრეტენ მართ ნამათევად.
40. 9. იტყვიან ფიცით: „რაც ოდენ ვიცით
თქვენგან ნარბევთა სამუაროს რბევად.
10. ცისკრობს მოხედვა, მოკლის, მო, ხედვა
ალვისა მორჩთა რტოთა მორჩევად“.
11. ამჯედრდეს ოდეს, სხვა ვინღა რბოდეს
ნათლისა სხივთა დაუმაღევად?
12. გაბაონს ისო რა გნახა, ისო
ურჩთა გულებსა მახვილი ლევად.
41. 13. აჯა და ლოდნა! ამით ხედა ლოდნა
მის განმეგართა ელვათა ძევად.
14. უბრძანა აქარს: „გაქეს! რაცა აქ არს,
სათნოა ღმრთისა მით განრისხევად“.

15. რა ქმნა ის აჯა, ქოლვით ისაჯა
მუნ მოხვეჭითა სანმართა ზღვევად.
16. განატრო ჟღთა: უმძიმს ტროელთა
არ შენთვის მკვდარ-ქმნა ელენო სათნეკად.
42. 17. ივდითის მწუდარი არს შეიდგზის მცდარი,
რომე ჩანს შენგან არ მონაკვლევად.
18. სამტსონ ჰალატად ჩანს-ეე ღალატად,
თავი დალითას განაპარსევად.
19. დორიადარა რად ვთქვა შენ დარად,
ანუ დებორა გავლქველევად?
20. არ ჰქონდა ნება, არცა შენება
ნათელთა შენთა დასამსგავსევად.
43. 21. იყო ეთერი, მაგრა ეთერი
არა ჰევა მანცა სულ-ნახუთევად.
22. რამინს უშენოდ სტკივის: უშენოდ
შერებოდა ვისის ნამიჯნურევად.
23. ოსან ოს რეტი არს შენამჭვრეტი,
გმო თავის ბედი, თმო ნატანჯევად.
24. სალას სალმობად უჩნს-ეე დალმობად
სხვათათვის სელ-ქმნა ღსინ-უნახევად.
44. 25. უგავს შატბიერს, გულად ლაუბიერს,
ანალათისა რად დაშვრა ძევად?
26. და სტირს კაენის—ეს, ვით კაენის
ძმის მკვლელობისა დანაბრაღევად.
27. ამან თავი რად, მართ აზავირად,
შექმნა ლეილის ნამიჯნურევად;
28. ნებით რად არა შენ გემუდარა,
ანუ სამონოდ მოგმართა ძღევად?

45. 29. წყალთა არსთასა, ძალთა სძარსთასა
 უძლოდ გიტყვიან, არ შეუძლევად:
 30. ვათად დაგესხნეს, ქმრად რომე გესხნეს,
 აწ ძვალთა მათთა გაუჭდეს რევეად;
 31. ერანს მფლობელი, შეუფლობელი
 ბობქარ გასადე ნაცარ-ნასხმევად,
 32. ლომთა თავადად, თქმული ავადად
 სხვამცა ვინა ჩანს სლათს ნამარხევად.
46. 33. ვიცით შარვანით, მეოფი არ ვანით,
 გაშას გასული ნაგაშასვევად,
 34. სხვანი მრავალნი, დაუთვალაენი
 მდომელ-ტრფიალნი შვებისა წვევად.
 35. უცხოთა მაგით, ჭვრეტითა შმაგით
 კალიბათა ჩან შეუსხევად,
 36. ფერით ამო მზე, გონებად მომზე,
 სწორ-უპოვარი წყალ-ჯავარ ქცევად.
47. 37. ლაღი მწუხარი, არად დამხარი,
 რაცა გამს ურჩთა გარდასაქდევად.
 38. ითქმი უღამო, ტკბილი და ამო
 მოწყალებისა ნაუფსკრულევად.
 39. სიბრძნითა სავსი, უოლ არ მოთავსი,
 ვინცა იპოვოს ნაორგულევად.
 40. არა მაგ ხნითა, არ ამა გზნითა
 მჭვრეტნი ვინ იყოს სხვა დაუწვევად?
48. 41. ი ცის კარებით იცინკარებით
 შენთა ბროლ-ვარდთა ზრო ნაფუნჩევად.
 42. დრუნგილის ფიცრად, მტკიცედ საფიცრად
 შენი თავი ჩანს შუბლ-ნაელევად.

43. ატევრებ თმითა, სულისა დგმითა
ანატრებ, გნასოს, ვინ განამ ლევად.
44. ნაუბიერ პირსა, მსე-დანამჭვირსა,
შვენის ნარგისთა განაცისკრევად.
49. 45. ა, გრძელობს ველი, დაუნაუელი
სული ვის შერჩა მახვილ-უკრევად.
46. თუ გიქო ტანი, მოწმობს სულტანი,
არ დამაინდების ცუდ-ნატორევად.
47. ეთერთა მთენნი თქვენგან ნარცსვენნი
შენვე გეძებენ ღონისა წვევად.
48. ლხინი ითხოვე, თვით რაღა ჰპოვე,
გაუშვენ ჩინნი ეტლ-წანაგვრევად.
50. 49. იტვეიან მნასნი, ჯმა-მაღლად მზასნი:
„იღვისოს ველსა ჰგავს ნაჯუფთევად“.
50. დაწვთა არესა შუქნი მთვარესა,
მელნისა ტბანი დგანან მორევად.
51. ჰე, ნახე სახე: მამბნარისა ხე
ინდოთა ცვად ეონ ნამუხთაღევად!
52. არ ძალ-მიძს ქება, მე დადუმება
მით აღვირჩიენ აღვირ-ნასხმევად.
51. 53. თუ მნობდეს ენოს, კვლავ დაიუენოს
პლატონ მუსიკი მწუობრ-მენასხმევად;
54. უგმნა უმიროს, სამფსონ და კვიროს
აწ შენთვის აღძრნა გამოსაკვლევად.
55. იპოვნენ მცდარად და ვერ მიძვდარად
შენის მსგავსების დასასახევად.
56. ნათელი უთქმან, შენვე დაგინთქმან,
თვალნი ვერ გსახვენ სხივ-შესადგმევად.

VIII

52. 1. ასრე მეწუალი, რომე თვალთაგან
ცრემლთა ნაკადი ღვარულად მოდის,
2. ვითა მოგუგდები, რომლის ჭირითა
მაგალითები აღარ ითქმოდის,
3. შენთა მოუშეთა რა ჰქმნან, რომელთა
დედა და მამა აღარა სმოდის? —
4. მუნ დაიგოცნეს, სადა სახელი
ქვეყანისადა არა ისმოდის.
53. 5. შენ გულსა ესე იმედად უთხარ:
„ვითამცა შორით კვლა მოვიდოდის“.
6. მადრიბსა დაუვნეს ჟამნი მრავალნი,
აჰვასს, მოსულსა ქვა-ოქრო ჰქონდის,
7. ანუ ხაზარეთს. ჩინთა და ხანთა
გზა მოემოკლოს, მოისწრაფოდის,
8. კონსტანტინპოლის ნაენი ააკენ,
ზღვა წენარად იევის, ტაროსი ჰქონდის.
54. 9. მობაღდადენი ბარდავს მოვიდეს,
მასხრობელი ჩვენთანა რბოდის;
10. ათი ათასი მარ-გაკვეთილი
ბიბი მოჰყვანდის, მოეზოდის.
11. აქლემთა ტურფათ შმიმედ ტვირთითა
მონა-მგველები წინა უძოდის.
12. შენ გაეგებო სურნელთა კმევად,
მუჯამრი გქონდის, ალვა იწოდის.
55. 13. მარა მარმარნი მკლავნი მოგხვეივნეს,
სიხარულითა სული იწოდის.
14. მას გაუშეთლდეს გული მოკლული,
აღარა ოდეს ლახვარს ისოდის.

15. ქაბასა მფლობი დიდი ემირი
მას შიგან მთხრებლსა თვისად ისმოდის,
16. მოჰმადის ვმობად, მიხვითად შესლვად,
თაუვანის-ცემად მას შიგან გცოდის.

IX

56.
 1. ვიცი, გეწუალი: დამნთქამს მე წუალი,
ნოეს ნაკადი, მოქცევი ღვარი.
 2. რაღა კვლავ მოუკვდე? თუ არა მოუკვდე,
ვაჲ, მაგალითო, მე ოდენ ვარი!
 3. ჩემსა მოუმესა, ლომთა მომძესა,
ვის არად უჩნდის სასლი და კარი,
 4. დამეტეს მქნელად: გაიჭრეს ველად,
სადგურად ჰქონდის ლომთა შამხნარი.

57.
 5. არვისად სწორად წავიდის შორად,
ინდოეთს იუვის მისი საზღვარი.
 6. ამოვლნის ინდნი, ხანნი და ჩინნი,
არარად უჩნდის მას მათი ზარი.
 7. ატლას მოჰუვის, ქვეუნანს მოსცვის,
არვისი ჰქონდის შესაპოვარი.
 8. საზარეთს დაჰუვის, რუსეთსაც გაჰუვის,
ზღვის ზირით ქროდის ტაროსთა ქარი.

58.
 9. წავიდის ვმელსა, იონთა ველსა,
მუნ, სადა მეფედ ზის კვისარი.
 10. მოვლნის ქალაქნი, ზღვისა ალაგნი,
სრულად ეგვიპტე, არაბთა მვარი.

11. ამანს მოვიდის, თავი იდიდის,
რა ჯამდის, მუნცა ქმნის იგ საქნარი.
12. მოიქცის გარე, მომებნის მთვარე,
შიშ-ჰაერ ჰირი, მნათობის დარი.
59. 13. მოჰყვანდის ქალი, საჩემო სმალი,
მორცხვი, მორიდი, ბრმნად მოუბარი.
14. მოვლის სპარსეთი, სხვა ქმნის ასეთი,
სულტანი ნახის ცათა მცთუნარი,
15. იგავნი უთსრნის, მეფენი უქნის,
მათადვე სწორად მათი ლაშქარი.
16. მოყვასთა წინად ჰირი ქმნის შინად,
ჩემთვის მოჰქონდის ვმელთა ავარი.
60. 17. ოქროსა სწონდის, ტურფები ჰქონდის
ფერად-ფერადი, მრავალი გვარი.
18. ჰყვანდის მოყმები, მონა-მკეველები,
თვალ-მარგალიტი, სურნელ-ამბარი.
19. ვერა შევიგნი, მოვიდის წიგნი, —
მო-გლახ-ველოდი! დამეცის ზარი,
20. დამტუდიან ცანი! — „კვლავ განველი ზღვანი“ —
დავრჩი უსულოდ, მართ ვითა მკვდარი.
61. 21. რა მას ვიგონებ, ვერას ვიწონებ,
ველთა გაჭრასა ოდენ მზა ვარი.
22.
23.
24.

X

62. 1. გემობ, თამარ, მზესა, უმზესად ზესა,
 მით რომელ უცხო ხარ სასილველი,
 2. უკლებლად სათნი გცისკრობენ ღაწვნი,
 გტურფობს მოსედვა, ბროლ-ვარდობს ეელი.
 3. გაქვს არსთა წუალი,— თვით მე გეწუალი,—
 მპვიდი და წრფელი მოსახვესელი.
 4. განცვიფრდეს არსნი, ვმა-მალლად მზახნი,
 ამას იტყვიან: „ჰე, საკვირველი!
63. 5. თუ არს მთოვარე, რად მზეობს არე?
 რად არა ოდეს შეიქმნა ბნელი?
 6. ანუ თუ ელობს, რად დანთქმა გვღვლობს,
 აწ მსწრათელ გვეწვეის შარავანდელი?“
 7. სამეარო სრული, ედემს ასრული
 ჩანს შვიდთა მნათთა მანათობელი.
 8. ვსნად ადამისად, ძექმნად ამისად
 უწოდა ღმერთმან, თვით აღძრა ველი.
64. 9. თუ არვინ იცის, მისებრ ვინ იცის
 მიწის ნაყოფი ეტლთა ამსლველი?
 10. ბნელთა მთენოსა გკადროთ ენოსა,
 ანუ უმიროს ეობადთა მცნელი.
 11. ანუ გთქვათ ისი: არს ბრძენთა თვისი,
 ასკილიპოსებრ გონება-ვრცელი!
 12. არ გგვანდეს დარი, სოსრო დადარი,
 საამ-აქილეუ, დებორა ქველი!
65. 13. არცხვენ მოზეთა, მოსამომზღვრეთა
 ღმრთად ზევსის ნაქესთა ვიეთთა მთხვეელი.
 14. მათ თუ ოცნებით, მენ ღმრთისა ცნებით
 ითქმი საწადად უოველთა მთქმელი:

15. დადირთა მთოვნი, შენებრთა მცტოვნი
და მუსულმანთა სიმართლით მსრველი,
16. ურჩთა კლვად მკოდი, სულტანთა მკოდი,
ხალიფას სვისა ჯავართა მშლელი.
66. 17. ბობქარ რადა რბის?—დასდვას, დვინსა რბის,
ოდესმე ლხინთა საზღვარი ბნელი.
18. სხვათა მძლეუართა, ხარკთა მძლეუართა
ზედა სხვა შიში ჰმატს საშინელი,
19. რომელ დღეს ტაოს მოემატა ოს,
ისპირს და შარვანს მოვლათა მხელი.
20. მათ გულსა აღმით, მით გაგიაღმით
ქოსთავე თანა სანიჭ-სამღვინელი.
67. 21. არს ლხინთა შთმობი, მართ ვითა მგომობი,
ეფრემის ძირთა ისართა მთლელი.
22. თუ ქებად თქვენად ბრძნად ქმნეს მათ ენა
გამომეტყველებრ, რიტორებრ მთქმელი
23. ბრძნად მაქებართა ვჭვრეტ მქიქებართა:
„მა-შამსსა ჰგავსო“ — მით გმნობდეს ელი,
24. ანუ რა განახოს, რასა გასახოს
ნათლისგან კიდე სხივ-განსაცდელი?
68. 25. იტყვის: „მწვაეს მე ხებრ, მე მცქათრობს მეხებრ.
დავით ძლიერი, მკნე, უძლეველი“
26. წყნარი და მკრძალი, მოუბეთა ძალი,
მეფეთა სკინტრა-პარფირთა მცმელი“.
27. თქვენი თქვა რიტოს: „ჯმა ეოს, ვინ სჭვრიტოს:
აქვსმცა სუფევად ათასი წელი!“
28. სამებად ქსული საუფლო სული
მისთვის მოგბერა, არს თქვენი მცველი!

XI

69. 1.
 2.
 3. მაძა, მესელი, მაძა, მეველი,
 მით ვამგებლობდე, და-ცა-ვსცე ნალი!
 4. ვინ აშენ ებრად, ვინ ა შენებრად
 თვალთ-შეუდგამი ნათლის მ[ფ]ენ[ალ]ი?
70. 5. ღმრთისაგან ეგე, ოს თამარ ეგე
 ნაველოვნებად მისადენალი,
 6. ანუ შუქითა, მსგავსად უქითა,
 ბნელთა ცისკრულად გამათენალი;
 7. არ ავი დია, ა რავი დია
 ვიცით ნახული და ნახმენალი!
 8. ეოვლითურთ უკლი, ერთგულთა უკლი,
 ურჩთა კლვად ზინდანს შემაყენალი.
71. 9. მეფე მთავართა, მფლობი ჯავართა,
 სოფლისა წუალთა დამაშეენალი.
 10. მიეც ქადილსა, სრულ-ჰუაჲ წადილსა
 ვასტანგს სწორებით შემას-მქენალი;
 11. ბობქარ მგოდები, მცდრად ნაწოდები,
 დავითის ერმლით ა შემარცხვეენალი.
 12. მით გააშენე, მით გააშენე,
 რომელ გულითურთ მანაჲე ნალი.
72. 13. მე ცად ვინები: მეცა დვინები!
 თქვენად ვქმნა ნებით, ვჩნდე მოვსენალი:
 14. მბრძოლთა მხარკემან კძღვნას მოხარკემან
 ვლიჯად ოქრო დასატენალი.

15. არ ეც ნასარად, არ ეცნას არად:
ხალიფას სისხლთა რად სდის ტენალი.
16. ბრძნად ლამას ენით ვინ ითქმის ზენით
სწორუზოგარი, მძლედ სავსენალი?
73. 17. მოემან გებით, მოე მანგებით
ეუ ბაღდადიცა გასაჩენალი.
18. არსად არსა რა, არსად არს, არა,
შენებრ უკლები და საჩენალი!
19.
20.

XII

74. 1. გულო, აბა, მო, დაუსაბამო,
თამარ ვთქვა ნათლად დასაბამისად.
2. მზეებრ სავანე, სულის სავანე
თან-განმწეოდ მისად, სწორად მამისად!
3. ვმებნეთ ქნა რისთა? — დღე ბნელ ქნარისთა,
მითვე ნათლითა დღე ქმნა ღამისად.
4. უმსგავსო ზირი, იესეს ძირი
ასულად ვიწნი აბრაჰამისად!
75. 5. ცად ქმნად უცადი არს განუცადი
ღმრთივ განბრწეინვებად და კამკამისად.
6. მჭვრეტელთა ურჩი, ვარდი ნაფურჩი
გამცდელთა შეიქმს მსგავსად დრამისად.

7. სამეაროდ ისრის, უწუალოდ ისრის,
ქმნადთა მცველია წარბ-წამწამისად
8. ზენათ ცხებული, გამრიცხვებული,
ძჯობი უოვლისა მჯნეთა მამისად.
76. 9. ანათობს ის ოს, მით არცხვენს ისოს
შუქის კრთომითა შეუდგამისად.
10. ზნედა სჭირს ესა: არ ეტევის მზესა:
„სამხარ მელოდე! ჩან მალლოისად“.
11. არ ენა, სული არენ ასული
შემწედ მესიას აღნათქვამისად.
12. თვით დგას ეტლითა მსწრაფლ მომხვეტლითა
აგარის ტომთა გულსა მხამისად.
77. 13. უცნი ავითა, უც ნიავითა
საუფლო სული ჟამის ჟამისად.
14. მწადდა-რე მნობა, ვრცელად განბრძნობა
სამუსიკოთა შენასხამისად,
15. მით ვერ ვეგები, მით ვერ ვეგები
ჰლატონისისა შენასხამისად,
16. რად არ აჩნია, რა მიაჩნია,
ენა ვით სძლებდეს საქებარისად?

XIII

78. 1. შენ მწუნობი ხარ მნათობთა,
არ ისასმენლებ, არიდენ;
2. შენ შუქნი ელვა-ეთერთა
მზისა მწვერვალთა არიდენ;
3. შენ სისხლთა შენთა ურჩითასა:
უზლო-უმსგავსოდ არ იდენ;
4. არცა ნათლისა ისარი
მჭვრეტთა გულებსა არიდენ!

XIV

79. 1. გვიან შენებრთა ძებნანი,
რკინისა ვამლთა შესსმანი.
2. შენთვის ვმდა არისტოტელი.
დიონოს წიგნთა შესსმანი,
3. მსგავსად აქილეუ-ტროელთა
უმიროსისგან შესსმანი,
4. ვერცა დამეტებს სოფოკლი,
არა თუ ჩემნი შესსმანი.

XV

80. 1. ვინ ჩნდა საწმისად, მსგავსად აწ მისად
წინასწარ-მთქმელი მოსწავებულად
2. ცად, საუდრად, ღრუბლად, დაწვ-ბროლ-ვარდ-შუბლად,
თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად.
3. გიწოდა შენთვის, როკვიდა შენთვის
პირველი დავით განცხადებულად.
4. თვალად მე მისი, შენ რა ემისი,
სოლომონ გემობდა სახელდებულად:
81. 5. „ასულო ჩემო, მკვრეტთა შემჩემო,
ჩან სიკეთითა განშვენებულად!“
6. ფიცითა წამა, მისგან იწამა
ღამე დღის-ფერად განბრწვინებულად.
7. ვამცნი მსმენელთა, მოსათმენელთა
ნიჭთა ვით მივსვდი შენთ ჯვლთ გებულად.
8. უკვირდა შენი სიკეთე, შენი
სონდა ეოვლსა სულსა განკვირვებულად.

82. 9. მოწყალე სული, მშვიდ-წრფელ ასული
 გიცნა გონებით მისად ცხებულად.
 10. მოუნდა არსთა, მიდთა და სპარსთა
 ერთ-სამწესობა ერთ-უფლებულად.
 11. მოგევა, მო, ნებად, შენდა მონებად
 აღძრნა ყოველნი თავდადებულად.
 12. ვსჭვრეტ ნიშნა ცხადსა: თვით გულითაღსა
 მისსა სახელ-სდგა მოწოდებულად.
83. 13. მე ვიტყვი ფიცით: „რაც ოდენ ვიცით,
 რად ვინ მახრალობს ვთქვა დაკლებულად?
 14. შენი სიძუქე რომელთა ვუქე,
 ვითამც ვინ იქმნეს მიბამეგებულად?
 15. ცისკრობ შენ ნათლად, ბრწყინვალე სანთლად,
 მთიებნი რად ევენ განქიქებულად?
 16. აღმოძენებსა ვინ აშენებსა
 მორჩისა ახალსა აღმორჩებულად?“
84. 17. ნათელი დიდი რადგან დაბინდი,
 ვიცი არ ითქმი დაბნელებულად.
 18. ედემურია, ვისცა სურია
 ანუ სხვავე ჰხვდეს შემინებულად.
 19. მე ვიცი, რომე დავამცირო მე,
 ვერავინ გბადრობს გასწორებულად!
 20. გინა შობილი, ანუ სწრობილი
 შენგან ჩანს მთვარე დასაწყლებულად.
85. 21. ეჩვენებოდა, ეფერებოდა
 ეგ თქვენი ჰირი გაცისკრებულად!
 22. მე რომ თქვენ განახე, ედემის სახე,
 მართ სამოთხისა მიახლებულად,

23. ღონე ვიცადი, ვერ განვიცადი,
შენსა შუქს ეუვის დარიდებულად.
24. ვნახე ინდონი, ვითა რინდონი,
რომე ჩნდეს სანგნი ალაღებულად.
86. 25. ვინ მელნის ტებებად გოქვეს დასასებად,
გიშრისა სარო დანატრებულად,
26. სახედ გსახობდეს: „რა მზე ნათობდეს,
მაშინცა ითქმის დაბნელებულად!“
27. ვინ გჯობს ბედითა? რად აბუდითა
მზე შენმან შუქმან დამეტებულად?
28. ვერვინ გისილა, ნახვად გისილა,
ანუ გიჭვრეტდეს გარეტებულად.
87. 29. მე გული შენი ჩემად ვიშენი;
რალა მიიქცი, ვჩნდი ზარ-ღებულად.
30. არდი მეტია — მომკალ მე, დია! —
ჩემი სიცოცხლე გაცუდებულად.
31. რომელმან ღამე-ღღე ეო, თქვა: „ღამე
ჭფენს შუქსა მზეებრ განათებულად!“
32. მოსეს ფიცარსა, მთას ნაფიცარსა,
ეწერნეს თქვენი ძლევა კებულად!

XVI

88. 1. იგავთ დამწესი და გმირთა მწესი
იესეს მისა მით გმნობს ებანი.
2. ერმი რა გნახა, მსწრაფლ დაიზახნა
შენგან უკუნმან კარის ღებანი.
3. ზევსმან მზედ გიცნა, სამყოფი გიქმნა,
სელონის ეტლთა მოგიობევანი,
4. ნარგისნი გიცნა, ზეცას გზა გიქმნა,
თქვა: „გწულიანობენ შენ ღომ-ნებანი“.

89. 5. ა რეა! კრონოს ენა გარდმოკონოს,
ვარდთა გიღარნე ნაშვენებანი.
6. არ შენდა შექმნა, რაც ბრძენთა ექმნა
თქვენსედ სიბრძნისა ჯელოვნებანი?
7. მამამან მე ეო, მემან უკლებ ეო,
სულმან დაგისხნა სიწროფობანი.
8. წამწამთა სრანი ვისკენც ქმენ ცხრანი,
ცხრა ათას ექმნეს ნატირებანი.
90. 9. იპოვნენ წმიდად, შეიცვენ დიდად
სწორუპოვარნი სიტკებობანი.
10. გტრფიალობს ლომი აბესალომი,
ეფრემის პირთა ვის გხვდეს თებანი.
11. ნებროთს სჯობს ძალად, — ვთქვა შიშით მკრძალად, —
დებორს. ჰმატიან ასოვნებანი.
12. დანთქა აბირონ, დათან საბირონ —
ორგულთა დანთქამს ძლიერებანი.
91. 13. უკლებლობს ლალი, მბრძოლთ გულის მდალი,
სწარსთა სისხლისა დანაკლებანი,
14. ბედ-დიდობს მრავლად, აქვს სვე დიდ ავლად,
პონტოს ზღვისითგან არს უფლებანი.
15. უძრწის ძამალი, მით თქვა: „ძამ ალი!“
მის კერძ მისტაცნა მცბიერებანი.
16. ევლტის სალიფა, იტუვის ძარიფა:
„აწ გაგვიცუდდა სჯულის-დებანი.“
92. 17. თარშით და დალბით, ეგვიპტ-ალაბით
სძღენეს ნიქად თვალნი და მონებანი.
18. მცრობსა აქილეუს, მბრძოლთა აქ ილეუს,
რა ძძლედ ა, ვიდის მოვსენებანი:

19. „ახლო ხვასრო, ბაღდადით სწარსო,
ააელესო, დასვენ ებანი!“
20. რომელსა მშვიდნი ვერ გსწორვენ შვიდნი
წუხლ-ჯავარისა დაშვენებანი,
93. 21. უძლე ძლიერთა, ბევრთა სძლი ერთა,
ოს ევენ ბობქარის მეოტებანი.
22. ვასტანგის ტომსა, მას ვეფხვებრ მსლტომსა,
მზისა გშვენიან განშვენებანი.
23. არსად მოსრულნი, შენოდნად სრულნი
არა ეენა თქვენებრ განკაცებანი.
24. დიდად განმებად, თქვენ მისგან მებად
გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი.
94. 25. არს უშიშ, ვითა მისითა შვითა
დაუკლებელნი სრულნი შვებანი, —
26. რიტორებრიცა თქვა: „შენით ვინც ა,
სხვათა ისართა და არს ებანი“.
27. ენოს მწერლობდეს, უშურველობდეს,
ვერცა მან სრულ-ვენეს თქვენნი ქებანი.
28. ფილოსოფოსთა, გონებად მყოფთა,
ვერ შეუგნიათ თქვენნი დრებანი.

XVII

95. 1. ისმინეთ, არსნო! ირწმუნეთ, სწარსნო!
პირველითგანვე გვესწავა ღმერთებად:
2. „დასაბამითგან არ ივენეს ცანი,
ოდენ ქვეყანა მყოფობდა ზღვებად;
3. მაშინ მან ერთმან უკლებმან ღმერთმან
ერთი ბუნება ქმნა სამად თბებად.
4. არ უცხოთა მით სუფევითა თვით
პელითა იწყო, უწოდა მებად“.

96. 5. გაუწეე საქმე: „ნიეთთა შესაქმე
სიტყვით ეო სოლო თამარის ცხებად.
6. ნათლითა სრულ ეო, ედემს ასრულ ეო
ღამეთა ნათლად, ბნელისა ცებად“.
7. უკლები ესე არს გულსა მოესე
შიშისა ღმრთისა დაუვიწყებად;
8. მალალი, დიდი, უკლები, მშვიდი,
წრფელი, უცრუო ცან უსაკებად.
97. 9. ჯავარ მოცალე, ტკბილი, მოწუალე
უოველთა კაცთა განურისხებად.
10. ურჩთა მოგვიდებს. ცითა ნაწოდებს
დავითს უწოდა მეფეთა ძებად.
11. ამან ეტლითა, მზის საჭვრეტლითა
მთარესა ლები ამატა ლებად.
12. მან ასოვანმან, მძლედ სასოვანმან
ველ-ეო ისლამთა ცეცხლისა დებად.
98. 13. ჯაჭვ-ჭურთა მფრქველი გამოჩნდა ქველი
და აქილევეთა დაუწეო ძლებად;
14. მიწეივ ომითა დაუშრომითა
თურქნი განასხნა დაუოვნებად.
15. მან ათაბეგსა, სვარასმშა მდგესა,
კეთილ-განრჩევით სჯულ უდვა მცნებად,
16. კაცი ძლიერი, მკნე, მეცნიერი,
შემძლე მელიქსა თვალთა ფერებად.
99. 17. თვით ბრძენი წვართა, მით მოიწვართა
მისდა დიდებად, კასულტანებად.
18. მოემე სვიანი, იესიანი
ლაშა ამებნა ლსინად და შკებად.

19. შიშითა მკრძალი, ვასირთა ძალი
მოგზავნა დიდთა ცსენთა ძღვანებად;
 20. უდრი ითხოვა, მზე მოითხოვა
ბნელისა კართა ნათელთა ცებად.
- 100.
21. ვერა დამატონ სოკრატ და პლატონ,
ძნობდეს [ორნივე] ეფრემის წეებად.
 22. ანეტოსესგან მოაოვნებულ არს
ქვეუნისა ზომა ქაღდეველებად,
 23. ვარსკვლავთ აღრიცხვა — ზოროასტროსგან;
ვერცა მათ ჯგლ-ევეს შენდა დარებად.
 24. არისტოტელმან მეძიებელმან
თავი თვით მისცა საძიებელად.

XVIII

101. 1. ვთქვი შიშით მკრძალმან: საღმრთომან ძალმან
მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა;
 2. მუნ თქმული მან ცნა, მაუწყა-მამცნა,
მისა გასწავებ და მის მიერსა.
 3. ფილოსოფოსნი, წინასწარ მგოძნობნი,
იტყვიან ჟამსა შესაქმიერსა:
 4. ვიდრე მოხვალა წადთა მიმეოლო,
ღმერთსა თუ უნდეს სრულ-მეოფიერსა.
- 102.
5. დასაბამს დადრკა, ცხადად არ დადრკა,
რისთვის მიდრკა მისგან მიერსა?
 6. არამედ თვისსა ერსა და თვისსა
მიდრკა მისდამი საღმობიერსა.
 7. ეწოდა მამა, მე ეთამამა,
სული ეწრფელა მთავრობიერსა.
 8. სიტყვით ევნა წყალნი, ხეცისა ძალნი
დაბადნა ხანსა ერთ-წამიერსა.

103. 9. სთნდა შექმნა ცისა შვიდ-სვეტ-მტკიცისა
ერთ-არსებასა სამ-სახიერსა.
10. მოსწონდა ღმერთობა, წინა-განწყობა
ღმერთისა სატანას საღმობიერსა.
11. ქმნა ღმერთ-მთავარმან და მეუფემან:
არ დაეფარა გულთმეცნიერსა.
12. ზეცით იოტნა, ამით იოტნა,
მისცა ნაუოფსა მას სიტყვიერსა.
104. 13. უკუნთა მთენი, მსე-მთოვარ მთენი
მნათობ-ჰყოფს ეოვლსა ქვეყანიერსა.
14. მითა ქმნა სწადა: ადამ მიწადა
შექმნა სახესა თვით სასიერსა.
15. მის თანა გვერდით ეოფად მის გვერდით
ევა უცხოვლა სულ-ცხოვლიერსა;
16. ამცნო: „მის სისა განმარისისა
მორს გქმნა ნაუოფსა მას მანკიერსა!“
105. 17. იწყო მაცთურმან მტერ-უკეთურმან
წვევა ჭამადსა მოსამბიერსა.
18. მზაკვრებ ლაღნა მით, განქიქნა ამით,
ღმერთმან თქვენ მსგავს-გვენა გულისწმიერსა.
19. მითვე გვეუფლა ჩვენ დამონება,
ცოდვისა კაცთა, ამ სოფლიერსა.
20. გამოგვაუენსა სამეგებლისგანა,
მიგცნა უფსკრულსა უნათლიერსა.
106. 21. შემართეს მართა, ერჩდეს მათ მცთართა,
სცვალეს კურთხევა, უპოვეს ერსა,
22. უსმინეს მტერსა, სამოთხის გველსა,
იმოსდეს ტანსა მადლ-მოსიერსა.

23. ვინ შექმნა ევა, განწურომით სწუევა,
ქვეშე უო ველსა ადამიერსა;
24. რისხვით უბრძანა: „და აწ შენც სცანა:
ჭურსამც შენსა სჯამ ნაოფლიერსა!“
107. 25. დასწუივა მტერი, საჭმლად სცა მტვერი,
თქვა: „ერთი თავსა და გველი ბრჭალსა“.
26. უმზირდეს მტერსა, გამოეგვენსა
სამოთხესა მას სამეგბიერსა.
27. მაცთურმან ომად დაუწუო ცთომად
წამსა ხუთათას ხუთასიერსა.
28. ვინ კაცი იწუო, თვით ნანვად იწუო,
განსრახვით ის სჯის მოსპოლვიერსა.
108. 29. მისისა მჯნისა ქმნად კიდობნისა
ნოეს უბრძანა ქმნად, გონიერსა.
30. იძია შური, მით მოსრნა სრულნი
არსნი უძჩებით განდგომიერსა.
31. წულით რღვნისა შთვილნი კლვად შექმნეს, შვილნი
დაუკლნეს მტერსა მანქანიერსა.
32. მითვე წესითა დაუწესითა
მაცთურთა იწუეს სამეგბიერსა.
109. 33. მეოფსა სიტუვითა ტუვიან, ვიტუვითა
თავითა ეოფად აღნათქმიერსა.
34. წურებოდა, თუცა დავითს ეფუცა
მისთა თესლთაგან სამობიერსა.
35. იწუო ნიშისა ქმნად საშიშისა,
მის კერძ ვერ მართებს ვსნა მიწიერსა:
36. მკვდართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი
სრულად უგნებლად საწესიერს ა.

110. 37. თავს იდგა ვნება, ეო მიდევნება,
 მოკლა სიკვდილი, სძლია ძლიერსა —
38. ადამ პირველსა, შეუჭირველსა
 სუფევასავე ღირს-ეო ციერსა.
39. ღირს-ევნა წარმართნი, წინა-წარმართნი
 საქმესა ღირს-ევნა მას მადლიერსა.
40. ეო-და მოხენით, მოხედა ზენით
 თამარ შუქ-მფენსა, ნათელიერსა.
111. 41. მისცნა დავაღნი, ვმელთა დავაღნი,
 სკიპტრა-მშურობელ ეო არსთა მიერსა.
42. სიტყვითა მრჩევსა, ელვათა მრჩევსა
 გცისკრობს მოხედვა მონაჴმიერსა.
43. მტკიცედ აქვს სჯული, ჩანს მართლ-მსაჯული,
 მას რომ უკმობენ ღმრთის სასიერსა.
44. უძრწის ჰავარი, სტურფობს ჯავარი
 მშვიდსა და წრფელსა და ღმობიერსა.

ვარიანტები, სამიუბელი და
ლექსიკონი

წინასწარი განმარტება

„თამარიანის“ კრიტიკულ ტექსტს საფუძვლად დაედო შვიდი ნუსხა:

- A — ყოფ. ქართველთა შორის წ.-კ-ის გამავრცელებელი საზოგადოების (S ფონდის) ხელნაწერი № 2775.
- B — ყოფ. საეკლესიო მუზეუმის (A ფონდის) ხელნაწერი № 1605.
- C — იმავე ფონდის ხელნაწერი № 656.
- D — ყოფ. ქართველთა შორის წ.-კ-ის გამავრცელებელი საზოგადოების (S ფონდის) ხელნაწერი № 1624.
- E — იმავე ფონდის ხელნაწერი № 1613.
- F — ყოფ. საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების (H ფონდის) ხელნაწერი № 2598.
- G — იმავე ფონდის ხელნაწერი № 153.

„თამარიანის“ ყველა ნუსხას ახასიათებს ორთოგრაფიული სიჭრელე, ე. ი. მათში ვხვდებით ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვანაირ დაწერილობას. მაგ.: უმიროს — უმიროზ, დიონოს — დევანოს, მსგავსი — მზგავსი — მგზავსი, ჳრმლითა — ჳლმითა — ხრმლითა — ხმლითა — ხლმითა, მოსრვა — მოსვრა, კლვა — კვლა და მისთანები; არეულია ჳ-არის ხმარების წესიც; სიტყვა ღმერთითითქმის ყოველთვის დაქარაგმებულია: ღთის, ღთით, ღთად; ზოგჯერ კი ეს ქარაგმები გახსნილია როგორც ღეთის, ღმთის, მღთის და ა. შ. ჩვენ ისინი ყველგან გავხსენით ძველი ქართულის ორთოგრაფიით: ღმრთის, ღმრთით და ღმრთად. ნუსხებში უხვად მოიძებნება ასევე გადამწერთა კალმისმიერი შეცდომები, რომელნიც გაუგებრობით, ან უცოდინრობით აიხსნება. მაგ. დამახინჯებულია საკუთარი სახელები, ომონიმური გამოთქმები, ან უცხოური ტერმინები და სხვ.

ტექსტის დადგენისას გავითვალისწინეთ ხელნაწერთა ყველა ორთოგრაფიული თავისებურება. ამ მხრივ ერთგვარი უნიფიკაციაც მოვახდინეთ: ძველი (ხმარებიდან ამოღებული) ასოებიდან დავტოვეთ მხოლოდ ჳ-არი, რადგანაც მასთან დაკავშირებულია ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პუნქტუაციის საკითხებს. ცნობილია, რომ „თამარიანის“ წინა

გამოცემებში არასწორად დასმული სასვენი ნიშნების შედეგად ზოგიერთი ტაეპას შინაარსი საგრძნობლადაა გაბუნდოვნებული.

„თამარიანის“ შინაარსის ადვილად გაგებისა და მისი წყაროების გასათვალისწინებლად ტექსტს დავურთეთ ლექსიკონი და პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელების განმარტებითი საძიებელი. ტექსტს ერთვის, აგრეთვე, ზემოთ დასახელებული შვიდი ნუსხის ვარიანტები (სხვა ნუსხათა ვარიანტების ჩვენებას შეგნებულად მოვერიდეთ, რადგანაც მათი ტექსტუალური სახე მეცნიერებისათვის დიდი ხანია ცნობილია პ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის გამოცემებით). ვარიანტებში არ მივუთითეთ ძველი ასოების ხმარების შედეგად გამოწვეული ორთოგრაფიული სხვაობანი.

ლექსიკონის შედგენისას ვიხელმძღვანელებთ სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონით“, დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონით“, ი. იმნაიშვილის „ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონით“, „ვეფხისტყაოსნის სიმფონიით“ (ა. შანიძის რედ., 1956 წ.), მ. გაფაროვისა და ბ. მილერის სპარსულ-რუსული ლექსიკონებით და ყველა იმ ლექსიკონით, რომლებიც დართული აქვს ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის ძეგლებს.

ორიოდე სიტყვა ტექნიკურ მხარეზე:

1. ვარიანტებში, ლექსიკონსა და საძიებელში ტექსტის ტაეპათა ციტირებისას ნახმარია რომაული და არაბული ციფრები: პირველი უთითებს ოდას, მეორე კი — ოდის ტაეპს.

2. ვარიანტებში ნაჩვენებია მხოლოდ ხელნაწერთა განსხვავებული წანაკითხები — სიტყვა, სიტყვათა ჯგუფი ან ტაეპის ათმარცვლელი. თუ ასეთი წანაკითხი დიდ ვარიანტულ სხვაობას იძლევა, იქვე ნაჩვენებია ნაბეჭდი ტექსტის შესატყვისი კონტექსტი. თითოეული სიტყვის, სიტყვათა ჯგუფის ან ათმარცვლელის ვარიანტი მეორე მომდევნო ვარიანტისაგან გამოყოფილია წერტილ-მძიმით (;), ერთი და იგივე წანაკითხის სხვაობანი კი — მძიმით (,).

3. ლექსიკონში ყველა ზმნა გატანილია საწყისის ფორმით. ზმნის პირიელი ფორმა მოცემულია საწყისზე მითითებით იმ შემთხვევაში, თუ მისი პოვნა ძნელდება.

რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობის ამოცნობა გავვიჭირდა, ამიტომ ისინი ლექსიკონში შევიტანეთ განუმარტებლად.

გ ა რ ო ა ნ ტ ე ბ ი

შესავალი: 1. ფილასოფნო ABCDE; მოფილასოფნო G; არსო C. F-ნუსხასაკლია შესავალი და პირველი ოდის 1—52 ტაეპები. 2. დიონოსისგან ADF, დივანოსისგან CG; ენოსისგან ACDE, ენოსისგან G. 3. სარამაგზნითა A, სარამაგზნითა BCDG, სარამაგზნითა E; ვერავიქთ AEG; ვიქთ BC. 4. უმირიოზ AB. 5. შესილვებს CDEG. 6. თქმულსა C; დანთქმულსა C; სიღრმით სიბრძნით B; მასმეცნიერსა A. 7. გულისწმის ყოფა გონება ყოფა ACDEG; მისთანასათვს E. 8. ანუვისძალუც AE; ძალ უც BDG; ანუ ვის უვის ძალუც შენ მიერსა C; შენგან მიერსა შენ მაგიერსა B. 9. ველვყო A, ველვჰყავ B, ხელ ვყოფ C; ქებებად E; ქებად ენა B; ვაუწყოთ BDG, ვაუწყოთ E; გონებეიერსა შას გონიერსა D. 10. ამულლაზარი AEG, ამულ ღაზარი CD; უგავსელობა E. 11. შუქ-მოსიერსა შუქმოსისარსა E; B-ში მე-10—11 ტაეპები იკითხება:

ნაელვებთა: მზისა: ვნებთ: ცისკროვნად: ვნედავ: შუქ: მოსიერსა.

ღაწვი: მწყაზარი: ამულლაზარი: უგავს: ელვობა: კრონო: ციერსა.

12. გაჰქდი გჰადი D, გახდი E.

I: 1. ეგმისად ეგ მისად ABC; მგზავსად A, მგავსად C; აწმისად AE; წინანწარმთქმელი A; წინანწარ E; მთქმებელად ADEG. 2. თუვერვინ A; განანის G; შეიქნებოდეს A, შეიქმნებოდეს B; განცქმებულად E. 3. განტვერებისა A; გაცხადებულად E. 4. ვსთქვათ ესრად G; ესრადგავ AE; ზეცნიერად A; გავ D; მნათობთა მათობთა G; დამწვენებელად ABCG, დამწვენებულად D. 5. მღუღარისა მღღურასა E. 6. თვალუწომელსა CDG; უწდომელსა უცთომელსა E; ეყვნეს იყვნეს AE, ეყვნენ BD. 7. ჰკრთებიან BCDEG; ემუქვებიან ემუქვებიან B, ემუქვებიან C, ემუქვებებიან E, ემუქვებიან G; ზაულ AE. 8. გულისა ვიგულის B, ეგულის CEG, გულის D; რუსსა რუსსა A, რუსსარ B, რუსსა CDG; მკლებელად AG. 9. თუმოვანება A, თუ მოვა ნება D; გსწადდეს E; თუ ნება ითხოვე ABCDEG; უფრო აქვს ვერა აქვს A, უფროა E, უფროა B. 10. განბრწყინებულად D, გაბრწყინებულად E. 11. ვინდეს A; აყაროს A; აწ აწ C; განმთავრებულად რებულად G. 12. მეშურნაობდეს C; ამყვანობდეს E; რომე რომ C; ვინიყოს A; მოშორებულად G. 13. ლერწამტანისა AE; ლელწამ C; საროსახისა A, სარო სახისა CDEG; მიმგზავსებულზარ AC, მიმს გავს გავსებულსა G. 14. კლვად კლვად ABDE, ვლვად C, კლვად G; ნახვასა ნახვასა G. 15. ვინა შევენებდენ ვინ აშენებდენ BCDEG; სულთა BDEG; აშენებდენ A, შენებდენ BCDG; მოგვეს B. 16. გუყო E; არ ითქმი არითქმი A, რა ითქმის B, არ ითქმის DE. 17. ვსტირ ოდე ვტიროდე ADG, ვსტიროდე BC, ვტიროდე E; თუარშენგპვრეტდე A; გპვრეტდე ვმჰდე B, გპვრეტდე D, გპვრეტდე E. 18. მწნებრძენი A; ზენი ძენი B; კდალ ხდა D, ზადალ E; ჰყოფდენ B, ჰყოფდენ E; ზესთა ზესთა A.

ზტოა D. 19. ისრვის ისრის BCDEG; ვიტყვი ეფვიტყვი E; ის არსა ისარსა, ABDEG; ძირსა B; აღმორჩნებულად E. 20. კლმითა ABE. სრვისთვის G. 21. გი-
მხო გიმზია G. 22. მას მის G; განაწესა B. 23. მისდასწრებულად AD; მისდა
CG. 24. რადაიბადა G; დაცა დებულად E, და ცადებულად G. 25. თქვენნი B;
იყენეს ACDEG, იყენენ B; სამშვენი რომელნი ABCDEG; დასულ ტანებულად E.
26. მოწონეს მოსწონდეუ AC; სცნეს A; მათი მათ C. 27. მოხრაკე E; იქმნას E;
მოხარკე მოხრაკე E; მძონები მონებნი AF, მონები E; შექლებულად შეუძლებ-
ულად A, შემძლებულად C. 28. თვითამანდავით ქმნაუნდოდავით A; ამათ იმან B,
ანან C; უნდოდა ვით უნდოდავით B, უნდო დავით CDE; ურჩმნილთა A, ურჩ-
ქმნილთ G. 24. და არანს დარანსა BC, და არამს E; ზედა არანს ზედა რანსა B;
ებრძოლა ADCEG; შემძლებულად BCDG. 30. ყოვლითავე C; მჯობენ მჯობ მენ C;
დიდად მჯობენ — C; ვინჩდეს AE; გამთავრებულად ABDEG. 32. მონებდეს AC,
პმონებდეს DG. 33. გამოჩდა A; გამოჩნდა + გამოჩნდა D; იბღღვენდა B. 34. ძალ
შეგზღუნდი G; რომე რამე CEG; ჰყენენ A, ჰყვეს BCDEG; დატყვევებულად და-
ტყვევებულად A, დატყვევებულად C, დატყობულად E. 35. აწ რჩევასა აწ ჩვენსა
A, აწ ჩვენსა BCG, აწ მჩვენსა E; გავეამაყენს DE, გავე ამაყენს CG. 36. ჰავარ-
თა ავართა AC; მათ ზედა მახედა AB; განმწნდენ გაკლმდენ B, გამოხდენ C,
გამგდენ E, გამგდენ G; გასაკლმებულად AB, გასახრმებულად C, გასახლებულად E,
გასაგრებულად G. 37. მოყმედაბერი A; მოყმე მყმ D; წამოცა ვიდეს C, წამ
მოცავიდეს G. 38. არ ხარ არ ხარ G; ქაფარსა ქაფურსა ABCDEG; ნახავთ
ენახავ A, ნახვა B, ნახავ CDEG; გაბასრებულად გაბარებულად BCDEG. 39.
იტყოდა ვკადრე იტყო დაკვარგე G; კვადრე AD; მე შეეკმენ შეეკმენ A,
მე შეეკმენ E, მე შეეკმენ G; ამოკრებულად G. 40. რა არ D, დარა C; მშვიდსა
შვიდსა G; საქმესაშვიდსა A; კელ-ჰყავ კელყავ B, კელყავ E, კელი ჰყავ G; არ
შფოთებულად აღშფოთებულად ABCDEG. 41. უბძანე B; ვლი ვალ B, ელი C;
რომლისგან G; ესჩანთ ABDEG. 42. განამგენენ A, გაამგენ B, განგენ E; კლვად
კვლად ABDE, კეთილად C; სისხლ-წამებულად სისხლ დანთხებულად B, სისაწყლე-
ბულად G. 43. მიმბაძებულად E. B-ში არ არის 43 — 58-ე ტაეპე ბი. 44.
მგნედ მხანედ E; არაგამრისხად A, არა გამრისხდა DCEG; გაზეგებულად A,
გაზიგებულად G. 45. ელნი ელნობდეს კელნი ელნობდეს G; იგამისთვის A;
შემგზავსებულად A, შემგზავსებულად C. 46. გინა ვინა CEG; უმიროს უმისოს
C, უგმიროს G; უგმიროს უმისოს C; ვისძალაქეს A, ძალა აქეს G; გამარტებუ-
ლად E. 47. ანუ ენოსა ან უენოსა G; მეუენოსა EG; ესთქვა E. 48. წიგნი ACDEG;
გასცენს — E, გაჰსცეს G, გასცეს ADC; ჟამისნი ჟამისად ACDEG; იქმან A, იქნა
C, იქმნა DG; განცდგრებულად E. 49. მიუხდა C; რახედიხდა A, რახედა ზედა
DG, რა ზედა ზედ C; მელებ ACDEG; მელებრ + და E. 50. მცდრად მცრად
D, მცდრად C; ქნეს ქნეს AE, რა ქნეს C. 51. განიბნენეს C, განიბნინეს E; განდრკეს
განდრგეს DC; მეტნი მეტნი E; განრიდებულად განრისხებულად C, განიდე-
ბულად E. 52. თანა-მეყოფნი თანა მეყოფნი ACD, თანამე მყოფნი G; მსრბოლნი
მსრბოლად ADEG, სრბოლად C; შეიქნა A. 53. თქვენგან ოცმა ბევრმა ბევრისა
მხოცმან C; მყოცმან მყოცმან E; ბევრის ამყოცმან G; მათთა მათა EF; დამატე-
ბულად E. 55. ერთმან + არც C; ათასი ერთმან ათასი ერთმან E; წარაქციენა
F. 56. მოჰმადის მოჰადის E; ტომნი ერნი ACDEFG; უკრავან უმონი F; მოს-
წყვიდნეს მოსწყვიდეს DG, მოსწყვიტეს F; განქიქებულად F. 57. აიგნეს ADEG;
ლარ პირ უტყვითა F, ლარუტყუთა E; კაცი კაი D; შობებულად შებებულად D,

შოვნებულად C. 58. ეზინკას ეზინაკს B, ზინაკს C, გზინკას G; შენამფლობი ADEF, შენა ფლობი CG; დამქცევად დაქცევად ACFG, დამგცევად E, დაცვა D; გავს EF; ჰგავს შესწორებულად გავსწირებულად D. 59. უარ ჰყვეს C; არმოვეთნებით AG, არ მოვეთნებით BCDEF; ვიყავ ABCDEFG; მოცთუნებულად მოყვანებულად ABCEFG, მოყვანულად D. 60. გვესმიან DEG, გვესმის C, გვესმან F; დღე სიდგან E; მოჰმადიანი BE, მაჰმადიანნი D, მაჰმადიანი F; მოყვანებულად G. 61. გამარტებულად E. 62. რაარს ქნა AB; არს-ქმნა ახის ქნა F; ქნა BCG; ვირე—F; ძითურ F; გებულად ქებულად B, ვებულად F; ძით ურგებულად EG. 63. საულს სულს C, აულს E; ართო არ თუ D, ართა C; მიმადლა ADCEF. 64. შიშვლებს D; კვლად F; შვებულად გებულად A, შევებულად F.

II: 1. ქნა F; ცა და ცადა FG, ცად E; არსმეცნიერი A, არს მეცნიერი BCDEFG. 2. ჰაერი აერი F, ჰაერთა A, ერი CE, ნერი G; ეტლნი F; მქნიერი ABCDEFG. 3. ბძანება A; და ამცნო დამცნა F; მცნება—F; შესაშინერი B. 4. აღრიცხენ C, აღარცხენ F; ტომი C; ცთომნი C; უცთომნი B; მოსიტყვი ABCD, მოსიტყვანი F; მოუბარი ABCDEFG. 5. გიძნობ გიცნობ ABCDEFG; დაუალი BEF. 6. იქმნე A; ნაქმარნი BDEFG; გიქენ გიქნე A, გიქმენ B, გიქმნა DCFG, გიქმნ E; გესმნეს გუსმნეს F; მშვიდი, წყნარი მწვიდი მწყნარი F. 7. სიტყვიერი სიტყვა ერი E; დარმანის რამინის B. 8. არს არ F; ცნობად ABDEFG; მოთხე მეოთხე E; ცნობა მოთხედ C; მრწყველი რწყული F; მუნვე ვითა A. 9. სიუხვე AB, სიუხვედ CEG; ზღვებრივ A; სიმაღლედ ACEG, სიმაღლე B; ცებრივ A, მცებრი C, მკვრეტად C. 10. კედრამდი B. 11. არს ეს ასრე ACDEFG, ასე B; ჯვართაც C; არ — E. 12. მსაჯულსა ვარსკვლავსა A, რჯულსა AB; მოგცა ACDF. 13. გმონებ და გიპატრონებ F; ვფხვთა C. 14. არს C; მხედ ზედ A, მხე D; შვილნი შვილნი ABCDFG; თავისაქნარი A. 15. ვერ მიგწვდენ ქებად — სხდენ ვერ შეგწვიენ ისდენ D; მიგწდენ F; თვითვ F; დავითს F. ამის შემდეგ ყველხა ნუსხა უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით უმატებს:

„წმიდას ოქროსებრ სიყვარულითა ორგულთ ეწვეის სიყმილი მძაფრი“.

III: 2. მხე-მცინარი მე მცინარი C. 3. რა არ F; არსით — F. 4. შუმ-ფინარი F.

ბიბლიური გადმოცემით, როდესაც გველმა ადამ და ევა შეაყვინა, ღმერთმა გველი დაწყველა: „წყველ იყავნ შენ ყოველთა პირუტყუსთა და ყოველთაგან მკეცთა ქუყყანისათა. მკერდსა ზედა და მუცელსა ხვილოდი, და მიწასა შჭამდე ყოველთა ღღეთა ცხორებისა შენისათა. და მტერობა დავდვა შორის შენსა და შორის დედაკაცისა და შორის თესლისა შენისა და შორის თესლისა მისისა. ი გ ი უ მ ზ ე რ დ ე ს თ ა ვ ს ა შე ნ ს ა და შე ნ უ მ ზ ე რ დ ე ბ რ ჭ ა ლ ს ა მ ი ს ს ა“ (შესაქმე, III, 14—15).

ბაალ(ა)მება ალამივით აფრიალებს: მათ გულსა აღმით, მით გაგოალ მით ქოსთავე თანა სანიჭ-საძღვნილი X 20 მათ გულს სატკივარს უჩენთ, რომ (შენი მოხარკენი) სპილენძის დოლის დაკვრისთანავე დროშასავით აგიფრიალებენ ხოლმე ძღვნად და საბოძვრად მოტანილ საქონელს.

გაამაყება: გაეამაყნეს I 35 გაეამაყებინა.

გაბახრებულ-ი I 38 გაკიცხული, სასაცილოდ აგდებული, შერცხვენილი, გაწბილებული.

გაგულქველება ქველობის მხნეობის გამოჩენა: გაგულქველევად VII 19 გულმტკიცედ, გულმაგრადა, გულმამაცად, გულმხნედ.

გავსად: VII 4.

გაზ-ი: I, 44.

გამკიცხოვნება IV 9 დაცივნა, გაკიცხვა, გაქირღვა:

გამომეტყველ-ი გამომთქმელი, პოეტი, მწერალი: გამომეტყველებ X 22 პოეტურად.

გამომღებარე V 11 შემფერადებელი, მღებარი, „ფერების მცოდნე ოსტატი“ (საბა).

გამოყენება გამოდევნა: გამოგვაყენნა საშვებლისგან XVIII 20 გამოგვდევნა საფუფუნო ადგილიდან.

გამოყუება დაკლება, გამოკლება: გამოკვენესა XVIII 26 დააკლდნენ, გამოაკლდნენ.

გამრიცხვებულ-ი XII 8 გამრავლებული.

გამცდელ-ი XII 6 მნახველი, მჭკრეტელი.

გან IV 2 განა (კითხ. ნაწილაკი). შდრ. ვახტანგ VI: გაეწყობის გან ებას რა (თხზ. სრ. კრ., 1947, გვ. 56).

განაპარსევ-ი VII 18 გაპარსუელი.

განაცისკრევ-ი VII 44 გაცისკრებული, ცისკარივით გაბრწყინებული.

განბნევა გაფანტვა: განიბნივნეს I 51 გაითანტნენ.

განბრძნობა XII 14 განსწავლა (ვისიმე), სიბრძნის გამოჩენა.

განდგომიერ-ი XVIII 30 გამდგარი, განდგომილი.

განდრეკა მიქცევა, გადახრა: განდრეკს მეოტნი I 51 უკუ იქცნენ, მიიქცივნენ მორბენალნი.

განკაცება XVI 23 კაცობა, აღამიანობა, კაცთმოყვარობა.

განმარისხ-ი XVIII 16 განმარისხებელი, რაც რისხვას იწვევს.

განმთავრებულ-ი I 11,30 განმთავრებული, ხელისუფლების სათავეში მყოფი მთავარი.

განმწნობა I 36, 42 გამწნეება.

განრისხება: არა განრისხდა I 44

არ გაჯავრდა; განრისხვად VII 14 გასაჯავრელად, რისხვის გამო საჩენად.

განსაცდელ-ი X 24 თვალით დასანახავი.

განსხვა XVII 14 გაყრა, გარეკვა.

განუცად-ი XII 5 თვალთ დაუნახავი.

განქიქება გამოაშკარაება, შერცხვნა: განქიქა XVIII 18 შეარცხვნა, გამოაშკარავა (ისინი).

განქიქებულ-ი I 56, XV 15 შერცხვნილი.

განცლა დანახვა: ვერ განვიცადი XV 23.

განძება: ვინ განაძღვავ VII 43 ვინც (რომელიც) გააძევე (გააგდე) მოსასპობად (სულის დასალევად).

განძეწარ-ი VII 13 განძეული, ძვირფასი ნივთები.

განძი-ი: განძებად XVI 24 განძად, განძეულად, საჭურჭლედ.

განწესება I 22 წესის დადგენა, წესრიგის შემოღება, გარიგება.

გარდაკონვა კონად შეკვრა რისამე, შესვენა: ენა გარდაკონოს XVI 5 ენა შემიკრას, დამიბას.

გარდაჯღევა გადახდევინება: რაცა ემას ურჩოთ გარდასაჯღევად VII 37 რაც საჭიროა ურჩების გადასახდელად.

გასაჭამლებულ-ი I 36 ხმალდახმალ ბრძოლაში გასასვლელი (ნ. აქვე გვ. 93—94).

გასულტანება XVII 17 სულტნად გახდომა, გამეფება.

გატევრება I 3 ტყეში გაჭრა.

გაშა VII 33 სამეფო ტახტი (ნ. მარი).

გაშენება 1. აშენება, აყვავება: გააშენე XI 12.

2. შენად გახდომა: გააშენე XI 12.

გაცულება: გაგვიცულდა XVI 16 გაგვიუქმდა.

გაჭრა VII 7, IX 4,21 მიჯნურთა გავარდნა, გასვლა (ველად).

გება 1. მოპასუხეობა: ვერ ვგებო XII 15 მოპასუხეობას ვერ ვიკისრებ.

2. შეძლება: ვერ ვგებო XII 15 ვერ შევძლებ.

3. გაჩენა, შექმნა: ეგე ნათელი IV 12 გაჩნდი ნათელი; ღმრთისაგან ეგე XI 5 ღვთის წყალობით გაჩნდი.

4. მიგებება: მოგმან გებით XI 17 სტუმრების შეგებებით.

5. გახდომა: ოს თამარ ეგე XI 5 როდესაც შენ, თამარ, გახდი.

გებულ-ი I 62, XV 7, 32 არსებული, მყოფი.

გვიან XIV 1 ხანდაზმით.

გზნა (იგივე გზნება) VII 40 აღგზნება, ანთება.

გიშერ-ი XV 25 შავი ფერის ძვირფასი მკვრივი მინერალი, სათი.

გლახ ვაი, აფსუს: მო-გლახ-ველოდი IX 19 ვაი (აფსუს), რა ცუდუბრალოდ (ტყუილად, ამაოდ) მოველოდი.

გმერა ჩხვლეტა, ჩასობა, ძგერება, ჩაკერა: გულსა უგმიროს I 46 გულში ჰკრას, აძგეროს, ჩაუსვას (მახვილი).

გონება აზრი: გონებად მომზე VII 36 (ჩემი) აზრით მზის ორეული.

გონებიერ-ი შეს. 9 ჰკვიანი, გონიერი.

გრძნება მისნობა: გრძნითა შეს. 3 გრძნებით, მისნობით.

გულისა ნებ-ი I 8 გულის წაილი, გულით სასურველი.

დაბინდება XV 17 შებინდება, ბინდის გადაფარება.

დადარ-ი X 12 სამართლიანი, ზედწოდება ხოსრო ანუშირვანისა.

დადება: დასდვა ბრძანება II 3 ბრძანა, გასცა ბრძანება.

დადებულ-ი: და-ცა-დებულად I 24 დადებულად-ცა.

დაღირ-ი X 15 ძმა, მეგობარი.

დადრეკა ქედის მოხრა, დათანხმება, დაყოლა: დასაბაჰს დადრეკა, ცხადად არ დადრეკა XVIII 5.

დავა ჩხუბი, ბრძოლა: ოს ღიღ მან დავით V 18 როდესაც მან ღიღი ბრძოლით.

დავალ-ი 1. დასალიერი, დასავალი: ჯმელთა დავალი XVIII 41.

2. სახელმწიფო: მისცა დავალი XVIII 41.

დავით: ოს ღიღ მან დავით V 18. ნ. დავა.

დაღმობა VII 24 დასნეულება.

დამბნელებარე V 10 დამბნელებელი.

დამეტება IX 4, XIV 4, XVII 21 ჯობნა, გადამეტება; უფრო მეტის თქმა.

დამეტებულ-ი I 9, 54 გადაკარბებულ, გადამეტებულ.

დამზარ-ი ზარმაცი, მცონარე: არად დამზარი VII 37 დაუზარელი.

დამწეს-ი დამდგენელი: იგავთ დამწესი XVI 1 იგავების შემთხვევლი, დამდგენელი (იგულისხმება სოლომონ ბრძენი).

დანთქმა შეს. 6, I 26, IX 1, XVI 12 წყალში ჩაძირვა ან დაღრჩობა; VII 56, X 6 სიბნელეში გაქრობა.

დარება შეს. 9, XVI 28 შედარება, მსგავსება: ვარდთა გიღარნე ნაშეგებანი XVI 5 ნაშეგენებანი ვარდებს შეგიღარე (მივიმსგავსე).

დარ-ი VII 19, IX 12 სწორი, მსგავსი, შესადარი.

დარმან-ი წამალი: დარმანის ველი II 7 სამკურნალო ველი.

დასატენალ-ი XI 14 დასატენი.

დასახვა, დასახება IV 3, VII 55 წარმოსახვა, გამოხატვა: გოქვეს დასახებად XV 25 წარმოგისახეს, გამოგისახეს.

დას-ი II 2 გუნდი, მწკრივი.

დახულტნებულ-ი I 25 გასულტნებული, გამეფებული.

დასხმა თავდასხმა: ჯაფად დაგესხნეს VII 30 უცბად, მოულოდნელად თავს დაგესხნენ.

დაუმალევი-ი VII 11 უსწრაფესი, უჩქარესი.

დაუნაყელი-ი VII 45 დაუჩეჩქველი, დაუტანჯველი.

დაუშრომი-ი XVII 14 დაულაღვი, დაუშრომელი.

დაუწესი-ი XVIII 32 დაუწესებელი, დაუდგენელი.

დაუწვევი-ი VII 40 დაუწველი.

დაქადებულ-ი I 7 დამუქრებული.

დაშვრომა VII 25 დაქანცვა, დაღლა.

დაცემა მომარჯვება, გამოყენება: და-ცა-ვსცე XI 3 მოვიმარჯვოკიდეც (ნ. აქვე გვ. 62).

დაჯაბნებულ-ი I 49 დალაჩრებული, ჯაბანად ქცეული, შეშინებული.

ღება XVII 12 კიდება, მოღება, მოკიდება (ცეცხლისა).

ღია 1. ქალი, ღიაცი: არ ავი ღია XI 7 არ ავი (ე. ი. კეთილი) ქალი.

2. ღიდი: ა რავი ღია XI 7 აი ღიდი მზე.

3. ღიად, ქეშმარიტად: მოკალმე, ღია XV 30; ვინატრე, ღია V 12.

ღრამა XII 6 ვერცხლის ფული.

ღრება ნ. დარება.

ღრუნგილი-ი VII 42 მარმარილო.

ღლის-ფერი-ი XV 6 ღლის მსგავსი.

ებანი-ი IV 1, XVI 1, 19, 26 ქნარი, ჩანგი.

ებარი V 21, XI 4 არსებული, მყოფი.

ეგე ნ. გება.

ეგმის-ი: ვინ ჩნდა ეგმისად, მსგავსად აწ მისად I 1 «Блещешь не втуне златом ты в руне» (შ. ნუცუბიძე). ეგმისი ამ თარგმანში შეცდომით გაგებულა როგორც საწმისი (შდრ. XV, 1 და რუს. თარგ. გვ. 150). ს. კაკაბაძის აზრით, იგი არაბული სიტყვაა იკმას (წყალში ჩასმა, ჩაყენება) და წარმოდგენს იოანე ნათლისმცემლის ზედწოდებას („თამარიანის“ ლექსიკონი). რომ მართლაც ეგმის-ის სახით ღმერთის სიმბოლიურ გამოხატვასთან გვაქვს საქმე, ეს ირკვევა XV ოდის დასაწყისიდანაც: ვინ ჩნდა საწმისად, მსგავსად აწ მისად. აქ საწმისი ნიშნავს არა მატყლს, рунო-ს, არამედ — საწარმისს, ე. ი. იმას, რაც საწამებელია, საწმუნოა, სიმბოლიურად — ქრისტეს (ნ. საწმისი). ამიტომ შესაძლებელია, რომ ეგმის-ში იოანე ნათლისმცემელი იგულისხმებოდეს.

ედემ-ი II 7, X 7 სამოთხის ბაღი, წალკოტი, ადამ და ევას თავდაპირველი საცხოვრისი (ბიბლია).

ედემური-ი XV 18 სამოთხისებრი, სანეტარო, სასიამოვნო.

ეგლტის ნ. ვლტოლა.

ეთერი-ი IV 3, VII 21, 47, XIII 2 უთხელესი ჰაერი, შემორტყმუ-

ლი დედამიწისა და ციური მნათობების გარშემო.

ელვ ნ. ელ(ვ)ობა.

ელიჯა XI 14 მაღალხარისხოვანი.

ელნობა I 45 ბერძნობა.

ელ(ვ)ობა შეს. 10, V 9, X 6 ელვარება, ელვისებრი ბრწყინვალეობა; ელვ VII 5 ელვარებ, ანათებ, ბრწყინავ.

ემირ-ი VIII 15 ამირა, მექის მფლობელი, რომელიც „თამარია-ნის“ მიხედვით საქართველოში მოსულა დიდებულებით თამარის ხელის სათხოვნელად.

ემისი ნ. მისება.

ერთ-არსება სამ-სახიერ-ი XVIII 9 ქრისტიანული რელიგიით ღმერთი იყო ერთარსებიანი, მაგრამ ამავე დროს — სამსახიერი, ე. ი. ღმერთში განსახიერებული იყო მამა, ძე და სულიწმიდა.

ერთ-სამწყსობა XV 10 ერთსამწყსოში (სამრევლოში) ყოფნა.

ერ-ი 1.ხალხი: I 61, IV 3, V 20, XVIII 21.

2. ჯარი, ლაშქარი; სპა: I 37, V 20, 22, XVI 21.

ერმ-ი IV 7, XVI 2 ოტარიდი.

ერჩდეს ნ. რჩ.

ეტლ-ი II 2, V 8, VII 8, X 9, XII 12, XVII 11 ცთომილი, ვარსკვლავი, ბურჯი, ბედის ვარსკვლავი, ბედისწერა; უბტლოვნებად IV 4 უბედისწეროდ; სელონის ეტლი XVI 3 მოვარის ღმერთ სე-ლენეს ეტლი (ნ. აქვე გვ. 123).

ეტლ-წანავგრევ-ი VII 48 ბედის-ვარსკვლავწართმეული, უბედო.

ვ ყოლა: უვის V 5 ჰყავს.

ვაგლახება I 2, 50 წუხილი, გლოვა, ტირილი, ვაით და უით მოთქმა.

ვან-ი VII 33 სახლი, საცხოვრებელი ბინა, სადგომი, სავანე.

ნ. აგრეთვე: ვანება, მოვანება.

ვარდ-გაწეულ-ი I 10 ვარდად აყვავებული, ვარდივით გაფურჩქენილი.

ვარდ-გულ-ი: იგი ვარდ-გული, იგი ვარდ-გული V 27 ის არის ვარდი და გული, ანუ ის არის ვარდ-გული, ე. ი. ვარდი (მეორე გული სპარსული სიტყვაა گل და ნიშნავს ვარდს).

ვარდ-შამზნარ-ი III 4 ვარდითა და გაუთელავი მაღალი ბალახით დაფარული ადგილი.

ვარი ნ. არ.

ვერ: ვერ მრავლებისა I 3.

ვიდის ნ. სლვა.

ვიეთ-ი X 13 ზოგიერთი, ზოგი.

ვინ 1. კითხვითი ნაცვალსახელი „ვინ“, „რომელი“: შეს. 8, I 12, IV 1, V 4, 5, 14, 16, 29, VII 32, 40, 45, X 9, XI 4, 16, XV 13, 14, 16, 27.

2. რთული ქვეწყობილი წინადადების კავშირი „ვინც“, „რომელიც“: შეს. 8, I 1, 10, 11, 15, 30, 46, II 14, IV 1, V 26, VII 5, 43, IX 3, XV 1, 18, 25, XVI 10, XVIII 23, 28.

ვირე I 62 ვიდრე.

ვიტყვითა ნ. ტყვევა.

ვლი ნ. სლვა.

ვლტოლა: ევლტის XVI 16 გა-
ურბის.

ვნება შეს. II 15, V 17,
XVIII 37 რაიმე ზიანის ან ვნე-
ბის მიყენება, ტანჯვა.

ვხებულ-ი I 44 დავსებული,
დალუპული, დაშრეტილი, აღმო-
ფხვრილი.

ზარ-ი IX 6 შიში, ელდა, საში-
ნელება.

ზარ-აღებულ-ი: შეიქმნა შიში ზარ-
აღებულად I 52 შეიქმნა თავზარ-
დამცემი (პანიკური) შიში.

ზარ-მოსულ-ი შიშით აყვანილი
(შეპყრობილი): არ ზარ-მოსულსა I 38
შიშუნახავს, დამარცხების შიშით
განუცადს.

ზარ-ღებულ-ი XV 29 მოწამ-
ლული.

ზენ-ი I 18 მაღალი, კურთხეული,
ზეციური.

ზესთა I 18 უზენაესი, უმაღ-
ლესი.

ზეს-ი X 1 უმაღლესი, ზეციური.

ზვავ-ი I 33 ამაყი, ამპარტავანი.

ზინდან-ი XI 8 საპყრობილე.

ზრო VII 41 ღერო (მცენარი-
სა), ტანი.

ზუალ-ი I 7, V 8 პლანეტა
სატურნი.

ზღვევა VII 15 დანაშაულის
გადახდევინება.

თავად-ი VII 32 უფროსი, თავ-
კაცი.

თავ-ი I 26 ნავის კიჩო. შდრ-
მარკოზ 4,38: თავადი იყო პირით
კერძო მის ნავისასა თავსა ზედა და ეძინა
(რუს: А он спал на корме на
возглавии).

თანა-მეყოფ-ი: თანა-მეყოფნი წარ-
ვიდეს მსრბოლნი I 52 თანმეყოფნი,
მასთან (რუქნადინთან) მეყოფნი
(ე. ი. მოკავშირენი) გაიქცნენ.

თან-განმწყო XII 2 თანატოლი.
თბე XVII 3 სტიქია, მატერია,
სხეული.

თება XVI 10 სასიყვარულო
ალერსი (ნ. მარი).

თვალთ-შეუღვამ-ი XI 4 თვალ-
გაუმართავი, შეხედვად შეუძლე-
ბელი.

თვალ-ი 1. ძვირფასი ქვა: სძღვნეს
ნიჭად თვალნი XVI 17.

2. შეხედულება: შემძლე მელიქსა
თვალთა ფერებად XVII 16.

თვის-ი ნათესავი, მოყვარე: თვი-
სად და .თვისად შესაშინარი II 3
თავისა და ნათესავისათვის შესაში-
ნარი; ბრძენთა თვისი X 11 ბრძენთა
ნათესავი; გიწოდა შენ თვის XV 3
გიწოდა შენ ნათესავი; თვისსა ერსა
და თვისსა XVIII 6 თავის ხალხს
და ნათესავს.

თვისობა: ვინ ეფრემს თვისობს V 26
ვინც (რომელიც) ეფრემს ენათე-
სავება, ნათესავად მოხვდება.

თმოზა მოთმენა, ატანა: თმო-
ნატანჯევად VII 23 მოითმინა, აიტა-
ნა ტანჯვა.

თნევა, თნება 1. მოწონება: შენი სთნდა ყოვლსა სულსა XV 8; სთნდა შექმნა ცისა XVIII 9; არა გეთნია V 10.

2. პირფერობა, ლაქუცი: უარყვეს თნებით I 59.

თოვნება IV 10 თოვლით. დაფარვა.

თულამე: V 25.

ქბი ნ. ბმა.

ისართა: XVI 26.

ისასმენლენბ ნ. სასმენლენბა.

ის-ი X 11 იგი.

ისო ნ. სობა.

ისობა V 26 ისუ ნავეობა, ისუობა (ისოობა). ნაწარმოებია პირთა სახელიდან ისუ (ისო). შდრ.: ამირანი—ამირანობა, ტარიელი—ტარიელობა და ა. შ.

ისმოდის ნ. სმა.

ისოდის ნ. სობა.

ისრ-ი V 21 ისლი, „ლერწმის განსაკუთრებული სახე“ (ნ. მარი).

ისრის ნ. სრევა, სრვა.

კადრება შეს. 9 შებედვა, გაბედვა. **კალიბ-ი V 3, VII 35** ფორმა, ტანის მოყვანილობა.

კამკამისად XII 5 გამკვირვალედ, კამკამა წყალივით წმიდად.

კედარ-ი მხარე: კედრით კედრამდის II 10 მხრიდან მხრამდე.

კეისარ-ი IX 9 ბიზანტიის იმპერატორის ტიტული.

კერძ XVIII 35 წილ.

კიდე X 24 გარდა.

კლება დაკლება, შემცირება: სპარსთა ერ აკლე V 22 სპარსთა ჯარს დააკლე, ე. ი. სპარსთა ჯარი შემცირე რაოდენობრივად.

კლევა კვლა, მოკვლა: თავსა კვლად სდებდეს I 14; თავის კვლად მთენი I 42; შთვილნი კვლად შექმნეს XVIII 31; კალ V 3 მოკალი.

კმევა VIII 12 დაფრქვევა (სურნელებისა).

კრთომა თრთოლა, შიში, ციმციმი (შუქისა): შუქნი კრთებიან I 7.

კრონოს-ი პლანეტა სატურნი: შეს. 10. ნ. ზუალი.

ლარ-ი I 57 განძეული, ძვირფასი ქსოვილი, აბრეშუმი.

ლაღება გალაღება, გათამამება, გაკადნიერება: მზაკვრებ ლაღნა XVIII 18 ცბიერივით გალაღდა, გათამამდა.

ლალ-ი VII 37, XVI 13 მხიარული, თამამი.

ლაყბიერ-ი VII 25 ხუმარა.

ლება XVII 11 ცემით დაღურჯება (კანისა).

ლებ-ი XVII 11 ცემით დაღურჯებული ადგილი (სხეულისა).

ლევა VII 12, 43, XVI 18 მოსპობა, დალევა (სულისა).

ლმობა ტკივილი: მათ გულსა აღმით X 20 მათ გულს სატკივარს უჩენთ, მათ გულს ასნეულებთ.

ლმობიერ-ი XVIII 44 გულშემატკივარი, თავაზიანი, გულჩვილი.

ლოდნა 1. ცდა, ლოდინი: ხვდა ლოდნა VII 13.

2. ჩაქვავება, ლოდებით ჩაქოლ-
ვა: აჯა და ლოდნა VII 13.

მაგალითი-ი VIII 2, IX 2
უცნაური, საარაკო ამბავი, ნი-
მუში.

მაგ-ი VII 35 „მოგვი, გინა
ფილოსოფოსი“ (საბა).

მადლ-მოსიერ-ი XVIII 22
მადლმოსილი.

მამთოვლებარე V 31 თოვლი-
ვით წყალობის გარდამფენი.

მამშვენებრ-ი V 13 დამამშვე-
ნებელი.

მანა 1. „სადილე ქალთა, რო-
ნელსა ზედა ჰკერვენ“ (საბა): მანა
თოვლითა V 11.

2. წამწამი: მანა თოვლითა დაწვ-
შულაზარობს V 11.

მანაყე ნ. ნაყება.

მანგალ-ი V 19 ნამგალი.

მანგ-ი XI 17 მარგალიტი.

მანკიერ-ი XVIII 16 მანკიანი,
ნაკლის მქონე.

მანქანიერ-ი XVIII 31 ეშმაკური
ხრიკების მცოდნე, ცბიერი, ვე-
რაგი, მოხერხებული.

მაოცებარე V 6 გამაოცებელი,
რაც გაოცებას იწვევს.

მარ-გაკვეთილ-ი VIII 10 სა-
ქორწინო ურვად-მიცემული, გა-
თხოვილი ან დანიშნული (ნ. აქვე
გვ. 115).

მართ I 50, IV 7, VII 8, 27,
IX 20, XV 22 ჭეშმარიტად, ნამ-
დვილად.

მართება: მის კერძ ვერ მართებს
XVIII 35 მის წილ ვერ შეუძლია.

მარ-ი IV 2, XVIII 21 გველი.

მარმარ-ი VIII 13 მარმარილო-
სებრი, ბრწყინვალე ან თეთრი
მარმარილო (ნ. აქვე გვ. 117—118).

მაშა 1. პერიპატეტიკოსი, არის-
ტოტელენელი, არისტოტელეს
მიმდევარი (ნ. აქვე გვ. 63—64):
მაშა, მეხელი XI 3.

2. მაშ, აბა: მაშა, მეჯელი XI 3.

მა-შამს-ი X 23 მთვარე და მზე
(ნ. მარი).

მალნარ-ი II 7 „მთათა შინა
ტევრნალი შამბიანი“ (საბა), ტყე
მთაში.

მალრიბ-ი VIII 6 დასავლეთი.

მაცისკრებარე V 9 ცისკარივით
გამნათებელი.

მაცისკროვნებ-ი IV 2 ცისკა-
რივით გამნათებელი.

მაძებნიერ-ი შეს. 7 მძებნელი,
მეძიებელი.

მბრძოლ-ი V 26, XI 14, XVI
13, 18 მებრძოლი, „პირველად
ბრძოლის ამშლელი“ (საბა), აგ-
რესორი.

მგებლობა XI 3 დიალოგში მო-
ნაწილეობის მიღება, მოპასუხეო-
ბა (ნ. აქვე გვ. 61).

მგმობ-ი X 21 მგმობელი (სარ-
წმუნოებისა).

მგოდებ-ი VI 2, XI 11 მტი-
რალი, მგოდებელი.

მგოდ-ი X 16 მაგოდებელი,
გოდების მიმყენებელი.

მდალ-ი XVI 13 დაღის დამს-
მელი, დამდაღველი.

მდგენ-ი XVIII 36 ფეხზე დამ-
ყენებელი (ავადმყოფისა, კოჭ-
ლისა).

მდეგ-ი მდგომი, მოხელე, თანამდებობის პირი: ხვარაზმუა მდეგსა XVII 15 ხვარაზმის შაჰად (მეფედ) მდგომსა (მყოფსა), ხვარაზმის შაჰის თანამდებობაზე მყოფ პირს.

მდედრ-ი I 34 მშიშარა, ლაჩარი, დედაკაცური კაცი.

მებარე ვისაც რამე აბარია, მფლობელი, პატრონი: დვინის მებარე V 24 დვინის პატრონი, მფლობელი.

ეს სიტყვა დამოწმებულია თეიმურაზ პირველის „ვარდ-ბულბულიანშიც“: უსულოდ გდებული ბულბული „დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებარე“ (თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული, 1934, გვ. 6). ლექსიკონის შემდგენელს, გ. ჯაკობიას, მებარე გაგებულნი აქვს როგორც მესაფლავე (ნ. იქვე ლექსიკონში: მებარე), ალბათ, იმიტომ, რომ ტაეპში საუბარია ბულბულის დამარხვაზე, მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ კონტექსტშიც მებარე ნიშნავს ბაღის პატრონს, მფლობელს.

მედგარე მშიშარა, მცონარა, ზარმაცი, „მარადის ძვირის მმარხველი გულსა შინა აღუწოცელად“ (საბა): არა მედგარე IV 9 უშიშარი.

მეისრე V 29 ისრის მტყორცნელი, მოისარი.

მელიქ-ი XVII 16 ნეფე.

მელნის ტბა VII 50, XV 25 მეტაფორული გამოთქმა შავი თვალების გამოსახატავად.

მეოტება XVI 21 გაქცევა-რბენა.

მეოტებარე V 19 მეოტი, მორბენალი.

მეოტი I 51 მორბენალი.

მესია XII 11 მხსნელი (იგულისხმება ქრისტე).

მეტყვის ნ. ტყვევა.

მეშურნეობა I 12 შურიანობა, გაუტანლობა.

მეცნიერ-ი, **მეცნიარ-**ი II 1 ცნობილი; შეს. 6, XVIII 1 მცოდნე.

მეძიებელ-ი მაძებარი, მძებნელი: არისტოტელმან მეძიებელმან თავით მისცა საძიებელად XVII 24 (ჭეშმარიტების) მძებნელმა არისტოტელემ (ვერ შესძლო თამარის შექება) და თავისი თავი თვითონვე მისცა საძიებელად საძიებელს, ე. ი. თამარს.

ამ ტაეპის შინაარსის გახსნის საშუალებას იძლევა „ელინთა ზღაპრობანი“, გამოქვეყნებული ი. აბულაძის მიერ (ენიმკის მოამბე, X, 1941). „ივლიანე პირველის განქიქებაში“ ვკითხულობთ: არისტოტელემ მოისურვა გაეგო, თუ „ადგილსა მას ევრიპოდ სახელდებულსა“ რატომ „დღესა შინა შვდგზის მოიქცევის ზღუად და კუალად შვდგზის განწმების“, მაგრამ მან ვერ ახსნა ამისი მიზეზი, „ამისთვის შთააგლო თავი თვისი ზღუასა და თქუა: ვინაფთვან არისტოტელეს არა აქუს საძიებელი, აქუნდინ საძიებელსა მეძიებელი, ესე იგი არს ვითარმედ: სა-

ძიებელ ჩემდა იყო პოვნად, თუ ვითარ იქმნებიან მოქცევანი ევრიპოიძისანი, და ვინაფთვან არა მაქუს მე საძიებელი, ვაქუნდე მე საძიებელსა“ (იქვე, გვ. 37).

მეხელი ნ. ხლება.

მეჭელი ნ. ჯელვა.

მეჯლისი-ი V 31 ნადიმი, ქეიფი.

მზაკვარი-ი XVIII 18 ვერაგი, ცბიერი.

მზება მზით განათება: რომლისა ჭემან, უბინდოდ მზემან, ლაშა-ყე გ ი მ ზ ო წარმართებულად I 21 ეფრემის ძემ, დაუბინდებელმა მზემ, ე. ი. დავით სოსლანმა, ლაშა გიორგი მზესავით გაგინათა ხელშეწყობილად (სწორ გზაზე კეთილად მავალად).

მზე-დანამჭვირი-ი VII 44 მზით გაშუქებული, განათებული.

მზევად VII 5 მზესავით.

მზერა XVIII 26 თვალთვალი. ზვერვა, მსტრობა.

მთავარი-ი I 36 მხარის, აღმინისტრაციული ერთეულის განმგებელი, უფროსი.

მთავრობიერი-ი XVIII 7 უზენაესი ხელისუფალი, მეუფე.

მთესე დამთესი, მთესველი: არს გულსა მთესე შიშისა XVII 7. შდრ. შეს. 8: ვინ გული ესე სიბრძნითა სთესე.

მთენ-ი 1. ციური მნათობი: შენ არე მთენი IV 5 შენ მნათობი მარსი; თულამე მთენი V 25; ეთერთა მთენნი VII 47 ეთერთა მნათობნი; მზე-მთოვარ მთენი XVIII 13. მნათობნი მზე და მთვარე.

2. მანათობელი, გამთენებელი: შენ არე მთენი IV 5 შენ ხარ გარემოს გამნათებელი; თუ ლამე მთენი V 25; ბნელთა მთენოსა X 10; უკუნთა მთენი XVIII 13.

მთვარევად VII 5 მთვარესავით. **მთიებ**-ი VII 8, XV 15 მნათობი, ცისკრის ვარსკვლავი.

მთმოზ-ი: არს ლხინთა მთმოზი X 21 ლხინის უარყოფელია.

მთნე მნდომელი, მსურველი: თავის კლვად მთენი I 42 თავის მოკვლის მსურველნი, ანუ თავის გასაწირად მზადყოფნი.

მთქმებულ-ი I 1 ნათქვამი.

მთქმენ-ი მთქმელი, გამომთქმელი: ფსალმუნთა მთქმენსა VII 3 ფსალმუნების მთქმელს, გამომთქმელს (იგულისხმება დავით წინასწარმეტყველი).

მთქნარი-ი III 3 ჩამქრალი, გამქრალი, დაბნელებული.

მთხზველ-ი მწვენი, მქსოველი: ზევსის ნაქვსთა ვიეთთა მთხზველი X 13 ზევსის ზოგიერთი ნაკვთის მქსოველი.

მთხრებლ-ი VIII 15 ორმო, თხრილი.

მიახლებულ-ი დანთქმისა მიახლებულად I 26 წყალში ჩასაძირად მისული, მიახლოვებული.

მიდევნება მიყოლა: ყო მიდევნება XVIII 37 მიჰყვა.

მიდრეკა გადახრა: მიდრეკა XVIII 6 გადაიხარა; მიდრეკა მისგან მიერსა XVIII 5 მისგან იქით გადახარა.

მიერი 1. მაგიერი, გარდა: შენგან მიერსა შეს. 8; მის მიერი მისად IV 7;

შის მიერსა XVIII 2; არსთა მიერსა XVIII 41.

2. იქით: მისგან მიერსა XVIII 5.

მიზგით-ი VIII 16 მეჩეთი, მაჰმადიანთა სამლოცველო.

მიმადლება I 63 მადლის მიცემა, (რისამე) მინიჭება.

მიმყოლ-ი მიმდევარი, ამყოლი: წადთა მიმყოლო XVIII 4 სურვილთა ამყოლო, მიმდევარო.

მისება მისად გახდომა: ემისი XV 4 ემისე, ე. ი. მისი გახდი, დაენათესავე.

მისმი ნ. სმ.

მისნობა: შენ მისნი ერნი შენ მისნი ერნი V 20 შენ მოხბლე (მოაჯადოვე) ხალხი! შენ მისი ჯარი (ლაშქარი).

მიტაცება XVI 15 წართმევა, ძალით მისაკუთრება.

მიცემა: მიეც ქადილსა XI 10 მიეცი თავი ქადილსა, ე. ი. დაიწყე მუქარა.

მიწყევ XVII 14 მარად, მარად-ემს, მუდამ, დაუსრულებლივ.

მკვდარ-ქმნა VII 16 სიკვდილი, მოკვდინება.

მკლებულ-ი I 8 უნდა იყოს; მკლებელი, დამკლებელი.

მკოლ-ი X 16 ჭრილობის მიმყენებელი, დამკოლი.

მკრძალ-ი X 26, XVI 11, XVII 19 მორიდებული, მოკრძალებული.

მმონებ-ი I 27 დამმონებელი.

მნათ-ი IV 6 მანათობელი.

მნათობ-ყოფა XVIII 13 განათება.

მო 1. შემოკლებული „მოდი“: მო, ფილოსოფნო, შეს. 1; გულო აბა, მო XII 1.

2. ზმნისწინი, გამეორებული ზმნის მნიშვნელობის გასაძლიერებლად: მოკლის, მო, ხედვა VII 10; მოგყვა, მო, ნებად XV 11.

მოხალდადე VIII 9 ბალდადელი.

მოხერვა X 28, XVIII 1 „შინაგანი მოგონების მოცემა ღვთისა მიერ“ (საბა), ზეშთავონება, ზენით მონიჭება.

მოღება XVII 10 ბრალის დადება, რისამე დაბრალება.

მოემან XI 17 სტუმარი.

მოვანება I 9 „დიდებით და ბრწყინვალედ გამოჩინება, შემოდგომა (შუქის), სხივოსნებით მოვლინება, მნათობის დიდებულად აღმობრწყენა, მნათობის დიდებული სვლა ცაზე“ (იუსტ. აბულაძე). ნ. აგრეთვე: ვანება, ვანი.

მოვნება IV 11 ვნების მიყენება, ვნება.

მოზავება VIII 10 სამშვიდობოდ მოსვლა.

მოზე X 13, XVIII 40 უზენაესი არსება (ნ. მარი).

მოთავს-ი შემწყალებელი, მიმტევებელი, მომთმენი, ვინმესთან შეთანხმებით მცხოვრები: ყოლ არ მოთავსი VII 39 სრულიად შეუწყნარებელი, შეუთანხმებელი, კომპრომისების წინააღმდეგი.

მოთხე ყუთი, კოლოფი: ცნობათ მოთხე II 8 აზრთა ყუთი, კოლოფი (შდრ. ჭკუის კოლოფი).

მოკრვა ცემა, რტყმა: გულსა მოკრვითა VI 4 გულზე ხელის (მჯილის) ცემით.

მომზე VII 36 მზის ორეული (ნ. მარი).

მომთმინარ-ი დამთმობი: არ მომთმინარი II 11 არ დამთმობი.

მომოკლება VIII 7 შემოკლება, მოკლედ მოჭრა (გზისა).

მომხვეტელ-ი XII 12 მომგველი, აღმგველი.

მონაკვლევ-ი VII 17 მიკვლეული, მოძიებული.

მონაჟმეირ-ი XVIII 42 მონახმობი, მოწოდებული (ღვთისაგან).

მონება I 32, XVI 17 მორჩილება, დამონება.

მოოკრებულ-ი I 39 განადგურებული, აოხრებული, გავერანებული.

მორჩევა VII 10 მორჩება, ე. ი. ულორტების ამოყრა.

მორჩ-ი VII 10, XV 16 შტო, ულორტი.

მოსათნებარე V 15 მოსაწონი, საამებელი.

მოსამომზღვრე X 13 მოსაზღვრე.

მოსამშეირ-ი XVIII 17 მოსამშეიბელი.

მოსახვეჭელ-ი X 3 გულით სანდომი, სასურველი.

მოსპოლვიერ-ი XVIII 28 მოსასპობი, დედამიწის პირიდან აღსაგველი.

მოსრვა I 56, V 22, VI 3, XVIII 30 ამოწყვეტა, ამოხოცვა, ამოჟლეტა, აკუწვა.

მოსრულ-ი XVI 23 ამოხოცილი, ამოჟლეტილი, განადგურებული.

მოსხმა მოდენა, მოყვანა (ხალხისა, ჯარისა): გარნისს მოგისხნა V 20 გარნისში შემოგვიკრიბა (მოგიყვანა).

მოუკლებარე: ძმათა შვებისა მოუკლებარე V 30 ძმებისათვის მხიარულების არ მომკლები (ე. ი. მიმნიჭებელი).

მოფხვა მოგლეჯა, მოსპობა: ჯრმალი მოფხვრისა VI 4.

მოქცევ-ი ტალღა: მოქცევი ღვარი IX 1 ტალღებად მოვარდნილი ნიაღვარი.

მოყვანებულ-ი I 60 მოყვანილი. **მოყმე** I 37, VIII 3, IX 3, 18 ვაჟკაცი, ჭაბუკი, რაინდი.

მოცალე XVII 9 მხიარულად დროის გამტარებელი, მოცლილი.

მოცვა გარემოცვა, მოდება: ქვეყანას მოსცვის IX 7 ქვეყანას მოედება (შემოვიღის).

მოცთუნებულ-ი I 59 შეცდენილი, მოტყუებული.

მოწესე II 11 „სამღვდელოს დასთავანი“ (საბა), ღვთისმსახური, მოლოზანი.

მოწვართა განსწავლება: მოიწვართა XVII 17 განსწავლულ იქნა.

ნ. აგრეთვე: წვართა.

მოწონვა შემოწმება, გასინჯვა: მოწონეს თავი I 26 შეამოწმეს, გასინჯეს ნავის კიჩო.

მოწყალე V 28 მოელვარე, მბრწყინავი. შდრ. წყალი.

მოწყალება ელვარება, ბრწყინვალება: იოქმი უღამო, ტპილი და ამო

მოწყალეებისა ნაუფსკრულეად VII 38 ითქმი დაუღამებელი, ტკიბილი და სასიამოვნო ბრწყინვალეების უფსკრულად, ან შენ ისეთი ბრწყინვალეობა გაქვს, რომელიც უფსკრულსაც კი ანათებს.

ნ. აგრეთვე: მოწყალე და წყალი.

მოწყვედა ამოჟღერა, ამოწყვეტა: მოსწყვიდნეს I 56 ამოხოცეს, ამოჟღერეს; მოსწყვიდნენ V 22.

მოხარკე I. ხარკის გადამხდელი: სწრაფით მოხარკე I 27 სწრაფად ხარკის მომტანი, გადამხდელი; გძღვნას მოხარკეჲს XI 14 ხარკის გადამხდელმა საჩუქრად (ძღვნად) მოგიტანოს.

2. მომჭირნე: იქმნეს მოხარკე I 27 გახდეს მომჭირნე.

მოხვეჭა VII 15 უპატიოსნო გზით შოვნა, მოგროვება რისამე.

ნ. აგრეთვე: ხვეჭა.

მოჯღომა მოვარდნა (მოცვევნა): მოუჯღეს I 49 მოუვარდნენ, მოუცვიდნენ.

მოჯსენალი XI 13 მხსენებელი (მიცვალებულთა).

მართმევი IV 4 წამართმევი.

მრჩევი-ი: სიტყვითა მრჩევსა XVIII 42 სიტყვით მრჩეველსა, რჩევის მიმცემსა; ეღვათა მრჩევსა XVIII 42 ეღვარებათა გამრჩეველსა.

მსაჯულ-ი: დიდსა მსაჯულსა II 12 დიდ მოსამართლეს, ე. ი. ღმერთს.

მსრბოლ-ი I 52 სწრაფ-მორბენალი.

მსრველ-ი X 15 გამჟღერებელი, მხოცველი, ამჟღერებელი.

17. ი. ლოლაშვილი

მულღაზარ-ი შეს. 10 ყვაველნარი.

მუსიკ-ი VII 53 ლამაზი სიტყვებით მამკობელი, მაქებარი.

მუქფეხა I 7 სამაგიეროს (სანაცვლოს) მიზღვევა (გადახდა). ნ. აქვე გვ. 93.

მუჯამრ-ი VIII 12 საცეცხლური.

მქებარე: გემქებარე V 20 შენი მაქებარი გაეხდი.

მქიქებარ-ი X 23 გამომააშკარავებელი, საქვეყნოდ გამომშვევებელი.

მქნარ-ი ჩქარად და მოცვით მომდინარე: წყალი მქნარი III 2.

ნ. საბასთან: მქნარება.

მქნიარ-ი II 2 მქროლავი.

მღებარე V 26 მღებარი, მღებავი, შემღებავი.

- **მცა** ნაწილაკი, რომელიც მოითხოვს თხრობითკილოიანი მწკრივის ფორმას, ნაცვლად კავშირებითისა: სხვამცა ვინ იყო სრვად შემძლებარე V 16; სხვამცა ვინ ჰკვანდა V 29; არსმცა ნაყოფად V 32; სხვამცა ვინა ჩანს VII 32; ვითამცა შორით კვლა მოვიდოდის VIII 5; აქვსმცა სუფევად ათასი წელი X 27; ვითამც ვინ იქმნეს მიბაძვებულად XV 14; პურსამც შესსა სჭამ ნაოფლიერსა XVIII 24.

მცბიერება XVI 15 ცბიერება.

მცებარე V 4,8 ციური.

მცრობა: გამცრობს ერაკლე V 22 ჰერაკლე კეისარი შენ „პირველობას გითმობს“ (ნ. მარი), ე. ი. შენთან შედარებით პატარაა; მცრობსა აქილევს XVI 18 აქილევსი თავისზე პატარად მიაჩნია.

მცქაფრობა X 25 უცაბედად, სწრაფად თავდასხმა მოწინააღმდეგეზე.

მძღება: ამძღეთ შეს. 2 შეადღებინეთ.

მძღე I 33, II 10, XVI 18 გამარჯვებული.

მძღევარ-ი 1. დამძღვეელი: სხვათა მძღევართა X 18 სხვების დამძღვეელს.

2. მიმცემი, გადამხდელი: ხარკთა მძღევართა X 18 ხარკის გადამხდელებს, მოხარკეებს.

მწე V 12 მეშველი, დამხმარე, შემწე.

მწეს-ი XVI 1 მომხმობი, დამძახებელი.

მწლფებარე V 13 წრფელი, ალალ-მართალი, პირდაპირი.

ნ. აგრეთვე: სიწრფოება, წრფელობა.

მწოდებარე V 12 მწოდებელი.

მწყაზარ-ი შეს. 10, VII 37 მშვენიერი, ლამაზი, თეთრი.

მწყაზრობა: ღაწვი. უმწყაზრობს I 10 ლოყა ალამაზებს, ამშვენიერებს.

მწყდარ-ი VII 17 მკვდარი, დაქრილი.

მწყობრ-შენასხმევ-ი VII 53 მწყობრად, გუნდურად შექება, გალობა.

მკვრეტ-ი შეს. 9, V 6, VII 40, XIII 4 მაყურებელი, მკვრეტელი.

მხარკე „მომჭირნე და მცდელი“, საჭირო საქმისათვის მზრუნველი: მბრძოლთა მხარკე XI 14 მებრძოლთა მომჭირნე, ე. ი. ვისაც

მებრძოლების მოგროვება უჭირს. **მხლტომ-ი** XVI 22 მხტომი, მხტომარე.

მჯღოვნებად ნ. ჯდა.

მჯოც-ი I 54 მხოცველი, მკლელი.

მჯობენ-ი მჯობი, გამარჯვებული: ყოვლითვე მჯობენ სძლო დიდად მჯობენ I 30 სრულიად გამარჯვებულმა დასძლია (აჯობა) დიდად გამარჯვებულს.

ნაგაშახპევ-ი VII 33 სიყვარულით შემომცქერალი (ნ. მარი).

ნაელვებ-ი, ნაელევ-ი: ნაელვებითა შეს. 11 ელვარებით, ბრწყინვალეებით; შუბლ-ნაელვად VII 42 შუბლელვარებულად, შუბლგაბრწყინვებულად.

ნათელიერ-ი XVIII 40 სინათლიანი, ნათელმოსილი.

ნათელ-ღებულ-ი I 41 მონათლული.

ნალ-ი XI 3, 12 ლერწმის კალამი (ნ. აქვე გვ. 62).

ნამათევ-ი ვინც ღამე გაათენა. ნაწარმოებია სიტყვიდან თ ევა: მა-თევ-ი, ნა-მა-თევ-ი: არ მათად სჭვრეტენ მართ ნამათევად VII 8 მათ არ უჭვრეტენ ჭეშმარიტად ღამენათევად.

ნამარხევ-ი VII 32 დამარხული.

ნამიჯნურევ-ი VII 27 შეყვარებული, მიჯნური.

ნამორჩებარე V 32 ფურჩქნადი, რაც იფურჩქნება და ყლორტებს იყრის.

ნამტკიცოვან-ი IV 14 მიმაგრებული, მიმყარებული.

ნამუხთალევი-ი VII 51 ნალალა-ტევი, დალალატიანებული, «по-стуживший, содеянный вероломно» (ТР, IV, 6ნთ).

ნანვა XVIII 28 დანანება, სი-ნანული.

ნაოტ-ი I 31 გაქცეული, გადა-ხვეწილი.

ნაოფლიერ-ი ნაოფლარი: პურ-სამც შენსა სჭამ ნაოფლიერსა XVIII 24 შენს ნაოფლარ (ოფლით, ე. ი. შრომით ნაშოვნ) პურსა სჭამდე. ამოღებულია ბიბლიიდან: ოფლითა პირისა შენისათა შჭამდე პურსა შენსა (შესაქმე III, 19).

ნარბევ-ი VII 9 ნარბენი.

ნარგისთა შამბ-ი IV 11 მეტა-ფორული გამოთქმაა და ნიშნავს წარბ-წამწამებს.

ნასარ-ი: არ ეც ნასარად XI 15 გამარჯვების საშუალება არ მიეცი.

ნასახ-ი დახატული, შესახედა-ვი: ნასახად სად ა V 4 შესახედავად სად არის.

ნასმენალ-ი XI 7 გაგონილი, მოსმენილი.

ნასურ-ი VI 4 უკეთური. შდრ. ნასი, ნასება.

ნატანჯევ-ი VII 23 ტანჯვა გან-ცდილი, ნატანჯი.

ნატიფ-ი II 6 ტურფა, ნაზი, კობტა, ფაქიზი, თლილი.

ნაფურჩ-ი XII 6 თაიგულად გაშლილი.

ნაფუნჩევ-ი VII 41 თაიგულად გაშლილი, გაფურჩქვნილი.

ნაქვს-ი X 13 ნაკვითი, ფორმა, სახე.

ნაქმარ-ი შექმნილი, ტანის მო-ყვანილობა, გარეგნული შეხედუ-ლება: ნაქმარი გიქენ II 6 შევაქე შენი ქმნილება, გარეგნული შეხე-დულება, ტანის მოყვანილობა.

ნაყბიერ-ი VII 44 აჯილოსანი, ჩადრჩამოფარებული, რიდენობვე-ული.

ნაყება: მანაყე ნალი XI 12 გა-მიმშვენიერე ლერწმის კალამი (ნ. აქვე გვ. 121).

ნაშენებარე V 27 რაც ხარობს, ცოცხლობს.

ნაცარ-ნახსმევ-ი VII 31 ნაცარ-წყრილი, თავლაფდასხმული, შე-რცხვენილი (ნ. აქვე გვ. 134 — 135).

ნაველოვნებ-ი XI 5 რაც ხე-ლით არის შექმნილი.

ნავსოვნებ-ი IV 13 მოგონებით წარმოსახული, წარმოდგენილი.

ნაჯუფთევ-ი VII 49 ნაწყვილე-ვი, შეწულელებული, შეტოლებული (ნ. აქვე გვ. 111, 113).

ნება სურვილი, ნების დართვა, უფლება, ნებისყოფა: ინებო I 8 მოისურვო, მოინდომო; თუ ნება I 9 ან სურვილი (უფლება); არ ჰქონ-და ნება VII 20 არ ჰქონდა უფლე-ბა; მე ცად ვინები XI 13 მე ცად ყოფნა მოვინდომე, მოვისურვე; თქვენად ვქმნა ნებით XI 13 თქვენი სურვილისამებრ ვიმოქმედო, გა-ვაკეთო ის, რაც თქვენ გსურთ; ლომ-ნებანი XVI 4 ლომისებრი, ძლიერი ნებისყოფა.

ნიშ-ი XV 12, XVIII 35 სას-წაული.

ნიჭ-ი XVI 17 ძღვენი, საჩუქარი, საბოძვარი.

ოქს. V 18, VII 23, XI 5, XII 9, XVI 21 როს, როდესაც.

ოხან-ი VII 23 მომღერალი, აშული.

ოტება 1. გამოდევნა: ზეციით იოტნა XVIII 12 ზეციდან გამოდევნა.

2. გარდახვეწა: ამით იოტნა XVIII 12 ამით გარდაიხვეწა.

ოხვრა VI 2 ოხვრა, წუხილი.

პატრონება უფლება ქვეშევრდომებზე: გიპატრონებს II 13 თავის პატრონად გთვლის (მიაჩნისარ).

პირ-ი 1. პირისახე: შიშ-პაერ პირი IX 12; ეგ თქვენი პირი გაცისკრებულად XV 21.

2. პიროვნება: უმგავსო პირი XII 4 შეუდარებელი პიროვნება.

3. მკრელი იარაღის პირი: მანგლის პირითა V 19 მანგლის პირით.

4. ნაპირი, მისასვლელი: მანგლის პირითა V 19 მანგლისის მისასვლელიდან.

პირის ქმნა: პირი ქმნის შინად IX 16 პირი შემოიბრუნა, ე. ი. გამოემგზავრა შინისაკენ.

პოვნება IV 3 პოვნა, ნახვა ან ხილვა (დაკარგულსა).

პორფირ-ი X 26 წითელი სამეფო ტანსაცმელი; საბას თქმით, „სისხლის ფერობას მოასწავებს, მეფეთა და მღვდელმთავართა სამოსელი, რათა დასთხრიონ სისხლი მათი, ვითარცა ქრისტემანერისათვის“.

ჟამ-ი დრო: გასცნეს ჟამისნი I 48 გასცეს ჟამისად, დროულად; ჟამის ჟამად XII 13 მუდმივად.

რბევა VII 9 შემორბენა.

რგულ-ი V 27 დარგული.

-რე უფროობითი ნაწილაკი: მწაღდა-რე ძნობა XII 14 მსურდა უფრო მეტად შექება.

რეტ-ი VII 23 „ცხოველს რატვინი შეუშინდეს და ცნობა მიეხადოს“ (საბა).

რთმევა წართმევა: საულს მეფობა ართო I 63 საულს მეფობა წართვა (ნ. აგრეთვე საძიებელში: საულ).

რიდება მორიდება, არიდება (თვალის, ყურის): არიდენ XIII 1,2.

რიტორებრ, რიტორებრივ X 22, XVI 26 მქვერმეტყველურად, ორატორულად.

რიტოს, რიტორ-ი VII 1, X 27 მქვერმეტყველი, ორატორი.

როკვა XV 3 ცეკვა, თამაში.

რუსხა I 8 სინათლე.

რჩ დამორჩილება, დაჯერება: ერჩდეს მათ მცთართა XVIII 21 ემორჩილებოდეს, უჯერებდეს შემცდართ.

საბირონ XVI 12 უბედურობის თანამოზიარე, ამხანაგის გასაჭირში მყოფი.

სავანე: მზეებრ სავანე XII 2 მზესავით ბრწყინვალედ საჩინელი, დიდებულად აღმობრწყინებული (შდრ. მოვანება): სულის სავანე XII 2 სულის სადგური, ადგილსამყოფელი (შდრ. ვანი).

სავსი VII 39 სავსე.
სათნევი VII 16 მოსაწონი, საამებელი, გასახარელი. ნ. აგრეთვე: სათნი.
სათნი IV 1, X 2 მოსაწონი, საამებელი. ნ. აგრეთვე სათნევი.
სათნი VII 14 პირფერული, მლიქვნელური, ფარისევლური.
სალმობა VII 24 ტკივილი, ავადმყოფობა.
სალმობიერი V 16, XVIII 6, 10 სნეული, ავადმყოფი, რაიმე ჭირ-შეყრილი.
სამაროვნება IV 8 დასაფლავება, დამარხვა, სამარეში ჩადება.
სამება II 1 სამი ჰიპოკრასი: მამა, ძე და სულიწმიდა.
სამშვენი I 25 დასამშვენებელი.
სანდომი I 23 მოხდენილი, მიზიდველი, მშვენიერი, გულმისასვლელი.
სარო I 13, XV 25 კვიპაროსის ხე.
სასმენლება მიყურება, ყურის გდება: არ ისასმენლებ XIII 1 ყურს არ უგდება, არ ისმენ.
საქნარი II 12, 14, IX 11 გასაკეთებელი საქმე.
საშვებელი-ი, საშვებიერი XVIII 20, 26 საფუფუნებო, მდიდრული, საუცხოო, „უზრუნველი ადგილი“ (საბა).
საძებნიერი XVIII 32 საძებნელი.
საწადიერი-ი, საწადი-ი შეს. 3, X 14 საწადელი, სასურველი.
საწესიერი-ი საგანმგებლო: მკვლართა აღმდგენი, ბრმა-კოჭლთა მდგენი სრულად უვნებლად საწესიერს ა XVIII 36

მკვლართა გამცოცხლებელი და ბრმა-კოჭლთა ფეხზე დამყენებელი (იგულისხმება ქრისტე) სრულიად უვნებლადაა საგანმგებლოში, ე.ი. იქ, საიდანაც ის წესრიგს ამყარებს ქვეყანაზე.

საწმისი XV 1 საწამისი, რაც საწამებელია, სარწმუნოა. მისი მნიშვნელობა დაკავშირებულია წამ ძირთან. აქედან მიღებულია არსებითი სახელი—სა-წამ-ი, რომელიც ფუძეკუმშვად სახელთა ჯგუფს ეკუთვნის: საწმის, საწმით, საწმად. ამ სიტყვის ნათესაობითი ფორმიდან ნაწარმოებია მეორე არსებითი სახელი სა წ მ ი ს ი. „ვინ ჩნდა სა წ მ ი ს ა დ“ ნიშნავს: ვინც გამოჩნდა საწამებლად, სარწმუნოდ. ამ შემთხვევაში ჩახრუხბაძე გულისხმობს იესო ქრისტეს, რომელიც, ახალი აღთქმის მიხედვით, კაცობრიობას ახალი სარწმუნოების საწამებლად მოეწვინა.

საჭვრეტელი-ი თვალი: მზის საჭვრეტლითა XVII 11 მზის თვალით.

სახე 1. გამოსახულება, გამოხატულება: დასახა სახებრ მსგავსი IV 3; ჰე, სახე სახე VII 51; შექმნა სახესა თვით სახიერსა XVIII 14.

2. მსგავსი: ედემის სახე XV 22.

3. მაგალითი, ნიმუში: სახედ გასახობდეს XV 26.

სახელ-დება XV 12 სახელის დარქმევა, წოდება.

სახელდებული-ი XV 4 სახელდარქმეული, წოდებული.

სახვა: ბრძენმან გასახა VI 1

ბრძენმა გიწინასწარმეტყველა, წარმოგისახა; თვალნი ვერ გასახვენ VII 56 თვალეზი ვერა გხედავენ; რასა გასახოს X 24 რას შეგადაროს; სახედ გასახობდეს XV 26 მსგავსად წარმოგისახავდეს, ნიმუშად შეგადაროს.

სახიერ-ი XVIII 43 კეთილი (შდრ. მათე 19, 17: ერთი არს სახიერი ღმერთი).

სახოვან-ი მიჩნეული: მძლედ სახოვანმან XVII 12 გამარჯვებულად მიჩნეულმა (შდრ. ვ. ტ.: 702, 4: მზე შემოიფიცავს თავისა, ჩემგან მზედ სახედავისა).

საჯმარ-ი VII 15 მოსახმარი.

სგე X 16, XVI 14 ბელი.

სვიან-ი I 44, XVII 18 ბედნიერი, კეთილდღიანი.

სისხლ-წამებულ-ი I 42 სისხლით დამოწმებული.

სიტყვა-მავნი სიტყვა-მავნე, ავი სიტყვის მოქმელი, ავად-მეტყველი (შდრ. ვ. ტ.: ღამთ მავნე განმარიდე 811,3; ქაჯნი არიან «ყოველთა კაცთა მავნენი» 1247,3): მონებენ ზღვანი, სიტყვა-მავნი I 32 ემორჩილებიან ზღვები და ავი სიტყვის მოქმელიც, ე. ი. ავი სული.

სიწრფოება XVI 7 სიწრფელე, პირდაპირობა, გულწრფელობა, ალალ-მართლობა.

სკიპტრა X 26, XVIII 41 სამეფო კვერთხი. აქედან: სკიპტრის-მპყრობელი, ე. ი. მეფე.

სღვა: ღზინად ვლი I 41 მხიარულად წადით; ვიდის მოჭსენებანი

XVI 18 წავიდოდა ხოლმე (იგზავნებოდა) მოხსენებები (თამართან).

სმ: მისმი ერმისად IV 7 «ты пользуешься у меня славою Гермеса» (ТР, IV, 96).

სმა: ისმოდის VIII 17 ისვამდა.

სობა ჩასობა, ჩაცემა, ძგერება, კვრა (მჭრელი იარაღისა): ისო VI 4, VII 12 ჩაისო, იკრა; ისოდის VIII 14.

სპა I 41, 54 ჯარი, ლაშქარი.

სრევა სროლა, ტყორცნა: ისრვის ისარსა I 19; ფერო ეთერსა ელვათა სრევად VII 4 ეთერში ელვარე (ელვისებრი) სხივთამფრქვევის მსგავსო (შესადარო), ან მოკლედ: ცაში გაელვების მსგავსო; სამყაროდ ისრის XII 7.

სრვა ამოხოცვა, ამოყლეტა, გაწყვეტა: I 20, V 16; უწყალოდ ისრის XII 7 უწყალოდ, შეუბრალებლად ნადგურდება, ისპობა.

სულ-ი 1. სული, дух: სულთ აშენებდენ I 15 თავიანთ სულს შენ გაძღვედნენ; სული მულფებარე V 13 წრფელი სული; სულ-ნახუთევად VII 21 სულშეხუთულად; სულისა დგმიითა VII 43; VIII 13, XII 2, 13, XVI 7, XVIII 7.

2. თავი, სულიერი არსება: დაუნაყელი სული ვის შერჩა VII 45 დაუჩეჩქველი თავი ვის შერჩა; სთნდა ყოვლსა სულსა XV 8; არ ენა, სული არენ ასული XII 11; მოწყალე სული XV 9.

სულისა დგმა VII 43 სულის ჩადგმა, სულის ჩაბერვა, სიცოცხლის მინიჭება.

სულტან-ი IV 8 მეფე.
სულ-ცხოვლიერ-ი XVIII 15 სულით ცოცხალი.
სურმა VI 3 თვალის საოლავი (ნ. აქვე გვ. 101—102).
სურნელ-ამბარი IX 18 კეთილ-სურნელოვანი, საამო საყნოსელი, საკმეველი ნივთიერება.
სუფევა XVIII 38 მეფობა.
სწავება სწავლება: გასწავებ XVIII 2 გასწავლი.
სწრაფით I 27 სწრაფად, ფიცხლავ, გამალებით.
სწრობილ-ი XV 20 სრული, ბადრი (მთვარე).
სხივ-შესადგმევი VII 56 სხივ-გასაძლები.
სხმა: ქმრად რომე გე სხნეს VII 30 ქმრად რომ გყავდა (გეჯდა).
სჯა განსჯა, გასამართლება, სასჯელის დადება, დასჯა: ლხინად ვლი სჯათა I 41 მხიარულად წადით განსასჯელად, დასასჯელად; ქოლავით ისაჯა VII 15 ჩაქვავებით დაისაჯა; ის სჯის მოსპოლიერსა XVIII 28 ის სასჯელს ადებს, ასამართლებს მოსასპობს, დედამიწის პირიდან აღსაგველს.

ტაროს-ი VIII 8, IX 8 კარგი ამინდი სამოგზაუროდ.

ტენალ-ი XI 15 სითხე, სინოტივე.

ტყვევა და ტყვევება: მკვრეტნი ვიტყვითა V 6 მაყურებელნი მისი ტყვე ვხდებით, მის ტყვეობაში ვვარდებით; მტყვის მით ენოს IV 10 მით ტყვედ მივარდება, ე. ი. ჩემი

ტყვე ხდება, (ფილოსოფოსი) ენია (ლაზელი).

ტომ-ი I 23, 56, II 4, XII 12, XVI 22 ნათესავი, მოდგმა, ჩამომავლობა, გვარი.

ტურფა VIII 11, IX 17 იშვიათი და ძვირფასი ნივთი, ახალი და უცხო რამ.

ტურფობა სინაზის მიცემა: სტურფობს XVIII 44 სინაზეს ჰგვრის, ანიჭებს.

უბინდო I 21 დაუბინდებელი.

უდრ-ი XVII 20 შეუდარებელი.

უვის ნ. ვ.

უზაკვო XVII 8 არა ცბიერი, ნ. აგრეთვე: მზაკვარი.

უზევს-ი IV 6 უზენაესი.

უზლო-უმსგავსო XIII 3 მიუზღებელ-შეუფერებელი.

უკლებ-ი XVI 7, XVII 8 აღუსილი, სავსე.

უკლებლობა: უკლებლობს XVI 13 არაფერს არ იკლებს.

უკლ-ი: ყოვლითურთ უკლი, ერთგულთა უკლი XI 8 ყოვლითურთ უნაკლო, ერთგულთათვის არაფრის მომკლები.

უკუნ-ი XVI 2, XVIII 13 სიბნელე, წყვდიადი.

უმსგავსო XII 4 შეუდარებელი.

უნათლიერ-ი შეს. 12, XVIII 20 ბნელი.

ურ-ი V 7 შავთვალა, აღმოსავლეთის ლამაზი ქალი, მუსლიმანური მითოლოგიით — სამოთხის ქალწული.

უსიტყვ-მოსიტყვ-ი II 4 პირ-
უტყვი და მეტყველი.

უფლება XVI 14 ბატონობა;
გვეუფლა XVIII 19 დაგვეუფლა.

უქ-ი XI 6 შეუქებელი, რის
ქებაც არ შეიძლება.

ულერა უღელა, უღელი: უღერანი
V 23 უღლები (მონობისა, მორ-
ჩილებისა).

უშურველობა XVI 27 გულუხ-
ვობა, ხელგაშლილობა.

უც ნ. ძ.

უცად-ი XII 5 არა ციური,
ე. ი. მიწიერი.

უძლო VII 29 დაუძლეველი.

უერება: ეფერებოდა XV 21 შე-
საფერი იყო, ემსგავსებოდა; თვალ-
თა ფერებად XVII 16 მსგავსი შე-
ხედულებით.

ფერ-ი მსგავსი, შესადარი: ფე-
რო ეფერსა ელვათა სრევად VII 4;
ფერით ამო მზე VII 36.

ფლასურ-ი VI 2 შაოსანი, ძა-
ძებმოსილი, სამგლოვიარო ტანი-
სამოსით მოსილი.

ფსალმუნ-ი საგალობელი, შე-
თხზული ებრაელთა მეფისა დავით
წინასწარმეტყველის მიერ: ფსალ-
მუნთა მოქმენსა VII 3.

ფუცება დაფიცება: დავითს ეფუცა
XVIII 34 დავითს ეფიცა.

ქადებულ-ი I 53 დაქადებული,
დამუქრებული.

ქადილ-ი მუქარა, დამუქრება:
მიუც ქადილსა XI 10 დაემუქრა.

ქალაქობა ზეიმობა: იქალაქა I 53
იზეიმა.

ქამანდება ტყორცნა, სროლა
ისრისა: აქამანდა V 29 ისროლა,
გასტყორცნა ისარი; არ აქამანდა
არა ნარგისთა შაბში მოგნებად IV 11
არ გასტყორცნა წარბ-წამწამთა
არც ერთი ისარი ზიანის მისაყე-
ნებლად.

ნ. აგრეთვე: ნარგისთა შაბი.
ქაფარ-ი I 38 ურწმუნო, სარ-
წმუნოებისაგან გამდგარი, გაიური
(ნ. აქვე გვ. 124—126).

ქველ-ი XVII 13 გმირი, მამა-
ცი, მხნე, კეთილი საქმის მოქმედი.

ნ. აგრეთვე: გაგულქველევა.

ქვეყანა XVII 2, 22 დედამიწა,
მიწა.

ქვეყანიერ-ი XVII 13 მიწიერი.

ქმნად-ი XII 7 რაც იქმნება
(კეთდება).

ქნარ-ი 1. სიმებიანი საკრავი
ინსტრუმენტი, ებანი: II 15, III 3,
VII 3.

2. ვარსკვლავი: ქნარი არსით
მოქნარი III 3; დღე ბნელ ქნარისთა
XII 3.

ქოლვა VII 15 ჩაქოლვა, ჩაქ-
ვავება.

ქოს-ი X 20 სპილენძის დოლი.

ქსულ-ი X 28 მობერილი, მო-
ნიჭებული.

ლად-ი IV 4 ბნელი (ნ. აქვე
გვ. 96).

ლალად-ი IV 4 ყვირილი, ხმა-
მალლა ძახილი.

ლაწვ-ი I 10, VII 50 ლოყა.

ლაწვ-მულაზარობა V 11 ყვა-
ვილნარივით აფერადება ლოყისა,
ლოყაყვავილნარობა.

ლაწვ-მწყაზარ-ი III 4 ლოყა-
თეთრი.

ლელობა: გვლელობს X 6 გვა-
ლელვებს.

ქე: ლაშა-ყე გიმზო I 21; სამფსონ
პალატად ჩანს-ყე დალატად VII 18;
სალას საღმობად უჩნს-ყე დაღმობად
VII 24.

ყოვლითვე I 30 სრულიად.

ყოლ VII 39 სრულიადაც, ყოვ-
ლად.

შამალ-ი XVI 15 ჩრდილოეთი.

შამ-ი VI 3, XVI 15 სანთელი.

შამბ-ი IV 11, V 21 გაუთელა-
ვი მაღალი ბალახი.

შამბ-მალნარ-ი III 4 გაუთელავ-
ბალახიანი და ტყიანი მთა.

შამბნარ-ი II 13, VII 51, IX 4
გაუთელავი მაღალბალახიანი მინ-
ლორი.

შარავანდელ-ი X 6 სხივი.

შარავანდ-მნათ-ი I 31 გვირ-
გვინით მანათებელი, იგულისხმება
გვირგვინოსანი, მეფე.

შარიფა XVI 16 მექის მფლო-
ბელი.

შეგნება: ვერა შევიგნი IX 19 ვერა-
ფერი შევიტყვე.

შემართვა XVIII 21 გაბედვა.

შემას-მქენალ-ი XI 10 მზის-
თაყვანისმცემელი, მზის კერპის
შავედრებელი (ნ. აქვე გვ. 120).

შემაყენალ-ი XI 8 ჩამსმელი,
დამპატიმრებელი.

შემრისხებარე V 28 რისხვის
დამცემი, რისხვის თავზე დამტე-
ხი, გამჯავრებელი.

შემუსრვა V 18 გატეხვა, განა-
დგურება.

შემჩემ-ი XV 5 მიმჩემებელი,
მიმსაკუთრებელი, დამმონავებელი.

შემძლებარე V 16 შემძლები,
შემძლებელი.

შენამართვე-ი VII 6 ხელმიყო-
ფილი.

შენამჭვრეტ-ი VII 23 შემომ-
ცქერალი.

შენასხამ-ი XII 14, 15 შენამკო-
ბი, შენაქები.

შენაფლობ-ი: არ შენაფლობი I 58
დაუმარცხებელი; ნ. მარის აზრით,
«не знавший над собою власти»
(ТР, IV, 38). ნ. აგრეთვე: შეუ-
ფლობელი.

შენება შენად გახდომა: ვინა
შვენებდენ, სულ აშვენებდენ I 15 ვინც
მშვენნიერებით კეკლუცობდნენ,
ისინი თავიანთ სულს შენ გაძ-
ლევდნენ.

შენ-ი გაბედნიერებული: ჩვენ,
ერნი შენნი, შენ მიერ შენნი I 61 ჩვენ,
შენი ხალხი, შენ მიერ გაბედნიე-
რებული.

შესაქმე XVII 5 შექმნა, გაჩენა,
დაბადება.

შესაქმიერ-ი XVIII 3 სამოქმე-
დო, შესაქმნელი, გასაჩენი.

შესაპოვარ-ი IX 7 მოსარიდე-
ბელი, სახათრო.

შესხმა 1. შემკობა, ქება: XIV
2, 3, 4.

2. ჩაცმა: რკინისა ჯამლთა შესხმანი XIV 1.

შეუსახევე-ი VII 35 მიუმსგავსებელი, წარმოუსახავი, უბადლო (მშვენიერებით).

შეუფლობელ-ი VII 31 დაუ-მარცხებელი.

ნ. აგრეთვე: შენაფლობი.

შეუძლევე-ი VII 29 დაუმარცხებელი, უძლეველი, დაუძლეველი (ბრძოლაში).

შეუჭირველ-ი XVIII 38 შეუვიწროებელი, შეუწუხებელი, დაუნადვლელი, უზრუნველი.

შეფიცებულ-ი I 63 შეფიცული.

შეგება I 64, XVI 25 ლხინი, სიხარული.

შეგებულ-ი I 64 მოლხენილი, გახარებული, ფუფუნებაში მყოფი.

შვიდი მნათობ-ი, **შვიდი მნათ**-ი I 4, II 14, X 7 შვიდი ცთომილი: მზე, ზუალი (სატურნი), მუშთარი (იუპიტერი), მარიხი (მარსი), ასპიროზი (მერკური), ოტარიდი (ვენერა) და მთვარე. ასტრალური გაგებით თითოეული მათგანი ცის თითო სარტყელში მდებარეობს და მათი განლაგება მოცემულია დედამიწისგან დაშორების მიხედვით. წარმართულ მითოლოგიაში ყველას ცალ-ცალკე მიაწერენ ღვთაებრივ ბუნებას, ადამიანის ფსიქიურ თუ ფიზიკურ თვისებებს: მზე სინათლის, სიცოცხლის და ბედნიერების მიმნიჭებელი ღმერთია, ზუალი—სევდიანთა ეტლი, მუშთარი—მოსამართლეთა, მარიხი—მეომართა, ასპი-

როზი—მკურნალთა, ოტარიდი—მწიგნობართა, და მთვარე—მოწყალეთა და სნეულთა. ზოგი მნათობი მამრობითი სქესისაა, ზოგიც მდედრობითი; ყველას თავისებური ფერი და სილამაზე აქვს, მათი ზემოქმედებაც განსაზღვრულია იმის მიხედვით, თუ ხალხმა თითოეულ მათგანს რა ადამიანური თვისებები მიაწერა.

შვრომა შრომა, გარჯა: შვრეზოლა VII 22 შრომობდა, ირჯეზობდა.

შთვილ-ი XVIII 31 დამხრჩვალი.

შიშჰაერ IX 12 ჰაეროვანი, გამჭვირვალე შუშა (ნ. მარი).

შობილ-ი (მთვარე) XV 20 ახალი მთვარე.

შოებულ-ი. არ დარჩა კაცი არ შოებულად I 57 არც ერთი კაცი არ დარჩა ულაფო, «никто не остался без добычи» (ТР, IV, 38).

შმაგ-ი ხელი, გიჟი, გადარეული: ჰვრეტითა შმაგით VII 35 გახელებული ცქერით, ყურებით.

შუქ-მოსიერ-ი შეს. 11 შუქმოსილი.

შუქ-მტაცებარე V 3 შუქმტაცებელი.

ჩამომდებარე V 23 ჩამოდებუ-ლი, ჩამოკიდებული.

ჩინება: მოწოდება, მოწვევა; ზუალ იჩინებს დაქადებულად I 7 ზუალი (თამარს) იწვევს დამუქრებულად, ისე გამოიყურება, თითქოს (თამარს) ემუქრება (იწვევს მუქარი-ით). ნ. აქვე გვ. 92—93.

ცება XVII 6,20 განათება, ციური სინათლით გაშუქება.

ცემა მიცემა, მოცემა: მეცა XI 13 მომეცა; არ ეც XI 15 არ მიეცი; გიცნა XVI 4 მოგცა.

ცვალება შეცვლა, გამოცვლა: სცვალეს კურთხევა XVIII 21 შეცვალეს, გამოცვალეს კურთხევა.

ციერ-ი XVIII 38 ციური.

ცნობა I 46, II 8 აზრი, გონება.

ცნობა-ვნებულ-ი I 50 ცნობა-დაკარგული, ცნობამიხილი.

ცუდ-ი უქმი, უსაქმო, ფუქსავატი: ცუდნი, ძალ-შეუზღუდნი კაცნი I 34 სუსტი ნებისყოფის ცუდა-კაცები.

ცხება XVII 5 გამორჩევა.

ცხებულ-ი XII 8 გამორჩეული, რჩეული.

ცხოველობა სიცოცხლე: ევა უცხოვლა XVIII 15 ევა უცოცხლა, გაუჩინა.

ქ: უც (←უძს) XII 13 აქვს.

ძალ-დება შეძლება: ანუ ვის ძალ-უძს შეს. 8 ანუ ვის შეუძლია; არ ძალ-მიძს ქება VII 52 არ შემიძლია ქება.

ძალ-ი 1. ზეცისა ძალნი XVIII 8 სამყაროს სხეულები.

2. ვაზირთა ძალი XVII 19 ვაზირთა დასი.

ძალ-ქონება: ძალ-აქვს I 46 შეუძლია.

ძება 1. გაგდება, გაძევება: დავითს უწოდა მეფეთა ძებად XVII 10 დავითს მოუწოდა (დაუძახა), ან დავითი მოიხმო (ურწმუნო, მაჰ-

მადიან) მეფეთა გასაყრელად, გასაძევებლად.

2. შეილი, ძე: თქვენ მისგან ძებად გენიშნეს ლაშას აღმორჩებანი XVI 24.

3. შეილების გაჩენა, ძეთა შექმნა: ჯელითა იწყო, უწოდა ძებად XVII 4.

ძებნა მონახვა: ლაშა აძებნა XVII 18 ლაშა მონახა.

ძევა დ. ძევნა.

ძევნა მოძიება, მოძებნა: მის განძევართა ელგათა ძევა VII 13; ანა-ლათისა რად დაშვრა ძევა VII 25.

ძირ-ი ფესვი, ჩამომავალი: ეფრემის ძირთა აღმორჩებულად I 19; ეფრემის ძირთა ისართა მთლელი X 21; იესეს ძირი [თამარი] ასულად ვიცნი აბრაჰამისად XII 4; ეფრემის ძირთა XVI 10.

შდრ. ტომი, ვახტანგის ტომი, აგარის ტომი და სხვ...

ძლება გაძლება, შეძლება: ენავით სძლებდეს საქებარისად XII 16; უძლე ძლიერთა XVI 21; და აქილევთა დაუწყო ძლებად XVII 13.

ძლევა გამარჯვება, დაძლევა: სძლო მათთა სპათა I 54; შენთა შუქთა-სძლევს V 3; ანუ სამონოდ მოგმართა ძლევა VII 28; ეწერნეს თქვენნი ძლევა-გებულად XV 32; ბევრთა სძლი ერთა-ს XVI 21; მათსა ძლევასა I 35.

ძნობა II 5, VII 4, 53, X 23, XII 14, XVI 1, XVII 21 შექება, შესხმა გალობით, მკობა.

ძიწუულ-ი I 10 წითელი.

ძღვანება გაძღვანება, მოძღვანება: ვაზირთა ძალი მოგზავნა ღიღთა-ცხენთა ძღვანებად XVII 19 გამო-

გზაენა ვაზირთა დასი, რომელთაც უძლოდათ დიდძალი ცხენები.

წა ზმნისწინი, განმეორებული ზმნის მნიშვნელობის გასაძლიერებლად: წაუღე რანი, წა V 23 წაართვი რანი, წაართვი.

წად: ვითა იწადა I 24 როგორც მოინდომა; მითა ქმნა სწადა XVIII 14 მით შექმნა მოინდომა, მოიწადინა, მოისურვა; თუ მოვანება გწადეს I 9 ან მზესავით დიდებულად აღმობრწყინება გასურდეს.

წად-ი სურვილი, წადილი: წადთა მიმყოლო XVIII 4 სურვილთა, წადილთა ამყოლო.

წამება დადასტურება, დამოწმება, რწმუნება: ფიცითა წამა მისგან იწამა XV 6 ფიცით დადასტურა და მისგან (ე. ი. თამარისგან) იწამა (ირწმუნა).

წამოსლვა: წამო-ცა-ვიდეს I 37 წამოვიდეს-ცა.

წარმართებულ-ი I 21 სწორ გზაზე დამდგარი, ხელშეწყობილი.

წარმართ-ი XVIII 39 წარმართი, ЯЗЫЧНИК.

წარქცევა გაძლოლა: წარიქცივნა I 55 გაიძლოლა.

წაღება წართმევა: წაუღე V 23 წაართვი.

წვართა სწავლება: თვით ბრძენი წვართა XVIII 17 თვითონ ბრძენს ასწავლა.

ნ. აგრეთვე: მოწვართა.

წვევა VII 1, XVIII 17 მოწოდება, მოწვევა, რჩევა.

წინა-განწყობა XVIII 10 წინასწარ განლაგება (სამყაროს სხეულებისა), წინასწარ მოთქრება, განსაზღვრა.

წინამგებარე V 18 შემგებებელი, დამხდური, მოწინააღმდეგე.

წინა-წარმართ-ი XVIII 39 კეთილად წინ მავალი, სწორი გზით წინ მოსიარულე, ხელშეწყობილი.

წონება: ვერას ვიწონებ IX 21 ვერა გადამიწყვეტია რა.

წრფელობა: სული ეწრფელა XVIII 7 სულმა მისცა თავისი სისწრფელე (შდრ.: სულმა დაგისხნა სიწრფოებანი, XVI 7).

ნ. აგრეთვე: სიწრფოება და მწლფებარე.

წყალება შეწყალება, შებრალება: მეწყალი VIII 1 მებრალები; მეწყალი IX 1, X 3.

წყალ-ი ბრწყინვალება, ელვარება ძვირფასი ქვისა, მნათობისა: სოფლისა წყალთა დამაშვენებარე V 7; სოფლის წყალთა დამაშვენალი XI 9 ქვეყნის მარგალიტთა ბრწყინვალეების დამაშვენებელი (შდრ. ვ. ტ.: ჩემი ლხინი და ჯავარი, ჩემი სოფლისა წყალი, 104,2); გაქვს არსთა წყალი X 3 გაქვს მნათობთა ბრწყინვალეება; წყალთა არსთასა VII 29; წყლად წყალი მრწყველი II 8 (შდრ. ვ. ტ.: სოფლის წყალთა რწყულისა, 696,3).

წყალ-ჯავარ-ი ძვირფასი ბრჭყვი-ალა, მოელვარე ქვა, თვალის პატიოსანი: სწორ-უბოვარი წყალ-ჯავარ: ქცევად VII 36; წყალ-ჯავარისა დამაშვენებანი XVI 20.

ნ. აგრეთვე: წყალი.

წყვეა დაწყველა: სწყვეა XVIII 23 დასწყველა.

წყლიანობა შვენება: გწყლიანობენ XVI 4 გშვენიან. შდრ.: წყლიანი— მოხდომილი, შვენეირი“ (საბა).

ნ. აგრეთვე: წყალი.

წყლით რღვნა XVIII 31 წარღვნა.

წუხვა წუხილი: წუხ(ვ)ად V 15 წუხილად, საწუხად.

ჭამად-ი XVIII 17 საჭმელი.

ხალიფა X 16, XI 15, XVI 16 არაბთა ხელმწიფე.

ხელ-ქმნა VII 24 გახელება, გაგიყება.

ხევა I 14, VII 6 უკანონოდ მიტაცება ან შოვნა რისამე.

ხლება: მეხელი XI 3 მომეახლე (ნ. აქვე გვ. 63—64).

ხრა: წამწამთა ხრანი XVI 8 წამწამთა მიხვრა-მოხვრა.

ხუთათას ხუთახიერ-ი XVIII 27: 5500 წელიწადი, გასული ალექსანდრიული წელთაღრიცხვით ადამის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე (კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, 1945, გვ. 338).

ჯამ: ჯამს VII 37 საჭიროა; ჯამლის IX 11 უნდოდა, სჭირდებოდა.

ჯამლ-ი XIV 1 ფეხსაცმელი.

ჯაფად VII 30 უცბად, სწრაფად, მოულოდნელად.

კდა ახლა: მართ ბინდ მგდოვნებად IV 7 ჭეშმარიტად ბინდის ამხდელად.

კდად-ყოფა: კდად-ყოფენ I 18 აცხადებენ.

კელვა: მეკელი XI 3 მფარველობა გამიწიე, მემფარველე (ნ. აქვე გვ. 64—65).

კმელ-ი V 26, XVII 41 ხმელეთი.

კმობა II 14, VII 54, VIII 16, X 1, XIV 2, XV 4, XVIII 43 მოწოდება, დაძახება, მიწვევა, ხმის ამოღება.

კრმალ-ი I 20 (და ყველგან) ხმალი.

ჯავარ-ი 1. ძვირფასი მოელვარე ქვა, თვალი პატიოსანი: ჯავარ მოწყალე V 28 მოელვარე თვალი პატიოსანი (შდრ. წყალ-ჯავარი); მფლობი ჯავართა XI 9.

2. მეზობელი, ახლობელი, მექომაგე, მფარველი, დამცველი: ჯავარ მოწყალე V 28 მეზობელთა და ახლობელთა წყალობის მიმნიჭებელი, კეთილის მოქმედი; ხალიფას სვისა ჯავართა მშლელი X 16 ხალიფას ბედის მექომაგეთა დამრღვეველი: ჯავარ მოცალე XVII 9 ახლობელთა და მეზობელთა დროის გამტარებელი; სტურფობს ჯავარი XVIII 44 ამშვენებს მას დაცვა და მფარველობა.

ჯაჭვ-ჭურ-ი XVII 13 აბჯარი და რკინის პერანგი, ჯავშანი, საბრძოლო საჭურველი ტანისა.

კავარ-ი I 36, XVIII 44 მუსლიმანი, ურწმუნო.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	5
ჩახრუხადის „ქება მეფისა თამარისი“ (გამოკვლევა)	7
შესავალი (9 — 27).	
„თამარიანის“ ტექსტის საკითხები (28 — 144):	
1. „თამარიანის“ ხელნაწერები (28 — 39); 2. „თამარიანის“ ტრადიციული ტექსტი და მისი სტრუქტურულ-კომპოზიციური ხარვეზები (39 — 80); 3. უმთავრესი გასწორებანი და კომენტარები (81 — 144).	
„თამარიანის“ სტრუქტურა და კომპოზიცია (145 — 169).	
„თამარიანის“ დაწერის თარიღი (170—180).	
ქება მეფისა თამარისი (ტექსტი)	181
ვარიანტები, საძიებელი და ლექსიკონი	217
წინასწარი განმარტება (219—220).	
ვარიანტები (221—233).	
საძიებელი (234—242).	
ლექსიკონი (243 — 269).	

შეცდომების გახწორება

გვ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
5 ₁₁	ფოლოლოგიური	ფილოლოგიური
13 ₉	ქართული	ქართველი
18 ₃₀	ქართულ	ქართველ
39 ₉	გადაწერილია	გადაწერილია
52 ₁₁	ოვანებად-რითმიანი	ოვანებად-რითმიანი
125 _{18;20}	ურცხვი	ურიცხვი
154 ₉	იერისა-რითმიანი	იერსა-რითმიანი
179 ₁₆	ლომთა თავად, თქმული	ლომთა თავადად, თქმული
	ავად,	ავადად,

ვინმემ რომ არ იფიქროს, თითქოს პ. ინგოროყვას ვაწერდეთ იმ მოსაზრებას, რომელსაც იგი არ იზიარებს, ამიტომ 148 გვერდზე დაბეჭდილი წინადადება: „პირველი ოდა მოგვითხრობს ქართველი მხედრების ბრძოლას რუქნადინთან და დაწერილია ბოლესტიკეს ძლევა მოსილი გამარჯვების დღესასწაულთან დაკავშირებით“, შეასწორეთ ამგვარად: „პირველი ოდა მოგვითხრობს ქართველი მხედრების «ბრწყინვალე გამარჯვებას მუსულმანებზე ანატოლიის სანაპიროზე», «არზრუმის სანახებში», და დაწერილია ამ ბრძოლის აღსანიშნავად 1192 წელს“.

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც.საბჭოს დადგენილებით.

*

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიავა
ტექრედაქტორი ა. თოდუა
მხატვარი ვ. წიკლაური
კორექტორი დ. სონღულაშვილი

გადაეცა წარმოებას 4.2.1957; ანაწყოების ზომა 6×10 ; ხელმოწერილთა
დასაბეჭდად 23.7.1957; ქალაქის ზომა $60 \times 92^{1/16}$;
ქალაქის ფურცელი 8,5; საბეჭდი ფურცელი 17; საავტორო
ფურცელი 13,77; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურც. 14,22.
შეკვეთა 272; უე 00631; ტირაჟი 1000

ფასი 12 მან.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, ა. წერეთლის ქ. 3/5